DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Jafaridze, V. / ჯაფარიძე,ვ. / Джафаридзе, В.В.
- Title: ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან / Ранхесредневековые археологические памятники из квемо картли
- Publication Date: 1982
- Publisher: Georgian National Academy of Scineces , GNM Archaeological center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_d35f34d73e

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

ვ. ჯაფარიძე

ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან



«მეცნიერება»

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ვ. ჯაფარიძე

ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან

(დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1982

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ...

902 6(141)
63.4 (2Г)
902.6(47.922)
ჯ 271

ნაშრომი ეძღვნება ძველი ქართული ხელოვნებისა და ეპიგრაფიკის ძეგლებს — ქვის სტელებს, მიკვლეულს თუ აღმოჩენილს სხვადასხვა წლებში დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიის ერთ ნაწილში (დმანისის, ბოლნისის რაიონები). სტელების ძირითადი ნაწილი თარიღდება V—VI—VII სს. მათი შესწავლა მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას ძველი ქართული ხელოვნებისა და ეპიგრაფიკის ამ ორიგინალური და მნიშვნელოვანი ძეგლების შესახებ.

ნაშრომი ილუსტრირებულია, გამიზნულია ისტორიკოსების, ხელოვნების ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

10602
ჯ М 607(06)—82 225—81 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა და მცირე ხელოვნების ქვის ძეგლები, რომლებიც აღმოჩენილი ან მიკვლეული იყო დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სხვადასხვა წლებში დმანისისა და ნაწილობრივ ბოლნისის რაიონებში, ე. ი. ისტორიული ქართლის ტერიტორიის ერთ ნაწილში. აქვე უხდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლების ფიქსაციას დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებდა თავის ძირითად სამუშაოს, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური გათხრისა და შესწავლის პარალელურად ისე, რომ ძირითადი ყურადღება ნაქალაქარის შესწავლაზე იყო მიპყრობილი. ამავე დროს ექსპედიციას არ ჰქონდა საშუალება დმანისისა და ბოლნისის რაიონებში ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი მოეხილა ან გაეთხარა. ამიტომ ის მასალა, რომელიც ამ ნაშრომშია შეტანილი, შედეგია ზოგიერთ პუნქტში ჩატარებული მუშაობისა. უდიდესი ნაწილი ამ რაიონების ძეგლებისა შეუსწავლელია და ელის თავის ერთგულ მკვლევარს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ვითარებისა, დმახისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულია ადრექრისტიანული ხანის მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელთაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი სპეციალისტი.

ვფიქრობთ, უძველესი ქართული კულტურის ეს ბრწყინვალე ძეგლები საერთო ყურადღებას მიიპყრობენ მით უმეტეს, რომ მათი დიდი ნაწილი უცნობია და პირველად ქვეყნდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაშრომში გახილულია ადრეული შუა საუკუნეების ძეგლები — ორი ეკლესია და სტელების ნაწილები: ქვის სვეტები, მათი ბაზები, კაპიტელები და ქვისავე ჯვრები. მაგრამ ამავე ნაშრომში შეტანილია სათანადო ცხობები იმ მოგვიანო ეკლესიების (უპირატესად შუა საუკუნეების) შესახებ, რომელთა კედლებშიც ჩაშენებული იყო (და ამჟამადაც არის) ხელოვნების უძველესი ძეგლები — ადრექრისტიანული ხანის სტელების ფრაგმენტები.

იმისათვის, რომ დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ჰქონდეს შეამოწმოს ჩვენი მონაცემები და მოსაზრებები, დაკავშირებული ზემოხსენებულ ძეგლებთან, ნაშრომს უხვად აქვს თანდართული ილუსტრაციები ფოტოსურათების, გეგმების, ჭრილებისა და ჩანახაზების სახით.

წინამდებარე ნაშრომისათვის თანდართული ეკლესიების გეგმების, ჭრილების, ფასადების ნახაზები შეასრულეს არქიტექტორებმა კ. ძელითაურმა (აბულბუგის, ორსაყდრების, ბალიჭის ეკლესიები), ც. გაბაშვილმა (უკანგორის ორკარიანი და კიზილ-ქილისას ეკლესიების გეგმები და ჭრილები,

სტელების, მათი ბაზების, ორნამენტული მოტივების ნახაზები და ნახატები), თ. გერსამიამ (მდ. დაშბლუტის წყლის ხეობაში მდებარე მცირე ეკლესია) და ს. ბოლქვაძემ (ბუჩურაშენის ეკლესია).

არქიტექტურული ძეგლების და სტელების, მათი ნაწილების ნახატებისა და ნახაზების ფოტოსურათები გადაიღეს ფოტოგრაფებმა ი. პინაევმა, ნ. არჩვაძემ და ვ. სავინმა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ დიდი ხანია დაადგინა, რომ ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში, კერძოდ კი ქართლში, IV საუკუნიდან მოყოლებული იწყება ფეოდალიზაციის პროცესი და, აშგვარად, ქვეყანა დაშდგარია თავისი სოციალური, ეკონომიკური და, ამასთან ერთად, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნებისა და განვითარების ახალ გზაზე. აშავე დროს ისიც ცნობილია, რომ ფეოდალიზაციის პროცესი ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო, რომელიც მიმდინარეობდა ქვეყნის შინაგანი ძალების შეხლა-შემოხლისა და, აგრეთვე, გარეშე მტრებთან ბრძოლების ვითარებაში.

IV—VI საუკუნეებში, უპირველეს ყოვლისა, შესაშჩხევია აზნაურთა გაძლიერების და ქონებრივი დიფერენციაციის ტენდენციები, ხოლო შეფის ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევს მემამულეებისათვის ნაწყალობევი (მოძრავი) მიწების მისაკუთრების ტენდენციებს[1]. შიუხედავად აშისა, აღხინხული პროცესი სულ უფრო მეტი ინტენსივობით შიმდინარეობს და ბოლოს მიწის ძირითადი ფონდი თავს იყრის გაბატონებული უმცირესობის — აზნაურთა ხელში[2]. ეს პროცესი VI საუკუნეში მთავრდება ქართლის აზნაურების გაშარჯვებით და მეფის ხელისუფლების გაუქმებით, რასაც გარეშე ძალებიც უწყობდნენ ხელს. თუმცა ფეოდალიზმის გახვითარების ამ ეტაპზე მთელ საქართველოში იმარჯვებს ახალი პოლიტიკური და სოციალური წყობა, მაგრამ ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი სამთავროებად[3].

სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შოშხდარ არსებით ცვლილებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლში ქრისტიანობის გაშოცხადებას სახელმწიფო რელიგიად, რომლის თარიღადაც ქართულ საისტორიო შეცხიერებას 337 წ. ახლო ხანები მიაჩნია. ქრისტიანობის გავრცელებასა და გახმტკიცებაში დაინტერესებული იყო როგორც მეფე, ისე მაღალი სოციალური ფენა — ქართლის აზნაურები. ისინი საშხედრო ძალასაც კი იყენებდნენ სათანადო შემთხვევაში იმათ მიშართ, ვინც ეწინააღმდეგებოდა ახალი რელიგიის გავრცელებას[4]. ქრისტიანობა ხელს უწყობდა საზოგადოების მაღალ სოციალურ ფენებს თავისი მიზნების განხორციელებაში. „ქრისტიანობა საქართველოს შოევლინა როგორც აზნაურთა რელიგია“[5], რამდენადაც იგი ხელს უწყობდა ფეოდალიზაციის პროცესს, ფეოდალთა კლასის გაძლიერებას ქართლში; იგი ხელს

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, 1, გვ. 289.
[2] ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 16.
[3] ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 17.
[4] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 88—89.
[5] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 221.

უწყობდა აგრეთვე ქვეყნის ცენტრალიზაციას და კონსოლიდაციას, დასავლეთის კულტურულ სამყაროსთან კავშირის განმტკიცებას[6]. ამავე დროს ასეთი ისტორიული ნაბიჯის გადადგმით ქართლი გადაჭრით გაემიჯნა (და დაუპირისპირდა კიდეც) თავის ძლიერ და საშიშ მეტოქეს — სასანიდების ირანს, მის რელიგიას — მაზდეიზმს და რომის მხარე დაიჭირა.

ამასთან ერთად, ერთდროულად ქართველ ხალხს უხდებოდა გმირული უთანასწორო ბრძოლა გარეშე მტრებთან, ერთი მხრივ, ირანთან, ხოლო მეორე მხრივ — ბიზანტიასთან. IV ს. 30-იან წლებში კვლავ იწყება საომარი მოქმედება ერთმანეთის მოჭიდებულ ორ დიდ სახელმწიფოს — ირანსა და რომს შორის. საომარი მოქმედების მიზეზი და ხშირად ასპარეზიც, ქართლი იყო. ქართლის მეფეები ხშირად აღმოჩენილან ორ ცეცხლს შუა და თუ ზოგჯერ კონკრეტული ისტორიული ვითარებისა თუ სიტუაციის შედეგად საჭირო ყოფილა ერთი მათგანის მხარის დაჭერა მეორის წინააღმდეგ, ზოგჯერ ორივე მტრის წინააღმდეგ, ორ ფრონტზე უხდებოდათ ბრძოლა.

IV საუკუნის 70-იან წლებში ირანი ახერხებს ქართლას მთლიანად დაჩორჩილებას, მაგრამ ამავე საუკუნის მიწურულში ფარსმან მეფე უარს აცხადებს ხარკის გადახდაზე და, ამავე დროს, ებრძვის ბიზანტიელებსაც. ორ ფრონტზე იბრძვის მომდევნო მეფე მირდატიც, რომელიც V საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში ირანელებს ტყვედ უვარდება ბრძოლაში და მალე იღუპება კიდეც ტყვეობაში[7]. ასევე თავგამოდებით იბრძვიან სპარსთა ბატონობის წინააღმდეგ არჩილი და მისი მემკვიდრე მირდატი, მაგრამ ქართლი ვერც მათ მეფობაში (V საუკ. 20-იანი — 40-იანი წლები) ახერხებს განთავისუფლებას. ამავე დროს ირანის პოლიტიკა ამიერკავკასიის ქვეყნებში კიდევ უფრო აგრესიული ხდება. ირანი ცდილობს ქართველების, სომხებისა და ალბანელების ასიმილაციას და მათი კულტურის მოსპობას. ამისათვის ირანელები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან; განსაკუთრებით გააფთრებით ებრძვიან ქრისტიანობას, იყენებენ სხვადასხვა ქრისტიანულ სექტებს შორის შექმნილ წინააღმდეგობებს და უხეშად ერევიან ქრისტიანული ეკლესიის საქმეებში, გადასახადების გადახდას ეკლესიებისაგანაც მოითხოვენ[8]. იეზდიგერდ II კატეგორიულად მოითხოვს მაზდეანობის მიღებას და ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში გზავხის ასობით მოგვს ქრისტიანობის აღმოფხვრისა და ცეცხლთაყვანისმცემლობის მასობრივად გავრცელებისათვის. ირანის ასეთმა უხეშმა ძალადობამ გამოიწვია ხალხების აჯანყებები და საყოველთაო წინააღმდეგობა. მალე ირანი იძულებულია უარი თქვას თავის უკიდურესად აგრესიულ პოლიტიკაზე ამიერკავკასიის ქვეყნებში და რამდენადმე შეარბილოს თავისი დაუფარავი ძალადობა.

ქართლში მდგომარეობა მნიშვნელოვნად იცვლება V საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ქვეყანას სათავეში უდგება დიდი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი მეფე ვახტანგ გორგასალი; მისი მეფობის დასაწყისში ქართლი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროს ჰუნები ადვილად ახერხებენ ჩრდილოეთის გამაგრებული გადასასვლელების გადმოლახვას და იწყებენ თარეშს ქართლსა და სომხეთში.

---

[6] ნარკვევები, II, გვ. 76.

[7] ნარკვევები, ტ II, გვ. 82—83.

[8] იქვე, გვ. 87.

გართულებული მდგომარეობაა ქვეყნის შიგნითაც. ქართლის დაუძინებელი მტერი — ირანი კიდევ უფრო აძლიერებს თავის ძალადობას ქართლში, ისევ აწყესებს სამხედრო ბეგარას. ამ საფუძველზე თვით ვახტანგ გორგასალსაც უხდება ბეგარის მოხდა და მონაწილეობის მიღება ირანელთა ომებში ჯერ შუა აზიასა და ინდოეთში, ხოლო შემდეგ ბიზანტიის წინააღმდეგ[9].

ირანიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგი იწყებს ქვეყნის სამხედრო საქმეების მოწესრიგებას, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, ხელისუფლების განმტკიცებაში, ცენტრალიზაციაში, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში[10], სამხედრო ძლიერების გაზრდაში და სხვა.

ამ მხრივ აღსანიშნავია ვახტანგ გორგასალის ბრძოლა ურჩი დიდი ფეოდალების წინააღმდეგ. ამით იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ ვახტანგმა მოაკვლევინა ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი 482 წ.[11]. ვახტანგ გორგასალის ასეთი გადამჭრელი ნაბიჯი მიმართული იყო არა მარტო ირანის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ქართლში, არამედ, ერთდროულად ეს იყო ბრძოლა ირანის იდეოლოგიის — მაზდეანობის წინააღმდეგაც, ქრისტიანული სარწმუნოების პოზიციების განმტკიცებისათვის ქართლში. ამას მოჰყვა აჯანყება ირანის ბატონობის წინააღმდეგ, რასაც მხარს უჭერენ სომხებიც. თუმცა აჯახყებას დროებითი წარმატება ჰქონდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მან მაინც ვერ გამოიღო სასურველი შედეგები და ქართლიდან ირანელების გაძევება ვერ მოხერხდა. ვახტანგ გორგასალი შემდეგშიც, თავისი სიცოცხლის ბოლომდე, განაგრძობდა ბრძოლას ირანის წინააღმდეგ და, როგორც ცხობილია, ამ ბრძოლას შეეწირა კიდეც.

ამავე დროს ვახტანგ გორგასალი მეტად დიდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს ახორციელებდა თავის ქვეყანაში. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებათაგანია იმ ციხესიმაგრეების თავის ხელში ჩაგდება, რომლებიც ამაგრებდნენ ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმოსასვლელებს და, რომლებიც, ივარაუდება, მანამდე ირანელებს ეპყრათ. ამის სრულიად გარკვეული ცნობა მოიპოვება წმ. ნინოს ცხოვრების ზოგიერთ რედაქციაში, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასალმა „დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი... და აწ თვინიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ჴელწიფების გამოსვლად ოვსთა და ყივჩაღთაო“[12].

აქედან მოყოლებული ქართლი არა მარტო უწევდა კონტროლს ჩრდილო კავკასიელი ტომების მოძრაობას საბრეთით და, როგორც „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს, მათ არა მარტო არ ჰქონდათ უფლება გადმოსულიყვნენ ქართლში თუ ამიერკავკასიაში „თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“[13], არამედ მათი ლაშქარი შეიძლებოდა გამოეყენებინა საბრძოლო ოპერაციებში გარეშე მტრის წინააღმდეგ.

---

[9] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 93; ნარკვევები, II, გვ. 91.

[10] ნარკვევები, II, გვ. 95.

[11] ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965., გვ. 243.

[12] თ. ეორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, ტფ. 1892, გვ. 50.

[13] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 156; ნარკვევები, II, გვ. 100; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 205—206.

ქვეყნის კონსოლიდაციის განმტკიცების მიზნით ვახტანგმა მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა საეკლესიო დარგში; მან ქართული ეკლესიის სათავეში მის მიერ არჩეული კათალიკოსი ჩააყენა, მან ქართულ ეკლესიას მოუპოვა ავტოკეფალობა; მანვე დააარსა მრავალი ახალი საეპისკოპოსო კათედრა და ჩამოიცილა ეკლესიის ძველი მესვეურები, რომლებიც მეფის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ[14].

დასასრულ, ვახტანგ გორგასალი ზრუნავს ახალი ქალაქების დაარსებაზე, რომლებიც მომავალში მისი დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ[15]. ამ მხრივ აღსანიშნავია, უპირველეს ყოვლისა, დედაქალაქის გადმოტანა მცხეთიდან თბილისში, მისი (თბილისის) მშენებლობის დაწყება, რასაც შემდეგში ვახტანგის მემკვიდრე დაჩი განაგრძობს. „თბილისის გადაქცევა ქართლის (ივერიის) დედაქალაქად (და შემდეგ მთელი საქართველოს დედაქალაქად) გაპირობებული იყო ქვეყნის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური ანუ ახალი, ფეოდალური ურთიერთობის განვითარებით“[16].

ვახტანგმა გააფართოვა ქალაქი უჯარმა, სადაც მან დროებით თავისი სამეფო რეზიდენცია გადმოიტანა, აგრეთვე ქალაქი ჰერემი. ეს ღონისძიებაც ზემოხსენებული მიზეზებით იყო გამოწვეული.

ვახტანგ გორგასალის მეფობისა და სახელმწიფოებრივი ძოღვაწეობის დახასიათება არ იქნება სრული, თუ აქვე არ აღვნიშნავთ, რომ იმისაგან განსხვავებით, რაც ზევით ვთქვით ვახტანგ გორგასალის შესახებ და რაც გაზიარებულია ჩვენი ისტორიკოსების მიერ, არსებობს მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ V საუკუნის 60—70-იან წლებში „მთელი ეგრისის სამეფო ამ დროს ქართლს უნდა შეერთებოდა“ და რომ „პეროზ შახის დროს, ირანი იმორჩილებს ეგრისის სამეფოს მთლიანად (აფხაზეთის გარდა). ეს ხდება ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასალის უშუალო მონაწილეობით თუ ინიციატივით“. ეს მოსაზრება ეყრდნობა ქართული, ბიზანტიური და სომხური წყაროების ანალიზს[17].

ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგ ქართლი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ირანელები აღარ სჯერდებიან ამიერკავკასიის ქვეყნების ვასალურ მდგომარეობას და მათ ირანის ჩვეულებრივ პროვინციებად გადაქცევას ცდილობენ[18]. ცნობილია, რომ ირანელებმა სომხეთში მეფობა ჯერ კიდევ 428 წელს გააუქმეს. შემდეგ მათ მეფობა გააუქმეს 510 წელს ალბანეთში, ხოლო სულ მალე, 523 წელს ირანელები ქართლშიც აუქმებენ მეფობას და ქართლიც ირანის პროვინცია ხდება.

ამგვარად ხანგრძლივი ბრძოლა ქართლის აზნაურებსა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის პირველების სრული გამარჯვებით მთავრდება. ასეთმა ვითარებამ გასაქანი მისცა ერთი მხრივ, მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის წარმოშობას, ხოლო, მეორე მხრივ ხელი შეუწყო ქართლში სპარსელების გაძლიერებას; ამიერიდან მათ დაიჭირეს კავკასიონის გადასასვლელები, ქართლს სათავეში მარზპანი ჩაუყენეს. თავისი ჯარი ჩააყენეს ქართლის მხიმვხე-ლოვან ქალაქებში, მოისყიდეს და დაიახლოვეს ერისთავები და ეკლესია-მონას-

---

[14] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 332—334.
[15] Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, გვ. 452.
[16] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.
[17] იქვე, გვ. 206—213.
[18] ნარკვევები, II, გვ. 246.

ტრების მსახურთა ნაწილი და ამით გაიადვილეს თავისი შემდგომი აგრესიული მიზნების განხორციელება[19].

ახალმა ისტორიულმა ვითარებამ ეკონომიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები გამოიწვია; ზემოხსენებულ საუკუნეებში შესამჩნევია, ინტენსიური მეურხეობის გახვითარების მიზნით, მთელი რიგი ახალი სარწყავი არხების გაყვანა, სასოფლო-სამეურხეო იარაღების გაუმჯობესება, ამავე საუკუნეებში განსაკუთრებით ვითარდება მევენახეობა-მეღვინეობა.

ქვეყანაში მომხდარმა დიდმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა IV—VI სს თავისი დაღი დაასვა საქალაქო ცხოვრებას[20]. მნიშვნელოვნად შესუსტებულია უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობა, რასაც ხელს უშლიდა აგრეთვე გამუდმებული ბრძოლები ირანსა და ბიზანტიას შორის და ირანსა და ქართლს შორისაც. ძველი საგარეო სავაჭრო ურთიერთობანი და ძველი გზები ამ საუკუნეებში მოშლილია; ამასთან დაკავშირებით შესუსტებულია ფულის მიმოქცევაც. არსებობს მოსაზრება, რომ ქართლში III საუკუნიდან „V საუკუნის დასასრულამდე სასანურ და ბიზანტიურ მონეტათა მხოლოდ ზოგიერთი ეგზემპლარია დამოწმებული. ჯერ კიდევ დაუდგენელია, თუ რა მონეტები იხმარებოდა IV—VI საუკუნეებში და რამ გამოიწვია სასანური და ბიზანტიური მონეტების ასე გვიან შემოსვლა ქართლში"[21]. მაგრამ დღეს აღნიშნული მოსაზრება შესაძლებელია დავაზუსტოთ ახალი მონაცემებისა და ნაშრომების შუქზე. საქმე ის არის, რომ დრახმების პირველი ეგზემპლარები, აღმოჩენილი ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე, მიეკუთვნება III საუკუნეს (შაპურისა და ვარახრანის სახელით მოჭრილი მონეტები). თუ აღნიშნული მონეტები ერთეულებია და შემთხვევითი ხასიათისაა, მთელი IV და V საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში ქართლში რომაული ოქროს და ვერცხლის მონეტები ყოფილა ბრუნვაში, როგორადაც ამას არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ.

V საუკუნიდან ბრუნვაში ინტენსიურად შემოდის ბიზანტიური ოქროს მონეტა. V საუკუნის ასეთი მონეტები აღმოჩენილია მცხეთაში, თელავში, წინანდალში, ურბნისში, ბოლნისში, კაზრეთში, ხიდისთავში და სხვა[22].

სასანური მონეტები ქართლში ჩნდება V საუკუნის 30-იან წლებიდან (ირანის შაჰების ეზდიგერდ II, პეროზის, ბალაშის და კავადის)[23].

VI საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩნდება ხოსრო ანუშირვანის, ჰორმიზდ IV და ხოსრო ფარვეზის მონეტები დიდი რაოდენობით[24]; VI საუკუნიდან კვლავ შემოდის ქართლში მავრიკე კეისრის, კონსტანტინე II და კონსტანტინე IV ბიზანტიური მონეტები. VI საუკუნის მეორე ნახევრიდან იჭრება ქართლის ერისთავების ფულიც[25].

---

[19] ნარკვევები, II, გვ. 247—248.

[20] იქვე, გვ. 118.

[21] იქვე, გვ. 120.

[22] И. Л. Джалагания, Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв. თბ., 1979.

[23] იქვე, გვ. 34.

[24] ნარკვევები, II, გვ. 120.

[25] იქვე, გვ. 120; აგრეთვე ი. ჯალაღანიას დასახ. ნაშრომი, გვ. 34; ჩამოთვლილი ფაქტების შუქზე, ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია განცხადება იმის შესახებ, რომ „IV—V სს. საგარეო ვაჭრობის შესუსტების მთავარი მანიშნებელია მონეტების სრული უქონლობა". იხ. ნარკვევები, II, გვ. 122.

IV—VI საუკუნეებში მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ბიზანტიასთან ვაჭრობაზე მიგვითითებენ არა მარტო ზემოჩამოთვლილი ფაქტები, არამედ განათხარი სამკაულები, რომლებიც მოჭედილია უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებით. ხელოსნობის დარგებიდან დაქვეითებული ჩანს კერამიკული წარმოება, თუმცა განვითარებული და გავრცელებული ჩანს მისი ერთი დარგი მეჭვევრეობა, რომლის ნიმუშები მრავლად არის აღმოჩენილი ქართლის ტერიტორიაზე. ამავე საუკუნეებში გვხვდება თიხის სარკოფაგები მიცვალებულების დასაკრძალავად (მცხეთაში, ურბნისში, რუსთავში, აღაიანში და სხვა.).

განათხარი მასალების მიხედვით განვითარებული ჩანს ოქრომჭედლობა. ამის მანიშნებელია სამარხებში მრავლად აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, მშვილდსაკინძები, ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები, ბალთები, ყელსაკიდები და, თუმცა ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება ვერცხლის ჭურჭელიც: ზემოხსენებული სამკაულები აღმოჩენილია არმაზისხევში, ახალგორში, თრიალეთში, ჟინვალში, ერწოში (მაგრანეთი), ბალიჭში, აღაიანში და სხვა. შესამჩნევია ზემოხსენებულ საუკუნეებში სამკაულების ახალი ფორმების გაჩენა (ბეჭდები, საყურეები)[26].

განვითარებული ჩანს მინის წარმოებაც; მრავლად გვხვდება მინის ჭურჭელი მცხეთის სამარხებში, განსაკუთრებით IV საუკუნიდან. სპეციალისტების დასკვნით მინის წარმოება ხელოსნობის მთავარი დარგი უნდა ყოფილიყო IV—VI სს მცხეთაში, რუსთავში, ურბნისში[27].

კარგად არის ცნობილი, რომ ქრისტიანობის გამოცხადებამ ოფიციალურ რელიგიად, ბიძგი მისცა ქართლშიც ეკლესიებისა და ტაძრების მშენებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების პირველ საუკუნეებში აგებული ეკლესიებიდან ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია, მათ მიხედვით მაინც კარგად შეიძლება წარმოვიდგინოთ ის დიდი მასშტაბი საეკლესიო მშენებლობისა უძველეს პერიოდში, რომელიც პატარა ქართლის ტერიტორიაზე შეიმჩნევა. ამასთანავე დღემდე მოღწეული ძეგლები სრულიად გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან როგორც ქრისტიანობის მიღების ამ ადრინდელი საუკუნეების სამშენებლო ტექნიკის, ისე ძველი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების საფეხურებისა და ხელოვნების ამ შესანიშნავი ძეგლების დონის შესახებ. უძველესი ქართული არქიტექტურის ეს მრავალრიცხოვანი ძეგლები და მათი განვითარების გზები და ძირითადი საკითხები საფუძვლიანად შეისწავლეს ჩვენმა მეცნიერებმა.

ქართული ხუროთმოძღვრების უძველეს ძეგლებს წარმოადგენენ ე. წ. ბაზილიკური ნაგებობები: ნეკრესის ეკლესია (IV საუკ.) და ძველი შუამთის მონასტრის ბაზილიკა (V ს.). ბაზილიკის კლასიკური ძეგლია ბოლნისის სიონი (478—493 წწ.), რომელიც საერთო ყურადღებას იქცევს თავისი არქიტექტურით, უძველესი ასომთავრული წარწერებით და ასევე უძველესი ჩუქურთმებით;

---

[26] ნარკვევები, II, გვ. 124.

[27] ნ. უგრელიძე, ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 19. 91.

VI საუკუნის ბაზილიკებს წარმოადგენენ: ურბნისის, წყაროსთავის, თბილისის ანჩისხატის, კაწარეთის სამება და ვაზისუბნის ტაძრები.

ამ ტიპის განსხვავებული ვარიანტებია ქვემო ბოლნისისა და ნეკრესის ეკლესიები, დმანისის სიონი, რომელიც VI-VII საუკუნის ძეგლებს წარმოადგენენ. ცნობილია ამავე დროის სხვა ძეგლებიც.

როგორც ცნობილია, ბაზილიკური ტაძრები თუ ეკლესიები, უცხოეთიდან შემოტანილი მოდელის მიხედვით აგებული ძეგლები იყო, ხოლო „ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების არსსა და მის ტრადიციებს შეესატყვისებოდა ჯვროვანი გეგმის მქონე ისეთი საეკლესიო ნაგებობა, რომელიც დამყარებული იყო კვადრატულ საფუძველზე და დამთავრებული იყო გუმბათით[28]. ჯვროვან-გუმბათოვანი ტიპის ეკლესიებს მიეკუთვნება შიომღვიმის მონასტრის ძველი ეკლესია (VI ს.), ძველი გავაზის ეკლესია და ნინოწმინდის ტაძარი (VI ს.). უძველესი ქართული არქიტექტურის ამ ტიპის ეკლესიების ყველაზე შესანიშნავ და შეუდარებელ ძეგლს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს მცხეთის ჯვარი (586—604 წწ.). „მცხეთის ჯვარი აჯამებს პირველი ქრისტიანული საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძიებას; აქ ეპოქის სტილი თავის სრულ ხორცშესხმას პოვებს“[29]. ჯვრის ტიპის ძეგლებს წარმოადგენდნენ აგრეთვე VII საუკუნის პირველი ნახევრის შესანიშნავი ქრისტიანული ქმნილებანი: წრომის ტაძარი, საძწევრისის ეკლესია, ძველი შუამთის დიდი ეკლესია, აგრეთვე ატენის სიონი და სხვა.

V—VII სს. ეკლესიებსა და ტაძრებს აშენებენ მეფეები და აზნაურები, ეკლესიის მაღალი რანგის წარმომადგენლები, მშენებლობის პროცესში მონაწილეობას ღებულობს მრევლიც. აარსებენ მონასტრებს საქართველოს ფარგლებს გარეთაც ე. წ. წმინდა ადგილებში, სირიასა და პალესტინაში. მოზაიკით ამკობენ ეკლესიებს (მცხეთის ჯვარი, წრომი) და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული ტაძრებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობით მოცულია მთელი ქვეყანა.

IV—VII სს. ქართული ხუროთმოძღვრებისათვის საზოგადოდ, დამახასიათებელია „ნათელი, ლოგიკური აღნაგობა, მკაფიოდ გამოსახული ტექნიკა, მასების წონასწორობა, მშვიდი, მონუმენტური, რამდენადმე მკაცრი იერი, მორთულობის სიძუნწე“. „ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება... მკაცრი კლასიკური სტილის ხუროთმოძღვრებაა“[30].

ამ პერიოდთან არის დაკავშირებული უძველესი ქართული დამწერლობის განვითარების გარკვეული ეტაპი; აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლები დოკუმენტურად მოგვეპოვება, მაინც და მაინც, V საუკუნიდან. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ბოლნისის სიონის წარწერებს

---

[28] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1936; მისივე Болниси, ენიმიკის მოამბე, ტ. IX, თბ., 1940; მისივე Архитектура Кахетии, 1959; В. В. Бериидзе, Грузинская архитектура «раннехристианского» времени (IV—VII вв.), Тб., 1974.

[29] ნარკვევები, II, გვ. 626.

[30] იქვე, გვ. 632.

უკავიათ. ეს წარწერები, როგორც ცნობილია, ტაძრის აშენების სინქრონულია. ამავე საუკუნის ძეგლს წარმოადგენს პალესტინის ბირ ელ-კუთის ქართული მონასტრის ასომთავრული წარწერებიც, რომელთა ერთი ნაწილი ბოლნისის სიონის წარწერებზე უფრო ძველია ნახევარი საუკუნით მაინც[31].

V საუკუნის წარწერები აღმოჩენილია აგრეთვე საქართველოს სხვა პუნქტებში, სახელდობრ: ბოლნისის მახლობლად ე. წ. ლამაზ გორაზე (ქვის სტელებზე)[32], სოფ. უკანგორში (თათვარაზის ხანმეტი წარწერა სტელის ბაზაზე), იქვე მდ. დაშბლუტისწყლის ხეობაში გათხრილ მცირე ეკლესიის ნანგრევებში (ასომთავრული წარწერები სტელების ბაზებზე)[33] და სხვა.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული დამწერლობა V საუკუნეზე გაცილებით ადრეა შექმნილი და ზემოხსენებული წარწერები ქართული დამწერლობის განვითარების მოგვიანო (მესამე) საფეხურის ძეგლებს უნდა წარმოადგენდნენ; მიუხედავად ამისა, მაინც შეურყეველი ფაქტია, რომ დღემდე არ აღმოჩენილა ერთი ძეგლიც კი V საუკუნეზე ადრინდელი. ამის გამო ზემოხსენებული ძეგლების მნიშვნელობა განუზომელია ქართული კულტურისა და, საზოგადოდ საქართველოს ისტორიისათვის. ქვის სტელებზე (უმთავრესად მათ ბაზისებზე) შემორჩენილი ქართული ასომთავრული წარწერები იმის დამადასტურებელია, რომ ამ დროს ქართული დამწერლობა მხოლოდ საეკლესიო დამწერლობა არ იყო, არამედ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ხალხში წარწერები სტელებზე, სარკოფაგებზე).

მომდევნო საუკუნის ეპიგრაფიკული ძეგლებიდან აღსანიშნავია მცხეთის ჯვრის წარწერები (VI—VII საუკუნის მიჯნა). მრავლად არის აღმოჩენილი შემდეგი საუკუნეების ეპიგრაფიკული ძეგლები.

ისტორიული ქართლის კულტურის დონის დახასიათებისათვის ჩვენ გაგვაჩნია არა მარტო ეპიგრაფიკული ძეგლები, არამედ VI—VII სს ხანმეტი ტექსტები, ამავე საუკუნის ხანმეტი ლექციონარი. V საუკუნის ძველი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოდგენს იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობა“, აგიოგრაფიული თხზულება, რომლის ხელნაწერმა ჩვენამდე გვიანდელი ნუსხის სახით მოაღწია. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ამავე საუკუნეში (და შესაძლებელია ადრეც) არსებობდა ქართულ ენაზე მრავალი საღვთისმსახურო და აგიოგრაფიული შინაარსის წიგნი, რომელთა შესახებაც, როგორც ცნობილია, სათანადო ცნობები თვით „შუშანიკის მარტვილობაშივე“ მოიპოვება. ქართლის მრავალრიცხოვან ტაძრებსა და ეკლესიებში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა. კიდევ მეტი, ასევე ქართულ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება ქართული კულტურის უძველეს კერებში უცხოეთში (სირია, პალესტინა, ეგვიპტე).

---

[31] გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 26.

[32] ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ჭანდაკების ძეგლები, თბ., 1968, გვ. 33—35.

[33] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941, გვ. 12—13. ვ. ჯაფარიძე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ჭეემო ქართლიდან, „ძეგლის მეგობარი“, 20, თბ., 1970, გვ. 60, 61.

ქართული მწერლობის არსებობის შესახებ ცნობები მოიპოვება უცხოურ წყაროებშიც (V—VI სს ასურული, სომხური, ბერძნული წყაროები)[34] ამ უძველეს წყაროებში ქართველები მოიხსენებიან მაღალი კულტურის ერთა შორის.

ამგვარად, არსებობს უტყუარი საბუთები და ძეგლები იმის დამადასტურებელი, რომ ქრისტიანობის მიღებისა და დამყარების ამ ადრეულ პერიოდში ქართველებს მოეპოვებოდათ არა მარტო თავისი სრულყოფილი დამწერლობა, ქრისტიანული მდიდარი ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, არამედ მრავალრიცხოვანი ეკლესიები, ტაძრები, მონასტრები როგორც ქართლში და საზოგადად, საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. ქართული ქრისტიანული ძეგლები აგებულია მაღალი ხუროთმოძღვრების პრინციპების საფუძველზე. ეს არის მკაცრი კლასიკური სტილის არქიტექტურის ძეგლები, სრულიად თავისებური, ორიგინალური ქართული ხელოვნების ძეგლები. ამას გარდა ცნობილია ამავე საუკუნეების თავდაცვითი, მონუმენტური ნაგებობები, ციხესიმაგრეები, ციხე-ქალაქები, რომელთა ნაშთებმა ჩვენ დრომდე მოაღწია.

ყოველივე ზემოხსენებულის გარდა, ქართული საბჭოთა მეცნიერების მიერ გამოვლენილია უძველესი კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა სამაროვნები და ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური გათხრისა და შესწავლის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ იმდროინდელი ქართველი ხალხის ყოფა და კულტურა.

საძარხეული ძეგლებიდან შესწავლილია, უპირველეს ყოვლისა, ქართლის დედაქალაქის — მცხეთისა და მისი მიდამოების ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამაროვნები — სამთავროს ველზე, არმაზისხევში, მარტაზისხევში, კარსნისხევში, წიწამურთან და სხვა. ამას გარდა, სამარხები გათხრილია კუხეთის რუისთავის ტერიტორიაზე, ივრის ხეობაში, ერწოს ველზე სოფ. სიონთან; ისტორიული ჭვემო ქართლის ტერიტორიაზე, ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე და სხვა.

სწორედ სამარხების გათხრა იძლევა საფუძველს ითქვას, რომ ქრისტიანობის მიღებიდან მოყოლებული, ქართლში მიცვალებულებს ქრისტიანული წესით მარხავენ. აქვე შეიძლება ითქვას, რომ IV საუკუნის სამარხებში ზოგჯერ გვხვდება წარმართული წესით დაკრძალული მიცვალებულებიც (მაგ. ჟინვანის სამაროვანი და სხვა). სამარხები უპირატესად ქვის ფილებისაგან არის შედგენილი და ზემოდანაც ფილებითაა გადახურული. ამავე დროს, IV—V სს ზოგიერთ პუნქტში ქვის სამარხებთან ერთად გვხვდება ქვის კუბოებში დაკრძალული მიცვალებულები (სამთავროს სამაროვანი) ან მხოლოდ თიხის კუბოებში — „სარკოფაგებში“ დაკრძალულნი (მაგ. აღაიანში და სხვა). სამარხების უმეტესობა საოჯახოა. ეს ახალი წესი ქრისტიანობის დამკვიდრებას მოჰყოლია[35].

---

[34] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1; ეპისტოლეთა წიგნი ზ. ალექსიძის გამოცემა, თბ., 1968; გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან.

[35] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები ძველ დედაქალაქში, თბ., 1945; მისივე, Культура и быт Грузии в IV—VII в. в., «Очерки истории СССР», III, М., 1958. ნ. უგრელიძე, ადრეული შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, 1967; ნარკვევები, II, გვ. 190 და სხვა.

ქრისტიანობის მიღებასთან არის დაკავშირებული ის გარემოება, რომ სამარხებში ინვენტარი აღარ გვხვდება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, არაიშვიათად, ვხვდებით ინვენტარიან სამარხებს, მათგან ღარიბულებს უფრო მეტად, ხოლო მდიდრულებს იშვიათად. ადრეული შუა საუკუნეების ადრეული ეტაპის V—VII საუკუნეების, სამარხებიდან შეიძლება გამოვყოთ მდიდრული სამარხები, რომლებიც რა თქმა უნდა, თავისი ინვენტარით ვერ შეედრებიან გვიანი ანტიკური პერიოდის ისეთ მდიდრულ სამარხებს, რომლებიც აღმოჩენილი იყო 30—40-იან წლებში არმაზისხევში ერისთავების სამაროვნის ტერიტორიაზე, მაგრამ სამარხების კონსტრუქცია ორივე შემთხვევაში ერთგვაროვანია; ეს არის ერთი მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი დიდი სარკოფაგები, რომელთაც სახურავი, აგრეთვე ერთი მთლიანი ქვისაგან აქვთ გამოთლილი. ეს სახურავები ჩვეულებრივად ორფერდა ყოფილა, ასეთია მაგ. ქვემო ალმეს, სადგერის, ანჩისხატის და ბალიჭის სარკოფაგების სახურავები[36]. განსხვავებულია ურბნისის სარკოფაგის სახურავი, რომელიც რამდენადმე ნახევარცილინდრული ფორმისაა[37].

ადრექრისტიანული პერიოდის სარკოფაგები აღმოჩენილია: ბოლნისში, ურბნისში, სვეტიცხოვლის ტაძარში, ანჩისხატში, ნიქოზში, სადგერში, დიღომში, კავთისხევში, ქვემო ქართლში, შულავერში და რა თქმა უნდა, სოფ. ბალიჭში. ყველა სარკოფაგი გაძარცული ყოფილა, გარდა ბალიჭის სარკოფაგისა, რომელიც აღმოჩნდა 1971 წელს. ეს სარკოფაგი ამ რიგისა და დროის ძეგლებიდან ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ხელუხლებლად. ამასთანავე იგი უნიკალურია იმითაც, რომ მას აქვს ქართული ასომთავრული წარწერა — უძველესი ეპიტაფია. ამ სარკოფაგში, როგორც ცნობილია, აღმოჩნდა ორი მიცვალებულის ჩონჩხი. ერთ მათგანს, ქალისას აღმოაჩნდა ოქროს ორი ნივთი — ბეჭედი და რკინის საკინძის ოქროს თავი (რკინის ღერო დაშლილი იყო, მისი უმნიშვნელო ნაწილიღა იყო დარჩენილი). ჩვენ ეს სარკოფაგი თავის დროზე დავათარიღეთ V—VII სს.[38] რაც შეეხება იმ ანალოგიურ სარკოფაგებს, რომლებიც აღმოჩენილი იყო სხვადასხვა დროს ბოლნისში, ურბნისში, სვეტიცხოვლის ტაძარში და ანჩისხატის ბაზილიკის სამხრეთ მინაშენში, როგორც აღვნიშნეთ ყველა მათგანი გაძარცული ყოფილა და მეორეჯერ გამოყენებული. მათი ინვენტარის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ ის გარემოება, რომ მათი ნაწილი ტაძარში აღმოჩნდა, ზოგი ტაძრის მინაშენში, ხოლო ნაწილი მათი ფასადების უშუალო სიახლოვეს, აგრეთვე სხვა ნიშნების მიხედვითაც, გამოვთქვით მოსაზრება აღნიშნული სარკოფაგებისა და ტაძრების სინქრონულობის შესახებ[39]. ასეთი მოსაზრება მით უფრო სარწმუნოა, რომ მოგვეპოვება ცნობები პირველი ქრისტიანი მეფეებისა და მათი ოჯახის წევრების ქრისტიანულ ტაძრებში დაკრძალვის შესახებ (მირიანი და ნანა — სამთავროში, ვახტანგ გორგასალი — სვეტიცხოველში).

რაც შეეხება არმაზისხევში აღმოჩენილ IV ს. მდიდრულ სამარხებს,

---

[36] ვ. ჯაფარიძე, სოფ. ბალიჭის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით, იქვე იხ. აკად. ა. შანიძის და თ. ბარნაველის ნაშრომები. „მაცნე", 1972, სურათი ნაშრომის ბოლოში.

[37] პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხეროთმოძღვრება, თბ., 1965, ტაბ. XLIV, სურ. 1.

[38] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, „მაცნე", 2, 1972, გვ. 124—136.

[39] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130—131.

რომლებშიაც, უეჭველია, თავისი დროის წარჩინებული პირები იყვნენ დაკრძალული, აღმოჩნდა ისეთი ძვირფასი ოქროს ნივთები (ბეჭდები, საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები და სხვა), რომლებიც „მხატვრულ-სტილისტურად თუ პოლიქრომული მოხდენილობით“ არა მარტო არ ჩამოუვარდებიან წინა, გვიანანტიკური ხანის ერისთავების მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილ სამკაულებს, არამედ ზოგჯერ სჯობნიან კიდეც[40].

ამავე დროის მეტად საინტერესო ძეგლებია აღმოჩენილი შემთხვევით ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე[41]. მთელი რიგი სინქრონული ძეგლებისა აღმოჩენილია კახეთში: ძველ ანაგაში, სართიჭალაში, მუღანლოში, საცხენისის მინდორზე, ჭერემში და სხვა[42]. IV—V სს. სამარხებია აღმოჩენილი კუხეთის რუსთავში[43].

განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ივრის ხეობაში, სოფ. სიონთან აღმოჩენილი უნიკალური საგვარეულო აკლდამა, რომლებსაც გამთხრელები VI ს. ათარიღებენ[44]. ეს აკლდამაც თავისი დროის წარჩინებული გვარის წარმომადგენელთა კუთვნილებას წარმოადგენდა.

ფილაქვებით ნაგები აკლდამებია აღმოჩენილი ქვემო ქართლში, რომლებიც სასანური ეპოქის სინქრონულ ძეგლებად არის მიჩნეული[45].

IV—V სს. თიხის ინვენტარიანი „სარკოფაგებია“ აღმოჩენილი ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე[46], აღაიანში და სხვა.

ძეგლების მეორე მნიშვნელოვანი ჯგუფია ნამოსახლარები. ამ რიგის ძეგლები გათხრილია მცხეთაში, არმაზისხევში, კარსან-ნინოწმინდის ტერიტორიაზე, კუხეთის რუსთავში, თბილისში, უჯარმაში, ივრის სიონთან, ბოლნისში, ურბნისში და სხვა.

მცხეთის მიდამოებში, არმაზისხევის შესართავთან, ბაგინეთ-არმაზციხის ტერიტორიაზე და სხვ. აღმოჩენილი იყო სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, მინის სახელოსნოს, სამოსახლოს ნანგრევები, სამეურნეო-სავაჭრო შენობათა ნაშთები, ზღუდე-კოშკების ნანგრევები და სხვა, რომლებიც უპირატესად IV და მომდევნო საუკუნეებით არის დათარიღებული[47].

რუსთავის ნაციხარზე გამოიკვეთა ციხის თავდაპირველი ზღუდისა და სხვადასხვა საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთები. თბილისში, ერეკლე II სახ. მოედანზე ჩატარებული თხრის შედეგად სულ ქვედა ფენაში გამოვლენილი განათხარი მასალა III—IV და IV—V სს. შეიძლება მიეკუთვნოს[48]. მეტად მნიშ-

---

[40] ნარკვევები, II, გვ. 139.

[41] იქვე. გვ. 194.

[42] იქვე, გვ. 194.

[43] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, 1, 1955, გვ. 179—181.

[44] რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სიონი, თბ., 1970, გვ. 15—54.

[45] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, 1941.

[46] გ. ლომთათიძე, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევა-ძიების დასაწყისი, „მაცნე“, 2, 4, 1964; ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი.

[47] ნარკვევები, II, გვ. 199.

[48] ი. გრძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961.

ვნელოვანი ძეგლია უჯარმის ნაქალაქარი, რომელიც ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ქართლში. გამოვლენილია ციხე-დარბაზის ნანგრევები, სწორკუთხოვანი ზღუდე, სასახლის და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები და სხვა. აქვეა კარის მცირე ეკლესია „ჯვარი პატიოსანი“ დათარიღებული V საუკუნით[49]. ივრის სიონთან გაითხარა მოზრდილი ტაძარი, რომლის გეგმა, მშენებლობის ტექნიკა, არქაული ჩუქურთმები საფუძველს აძლევს გამთხრელებს დაათარიღონ იგი V—VI სს. აქვე იყო გამოვლენილი სამაროვანი IV—V სს დამახასიათებელი სამარხების ინვენტარით[50].

საფუძვლიანად არის შესწავლილი აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი უძველესი ტაძარი, ბოლნისის ბაზილიკა (ბოლნისის სიონი). ეს არის ძრავალმხრივ საყურადღებო ძეგლი ქართული არქიტექტურისა, ხოლო ის გარემოება, რომ ამ ძეგლმა შემოგვინახა უძველესი ქართული წარწერები (დათარიღებული V ს. ბოლო წლებით), მის მნიშვნელობას განსაკუთრებით უფრო ზრდის. ძალიან მნიშვნელოვანია მისი უძველესი რელიეფური ჩუქურთმები. აქვეა აღმოჩენილი V—VII სს ქვის სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტები[51].

ბოლნისის სიონის სინქრონული ძეგლები აღმოჩენილი იყო ტაძრის მახლობლად ე. წ. ლამაზ გორაზე: ადრექრისტიანული დროის ეკლესია, ქვის სტელები ბოლნური ძედალიონებით და ასომთავრული წარწერები, ქვის ე. წ. აყვავებული ჯვრები, შემკული სამფურცელა ყვავილების გამოსახულებით და პალმეტებით, რელიეფური ქანდაკების ნიმუში უნიკალური ძეგლი — ქვის სტელა წარჩინებული პირის რელიეფური გამოსახულებით. ამ ძეგლებს ძველი ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ[52].

ნაქალაქარი ურბნისი კარგად შესწავლილი ძეგლია. გარკვეულია, რომ იგი წარმოადგენდა ანტიკური და ადრეფეოდალური დროის ქალაქს, რომელიც თავის არსებობას VIII ს. წყვეტს. გათხრილი და შესწავლილია მისი ნაგებობების ნაშთები, კერძოდ ქვითკირით ნაგები ერთი ნასახლარი, რომელიც თავდაპირველად აბანო ყოფილა; ალიზის ზღუდე, რომელსაც მომრგვალებულ-სწორკუთხოვანი გოდოლები ჰქონია დატანებული. გოდოლებში სენაკები და დარბაზიც კი ჰქონია ჩაშენებული. ზღუდე IV—V სს იცავდა ქალაქს, ხოლო VI ს. იგი განუახლებიათ. აქვეა V—VI სს. სამნავიანი ბაზილიკა V ს. ასომთავრული წარწერებით. წარწერა მოიხსენიებს „სიონის მაშენებელ კონსტატის“ და „მამა მიქელს“. გათხრების დროს ნაპოვნია ბოლნური ჯვრები, კერამიკა, მინის ჭურ-

---

[49] გ. ლომთათიძე, ადრეფეოდალური ხანა, საქართველოს არქეოლოგია, 1959; დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, 1966; ნარკვევები, II, გვ. 202; გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1936, გვ. 29.

[50] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15—54.

[51] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, III, 1938; Г. Н. Чубинашвили, Болниси, ენიმკის მოამბე, IX, 1940.

[52] ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968.

ველი და სხვა[54]. ბოლნისის ტაძარი უფრო დიდი მასშტაბის ძეგლია, ვიდრე ცოტა უფრო მოგვიანებით თბილისში აგებული ანჩისხატის ბაზილიკა.

არქეოლოგიური ძეგლებისა და წყაროების შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებულ საუკუნეებში ქართლს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონია სხვა ქვეყნებთან, მაგ. აღმოჩენილი მინის ჭურჭლის ერთი ნაწილი შემოტანილი უნდა იყოს სირიიდან[55]. ამის მანიშნებელია აგრეთვე ბიზანტიური და სასანური მონეტების აღმოჩენა ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე, რის შესახებაც სათანადო ცნობები ზევით იყო მოტანილი. შემოაქვთ, აგრეთვე ქსოვილები, რასაც მოწმობს ერთი ცნობა „შუშანიკის მარტვილობაში“. არქეოლოგიური გათხრის შედეგად დადასტურებულია, რომ მცხეთაში მინის ჭურჭელი უმზადებიათ, რის დამადასტურებელ დამატებით საფუძველს იძლევა აგრეთვე მინის ჭურჭლის თავისებური ფორმებიც[56]. მინის ჭურჭლის სახელოსნოები ყოფილა ურბნისში, რუსთავში და სხვ.[57].

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ არქეოლოგიური მასალაც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს იმ დიდსა და ხანგრძლივ ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა ქართლში ისტორიული განვითარების ამ საფეხურზე უცხო ქვეყნების (სირია, პალესტინა, ირანი, ბიზანტია) კულტურულ ნაკადებსა და ქართულ კულტურას შორის. კვალი ასეთი უცხოური ნაკადებისა ჩანს საეკლესიო ხუროთმოძღვრებასა (ბაზილიკები), ტაძრების შემკულობის მოტივებსა და ტექნიკაში (ბოლნისის სიონის რელიეფების გარკვეული ნაწილი, სტელების რელიეფების და მათი სიუჟეტების ნაწილი), ციხე-სიმაგრეთა მშენებლობის ტექნიკაში, იმპორტული (უპირატესად ირანული) ჭურჭლეულისა, სამკაულებისა, ბეჭდებისა და ყელსაბამების, გემების ტექნიკასა და თემატიკაში, უცხოური მოხეტების ფართოდ გავრცელებაში და სხვა. მეორე მხრივ IV—VII სს განმავლობაში ვხედავთ ზემოხსენებული ძეგლებისაგან სრულიად განსხვავებულ, ქართული იერის ძეგლებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო მრავლდებიან, და აღწევენ განვითარების მაღალ დონეს. ასეთი მიდრეკილება შეიმჩნევა ხელოვნებისა და კულტურის თითქმის ყველა სფეროში: ხუროთმოძღვრებაში, ამ რიგის ძეგლების შემკულობაში (რელიეფური ქანდაკება), მცირე ხელოვნების და ხელოსნობის დარგებში (სამკაულები, სტელები, თიხისა და მინის ჭურჭელი, იარაღი და სხვა). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება ბერძნული წარწერები. ქართული დამწერლობა, ქართული ენა განუყოფლად ბატონობს არა მარტო ქართლში და დას. საქართველოში (ეგრისში), არამედ უცხოეთში — ქართული კულტურის ცენტრებშიც. ამგვარად, „ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და იდეოლოგიის გზაზე დამდგარი ქართული ქვეყნები (მეტადრე ქართლი) საკმაოდ მალე... მიდრეკილებას ამჟღავნებენ საკუთრი, ეროვნული, ხალხურთან კიდევ უფრო

---

[54] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ.; ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ.; პ. ზაქარაია, ქალაქ ურბნისის ხუროთმოძღვრება, 1965.

[55] ნ. უგრელიძე, დასახ. ნაშრ.

[56] დასახ. ნაშრ.

[57] ნარკვევები, II, გვ. 221.

მიაბლოვებული ნაკადისადმი“[58]. და რომ „განსახილველი დროის მიწურულისათვის ქართული კულტურა, წინარე ხანასთან შედარებით უფრო თავისთავადი, ეროვნული ჩანს, მეტადრე აღმ. საქართველოში“[59].

ასეთი იყო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ვითარება ქართლში IV საუკუნიდან — მეფობის გაუქმებამდე — 523 წლამდე.

ჩვენ უკვე გვქონდა ზევით აღნიშნული, რომ ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ „სპარსნი განძლიერდეს“[60]. თავის დამპყრობლურ პოლიტიკაში, სპარსელებმა სხვადასხვა ხერხით ჩაითრიეს ადგილობრივი, მაღალი სოციალური ფენების წარმომადგენელთა — წარჩინებულთა ნაწილიც, ამავე დროს სპარსელების ბატონობა ხალხისათვის მეტისმეტად მძიმე იყო და ხალხის უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. ირანი ცდილობდა დაეპყრო დას. საქართველოც და ამ ნიადაგზე იწყება ომები ბიზანტიასა და ირანს შორის; ეს ომები დას. საქართველოს დაპყრობისათვის დაწყებული VI ს. 30-იანი წლებიდან ამავე საუკუნის 70 წლებამდე გრძელდება. ეგრისელებს თავისი ქვეყნისა და ხალხის დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლა უხდებათ ხან ირანის წინააღმდეგ ბიზანტიელებთან ერთად, ხან ბიზანტიის წინააღმდეგ ირანელებთან ერთად. ეგრისელები ვერ ურიგდებიან ვერც ერთი მათგანის ბატონობას და ძალადობას. ამ ბრძოლების ისტორია ტიპიური სურათია იმისა, თუ როგორ ახერხებდა ეს პატარა ქვეყანა, ეგრისელთა სახელმწიფო მოღვაწეები თავისი ისტორიული ძლიერი და ვერაგი მტრების ურთიერთშორისი წინააღმდეგობის გამოყენებას თავისი ქვეყნისა და ხალხის დამოუკიდებლობის დასაცავად. ხანგრძლივი ბრძოლების მიუხედავად ირანი ვერ ახერხებს თავისი აგრესიული მიზნების განხორციელებას და იძულებულია ხელი აიღოს დას. საქართველოს დაპყრობაზე.

რაც შეეხება ქართლს, მას შემდეგ რაც აქ ირანმა მეფობა გააუქმა, მოსახლეობის ფართო ფენებში ცოცხლობს აზრი ქვეყანაში ეროვნული ხელისუფლების აღდგენის შესახებ, ამისათვის ხალხი ეძებდა შესაფერის მომენტს. როგორც ცნობილია, ასეთი სულისკვეთება შენიშნული ჰქონია ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოფი კესარიელს[61], აჯანყებები ეწყობა ქართლსა და სომხეთში — და აჯანყებულებს წარმატებისათვისაც მიუღწევიათ[62]. ირანელები მაინც ცდილობენ მიაღწიონ თავის მიზანს. ამავე დროს, ირანში იწყება შინაპოლიტიკური ბრძოლა ტახტისათვის. ამ ბრძოლაში ირანის შაჰი ხოსრო II, დახმარებას სთხოვს ბიზანტიას და ამის საშუალებით ახერხებს შეინარჩუნოს ტახტი, ხოლო სანაცვლოდ 591 წ. შაჰი ბიზანტიას უთმობს სომხეთს და ქართლის ნაწილს. მალე ქართლი თავისუფლდება ირანელთა ბატონობისაგან[63]. ამის შემდეგ, ქართლის აზნაურთა და წარჩინებულთა ნებით, ქართლის სათავეში დგება ერისმთავარი გურგენი (ქართული წყაროებით გუარამი); „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ“[64]. გურგენი, ბიზანტიისაგან იუსტინე II კეისრის ხელით

---

[58] ნარკვევები, II, გვ. 220.
[59] ნარკვევები, II, გვ. 231.
[60] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, 1965, გვ. 49.
[61] იქვე, გვ. 94.
[62] ს. ჯანაშია, შრომები, 1, გვ. 79.
[63] ნარკვევები, II, გვ. 271.
[64] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, გვ. 95.

ღებულობს კურაპალატის პატივს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სუვერენი მეფე კი არ არის, არამედ კეისრის წარმომადგენელია ქართლში[65].

იმის გამო, რომ გურგენი (გუარამი) ქართლის ერისთავების მიერ არის „მეფედ“ წაძოყენებული, ხოლო ბიზანტიის მიერ კი მას კურაპალატის ტიტული ჰქონდა მინიჭებული, ქართულ წყაროებში მას ეწოდება არა მეფე, არამედ „ერისმთავარი“, „დიდი ერისთავი“, ამასთანავე ერისმთავრობა მას მემკვიდრეობით არ ჰქონდა მიღებული[66].

თუმცა 580 წლამდე ქართლი ბიზანტიის პოლიტიკური ბატონობის სფეროშია, მაგრამ მას ქართლის შენარჩუნება განუწყვეტელი ბრძოლებით უხდება; ჰორმიზდ IV მეფობიდან მოყოლებული, ირანი იძულებულია სცნოს ქართლში გუარამის (გურგენის) მეფობა. ასეთი დამოკიდებულების საფუძველზე ქართლში იჭრება პირველი ქართული მონეტა გუარამის (გურგენის) სახელით (მონოგრამა), მაგრამ ამ მონეტაზე ვხედავთ ჰორმიზდ IV გამოსახულებასაც და ზურგზე მაზდეანურ ემბლემას — ღვთაებრივ ცეცხლს და იქვე ქრისტიანულ ჯვარს, რომელიც გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯის გამომხატველია ქართლის მხრივ[67]. ეს ხდება VI ს. 80-იან წლებში. ამ დროისათვის ქართლში ირანის გავლენა საგრძნობლად შესუსტებულია, ხოლო ქართლის ერისმთავრების ძალაუფლება გაზრდილი და გაძლიერებულია. ამის შემდეგ ქართული ასომთავრული წარწერები (მონოგრამები) უკეთდება ქართლის სხვა ერისმთავართა სტეფანოს I, ვახტანგის და სხვ. მონეტებს, ხოლო სტეფანოს II უკვე თავის სახელის აღმნიშვნელ ქართულ წარწერას მონეტის ცენტრში ათავსებს, ხოლო, მონეტის ზურგზე მაზდეანური ემბლემის — ღვთაებრივი ცეცხლის ადგილს მონეტაზე იკავებს ქრისტიანობის სიმბოლო — ჯვარი[68].

სტეფანოს I ბიზანტიისაგან ღებულობს პატრიკიოსის პატივს, ხოლო მისი სახლის უფლისწულები — ძმა დემეტრე და შვილი ადარნასე ვიპატოსის ტიტულებს. სტეფანოს I, პირველი ენერგიული ხელისუფალი ყოფილა, რომელიც მიისწრაფოდა მეფობისაკენ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია ირანისა და ბიზანტიის შიშით. აღსანიშნავია, რომ სწორედ სტეფანოზ I და მისი სახლია ქართული ადრინდელი ხუროთმოძღვრების შეუდარებელი ძეგლის მცხეთის ჯვრის — ქართლის სახელმწიფოებრივი სიმბოლოს, აღმშენებელი.

ქართლი ბიზანტიელთა პოლიტიკური გავლენის სფეროში დიდხანს არ დარჩენილა და ირანსა და ბიზანტიას შორის მალე განახლდა საომარი მოქმედება. ირანმა ისარგებლა ბიზანტიაში შექმნილი შინაური უთანხმოებით VII ს. დასაწყისში და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ამასთან დაკავშირებით ქართლს ისევ ირანი იპყრობს. პირველ ხანებში ქართლი სარგებლობს ფართო პოლიტიკური უფლებებით და სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით ირანის

---

[65] ნარკვევები, II, გვ. 272.

[66] ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან თბ., 1961, გვ. 89—90.

[67] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, 1969, გვ. 49.

[68] იქვე, გვ. 49.

მხრიდან იმის გამო, რომ ირანი ვერ იცლის ქართლისათვის[69]. ამავე დროს ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის დაწყებულია უთანხმოება, რომელიც მალე თავდება სრული განხეთქილებით მათ შორის. სომხეთის ეკლესია მონოფიზიტობის მიმდევარი რჩება, რასაც ირანიც უწყობს ხელს, ეს განხეთქილება საბოლოო ფორმას ღებულობს 608 წ., როდესაც აბრამ სომეხთა კათალიკოსმა გამოსცა „საყოველთაო ეპისტოლე“[70].

სულ მალე ირანის შახი ხოსრო II აძლიერებს რეპრესიებს ქართლის ეკლესიის წინააღმდეგ; იგი მოითხოვს ყველა ქრისტიანმა, ვინც ირანს ემორჩილება, სომეხთა სარწმუნოება (მონოფიზიტობა) მიიღოს. ამის შედეგად ქართლიდან იდევნებიან ქალკედონიტები, მათ შორის კირიონ კათალიკოსი, ადარნასე ერისთავი და სხვა წარჩინებულები.

მალე კვლავ იცვლება პოლიტიკური ვითარება, ირანსა და ბიზანტიას შორის იწყება დიდი ომები, რომელშიაც უნებურად ქართლიც არის ჩათრეული. ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე პირველ შეტაკებებში ამარცხებს ირანელთა ლაშქარს. ამ ბრძოლებში ბიზანტიას მხარს უჭერენ ქართლელები, ეგრისელები და აბაზგები, მიუხედავად პირველი წარმატებებისა, შემდეგ, ბიზანტიელები იძულებულნი არიან ირანთან ბრძოლაში დახმარებისათვის მიმართონ ხაზარებს, რომელთა დიდი ლაშქარი ალბანეთზე და ადარბადაგანზე თავდასხმის შემდეგ, ქართლში გადმოდის და ბიზანტიის ლაშქართან ერთად, თბილისის აღებას ცდილობს. პირველი ცდები თბილისის ციხის აღებისა თავდება უშედეგოდ, მაგრამ ირანელთა ლაშქრის დამარცხების შემდეგ ნინევიის მახლობლად, ბიზანტიელთა და ხაზართა შეერთებული ლაშქარი კვლავ შემოდის ქართლში, 628 წ. იღებს თბილისს და სასტიკად უსწორდება მოსახლეობას. ამიერკავკასიაში ჰერაკლეს ლაშქრობის შემდეგ ქართლი ბიზანტიის ხელში გადადის კარგა ხნით. ამ დროს ქართლის ერისთავია ადარნასე.

VII საუკუნის 30-იან წლებიდან სამოქმედო სარბიელზე გამოდიან არაბები. ამ დროისათვის არაბებმა შეჰქმნეს არაბეთის ნახევარკუნძულზე ძლიერი სახელმწიფო, რომელიც სულ მალე იწყებს თავის აგრესიულ ომებს, რომელთა საშუალებითაც აფართოებენ თავის სამფლობელოებს.

არაბებთან ბრძოლებში ბიზანტია ზედიზედ განიცდის მარცხს, კარგავს სირიას, პალესტინას და ეგვიპტეს. VII ს. ორმოციან წლებში არაბები ირანსაც ამარცხებენ და ამის შემდეგ გზას იკაფავენ კავკასიისაკენ.

ასეთი იყო ვითარება ქართლში არაბების შემოსევამდე. მიუხედავად იმ განუწყვეტელი და სისხლისმღვრელი ბრძოლებისა, ქართლი რომ ეწეოდა IV—VII სს. თავისი ძლიერი და ვერაგი მტრების ირანისა და ბიზანტიის წინააღმდეგ, რომელთაც სხვადასხვა დროს ემატებოდა ჯერ ჰუნებისა და შემდეგ ყივჩალთა შემოსევები, ქართლი (და თავის მხრივ ეგრისიც) მაინც ახერხებდა არა მარტო მტრების მოგერიებას, არამედ ქვეყანაში მიმდინარეობდა შეუჩერებელი აღმშენებლობითი მუშაობა, მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარება. ამის დამადასტურებელია ის ძეგლებიც, რომლებიც აღმოაჩინა დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და რომელთა შესახებაც ამ ნაშრომშია საუბარი.

---

[69] ნარკვევები, II, გვ. 276.

[70] ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით ზ. ალექსიძისა, თბ., 1968.

ადრეფოდალური ხანის საქართველოს ისტორიის, მისი კულტურის შესწავლისათვის, წერილობით წყაროებთან ერთად, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე ამავე ხანის არქეოლოგიური თუ ხელოვნების ძეგლების გამოვლენასა და შესწავლას. ამ მხრივ ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს; საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლთა შორის სწორედ ქვემო ქართლის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლები (ბოლნისის სიონის წარწერები), რომელთა მნიშვნელობა განუზომელია ქართული კულტურის ისტორიისათვის. ამავე ტერიტორიაზე ვხვდებით ქართული არქიტექტურის ისეთ უძველეს ძეგლებს, როგორიცაა მონუმენტური ტაძარი-ბოლნისის სიონი (V საუკ.), ქვემო ბოლნისის ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკა (VI საუკ.) და სხვ. დასახრულ, საქართველოს ამ კუთხემ, მიუხედავად მრავალგზის აოხრებისა, შემოგვინახა უაღრესად საინტერესო ქვის უძველესი ძეგლები — სტელები, ყველაზე მეტი რაოდენობით. ამჯერად სწორედ ეს უკანასკნელნი (ქვის ძეგლები) წარმოადგენენ ჩვენი შესწავლის საგანს.

საბჭოთა საქართველოში ფართოდ გაშლილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად საფუძვლიანად არის შესწავლილი ქვემო ქართლის ზემოხსენებული უძველესი არქიტექტურული ძეგლები. რა თქმა უნდა, ამავე დროის ქართული ხუროთმოძღვრების სხვა ძეგლების შესწავლისათვისაც დიდი მეცნიერული მუშაობა ჩაატარა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა, განსაკუთრებით ამ ინსტიტუტის დამაარსებელმა აკად. გ. ჩუბინაშვილმა, აგრეთვე სხვა მეცნიერებმაც. ადრექრისტიანული ხანის ქართული ხელოვნებისათვის უაღრესად დამახასიათებელია ქვის უძველესი ძეგლები ე. წ. სტელები, რომელთა მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა გ. ჩუბინაშვილმა[71]. შემდეგ ამ ძეგლების გამოვლინებასა და შემდგომ შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ლ. მუსხელიშვილმა და ვ. თოფურიამ[72]. ლ. მუსხელიშვილმა, როგორც დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა, მდ. მაშავერასა და დამბლუტისწყლის ხეობებში მიაკვლია ადრექრისტიანული ხანის მანამდე სრულიად უცნობ ძეგლებს (მათ შორის არქიტექტურულ ძეგლსაც), შეისწავლა ეს ძეგლები და გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ნაშრომები ახლად აღმოჩენილი ძეგლების შესახებ. ამ ნაშრომებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აღნიშნული პერიოდის ქვის ძეგლებს—სტელებს. ამ ნაშრომებს თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

მნიშვნელოვანია ის შრომა, რომელიც განახორციელა ალ. ჯავახიშვილმა ქვის ძეგლების შემდგომი შესწავლისათვის[73]. მან შეისწავლა ორმოციანი წლე-

---

[71] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 205—218; მისივე, Болниси, ენიმკის მოამბე, IX , თბ. 1940.

[72] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე. III, თბ., 1938; მისივე, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941; მისივე, უკანგორის ისტორიული ნაშთები, ენიმკი-ს მოამბე, X , თბ., 1941; გვ. 159—182; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქვაჯვარანი საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. 4, თბ., 1943.

[73] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ძველი ქრისტიანული ხანის საკულტომემორიალური ძეგლები, ხელნაბეჭდი, თბ., 1949. ნაშრომი წარმოდგენილი იყო ხელოვნებათ მცოდ-

ბისათვის საქართველოს სხვადასხვა რაიონში არსებული სტელები (50-დე სტელა და მათი ფრაგმენტები), მოგვცა მათი განსაზღვრა, დათარიღება და მხატვრული ანალიზი. ეს არის ადრექრისტიანული პერიოდის ქვის ძეგლების შესწავლის მიზნით დაწერილი პირველი განმაზოგადებელი ნაშრომი. ამავე ძეგლების შესწავლაზე მეთოდურად მუშაობს ნ. ჩუბინაშვილი, რომელმაც უკანასკნელ წლებში შეისწავლა ახლადაღმოჩენილი ქვის ძეგლები და გამოაქვეყნა საფუძვლიანი ნაშრომები[74]. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი უკანასკნელი ნაშრომი „ხანდისი“, რომელშიც მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია აღძრული; ამ ნაშრომში იგი განიხილავს სტელების დიდ ჯგუფს, ხანდისის სტელის მაგალითზე ეხება ადრექრისტიანული ხანის ქართულ ხელოვნებაში რელიეფის პრობლემას. ამისათვის მას გამოყენებული აქვს მდიდარი ფაქტიური მასალა და გამოტანილი აქვს საინტერესო დასკვნები. საყურადღებოა ჯ. ამირანაშვილის მცირე ნაშრომი[75], რომელშიც განხილულია ბოლნისის მახლობლად ე. წ. ლამაზ გორაზე 1959 წ. არქეოლოგ ი. გრძელიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამონასტრო ანსამბლი და ქვის შესანიშნავი სტელები და ჯვრები ქართული ასომთავრული წარწერებით. ამ სტელებისა და ჯვრების უმთავრესი ნაწილი ავტორს დათარიღებული აქვს V საუკუნით. მნიშვნელოვანია დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964—73 წწ. მიკვლეული თუ გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, მათი ერთი ნაწილის წინასწარი შესწავლის შედეგები გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა პერიოდულ სამეცნიერო ორგანოებში[76].

დასასრულ, საინტერესოა ის მასალები, რომელიც აღმოჩნდა 1970—1971 წწ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეული ძეგლების-ბუჩურაშენის ზემო და ქვემო მცირე ეკლესიების ნანგრევების გათხრების შედეგად. ეს ძეგლები გათხარა საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ეწოდა. ეს ექსპედი-

---

ნების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დასანანია, რომ აღნიშნული ნაშრომი დღემდე არ გამოქვეყნებულა. მადლობა გვინდა მოვახსენოთ ა. ჯავახიშვილს იმისათვის, რომ მან საშუალება მოგვცა გავცნობოდით მის გამოუქვეყნებელ ნაშრომს.

[74] Н. Чубинашвили, Рельеф «Вознесение креста» на каменном кресте из с. Качагани, „ქართული ხელოვნება“, სერია А,—ძველი ხელოვნება, თბ., 1963, გვ. 9—27, ტაბ. 1—8. მისივე, Хандиси, თბ., 1972, მისივე, ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები, „ძეგლის მეგობარი“, 30, თბ. 1972, გვ. 34—49.

[75] ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968.

[76] ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), სსმ მოამბე—XXVIII—B, თბ. 1969, გვ. 75—76; მისივე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლადაღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან, „ძეგლის მეგობარი“, 20, თბ., 1970, გვ. 52—63; ვ. ჯაფარიძე, ვ. ართილაყვა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში (1968 წ. მუშაობის წინასწარი შედეგები), „საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“, II,თბ. 1971, გვ. 67—74; ვ. ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგ. ექსპედიციის 1969 წ. მუშაობის მოკლე ანგარიში, იქვე, გვ. 81—88. აქვე საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით, კრებულში—„მუზეუმის არქეოლოგ. ექსპედიციები“ II, ჩემი პირველი ნაშრომისათვის განკუთვნილი ტაბულები დართული აქვს ჩემს მეორე ნაშრომს (გვ. 81—88), რომელიც ამავე კრებულშია დაბეჭდილი, ხოლო მეორე ნაშრომისათვის განკუთვნილი ტაბულები—პირველ ნაშრომს.

ცია ველზე გაიგზავნა ჩვენი დაბეჭითებითი მოთხოვნის შედეგად[77]. ექსპედიციამ, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 და 1970 წლებში მოპოვებულ მასალებს, ახალი საინტერესო მასალა შემატა და ამით შეავსო ჩვენი ცნობები და ინფორმაცია ამ ძეგლების შესახებ[78]

როგორც ჩვენი შრომის სათაური გვაუწყებს, ნაშრომში განხილულია დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ქვის ძეგლები, ამასთან შეკვლეული, როგორც ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში (1936—1937 წწ.), ისე, აგრეთვე, მიკვლეული ან აღმოჩენილი გათხრების შედეგად დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩვენი ხელმძღვანელობით 1964—1977 წწ. აღნიშნული ძეგლების მოძიება და მოპოვება მიმდინარეობდა ექსპედიციის ძირითადი სამუშაოს — დმანისის ნაქალაქარის გათხრასა და შესწავლასთან ერთად, უპირატესად ხანმოკლე ექსკურსიებისა და დაზვერვების საშუალებით. წლების განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგად თავმოყრილია უაღრესად მდიდარი, მრავალფეროვანი და მეტად მნიშვნელოვანი მასალები, რომელთა შესწავლას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ძველი ქართული კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გარკვევასა და გაშუქებაში. ამ მასალების შესწავლა და გამომზეურება მით უფრო საჭიროა, რომ, ჩვენი აზრით, ადრექრისტიანული პერიოდის ეს შესანიშნავი ძეგლები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მე მოვიტან მხოლოდ ერთ მაგალითს; ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი ბოლნისის სიონის უძველესი წარწერების მნიშვნელობა. ამის შესახებ ჩვენს სამეცნიერო თუ სასწავლო შინაარსის ნაშრომებში ხშირად ვხვდებით სათანადო მოსაზრებებს, კომენტარებს. ამავე დროს, სულ ორიოდე სპეციალურ ნაშრომში თუ შეხვდებით ცნობას დმანისის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი — თათვარაზისა და სხვა სინქრონული წარწერების შესახებ, თუმცა ეს წარწერები ბოლნისის წარწერების სინქრონულია და მათი დაყენება თანამად შეიძლება ბოლნისის წარწერების გვერდით. ამავე დროის ეს მნიშვნელოვანი ფაქტი რატომღაც დღემდე ჩრდილშია, ფართო საზოგადოებამ არ იცის მისი არსებობა. ჩვენი ნაშრომის მიზანია გამოვამზეუროთ დმანისის ექსპედიციის მი-

---

[77] იხ. ჩემი მოხსენებითი ბარათი მუზეუმის მაშინდელი დირექტორის სახელზე, წარდგენილი 1970 წ.

[78] ამ გათხრების შესახებ იხ. მ. სინაურიძის და თ. ბერიძის—კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, „ძეგლის მეგობარი", 27—28, 1971; აგრეთვე მ. სინაურიძე, 1970-1971 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, „საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგ. ექსპედიციები", III, თბ., 1974, გვ. 92—108. ამჟამად ეს ძეგლები მთლიანად აღგვილია მიწის პირისაგან და მათი კვალიც კი არ დარჩენილა. აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ნ. ჩუბინაშვილს თავის ნაშრომებში „ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები" („ძეგლის მეგობარი", 30, გვ. 48 და «Хандиси» (გვ.9) აღნიშნული აქვს, რომ თითქოს, მ. სინაურიძემ 1964 წ. არქეოლოგიურად გაასუფთავა დარბაზული ეკლესია (იგულისხმება ბუჩურაშენის ეკლესია) და აღმოაჩინა სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტები. აღნიშნული ეკლესიის ნანგრევები მ. სინაურიძემ პირველად ნახა მხოლოდ 1970 წ. და, მაშასადამე, იგი ვერ აღმოაჩენდა იქ სტელების ფრაგმენტებს 1964 წელს. ნ. ჩუბინაშვილი, ამ ცნობასთან დაკავშირებით იმოწმებს მ. სინაურიძისა და თ. ბერიძის ნაშრომს—„კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები", რომელშიაც საუბარია 1970 წ. ჩატარებულ გათხრაზე და არა 1964 წ. სამუშაოებზე.

ერ დაგროვილი მდიდარი მასალა და, მეორე მხრივ, გავამახვილოთ ყურადღება ადრექრისტიანული ხანის ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ქვის ძეგლების შემდგომი ფართოდ შესწავლის აუცილებლობაზე. საზოგადოდ ადრექრისტიანული პერიოდის ეს ქართული ძეგლები ყურადღებას იპყრობენ თავისი უძველესი ჩუქურთმებით, მათი მრავალფეროვნებით, მაღალი მხატვრული ღირსებებით, ქრისტიანული სიმბოლიკით, ქვაზე ჭრის თავისებური ტექნიკით, ორიგინალობით, დახვეწილი მხატვრული ოსტატობით. დასასრულ ისიც საინტერესოა, რომ ქვის სტელები წარმოდგენას იძლევიან ადრექრისტიანული ხანის ქვის ჭრის მაღალ ტექნიკაზე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სტელების სიმაღლე რამდენიმე მეტრს, ზოგჯერ 5—6 მეტრს აღწევდა და ერთი მთლიანი ქვისაგან იყო გამოთლილი. ჩვენი ისტორიის ამ უძველესი პერიოდისათვის.. იმდროინდელი ტექნიკის პირობებში ეს, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იყო როგორც ტექნიკურად, ისე მატერიალურად.

რაც შეეხება დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეულ ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლებს, ეს მასალები მოპოვებულია უმთავრესად მდინარეების — მაშავერას, ფინეზაურის, დამბლუტისწყლისა და კაზრეთულას ხეობებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორ პუნქტში ქვის სტელები და მათი ნაწილები მოპოვებულია ადრექრისტიანული ხანის ეკლესიებში და მათ უშუალო სიახლოვეს. ეს ეკლესიებია: ე. წ. „ორკარიანი ეკლესია“ სოფ. უკანაგორში და მცირე ეკლესია იმავე მდ. დამბლუტისწყლის ხეობაში სოფ. უკანგორიდან ჩრდილოეთით 1,5—2 კმ. მანძილზე. ამ უკანასკნელი ეკლესიის ნაშთები აღმოაჩინა ჩვენმა ექსპედიციამ 1964 წელს, ხოლო ძეგლი გაითხარა 1968 წელს.

ქვის სტელების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩენილი იყო მოგვიანო ხანის (უმთავრესად შუასაუკუნეების) ეკლესიებთან და ეკლესიების კედლებში. ასეთი ეკლესიებია დმანისის რაიონში: კზილ-ქილისა სოფ. საკირესთან, ქვემო ეკლესია სოფ. ტნუსთან, სოფ. ზემო ოროზმანის ეკლესია, მცირე ეკლესია აბულბუგთან; ე. წ. ორსაყდრები (თბილისიდან სომხეთისაკენ მიმავალი გზის ნაპირას, 73 კმ-ზე); ბოლნისის რაიონში: ეკლესიის ნანგრევები სოფ. ბალიჭში, სათხის ეკლესიისა და ბუჩურაშენის ეკლესიების ნანგრევები. ეს უკანასკნელი მდებარეობდა კაზრეთიდან ჩრდ.-აღმოსავლეთით 3—4 კმ. მანძილზე მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის კარიერების ტერიტორიაზე. დმანისისა და ნაწილობრივ ბოლნისის რაიონების ზემოხსენებულ პუნქტებში აღმოჩენილი ქვის ძეგლების საერთო რაოდენობა 130-მდე აღწევს.

ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ ჩვენ შეიძლება გადავიდეთ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დაგროვილი უძველესი ქვის ძეგლების მდიდარი კოლექციის მიმოხილვაზე. საჭიროა გავითვალისწინოთ რა ძეგლებია მიკვლეული თუ აღმოჩენილი დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ხოლო შემდეგ ადვილად წარმოვიდგენთ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს აღნიშნულ მასალას ქართული ხელოვნებისა თუ, საზოგადოდ, ძველი ქართული კულტურის შესწავლისათვის. პირველად ყოვლისა, ჩვენ შევჩერდებით იმ ორ ეკლესიაზე და ამ ეკლესიებსა თუ მათ უშუალო სიახლოვეს აღმოჩენილ ქვის ძეგლებზე, რომლებიც ქართული არქიტექტურის განვითარების უძველესი პერიოდით შეიძლება დავათარიღოთ.

დმახისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით პირველმა მიაქცია ყურადღება ერთ-ერთ ძველ ეკლესიას მდ. დამბლუტისწყლის ხეობაში (მდ. მაშავერას მარჯვენა შენაკადი), რომელიც სოფ. უკანგორში დგას. ეს არის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, რომელსაც „ორკარიან ეკლესიას“ უწოდებენ (ტაბ. I, სურ. 1—2), მისი გარეგანი ზომებია 14,1 × 7,7 მ. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას აკრავს ოთხკუთხი სადიაკვნო (ზომ. 6.0 × 3.0 მ.), რომელსაც შესავალი მხოლოდ შიგნიდან, ეკლესიიდან აქვს. ეკლესიას ორი კარი აქვს (აქედან წარმოსდგება მისი ახალი სახელწოდებაც), ერთი — სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, მეორე კი სამხრეთ-დასავლეთიდან[79]. თითოეული მათგანის სიგანე უდრის 0,7 მ, ხოლო სიმაღლე 1,97 მ. სარკმელი ეკლესიას სამი აქვს — სამხრეთ-დასავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან.

ამ ეკლესიის მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ ეკლესიის სიძველით, შეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეკლესიაში და ეკლესიასთან აღმოჩნდა ქვის უძველესი ძეგლების — სტელების ფრაგმენტები, ბაზისები ასომთავრული წარწერით და ბარელიეფიანი ქვების ფრაგმენტები. სულ ამ ეკლესიასთან აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების ქვის ძეგლების 13 ფრაგმენტი, რომელთაგან 4 ქვას ჰქონდა გამოქანდაკებული ასომთავრული წარწერები. ამ ქვებიდან ორი წარმოადგენს სტელების ბაზისებს უძველესი წარწერებით და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. ერთი ბაზისის (ზომ. 0,7×0,47× ×0,3) წარწერა, რომელიც ბოლნისის სიონის წარწერების მსგავსად გამოქანდაკებულია, ექვსსტრიქონიანი ყოფილა და შემდეგნაირად არის გაშიფრული ლ. მუსხელიშვილის მიერ (ტაბ. III, სურ. 1):

1. (ქ) პეტრწს ხოვცსობას [ა]
2. მე თათვარაზ აღხოვ
3. [მა] რთე ესე ჯოვარი სახე
4. [ლითა] ღდ [თა] შეწევნითა იმ...
5. ——————————
6. ——————————

უკახაგორის მეორე, უფრო პატარა ბაზისის (ზომ. 0,39×0,35×0,31) წარწერა გაცილებით უარესად ყოფილა დაცული (ეს ქვა ამჟამად დაკარგულია) და, როგორც ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, ბაზისის ამ ფრაგმენტზე შერჩენილი ყოფილა გამოქანდაკებული მთავრული ასოებით შესრულებული შვიდსტრიქონიანი წარწერის შემდეგი ნაწილები[80]:

1. ——————————
2. თა
3. და ⌜გ⌝
4. ⌜ა⌝ ღხ ⌜ო⌝

---

[79] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941, გვ. 8—24, ტაბ. I—IV; აგრეთვე მისივე, უკანგორის ისტორიული ნაშთები, ენიმკი-ს მოამბე, X , თბ., 1941, გვ. 159—182.

[80] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ექსკურსიები, გვ. 13.

5. ესე ჯ ⌜ო⌝
6. ლოცვე
7. ⌜ჩ⌝ ნდა

მიუხედავად იმისა, რომ წარწერა მეტად ფრაგმენტული ყოფილა, იგი ფრიად მნიშვნელოვანია თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით; ლ. მუსხელიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს ხანმეტ ძეგლს („აღხო[ჯმართეთ]“), ამას გარდა, წარწერა ყურადღებას იქცევს დაბალყელიანი მთავრული „დ“-ით, თათვარაზის წარწერის ასოების მსგავსი მოყვანილობით (დაბალი, განიერი ასოები). ლ. მუსხელიშვილს ეს წარწერაც პირველის თანადროულად მიაჩნია[81].

მესამე ქვა, რომელსაც წარწერა არ ჰქონდა, ყოფილა ოთხწახნაგა პრიზმული მოყვანილობისა, ბოლნური მედალიონით შემკული.

ხუთი სხვა ფრაგმენტი წარმოადგენდა სტელების ნაწილებს, რომელთაგან სამი ნატეხი ერთი სტელისა (სიგრძე — 2,5 მ, სიგანე — 0,31 მ.) იყო. ეს ფრაგმენტები შემკული ყოფილა სხვადასხვა გამოქანდაკებული არქაული ორნამენტებით (ბოლნური მედალიონები, მცენარეული მოტივები და სხვა)[83]. ამ ფრაგმენტებს, პირდაპირი ანალოგიების საფუძველზე ლ. მუსხელიშვილი ათარიღებს V—VI სს. აღსანიშნავია ბარელიეფიანი სამი ქვა, რომელთაგან ერთი სვეტისთავი უნდა ყოფილიყო, ხოლო ორი დანარჩენი ბრტყელი ქვაა, რომელზედაც მამაკაცების რელიეფური გამოსახულებათა ნაწილებია შერჩენილი. ერთ მათგანზე მამაკაცის ფიგურის ქვემოთ, ორსავე მხარეს, ასომთავრული რელიეფური წარწერის ნაწილებია შერჩენილი[84]. სვეტისთავზე შერჩენილი არქაული ორნამენტული მოტივები, განსაკუთრებით ფარშევანგის გამოსახულება და სამკუთხედების „ჯაჭვისაგან“ შედგენილი არშიები, რომლებიც ბოლნური ჯვრის ჩარჩოების მოტივს იმეორებენ, საფუძველს აძლევს ლ. მუსხელიშვილს აღნიშნული სვეტისთავი VI ს. დაათარიღოს[85].

რაც შეეხება ორ დანარჩენ ბარელიეფს მამაკაცების ფიგურების გამოსახულებით, ეს ქვებიც ასომთავრული წარწერების ნაშთებით, გამოსახულებათა ტახსაცმლის თარგისა და დეტალებით, მცხეთის ჯვრის ბარელიეფებთან შედარება-მსგავსების საფუძველზე, ლ. მუსხელიშვილის აზრით VI—VII სს. მიგვითითებს[86].

V ს. და VI ს. დამდეგით არის დათარიღებული ორი დანარჩენი ძეგლიც; თხელი ქვის შესანიშნავი ფილა (ზომ. 0,39×0,32×0,07 მ) ბოლნური მედალიონით და ასომთავრული გამოქანდაკებული წარწერით, მიუხედავად იმისა, რომ წარწერიდან შერჩენილია მხოლოდ ოთხი ასო, მათ შორის ერთი თავშეკრული „ჳ“-ნია, რასაც, როგორც ცნობილია, დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვს. საბედნიეროდ, ეს უნიკალური ძეგლი აღარ არსებობს და ჩვენ შერჩენილი გვაქვს მხოლოდ ამ ქვის ფოტოსურათი (ამ მედალიონს თავზე, ზემოდან მიუყვება სამ-

---

[81] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

[82] იქვე, გვ. 16.

[83] იქვე, გვ. 17—18, იხ. აგრეთვე ლ მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უკანგორის ისტორიული ნაშთები, ენიმკის-ს მოამბე X, 1941, გვ. 171, სურ. 6.

[84] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ექსკურსიები, გვ. 18—21, ტაბ. IV.

[85] იქვე, გვ. 21

[86] იქვე, გვ. 23.

ფურცლოვანი ყვავილების არშია[87], ტაბ. III, სურ. 2—3). ეს ფილა აღმოჩენილია მეორე ეკლესიის მახლობლად, მდ. დამბლუტისწყლის მარცხენა ნაპირას, რომელიც ოქროს მაძიებლებს სრულიად დაუნგრევიათ 30-იან წლებში და ქვები აბანოს ასაშენებლად გამოუყენებიათ. ეს მეორე ეკლესია „ორკარიან ეკლესიაზე“ პატარა ყოფილა[88].

ლ. მუსხელი'შვილი აღნი'შნავს, რომ ეს ფილა თავის დროზე, ეკლესიის კედელში უნდა ყოფილიყო ჩადგმული ისევე, როგორც ბოლნისის სიონის ჯვრიანი ქვა წარწერით „ძნაჲ“[89], ჩედგმული ტაძრის ჩრდ. ნავის აღმ. კედელში.

დასასრულ, ამავე დროისაა ქვის ფრაგმენტი, რომელზედაც შერჩენილია პოლნური მედალიონის ნაწილი. ბოლნური ჯვარი ჩაწერილი ყოფილა ოთხნაწილედ ვარდულში. „აბსიდებში“ ჩაწერილია ნახევარჯვრები, ხოლო ვარდულების ფურცლებს შორის, უბეებში ჩასმულია სამფურცლოვანი ვარდულები. ეს არის ბოლნური მედალიონის ორიგინალური ვარიანტი[90] (ტაბ. LXXVII, სურ. 5).

ამავე დროს მეორე მნიშვნელოვანი ძეგლია **მცირე ეკლესიის ნანგრევები,** აღმოჩენილი დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ამავე ხეობაში, „ორკარიანი ეკლესიიდან“ 1,5—2 კმ მანძილზე ჩრდილოეთით და გათხრილი 1968 წელს. ამ ადგილას ჩატარებულმა გათხრამ აღმოაჩინა მცირე ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია აშენებული ყოფილა სხვადასხვა ზომის კარგად გათლილი კვადრებით. კედლები ნაგებია თლილი ქვებით როგორც შიგნიდან, ისე გარედან, წყობა თარაზული ყოფილა (ტაბ. VI, სურ. 2 აღმ. ფასადი, აგრეთვე ტაბ. VII სურ. 1). კედლების სისქე შეადგენდა 1,2 მ. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ძლიერ დანგრეული იყო (მაგალითად, ჩრდ. მხარეს შერჩენილი იყო ქვების 1—2 წყობა), ნანგრევების მიხედვით მაინც კარგად იკითხებოდა ეკლესიის გეგმა. ეკლესია წარმოადგენს ერთნავიან დარბაზულ ნაგებობას, რომელიც წაგრძელებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ზომა 8,3×4,54 მ.). მისი საკურთხევლის აბსიდა გარეთ არის გამოწეული ნახევარცილინდრულად (ტაბ. VI, სურ. 1—2, გეგმა, აგრეთვე იხ. ზემოხსენებული სურათები), ეკლესიას ორი კარი ჰქონია — დასავლეთიდან და სამხრეთიდან (იხ.. ტაბ. X, სურ. 1—2, ტაბ. VI, სურ. 1).

სარკმელების კვალი ეკლესიის ნაშთებს არ შერჩენია. აღსანიშნავია, რომ ეკლესია ზუსტად აღმოსავლეთისაკენ არ ყოფილა ორიენტირებული, რაც აგრეთვე მისი სიძველის მანიშნებელია.

ეკლესიის შიდა ნაწილის გასუფთავებამ მდიდარი მასალა შეგვძინა; უშუალოდ საკურთხევლის წინ აღმოჩნდა ქვის სტელებისა და ბაზების, აგრეთვე ქვის ჯვრების 50-ზე მეტი ფრაგმენტი. ორიოდე ქვის ფრაგმენტი საკურთხევლის აბსიდა'შიც აღმოჩნდა იატაკის დონეზე. ორი ბაზის ნაწილები ერთად ეწყო საკურთხევლის წინ, საკურთხევლის ხარისხის წყობაში რამდენადმე ღრმად ჩამჯდარი. საკურთხევლის კუთხეებთან ეწყო სტელების ფრაგმენტები და სტელის

---

[87] იქვე, გვ. 13—14, ტაბ. III.

[88] იქვე, გვ. 9.

[89] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისი, ენიმკის-ს მოამბე, III, 1938, გვ. 332, სურ. 15.

[90] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, გვ. 16—17; ტაბ. III. 5.

ერთი კაპიტელი (ტაბ. VIII—IX, სურ. 1 და 2). ერთი სიტყვით, ქვები გარკვეული წესრიგით ეწყო, მაგრამ ეს არი იყო, რა თქმა უნდა, თავდაპირველი წესრიგი; აქ ეწყო ამ ქვების ფრაგმენტები, უკვე დამტვრეული ძეგლები. აღნიშნული ძეგლებიდან 7 წარმოადგენდა სტელების ორი ბაზის ფრაგმენტებს, რომლებზედაც შერჩენილი იყო ძველი ქართული წარწერების ნაწილები. ერთი, უფრო პატარა, მომწვანო ფერის ტუფის ქვისა იყო, ხოლო მეორე, უფრო დიდი — მოწითალო ტუფისა. 8 ფრაგმენტი წარმოადგენდა სტელების კაპიტელების ნაწილებს საერო პირთა, აგრეთვე ცხოველებისა და მცენარეების რელიეფური გამოსახულებებით. გვერდით, როგორც აღინიშნა, დიდი სტელის მოზრდილი ფრაგმენტები იყო მიყუდებული.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ზემოხსენებული ორი ბაზის ფრაგმენტები უძველესი ქართული წარწერებით. მუქი წითელი ტუფისაგან გამოთლილ დიდ ბაზას (ზომა 0,75×0,75×0,67 მ., ტაბ. XI სურ. 1 და 2) მარცხენა გვერდზე ამოჭრილი აქვს სამსტრიქონიანი წარწერა, რომელიც ძლიერ არის დაზიანებული (ტაბ. XII, სურ. 1). მიუხედავად ამისა იკითხება ნაწილობრივ და კარგად ირკვევა, რომ აქ ლაპარაკია ჯვრის აღმართვაზე. წარწერის ქვევით, სწორკუთხოვან ჩარჩოში, ცენტრში გამოქანდაკებულია სიცოცხლის ხე, ხოლო მის ორსავე მხარეს გამოსახული ყოფილა რელიეფურად ვერძები, რომელთაგან კარგადაა შერჩენილი მარჯვენა, ხოლო მარცხენას მხოლოდ ბოლოღა შერჩენია. არანაკლებ საინტერესოა ბაზის წინა გვერდი, რომელზედაც გამოსახულია ბოლნური მედალიონი (ტაბ. IX და XI, სურ. 1), რომელსაც ტრადიციული სამფურცელა ყვავილებისაგან შედგენილი ჩარჩო აქვს. მედალიონის ორსავე მხარეს. თანაბრად არის აზიდული მაზდეიზმის წმინდა თავსაკრავის ბოლოები. როგორც ცნობილია, ასეთსავე ბაფთებს ვხედავთ ბოლნისის სამხრ. კარიბჭის დას. კაპიტელზე[91]. მედალიონის ზემოთ, ბაზის მთელ სიგანეზე ამოჭრილია ცერადკვეთილი სამკუთხედების არშია.

მეორე, მცირე ბაზა (ზომ. 0,49×0,41×0,41 მ.) შედგება 5 ნატეხისაგან (ტაბ. XIII, სურ. 2). ბაზას უნდა ჰქონოდა 13—14-სტრიქონიანი წარწერა, რომელთაგან ნაწილობრივ შერჩენილია რვა სტრიქონი და მეცხრეს კვალი. წარწერა მეტად დაზიანებულია, მაგრამ მისი ნაწილობრივ გაშიფვრა მაინც შესაძლებელია. წარწერა შეეხება ჯვრის აღმართვას. ამასთანავე წარწერის ფრაგმენტებიდან იკითხება ცალკეული ნაწილები, სიტყვები და რიგ შემთხვევაში კარგად ჩანს თავშეკრული „ბ“-ანები („წყალობითა“), აგრეთვე თავშეკრული „ჳ“-ები და „შ“-ინები („შვილთათვის“), უყელო დონები, რაც წარწერის აშკარა სიძველის მანიშნებელია — (ტაბ. XIV და ტაბ. XV). საინტერესოა აგრეთვე ის გარემოება, რომ სტელის ბაზის მარცხენა წახნაგზე შერჩენილია არატოლმკლავებიანი, რელიეფური ჯვრის გამოსახულება, რომლის ორსავე მხარეს ნახევარპალმეტებია ფრთებივით გაშლილი (ტაბ. XIII, სურ. 1). განათხარ ქვის ძეგლებიდან ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ ქვის სტელების ფრაგმენტები. ამ კლასიის ინტერიერშიც აღმოჩნდა სხვადასხვა სიდიდის სტელების ფრაგმენტები ბუნზე დადგმული მედალიონების გამოსახულებით (ტაბ. XVI, სურ. 2, 3 და 4), მედალიონების ბუნი თავის მხრივ დადგმულია სამსაფეხურიან კვარცხლბეკებზე, რომლებიც შემკულია სამფურცელა ყვავილებით, ხოლო ყვა-

---

[91] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 167.

ვილებშორისი უბეები — წიწვოვანი მოტივებით. მედალიონის ქვევით, ორივე მხრიდან ზევით არის ამოზიდული ნახევარპალმეტები. ასეთი კომპოზიცია სტელებზე მეორდება ვერტიკალურ სიბრტყეში. ასეთივე კომპოზიციები გვხვდება სხვა პუნქტებში მოპოვებულ სტელებზეც (მაგ. ბოლნისში, თეკვნების ეკლესიის სტელის ფრაგმენტზე და სხვა)[92].

შეტად საინტერესოა და უნიკალური სტელის კაპიტელი, რომლის წახნაგები შემკულია სამფურცელა ყვავილებით და სამკუთხედების არშიით (ტაბ. XVII—XVIII სურ. 1 და 2). შემკულობის ეს მოტივებიც მეტად არქაულია.

ასევე ძალიან საინტერესოა სხვა კაპიტელებისა და სტელების ფრაგმენტები ცხოველების გამოსახულებით და სამკუთხედების არშიით (ტაბ. XIX—XXII, სურ. 2), მცენარეული მოტივებით (ტაბ. XXI, სურ. 2). მთელი რიგი ფრაგმენტებისა საერო პირთა (ფრაგმენტების) გამოსახულებით (ტაბ. XX, სურ. 1—2, ტაბ. XXI სურ. 1,2, ტაბ. XXII, სურ. 1). კაპიტელებისა და სტელების ზემოაღნიშნული ფრაგმენტები პირველად აღმოაჩინა ჩვენმა ექსპედიციამ. ეს ფრაგმენტები მით უფრო საინტერესოა, რომ საერო პირები გამოსახული არიან თავისი დროისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელში. ამ ფრაგმენტებზედაც ვხვდებით ცერადკვეთილ სამკუთხედების არშიებს და სამფურცელა ყვავილებს, რაც აგრეთვე მათი სიძველის მაჩვენებელია.

ყურადღებას იპყრობს ქვის ერთი ფრაგმენტი ტიპური ბოლნური მედალიონით—ტოლმკლავებიანი ჯვარი, ჩასმული სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩარჩოში (ტაბ. XIX, სურ. 1). განათხარ ქვის ძეგლებს შორის გვხვდება სტელების ფრაგმენტები ვაზის რტოს ტიპური მოტივით, რომელზედაც რელიეფურად გამოსახულია ვაზის რტო თავისი მტევნებით, ფოთლებით და სპირალურად დახვეული ულვაშებით (ტაბ. XXIII, სურ. 2 და 3). თავისებური სტილიზებული მცენარეული მოტივებითაა შემკული სტელების ფრაგმენტები (ტაბ. XXIV, სურ. 2 და ტაბ. XXV, სურ. 1). ეს არის ისეთივე უწყვეტი მოტივები, როგორიც გვხვდება, ერთი მხრივ, ბოლნისის სტელის ფრაგმენტზე, ხოლო, მეორე მხრივ ე. წ. ორსაყდრების ქვემო ეკლესიის ჩრდ. კედელში ჩაშენებული სტელის ფრაგმენტზე[93].

შესაძლებელია არ წარმოადგენდნენ უძველეს ნიმუშებს სტელების ის ფრაგმენტები, რომლების სურათები მოთავსებულია ტაბ. XXV, სურ. 1—3 იმის გამო, რომ ეს ნიმუშები, მათი ორნამენტული მოტივების შესრულების ტექნიკა და დონე, აშკარად განსხვავდება სტელების „კლასიკური“ ნიმუშებისაგან.

ეკლესიის ინტერიერში აღმოჩენილ უძველეს ქვებს შორის გვხვდება აგრეთვე ქვის ჯვრის მკლავების ფრაგმენტებიც (ტაბ. XXVI და ტაბ. XXVII, სურ. 1). ეს ფრაგმენტები შემკულია პარალელური ღარებით კონტურების გაყოლებაზე და სამფურცლოვანი ყვავილის გამოსახულებით. ეს ძეგლებიც დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ბოლნური ჯვრების ნიმუშებთან, რომლებიც დათარიღებულია V, VI და VII საუკუნეებით[94].

---

[92] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 92, სურ. 59; ლ. მუსხელიშვილი, „ექსკურსიები“, გვ. 38, ტაბ. VIII, სურ. 15 და 16.

[93] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. სურ. 56, გვ. 89, აგრეთვე ორსაყდრების ქვემო საყდრის ჩრდ. კედლის ფასადში ჩაშენებული ქვა. იხ. ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგ. ექსკურსიები, ტაბ. VI, სურ. 10.

[94] იქვე, გვ. 95—101.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ მცირე ეკლესიის გათხრების პროცესში აღმოჩნდა ქვის ორი თავისებური ძეგლი, რომელთაგან საყურადღებოა წითელი ტუფისაგან გაკეთებული პატარა საგანი (ზომ. h — 22 მ.). ეს არის ერთი ქვისაგან გამოკვეთილი ოთხფეხიანი „დასადგმელი“ (ტაბ. XXVII, სურ. 2), რომლის ზედა ნაწილი სფერული ფორმისაა. ამ სფეროს ზედა ნაწილი რამდენადმე გაბრტყელებულია და ცენტრში აქვს ოთხკუთხა ღრმა ფოსო. ბრტყელი აქვს ქვედა ნაწილიც, რომლითაც იგი დაკავშირებულია ბრტყელ „ბაქანთან“. ამ უკანასკნელს კიდეები გარეთ აქვს გამოწეული, ქვის ეს ძეგლი დგას ოთხ დაბალ ფეხზე. ძეგლის წინა მხარე, სიბრტყე. ერთი ფეხიდან — მეორემდე, შემკულია ცერადკვეთილი მცენარეული მოტივებით — სამფურცელა პატარა ყვავილებით და წიწვოვანი მოტივებით. შემკულობა მეტად მოხდენილია. მეორე ასეთივე ძეგლი მომწვანო ტუფისა, რომელიც ძალიან გაცვეთილია, უორნამენტოა. რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ეს ძეგლი? ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა ძნელია. მაგრამ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რამდენადაც ქვის ამ ძეგლს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, აქვს ცენტრში ფოსო, ცხადია ამ ფოსოში მისი პროპორციული მეორე ნაწილი იდგმოდა. ხომ არ წარმოადგენდა ეს პატარა სადგამი, ბაზას პატარა ჯვრისათვის ან სტელისათვის? ქვის სტელები და ჯვრები ხომ სულ სხვადასხვა ზომისა იყო, საზოგადოდ.

იმ ეკლესიებიდან, რომლებმაც შემოგვინახეს ადრექრისტიანული ხანის სტელების ნაწილები, მაგრამ თვით ეკლესიები მნიშვნელოვნად გვიანი დროისაა (უმთავრესად შუა საუკუნეებისა), აღსანიშნავია პატარა ეკლესია, ე. წ. **კზილქილისა** (წითელი საყდარი), რომელიც მდებარეობს სოფ. პატარა დმანისიდან სამხრეთით 12 კმ მანძილზე (თბილისიდან 92 კილომეტრზე), სამხრეთისაკენ შიმავალი გზის მარჯვენა მხარეს. ეს ეკლესია მკვეთრად დაქანებული კლდის ფერდობზეა აშენებული წითელი ტუფის ქვით (აქედან წარმოსდგება მისი სახელწოდებაც) მუღანლოს წყლის მარცხენა ნაპირას. ეკლესია დაფარულია მთლიანად პატარა, მაგრამ ძველი ტყით. მთავარი გზიდან მხოლოდ ტყე მოჩანს (ტაბ. XXVIII, სურ. 1). ეს კლდე, ეტყობა ადრე მთლიანად ტყით ყოფილა დაფარული, რომლისგანაც პატარა კორომიღა გადარჩენილა. ეკლესია წარმოადგენს ერთნავიან დარბაზული ტიპის ნაგებობას (ზომა 8,2×2,5 მ.) ორფერდა სახურავით. კარი ეკლესიას სამხრეთის მხარეს აქვს (ტაბ. XXVIII, სურ. 2); ეკლესიას სამი პატარა სარკმელი აქვს, ერთი — საკურთხევლის კედელში, მეორე — სამხრეთის, ხოლო მესამე დას.—კედელში (ტაბ. XXIX, სურ. 1 და 2). ეკლესია ჩრდილოეთის მხრიდან კლდეზეა მიდგმული (ტაბ. XXX, სურ. 1). მას აშკარად ეტყობა მერმინდელი გადაკეთების კვალი და რომ იგი გვიანი ხანის ნაგებობაა, ეს კარგად დასტურდება, სხვა ნიშნების გარდა, იმ ფაქტებითაც, რომ მის კედლებში როგორც შიგნით, ისე გარეთ ფასადებში, ჩაშენებულია ადრექრისტიანული ხანის ქვის სტელების ფრაგმენტები, რომელთა საერთო რაოდენობა 17 ერთეულს უდრის. სტელების ფრაგმენტების ერთი ნაწილი კედლებში ზურგითაა ჩაშენებული და ამიტომ სტელებს შემკულობა ამ წახნაგებზე, ჩვეულებრივ, არ აქვთ. ადრექრისტიანული დროისათვის დამახასიათებელი ორნამენტული მოტივებითაა შემკული ეკლესიის კედლებში ჩაშენებული სტელების 11 ფრაგმენტი, რომელთაგან 2 წარმოადგენს სტელების (ან

პილასტრების) კაპიტელებს, 6 საკუთრივ სტელების ფრაგმენტებია, ხოლო 3 — სტელების ბაზისების ფრაგმენტი.

გახსაკუთრებით საყურადღებოა ორი კაპიტელი, რომელიც საკურთხევლის წინ ამოშენებულ პილასტრებს ეყრდნობა ჩრდილოეთით და სამხრეთით (ტაბ. XXXII, სურ. 1 და 2). ჩრდილოეთის კაპიტელზე (ზომა 0,59×0,41, მ. კაპიტელის ქვედა ნაწილის სიგანე — 0,5 მ), ცენტრში გამოსახულია ბოლნური მედალიონი, მის ორსავე მხარეს დატოტვილი ფართოფოთლებიანი ხეებია; ასევე, მედალიონის ზევით ასეთივე სტილიზებული ხეა გამოსახული. ზემოხსენებული მედალიონის ორსავე მხარეს, ზევით, შვილდივით მოხრილი ვაზის რტოა დიდი შტევნებითა და სპირალურად დახვეული „ულვაშებით“. ზედა ნაწილი კაპიტელისა, რომელიც დანარჩენ სიბრტყესთან შედარებით წინ არის გამოწეული, (ლავგარდანივით), შემკული ყოფილა ნახევარვარდულებით — ოთხფურცლიანი დიდი ვარდულის, ორი ქვედა ფურცლისაგან შედგენილი არშიით. სწორედ ასეთი ტიპის არშიითაა შემკული ბოლნისის სიონის ზოგიერთი კაპიტელი და ბაზა და ამ შემთხვევაშიც ეს მოტივი ბოლნისის მსგავსად, აქაც არშიის როლს ასრულებს[95]. კაპიტელის ზედა ნაწილი, მარცხენა წახნაგი ჩამოტეხილი ჩანს და ორნამენტული მოტივების ნაწილიც ჩამოჭრილია. მეორე, სამხრეთის კაპიტელის (ზომა 0,53 (0,55)×0,43 მ) ცენტრშიც აგრეთვე ბოლნური მედალიონია ჩასმული და მედალიონის ორსავე მხარეს აგრეთვე მშვილდივით მოხრილი ვაზის რტოებია გამოსახული ყურძნის თითო დიდი მტევნით, ფოთლებითა და სპირალურად დახვეული ულვაშებით. მედალიონს ზემოთ გამოსახულია ექვსფურცლოვანი ვარდული. ამ კაპიტელის ზედა ნაწილიც ლავგარდანივით წინ არის გამოწეული და შემკულია ორფურცელა ვარდულების ისეთივე მოტივით, როგორსაც ამას პირველ—ჩრდილოეთის კაპიტელზე ვხედავთ. ამ კაპიტელის მარცხენა ხაწილი აშკარად ჩამოტეხილია და ამ მხარეს, კაპიტელის ზედაპირზე, შერჩენილია ვაზის რტოს მოტივის ერთი ნაწილი — თვით რტო არ ჩანს და მხოლოდ სპირალურად დახვეული ულვაშებია შერჩენილი. ეტყობა ეს კომპოზიცია ორივე კაპიტელზე თავიდან მთლიანად უნდა ყოფილიყო გამოხატული, ბაგრატ, შემდეგ ეს კაპიტელები გადაუკეთებიათ, გვერდები ჩამოუთლიათ და ორივე მათგანი მოგვიანებით მეორეჯერ გამოუყენებიათ. კაპიტელები, ჩვენი აზრით, უფრო დიდი მასშტაბის ძველი ეკლესიის ნაწილებს უნდა წარმოადგენდნენ.

საყურადღებო სტელების ფრაგმენტებია ჩაშენებული საკურთხევლის წინ, ორსავე მხარეს; სამხრეთის მხარეს კედელში ვერტიკალურად ჩაშენებულია სტელის ფრაგმენტი (ზომა h — 0,6 მ წახნაგების სიგანე — 0,25 მ.), რომლის ერთ წახნაგზე (დას. მხარე) გამოსახულია ოთხკუთხა ჩარჩოებში ჩასმული ორ-ორი წმინდანი ნიმბებით. ასეთი წმინდანები ფრაგმენტზე ორია გამოსახული ვერტიკალურ სიბრტყეში (ტაბ. XXXIII, მარცხ. სურ. 1). ამავე სტელის მეორე (ჩრდილოეთ) წახნაგზე წრიულ ჩარჩოებში ჩასმულია ცხოველების — ჯიხვის, ზღაპრული ფასკუნჯისა და ირმის გამოსახულებები. მედალიონების ჩარჩოები

---

[95] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. იხ. ტაბ. VII, ქვედა სურათი,—დას. ღიობის ბაზა; ტაბ. VIII, ზედა სურათი—ჩრდ. სტოას მესამე კაპიტელი.
აგრეთვე იხ. სურ. 46 და 47, კაპიტელის ფრაგმენტი.

ერთმანეთზეა გადაწნული (ტაბ. XXXIII, სურ. 2). აღსანიშნავია, რომ ჯიხვისა და ირმის გამოსახულება რეალისტურად არის გადმოცემული.

ჩრდილოეთის სტელის ფრაგმენტზე (ზომა h — 0,55, წახნაგების სიგანე — 0,26 მ), რომელიც აგრეთვე ვერტიკალურად არის ჩაშენებული საკურთხეველთან, გამოსახულია ბუნზე დადგმული ბოლნური მედალიონი ორსავე მხარეს ნახევარპალმეტებით, ხოლო ბუნი, თავის მხრივ, ორსაფეხურიან კვარცხლბეკზეა აღმართული (ტაბ. XXXIV, სურ. 1). მედალიონის ზემოთ ოთხკუთხა ჩარჩოში, გამოსახულია სამფურცელა ყვავილები, რომელთა შორის არსებული არე შევსებულია წიწვოვანი მოტივით. ასეთივე სამფურცელა ყვავილის გამოსახულებას ვხედავთ კვარცხლბეკზე, სტელის ქვედა ნაწილში. სტელის ფრაგმენტს წარმოადგენს ქვა, დადგმული ეკლესიის ინტერიერში საკურთხევლის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც ტრაპეზის ქვის მოვალეობას ასრულებს. ამ ქვის ფასადზე გამოსახულია არატოლმკლავებიანი ე. წ. აყვავებული ჯვარი, ქვევით, გვერდებზე გამოსახული ნახევარპალმეტებით (ტაბ. XXXIV, სურ. 2). სტელის ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე ეკლესიის შიგნით, სამხრეთის კედელში ჩაშენებული ფრაგმენტი, რომელზედაც შერჩენილია ორხარისხიანი კვარცხლბეკი, სამფურცელა ყვავილის და ჯვრიანი ბუნის ქვედა ნაწილის გამოსახულება სტილიზებული პალმეტების ნაწილებით.

უძველესი ქვის ძეგლების ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში, გარედან, სარკმლის ჭრილის ზემოთ ჩაშენებული მეტად საინტერესო ფრაგმენტები სხვადასხვა სტელებისა და ბაზებისა (ტაბ. XXX, სურ. 2). სხვებზე მეტად საყურადღებოა წითელი ტუფის ბაზის ფრაგმენტი (ზომა 0,65×0,35 მ), რომელზედაც შერჩენილია მთელი კომპოზიცია: ცენტრში კლასიკური ბოლნური მედალიონია, მედალიონის მარჯვნივ და მარცხნივ ფარშევანგების გამოსახულებანია, რომლებიც, თავისი ნისკარტებით ეხებიან მედალიონის ზემოთ რელიეფურად გამოსახულ პატარა ჯვარს. ეს კომპოზიცია უნებურად მოგვაგონებს ბოლნისის სიონის ბაპტისტერიუმის შუა კაპიტელის წინა წახნაგზე გამოსახულ კომპოზიციას: ორ ფარშევანგს, რომელთა შორის და ცოტა ზევით, ასევე რელიეფური ჯვარია მოთავსებული[95]. ამ ბაზიდან მარცხნივ, კედელში ჩაშენებულია პატარა ბაზა (ზომა 0,28×0,28 მ.) ტიპიური ბოლნური მედალიონით (ტაბ. იგივე). ამ მედალიონის ჩარჩო სამკუთხედების ჯაჭვისაგან შედგება. ეს ბაზაც წითელი ტუფისაგან არის გამოთლილი. მესამეა სტელის ფრაგმენტი (ზომა 0,4×0,23 მ.), აგრეთვე წითელი ტუფისა, შემკული ვაზის რტოს მოტივით, რომელიც სავსებით ემსგავსება ამავე ეკლესიის საკურთხეველში ჩაშენებულ ზემოხსენებულ კაპიტელებზე გამოსახულ ვაზის მოტივს (იგივე ტაბულა).

საყურადღებო ძეგლია **აბულბუგის** მცირე ერთნავიანი, დარბაზული **ეკლესია** (ზომა 9,6×6,1 მ, შიდა ზომები — 7,9×4,4), რომელიც მდებარეობს მამავრის ხეობაში, სოფ. ბალიჭის პირდაპირ, მთავარი გზატკეცილის ნაპირას. ეკლესიას აშკარად ეტყობა გადაკეთების კვალი; შენობის სახურავი ერთ ადგილას ჩახგრეულია (ტაბ. XXXV და XXXVI). ეკლესიის დასავლეთ კედელში გარედან ჩასმულია მწვანე ტუფის ქვა, რომელზედაც კლასიკური ბოლნური მედა-

---

[95] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. ტაბ. IV, ზედა სურ.

ლიონია გამოსახული[96] (ტაბ. XXXVI, სურ. 2). ბოლნური ტოლმკლავებიანი ჯვარი ჩასმულია სამკუთხედების ჯაჭვისაგან შედგენილ ჩარჩოში. ჯვრის მკლავებ'შორისი არეები წიწვოვანი მოტივებითაა შევსებული. ყოველივე ეს შესრულებულია ცერადკვეთის ტექნიკით. აღსანიშნავია, რომ ამ ქვაზე მედალიონის ქვემოთ აშოკრილია აპოკალიპსური სიმბოლო — ბერძნული მთავრული ორი ასო A და Ω „ალფა“ და „ომეგა“.

მეტად საინტერესოა ე. წ. **ორსაყდრების ქვემო ეკლესია,** რომელიც აბულბუგიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 0,4—0,5 კმ მანძილზე დგას მთავარი გზის მახლობლად, მდ. მაშავრის მარცხენა ნაპირას. ამ ადგილს ორსაყდრებს იმიტომ ეძახიან, რომ აქ ორი ეკლესია, ორი საყდარი დგას, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვემო ეკლესია. იგი დარბაზული ტიპის მცირე ეკლესიაა, რომელიც საკმაოდ კარგად არის ჩვენამდე მოღწეული (შერჩენილი აქვს სახურავი, მაგრამ ამ ეკლესიასაც ეტყობა გადაკეთების კვალი, ზომა 7,0×4,1 მ) ეკლესიას ერთი კარი აქვს ჩრდილოეთის მხრიდან (ტაბ. XXXVII და XXXVIII). ეს ეკლესიაც უორნამენტოა, მაგრამ ძალიან საინტერესოა ეკლესიის ფასადებში ჩაშენებული უძველესი ჩუქურთმიანი ქვები[97]. კედლებში სულ ჩაშენებულია თერთმეტი სხვადასხვა ფრაგმენტი. სტელების ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) სტელის ბაზა (ზომა 0,63×0,8×0,77 მ.), ჩაშენებული ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ქვედა კუთხეში (ტაბ. XL, სურ. 1), ბაზის ვიწრო წახნავი (ზომა 0,63 მ) ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის ზედაპირს წარმოადგენს. მისი ჩრდილო წახნაგი უორნამენტოა. ბაზის აღმოსავლეთ წახნაგის ორნამენტი წარმოადგენს ოთხფურცელა ვარდულებისაგან შედგენილ „ბადეს“, რომელთა ლანცეტისებრი მოყვანილობის ფურცლებს შორის გამოსახულია კვადრატები ცენტრში „მეჭეჭებით“. ეს არის ბოლნისის სიონის ორნამენტულ მოტივებს შორის ყველაზე გავრცელებული მოტივი (იხ. ამის შესახებ ქვევით, გვ. 82). აშკარად ჩანს, რომ ეს ყოფილა დიდი სტელის ბაზა სამწუხაროდ უძველესი ქვის ძეგლების ეს შესანიშნავი ნიმუში მეტად დაზიანებულია, ქვედა ნაწილი ატკეცილია და მისი ტიპური ვარდულები ნაწილობრივაა შერჩენილი (იხ. ბაზის გრაფიკული რესტავრაცია, ტაბ. XL ,2);

ბ) სტელის მეორე პატარა ბაზა ჩაშენებულია ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ ზედა კუთხეში (ბაზის გაზომვა ვერ შევძელი, ვერ შევწვდი, მისი ზომები უნდა იყოს დაახლოებით 0,3×0,35×0,35 მ.). ბაზა თავისი დასავლეთის წახნაგით გამოდის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე (ტაბ. XXXIX, სურ. 2) და, ამ წახნაგზე გამოსახულია ბოლნური მედალიონი, რომელსაც ორივე მხარეს მაზდეიზმის სიმბოლოს — „კოსტების“ ბოლოები აუყვება. ეს ბაზაც უთუოდ სტელების იმ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, რომლებიც ბოლნისის სიონის თანად-

---

[96] ლ. მუსხელიშვილს ეს ფაქტი აღნიშნული აქვს თავის „არქეოლოგიურ ექსკურსიებში“ (იხ. გვ. 25), მაგრამ ეკლესიის გეგმა და სურათები, აგრეთვე ამ მედალიონის სურათი, არა აქვს მოტანილი.

[97] ლ. მუსხელიშვილი ამ პუნქტებშიც არის ნამყოფი, მას აღნიშნული აქვს, რომ ეკლესიის კედლებში საყურადღებო ჩუქურთმიანი ქვებია ჩაშენებული (იხ. „ექსკურსიები“, გვ. 26), გამოქვეყნებული აქვს ერთი ქვის სურათიც (ტაბ. VI, სურ. 10). მაგრამ ყველა ქვის გადაღება ვერ მოუსწრია, ხოლო ზოგი ნეგატივი უვარგისი აღმოჩენილა.

როულია, როცა სასანური ირანის გავლენა ჯერ კიდევ საგრძნობი იყოს საქართველოში. ბოლნური მედალიონის გამოსახულებაა შერჩენილი სტელის იმ ბაზაზე, რომელიც ჩაშენებულია ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (ტაბ. XLI, სურ. 1). მის მეორე წახნაგზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა (იგივე ტაბულა, სურ. 2). სტელა, რომლისთვისაც ეს ბაზა ყოფილა განკუთვნილი., დიდი არ უნდა ყოფილიყო, რადგან თვით ბაზის ზომებია 0,43×0,40 მ.

აშავე ეკლესიის ჩრდილო ფასადში ჩაშენებულია ჰორიზონტალურად ორი სხვადასხვა სტელის ფრაგმენტი; ერთზე, რომელიც მიწის ზედაპირიდან 1,85 მ სიმაღლეზე კედელშია ჩაშენებული (ტაბ. XLII, სურ. 1), გამოსახულია სტილიზებული უწყვეტი მცენარეული მოტივი (ზომა 0,65×0,25 მ.), რომელსაც ლ. მუსხელიშვილი „პალმეტებიან ორმაგ მშვილდა კობმიდს“ უწოდებს[98]. ზუსტად ასეთივე მოტივით შემკული სტელის ფრაგმენტი აღმოჩენილი იყო ბოლნისშიც[99]. ამ მოტივის დახასიათებისათვის ლ. მუსხელიშვილი იყენებს ს. სტრიგოვსკის ტერმინოლოგიას და მას „უსასრულო სახეების“ კატეგორიას მიაკუთვნებს[100].

საინტერესოა ამავე კედელში ჩაშენებული სტელის მეორე ფრაგმენტი, შემკული ვაზის რტოს მოტივით (ტაბ. იგივე, სურ. 2, ზომები 0,58×0,19×0,19 მ). ეს ფრაგმენტიც აღწერილი აქვს ლ. მუსხელიშვილს თავის „ექსკურსიებში“, თუმცა მისი ფოტოსურათი არა აქვს მოტანილი[101].

ჩვენ აქ მოვიტანეთ ორსაყდრების ეკლესიის კედლებში ჩაშენებული სტელების ფრაგმენტებისა და ბაზების მხოლოდ 5 ნიმუში, მაგრამ მის კედლებში ჩაშენებულია კიდევ 7 სხვა ფრაგმენტი სტელებისა, ბაზებისა და ქვებისა. მათ შორის ზოგიერთი ქვა (მაგ., კარის ბალავარის დიდი ფილა ზომით 1,92×0,65×0,36 მ) არ წარმოადგენს ადრექრისტიანული ხანის ძეგლს; ნაწილი ფრაგმენტების ზურგით არის კედელში ჩაშენებული; ერთი დიდი ბაზის „კუბი“ (ზომით 0,86×0,6 მ) ჩაშენებულია ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვედა კუთხეში, მაგრამ მისი ორივე წახნაგი, რომლებიც ფასადების მხარეს გამოდის (სამხრეთით და აღმოსავლეთით), სრულიად გლუვია და არაფრის მთქმელი. დანარჩენი ფრაგმენტები მეტნაკლებად დაზიანებულია, მაგრამ შერჩენილი დამახასითებელი ნიშნების მიხედვით ეს ქვებიც ადრექრისტიანულ ხანას უნდა მიეკუთვნებოდნენ.

კიდევ ერთ საინტერესო ობიექტს წარმოადგენს **ეკლესიის ნანგრევები სოფ. ბალიჭში** (resp. ბალიჭები). ეს სოფელი მდებარეობს მდ. მაშავრის მარჯვენა ნაპირას და სოფ. კაზრეთს ეკვრის სამხრეთის მხრიდან (ორივე სოფელი დღევანდელ ქალაქ მადნეულს ემიჯნება).

ეკლესიის ნანგრევები სოფლის განაპირასაა (სამხრეთით). ეკლესია წარმოადგენს ერთნავიან დარბაზული ტიპის ნაგებობას (ტაბ. XLIV, სურ. 1, გეგმა და ჭრილი) და ძლიერ არის დანგრელი (ტაბ. XLIII, სურ. 1 და 2). მისი სახუ-

---

[98] ლ. მუსხელიშვილი, ექსკურსიები, გვ. 28. ეს ფრაგმენტი აღწერილი აქვს მას და მისი ფოტოსურათიც აქვს გამოქვეყნებული, იქვ. ტაბ. 1, სურ. 10.

[99] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 89, სურ. 56.

[100] ლ. მუსხელიშვილი, იქვე, გვ. 28.

[101] ლ. მუსხელიშვილი, იქვე, გვ. 27.

რავი მთლიანად ჩაქცეულია, მეტად დანგრეულია მისი სამხრეთის კედლის აღმოსავლეთი ნახევარი და აღმოსავლეთის კედელი. საზოგადოდ ეკლესია საფუძვლიანად და არაერთხელ ყოფილა გადაკეთებული. XIX ს. საფლავის ქვაც კია გამოყენებული მისი კედლების წყობაში. ეკლესიის ზომებია 7,8×3,8 მ. კარი ეკლესიას სამხრეთიდან ჰქონია. მისი დანგრეული კედლების მიხედვით სავარაუდებელია, რომ ერთი სარკმელი ეკლესიას საკურთხევლის კედელში უნდა ჰქონოდა. ცხადია, ეკლესიას სხვა სარკმლებიც ექნებოდა, მაგრამ დღეს მათი კვალი არ დარჩენილა. სხვადასხვა ზომის ნიშები ეკლესიას ჰქონია საკურთხეველში, ერთი პატარა, დაბალი ნიშა ჩრდილოეთის კედელშია შიგნიდან. სწორედ ამ ნიშას აქვს გვერდებში შედგმული მეტად საინტერესო სტელების ფრაგმენტები. მეორე ნიშა აგრეთვე ჩრდილოეთის კედელშია, დაბლა, უკანასკნელი ნიშისაგან დასავლეთით (მარცხნივ). ეს ნიშა (ემბაზი?) უფრო დიდია და კამარიანი. სტელებისა და მათი ბაზისების ფრაგმენტები ჩაშენებულია კედლებში როგორც გარედან, ისე შიგნიდან. გვხვდება სტელების ფრაგმენტები თვით კედლების წყობის შიგნით ჰყორდულაბის ფენაშიც კი. სულ ბალიჭების ეკლესიის კედლების წყობაში ჩვენ მიერ აღრიცხულია ადრექრისტიანული დროის 8 ფრაგმენტი როგორც საკუთრივ სტელებისა, ისე მათი ბაზისებისა. გვხვდება აგრეთვე გვიანი პერიოდის ქვებიც, რომელთაც სტელებთან საერთო არაფერი აქვთ (მაგ. დიდი ქვა, ზომით 1,1×0,71 მ, რომელიც ჩაშენებულია სამხრეთის ფასადის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში და რომელზედაც ორი არატოლმკლავებიანი სრულიად სხვა ტიპის ჯვარია ამოღარული (იხ. ტაბ. XLIV, სურ. 2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეკლესიის ნანგრევებში ჩაშენებული უძველესი ქვები არავის აღურიცხავს.

ადრექრისტიანული დროის ქვებიდან აღსანიშნავია სტელის ბაზა მონაცრისფრო-მომწვანო ქვისა, რომელიც ეკლესიის სამხრეთ კედლის ნანგრევების ზევით დევს, კედლის დას. ნაწილში (იხ. ტაბ. XLIII, სურ. 1—2 და ტაბ. XLIV, სურ. 2). ამ ბაზაზე (ზომით 0,62×0,48×0,35 მ) გამოსახულია წრეში ჩასმული ბოლნური მედალიონი, რომელიც ქვაზე ამოჭრილია ფონის ამოკვეთის ხერხით. ჯვარი ტიპური ბოლნურია (იგი მოგვაგონებს ბოლნისის სიონის აბსიდის წინა ჩრდილო პილასტრზე გამოხატულ ჯვარს), მაგრამ მისი მკლავები არ არის ცერადკვეთით გამოყვანილი.

მეტად საინტერესოა სტელის პატარა ფრაგმენტი კაპიტელით (ტაბ. XLV, სურ. 1 და 2). სტელის კუბური ფორმის კაპიტელის ერთ წახნაგზე (რომელიც გარეთ არის დარჩენილი და ჩანს, გამოსახულია ტიპური ბოლნური მედალიონი ჩასმული პატარა, ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩარჩოში, ხოლო სტელის „ტანს“ სამი ნახევარცილინდრული, ირიბად დაღარული ლილვისებური ზედაპირი აქვს.

შემდეგი ძეგლი, რომელიც ჩაშენებულია ამავე კედელში, ზემოხსენებული სტელის ფრაგმენტის გვერდით, მარცხნივ, არის სტელის ბაზა ბოლნური მედალიონით (ზომა 0,62×0,53 მ, ტაბ. XLV, სურ. 1, ზედა მარცხენა ქვა). ეს მედალიონი რამდენადმე განსხვავდება „კლასიკური“ ტიპის ბოლნური მედალიონებისაგან; მისი ჯვრის მკლავები წაგრძელებული ფორმისაა, თვით მისი ორნამენტაცია, რომელიც ცერადკვეთილი სამკუთხედების არშიისაგან შედგება, ჩვეულებრივისაგან უფრო თხლად არის ამოკვეთილი, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ მისი შემკულობა შედგება ისეთი გავრცელებული

და დამახასიათებელი ელემენტისაგან, რომელიც, მაინც და მაინც, ახასიათებთ უძველეს ბოლნურ მედალიონებს — ცერადკვეთილი სამკუთხედების არშიისაგან (ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ბაზა თავის მედალიონით მაინც ადრექრისტიანული ძეგლების რიგში უნდა მოვაქციოთ).

მეტად სინტერესოა სტელების ორი ფრაგმენტი ჩაშენებული ეკლესიის ჩრდ. კედლის მარჯვენა ნიშაში (ტაბ. XLVI, სურ. 1). მარჯვენა მხარეს ჩაშენებული იყო სტელის ფრაგმენტი კუბური ფორმის კაპიტელით (ზომით 0,32×0,36 მ. სვეტის წახნაგების ზომა 0,15×0,15 მ, კაპიტელის — 0,19×0,17 მ.). ამ ფრაგმენტის (ტაბ. XLVI, სურ. 2, აგრეთვე XLVII, სურ. 1) წინა (სამხრ.) ნაწილზე კარგად ჩანს ბოლნური მედალიონები; უფრო დიდი მედალიონი გამოსახულია კაპიტელის წახნაგზე, ხოლო მცირე — საკუთრივ სვეტზე. მედალიონები ამ შემთხვევაშიც შესრულებულია ფონის ამოკვეთის ხერხით, ოღონდ რელიეფი შედარებით დაბალია. ბოლნური ჯვარი ჩვეულებისამებრ ჩასმულია მრგვალ ჩარჩოში, რომელიც ორი კონცენტრული წრისაგან შედგება, რომელთა შორის არე შევსებულია ირიბი პარალელური შტრიხებით, რაც გრეხილის შთაბეჭდილებას ქმნის. ზედა მედალიონის დიდი ნაწილი დაზიანებულია და ორნამენტი წაშლილია, ამოტეხილია, ხოლო ქვედა მედალიონი უკეთ არის შერჩენილი. პატარა მედალიონიც ისეთივე ტიპისაა, როგორიც ზედა. დიდსა და პატარა მედალიონს შორის, გვერდებზე ორი რელიეფური ფოთოლია (?) გამოსახული, ხოლო მათ შორის მოკლე ბუნია (?), რომელიც ორსავე მედალიონს აერთიანებს.

აღსანიშნავია, რომ კაპიტელს, მედალიონს ზევით, მთელ სიგანეზე გასდევს ლავგარდანივით წინ წამოწეული ზოლი, რომლის ზედაპირიც ირიბად დადებული პარალელური შტრიხებით უნდა ყოფილიყო შემკული (სუსტად ჩანს მათი კვალი). როგორც უკვე აღინიშნა, მედალიონებით შემკული წახნაგი გარეთ იყო მოქცეული და ამიტომ კარგად ჩანდა. ჩანდა აგრეთვე ამ ფრაგმენტის მარცხენა წახნაგიც, რომელიც ნიშის შიგნით იყო მოქცეული (ტაბ. XLVII, სურ. 2 და XLVIII, სურ. 1). ამ წახნაგის კაპიტელზე გვერდიდან ჩანდა სამფურცელა ყვავილი ნახევარპალმეტებით ორივე მხარეს, ხოლო თვით სვეტზე უწყვეტი მცენარეული მოტივი — მშვილდივით მოხრილი ღეროები ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომელთა ზემოთ ამოხრილი ბოლოები თავდება სამფურცელა ყვავილებით.

სტელის მეორე, მარცხენა ფრაგმენტი (ზომით 0,45×0,15×0,14 მ. ტაბ. XLIX, სურ. 1 და 2) კიდევ უფრო საინტერესო ჩანს; წინა წახნაგზე სწორკუთხოვან ჩარჩოებში რელიეფურად არის გამოსახული ორი საერო პირი, რომელთაგან ზედა გამოსახულება საკმაოდ არის დაზიანებული და გადალესილი. სტელის მარჯვენა წახნაგზე გამოსახულია გავრცელებული ბოლნური მედალიონი ბუნზე, რომლის ორივე მხარეს ცერადკვეთით შესრულებული სტილიზებული პალმეტებია. ბუნი აქაც დადგმულია კვარცხლბეკზე, რომლის ცენტრში (და მგონი გვერდებზეც) „კლასიკური“ სამფურცელა ყვავილია გამოსახული.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ სოფ. ბალიჭის ეკლესიის ნანგრევები სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული და სტელების ეს მნიშვნელოვანი ფრაგმენტები ნადგურდება, მათი დაცვა არ არის აბსოლუტურად გარანტირებული. ამიტომ, ჩვენ ჯერ კიდევ ექსპედიციის დაწყებამდე, 1975 წელს დავაყენეთ საკითხი კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს წინა-

შე, ამ უძველესი სტელების ზოგიერთი ფრაგმენტის დაცვის მიზნით ნება დართოდა დმანისის ექსპედიციას, სამმართველოს წარმომადგენლის თანდასწრებით, ფრთხილად გამოეღო რამდენიმე ფრაგმენტი ეკლესიის ნანგრევებიდან და ჩაებარებინა დასაცავად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისათვის. აღნიშნული საკითხი სამმართველომ განიხილა თავის სხდომაზე 1975 წ. ივლისში და ნება დართო დმანისის ექსპედიციას წამოეღო ბალიჭის ეკლესიის ნანგრევებიდან შემდეგი ფრაგმენტები: ორი ფრაგმენტი სტელებისა ჩაშენებული ეკლესიის ჩრდ. კედლის მარცხენა ნიშაში (იხ. ტაბ. XLVI, სურ. 1), სტელის ფრაგმენტი ჩაშენებული ამავე ეკლესიის სამხრეთ კედელში შიგნიდან (იხ. ტაბ. LI, სურ. 2) და სტელის ფრაგმენტი ჩაშენებული ეკლესიის სამხრეთ კედელში გარედან (იხ. ტაბ. XLV, სურ. 2).

1975 წ. 5 აგვისტოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლის ოთარ თორთლაძის მეთვალყურეობით დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღნიშნული ფრაგმენტები გამოიღო კედლებიდან (ერთი ფრაგმენტი ჩაშენებული იყო შიგნით კედლის წყობაში, რომელიც ნაწილობრივ მოჩანდა და ისიც წამოვიღეთ (იხ. ტაბ. LII, სურ. 3). ამ მუშაობაში სარესტავრაციო სახელოსნოებიდან, მონაწილეობას ღებულობდა ფოტოგრაფი ი. პინაევი, რომელმაც ექსპედიციის ფოტოგრაფთან ნ. არჩვაძესთან ერთად, ფირზე აღბეჭდა მუშაობის პროცესი.

მას შემდეგ რაც ზემოხსენებული ქვები გამოვიღეთ კედლების წყობიდან, გამოირკვა, რომ სტელების დანარჩენი წახნაგებიც შემკული ყოფილა მეტად საინტერესო ორნამენტებით, რის შედეგადაც ჩვენი წარმოდგენა და ცოდნა ადრექრისტიანული ხანის ამ მნიშვნელოვანი ძეგლების შესახებ გამდიდრდა (იხ. გვ. 103).

დასასრულ, სტელის კიდევ ერთი ანალოგიური ფრაგმენტია ჩაშენებული ეკლესიის სამხრეთ კედელში, შიგნიდან, დაბლა (ზომით h — 0,57 მ სისქე— 0,2×0,2; ტაბ. LI, სურ. 2). მის წინა წახნაგზე კარგად არის შერჩენილი და გამოსახული ბოლნური მედალიონის კლასიკური ნიმუში, რომელიც ბუნზეა დადგმული, ხოლო ბუნის ორსავე მხარეს, აყვავებული ჯვრის ნიშნად სტილიზებული ნახევარპალმეტებია შესანიშნავად გაშლილი. მთელი ეს კომპოზიცია ეყრდნობა სამსაფეხურიან კვარცხლბეკს, რომლის ზედა საფეხურის ცენტრში გამოსახულია ტრადიციული სამფურცელა ყვავილი: ეს არის დიდი ოსტატობით შესრულებული ქრისტიანული შინაარსის კომპოზიცია. ამგვარად, ს. ბალიჭების ეს უსახური ეკლესია, რომელიც თავისთავად არაფერს არ წარმოადგენს, ინახავს ჩვენი უძველესი მაღალი ხელოვნების ნიმუშების მთელ განძს.

შემდეგი შესანიშნავი ეკლესია, რომელმაც შემოგვინახა მდიდარი კოლექცია ადრექრისტიანული ხანის ქვის უნიკალური ძეგლებისა არის **სათხის ეკლესია** ბოლნისის რაიონში. ეკლესია მდებარეობს სოციალისტური ქალაქის მადნეულის მახლობლად, კაზრეთის ხეობაში, დაბურულ ტყეში, მადნეულიდან სამხრეთით 2—2,5 კმ მანძილზე. ძეგლს ადამიანი მხოლოდ მაშინ შენიშნავს, როცა ზედ წაადგება. აქ არის მთელი კომპლექსი სხვადასხვა საუკუნეების საეკლესიო ნაგებობებისა, რომელიც სრულიად უპატრონოდ, უყურადღებოდ არის მიტოვებული და თანდათან ინგრევა, ნადგურდება.

სათხის არქიტექტურული კომპლექსი სხვადასხვა საუკუნის რამდენიმე ნაგებობისა და ეკლესიისაგან შედგება. მთავარი ეკლესია, რომელიც შესანიშნა-

ვად გათლილი ქვებითაა ნაშენი, საინტერესოა არა მარტო თავისი არქიტექტურით, ძუნწი ორნამენტული შოტივებით, არამედ ლაპიდარული წარწერებითაც. იგი წარმოადგენს ერთხავიან დარბაზული ტიპის ეკლესიას (ზომით 15,0×6,7 მ.), რომელსაც გარშემო მიშენებული აქვს სხვა ნაგებობები სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით (ტაბ. LIII, სურ. 1 — მთავარი ეკლესიის აღმ. ფასადი; სურ. 2 — გეგმა ეკლესიებისა). მთავარ, შუა ეკლესიას სამხრეთის მხრიდან მიშენებული აქვს სტოა შუაში გაწოყოფილი შემაღლებული კარიბჭით[102]. ეკლესიის ხაწილებს შორის უძველესი ჩანს ჩრდილოეთის ეკვდერი. შემდეგაა აშენებული მთავარი ეკლესია[103]. ყველაზე გვიან ნაგებობას წარმოადგენს ჩრდ.-დასავლეთ კუთხის მინაშენი. სათხის კომპლექსის მთავარი კორპუსი (გეგმის შუა ხაწილი) წარმოადგენს X საუკ. მიწურულის ნაგებობას[104]. ბოლო, სამხრეთ-დასავლეთის მინაშენი XIII საუკუნ. პირველ მეოთხედში ყოფილა აგებული. რაც შეეხება ჩრდილო-აღმოსავლეთის ეკვტერს, მას დაკარგული აქვს თავდაპირველი სახე და ჩანს, არაერთხელ ყოფილა გადაკეთებული. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით (კედლების ქვედა, ძველი წყობა, ქვების სხვადასხვა ფერი, საერთოდ მშენებლობის ტექნიკა), აღნიშნული ეკვტერი ვ. დოლიძეს მიაჩნია სათხის არქიტექტურული ანსამბლის ნაგებობიდან ყველაზე ადრინდელ ნაგებობად, თუმცა იგი მის კონკრეტულ, აბსოლუტურ თარიღს არ ასახელებს. სწორედ ამ ჩრდ.-აღმოსავლეთის ეკვტერის კედლებშია ჩაშენებული უძველესი სტელების და მათი ბაზისების ფრაგმენტები ყველაზე მეტი რაოდენობით. უფრო ნაკლები ფრაგმენტებია ჩაშენებული მთავარი ეკლესიის კედლებში; მიუხედავად ამისა, საერთოდ, სათხის ეკლესია უძველესი ქვის ძეგლების ფრაგმენტების რაოდენობისა, მნიშვნელობისა და სხვადასხვაობის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ობიექტია.

სათხის ჩრდ.-აღმოსავლეთ ეკვტერის კედლებში სულ ჩაშენებულია სტელების 12 სხვადასხვა ფრაგმენტი, მათ შორის საკუთრივ სტელების ფრაგმენტებია — 7, ბაზისებისა — 5. მთავარი ეკლესიის კედლებში ჩაშენებულია სტელების ორი ფრაგმენტი და ორიც ბაზისი.

ჩრდ.-აღმოსავლეთ ეკვტერის კედლებში ჩაშენებულ უძველესი სტელების ფრაგმენტებიდან ყურადღებას იქცევს დიდი, ექვს (თუ რვა) წახნაგა სტელების ფრაგმენტები (ტაბ. LIV, სურ. 1 და 2), ჩაშენებული ამ პატარა ეკლესიის საკურთხევლის წინ, ორივე მხარეს. სამხრეთის სტელის (ზომით h — 1,47 მ., სისქე — 0,45) ზედაპირის ერთი ნაწილი, რომელიც ეკლესიის კედლის გარეთ არის მოქცეული და დასანახია, შემკულია ერთმანეთის ზემოთ (სტელის ფრაგმენტის მთელ სიმაღლეზე), ვერტიკალურად განლაგებული ბოლნური მედალიონების მთელი წყებით (ჩანს 6 მედალიონი, სტელის ქვედა ნაწილი მიწაშია ჩამჯდარი). ეს მედალიონები იმითაც არის საინტერესო, რომ ამ ერთ ძეგლზე ჩვენ ვხედავთ ბოლნური მედალიონების ყველა ვარიანტს, რომელიც კი გავრცელებული იყო ადრექრისტიანული ხანის საქართველოში. ეს სხვადასხვაობა გამოიხატება მედალიონების ჩარჩოების შემკულობის მოტივებში. ეს მოტივებია:

---

[102] ვ. დოლიძე, კაზრეთის ხეობის ორი ხუროთმოძღვრული ძეგლი, „ძეგლის მეგობარი“, 20, თბ., 1970, გვ. 4—18.

[103] იქვე. გვ. 8.

[104] იქვე. გვ. 13.

ტრადიციული, ცერადკვეთილი სამკუთხედების ჯაჭვი, რელიეფური „კოპები“ ჯაჭვივით განლაგებული ჩარჩოს გარშემო, ირიბად დაშტრიხული ჩარჩო კონცენტრულ წრეხაზებს შორის (გრეხილის შთაბეჭდილებას რომ ქმნის), კონცენტრული ღარები და სხვა (ტაბ. LV, სურ. 1—2). ამ შემთხვევაში გვაქვს მთელი შკალა ბოლნური მედალიონის სხვადასხვა ტიპებისა. ამ მხრივ ეს არის უნიკალური ძეგლი. ერთმანეთის გვერდით განლაგებულ ზემოხსენებულ მედალიონებს შორის შექმნილ კუთხეებში გამოსახულია სამფურცელა (ლოტოსის) ყვავილები. ამ სტელის წინა წახნაგი სულ გაცვეთილი და გადალესილია, რის გამოც ორნამენტი მთლად წაშლილია. სტელის წიბოები მთელ სიმაღლეზე ცერად არის დაშტრიხული, რაც გრეხილის შთაბეჭდილებას ქმნის. „გრეხილებს“ შორის ვიწრო წახნაგზე (სტელის თითოეულ, შედარებით ფართო წახნაგს გვერდით მოჰყვება ვიწრო წახნაგი, შემდეგ კვლავ ფართო და ა. შ.) ამოჭრილია ცერადკვეთილი სამკუთხედები. სავარაუდებელია, რომ სტელის ის ნაწილი, რომელიც კედლის წყობაშია ძოქცეული, უკეთ უნდა იყოს დაცული, მაგრამ სწორედ ეს ნაწილია თვალისათვის მიუწვდომელი.

შეორე, ასეთივე სტელის ფრაგმენტი, რომელიც ჩაშენებულია საკურთხევლის წინ NO-ეთ კუთხეში (ზომით h — 1,38 მ., სისქე — 0,45 მ), როგორც ღიად დარჩენილ ზედაპირის მიხედვით ჩანს, მისი ერთი წახნაგი შემკული ყოფილა აგრეთვე ბოლნური მედალიონებით, ხოლო მეორე წახნაგზე გამოსახულია ერთმანეთზე ჯაჭვივით გადამბული რელიეფური რგოლები ისევე, როგორც ამას ვხედავთ ხანდისის სტელის ერთ წახნაგზე[105]. სტელის ეს ფრაგმენტიც, განსაკუთრებით კი მისი გაშიშვლებული წახნაგები, მეტისმეტადაა გაცვეთილი ატმოსფერული ნალექების გამო და მისი ორნამენტული მოტივების ნაწილი სამუდამოდ წაშლილია. ამ სტელასაც ვიწრო წახნაგების მთელ სიმაღლეზე ჩაუყვება „გრეხილი“ წიბო, აგრეთვე ცერადკვეთილი სამკუთხედების არშია.

სრულიად ცხადი იყო, რომ სათხის ეკლესიის ჩრდ. ეკვტერის საკურთხევლის ორივე მხარეს ჩაშენებული ზემოხსენებული ფრაგმენტები, ჩადგმული უნდა იყოს მაშინ, როდესაც ამ შესანიშნავ სტელას უკვე კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა თავისი ფუნქცია და, როცა თვით ეკლესიაც, დროთა ვითარების გამო, საჭიროებდა შეკეთებას. სტელის ფრაგმენტები ჩადგმულია, როგორც სამშენი მასალა და არა როგორც სტელა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი დაკვირვებით, ზემოხსენებული ორი ფრაგმენტი ერთი სტელის ნაწილებს უნდა წარმოადგენდეს; სტელა ორ, მეტ-ნაკლებად თანაბარ ნაწილად გაუტეხიათ და ფრაგმენტები ცალ-ცალკე ჩაუდგამთ საკურთხევლის წინ. ცხადი იყო ისიც, რომ სტელების ნაწილები, რომლებიც, აგრეთვე, ჩუქურთმებით უნდა ყოფილიყო შემკული, მიწაში იყო ჩადგმული. ამის გამო ჩვენ სტელის ფრაგმენტების გარშემო ამოვთხარეთ მიწა, რის შედეგადაც კარგად გამოჩნდა, რომ საკურთხევლის ჩრდილოეთით სტელის ფრაგმენტი თავდაყირა ჩაუდგამთ მიწაში; ამ სტელას ჰქონია კორპუსთან ერთად, ერთი ქვისაგან გამოთლილი კაპიტელი კუბური ფორმისა, კორპუსზე უფრო ფართო, და სწორედ ეს ნაწილი იყო მიწაში ჩასმული.

კაპიტელის ერთ წახნაგზე კარგად ჩანდა ბოლნური მედალიონი და მედალი-

---

[105] Н. Чубинашвили, Хандиси, სურ. 1.

ონის ზემოთ, კაპიტელის კუთხეებში გამოქანდაკებული სამფურცელა ყვავილები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯვრის მკლავები გამოდის მედალიონის წრიულ ჩარჩოდან (ტაბ. LVI, სურ. 1—2). კაპიტელს ზემოთ, მთელ მის სიგრძეზე, გასდევს რელიეფური, ირიბად დაშტრიხული არშია, სრულიად ცხადია, რომ კაპიტელს შეშკული ექნებოდა დანარჩენი წახნაგებიც, მაგრამ ისინი მოქცეულია კედლის წყობაში და არ ჩანს.

ამას შემდეგ, რაც ბოლომდე გავწმინდეთ სტელების ფრაგმენტები, მოხერხდა მათი საბოლოო ზომების დადგენაც. საკურთხევლის სამხრ.-დასავლეთ კუთხეში ჩაშენებული სტელის ფრაგმენტის (რომელსაც შერჩენილი აქვს კაპიტელი) ზომა უდრის 1,81 მ, ხოლო ჩრდ.-დასავლეთის კუთხეში ჩაშენებული ფრაგმენტისა — 1,97 მ. აქვე აღსანიშნავია, რომ სტელის ამ ფრაგმენტის ქვედა ნახევარი არ არის მთლიანად შერჩენილი, მას გაგრძელება აკლია. მიუხედავად ამისა, შერჩენილი ფრაგმენტების მიხედვით სრულიად ცხადია, რომ ამ სტელის სიმაღლე 4 მ აღემატებოდა. ამ მხრივაც, ეს სტელა ერთ-ერთ უნიკალურ ძეგლად უნდა მივიჩნიოთ ბრდაძორის სტელის შემდეგ. სტელის ფრაგმენტების გაზომვისა და ფოტოფიქსაციის შემდეგ მათი ქვედა ნაწილები ისევ მიწით დავფარეთ, როგორადაც თავიდან იყო დაფარული.

ზემოხსენებული სტელების ორივე ფრაგმენტიდან, ერთს, რომელიც ჩაშენებულია საკურთხევლის სამხრეთ კუთხეში, ზემოდან ადევს ტუფის ბაზისი (ზომით 0,57×0,56 მ. აღმ. წახნაგის ზომაა 0,49 მ.) რომლის ძირი გარეთაა მოქცეული, ხოლო მისი დანარჩენი წახნაგები ეკლესიის სამხრეთ კედელშია ჩაშენებული, საკურთხეველთან. ამ ბაზისის მრჯვენა, S მხარეს კედლის წყობა ცოტა გახსნილია და ამ ადგილას კარგად ჩანს ბაზისის ამ წახნაგზე შესანიშნავი ბოლნური მედალიონის მცირე ნაწილი და Kost-ების ბოლოები, რომლებიც ორივე მხრიდან აუყვებიან მედალიონს. ამ ბაზისის მედალიონის არშია ცერადკვეთილი სამკუთხედების უწყვეტი ჯაჭვისაგან შედგება. ამ ნიშნების მიხედვითაც კი კარგად ჩანს, რომ ეს ბაზისი ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლთაგანი უნდა იყოს ადრექრისტიანული ხელოვნებისა.

ამ პატარა ეკვტერში, მის სამხრეთ კედელში, კარის ჭრილის თავზე ჩაშენებულია სტელის ერთი ფრაგმენტი ვაზის რტოს ტრადიციული რელიეფური მოტივით (ზომ. 0,69×0,32 მ. ტაბ. LVII, სურ. 2), ხოლო მისგან ცოტა დასავლეთით, მეორე ფრაგმენტი სტელისა (ტაბ. იგივე, სურ. 1), რომელიც, აგრეთვე, ვაზის რტოს მოტივითაა შემკული (ზომა 0,75×0,31 მ.). ფრაგმენტები არ უნდა წარმოადგენდნენ ერთი სტელის ნაწილებს. ამ ფრაგმენტებზე გამოსახული ვაზის რტოს მოტივი, ჩვენი აზრით, ძალიან ძველი უნდა იყოს.

ადრექრისტიანული ხანის ქარხული მცირე ხელოვნების განსაკუთრებულ ნიმუშს წარმოადგენს მუქი წითელი ტუფის შედარებით მცირე ბაზისი (ზომით 0,53×0,41 მ. მედალიონის d — 0,3 მ) ჩაშენებული ეკვტერის აღმოსავლეთ კედლის ფასადში (ტაბ. LVIII, სურ. 1). ბოლნური ორკანტიანი ტოლმკლავებიანი ჯვარი შესმულია ორ რელიეფურ კონცენტრულ წრეში, ხოლო არე წრეხაზებს შორის შევსებულია მშვენიერი სამფურცლოვანი ყვავილებით, თითქოს, ჯვარი ჩასმული იყოს „ყვავილების გვირგვინში“. ამ მედალიონს ორივე მხრიდან ორი ფარშევანგის გამოსახულება ამშვენებს მარაოსავით გაშლილი ფრთებით; ფარშევანგებს ნისკარტებით უჭირავთ ყურძნის მტევნები.

დასასრულ, ამავე ეკვტერის ჩრდილოეთ კედელში გარედან ჩაშენებული იყოს სტელის კაპიტელი (ზომა 0,31×0,35 მ). ოთხელზედაც გამოსახულია ბოლნური მედალიონი პატარა სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩარჩოში. მედალიონი დადგმულია დაბალ ბუნზე, რომლის ორსავე მხარეს ნახევარპალმეტებია ქვაზე ამოჭრილი (ტაბ. LVIII, სურ. 2).

მედალიონს ზევით კაპიტელის ნაწილი ლავგარდანივით წინ არის გამოწეული და ზედ ამოჭრილია ვარდულის ორ-ორი ერთად დაკავშირებული ქვედა ფურცლების მწკრივი, ნახევარვარდულები. ამ მოტივსაც ვხვდებით ბოლნისის სიონის შემკულობის მოტივებს შორის.

1977 წ. სტელის ზემოხსენებული კაპიტელი ფრთხილად გამოვიღეთ კედლის წყობიდან, რის შედეგადაც როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა კაპიტელის დანარჩენი წახნაგების მეტად საინტერესო ჩუქურთმები (ტაბ. LIX); კაპიტელის მეორე წახნაგზე გამოსახულია ტოლმკლავებიანი ჯვარი, რომლის მკლავებშორის უბეებში, ჩასმულია ყურძნის მტევნებისა (ჯვრის ჰორიზონტალურ მკლავებს ქვევით) და ვაზის ფოთლების (ჰორიზონტალურ მკლავებს ზევით) გამოსახულებანი. ორ დანარჩენ წახნაგზე გამოსახულია მრავალფურცლიანი (თვრამეტფურცლიანი) გაშლილი ვარდულები მაღალ ღეროზე, ხოლო თითოეული ვარდულის ორივე მხარეს გამოსახულია ზეაღმართული მოხდენილი ნახევარპალმეტები. ეს კომპოზიცია დადგმულია დაბალ კვარცხლბეკებზე. თითოეულ წახნაგს ზედა ნაწილი ისევე ჰქონია ლავგარდანივით წინ წამოწეული, როგორც პირველ წახნაგს, მაგრამ სამი წახნაგიდან, მხოლოდ ერთ წახნაგს აქვს კარგად შერჩეხილი წინ წამოწეული ნაწილი, რომელზედაც კარგად ჩანს პატარა სამკუთხედების ჯაჭვისაგან შედგენილი არშია ორმწკრივად.

დასასრულ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კაპიტელის ბრტყელ თავზე შერჩენილია სამი მთავრული ასო „ბრა“. მნიშვნელოვანია, რომ მთავრული „ბ“-ანი თავშეკრულია, რაც მის სიძველეზე მიგვითითებს.

სათხის მთავარი ეკლესიაც საინტერესოა უძველეს ქვის ძეგლებით. ამ ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში ჰორიზონტალურად ჩაშენებულია სტელის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონებით (ზომით 1,0×0,3 მ.). სტელაზე შერჩენილია ოშვიათი ოსტატობით შესრულებული მედალიონი დადგმული ბუნზე; ბუნის ორსავე მხარეს მეტად ლამაზად, მოხდენილად შესრულებული სტილიზებული ნახევარპალმეტებია. მთელი ეს კომპოზიცია დადგმულია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე, რომლებშიაც ჩასმულია სამფურცელა ყვავილები. ამავე სტელაზე ამოჭრილი ყოფილა კიდევ ასეთივე კომპოზიცია, რომლის ერთი ნაწილი შერჩენილია ამ ფრაგმენტზე (ტაბ. LX, სურ. 1). მეტად საინტერესოა და უძველესი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს მეორე ფრაგმენტი სტელისა ჩაშენებული ამავე კედელში (ტაბ. LXI, სურ. 1). სტელის ფრაგმენტზე (ზომ. 0,66×0,14 მ) ისეთი ოსტატობით არის გამოსახული ვაზის რტოს მოტივი ყურძნის მტევნებით, ფოთლებით და სპირალურად დახვეული „ულვაშებით“, რომ ნაქარგს მოგვაგონებს.

ამავე ეკლესიის კედლებში ჩაშენებულია აგრეთვე ორი სხვადასხვა ბაზისის ფრაგმენტები. ერთი მათგანი ზემოხსენებული სტელის დიდი ფრაგმენტის მარჯვნივაა ჩაშენებული (ზომ. 0,49×0,30 მ.) და მუქი წითელი ტუფისაგანაა გამოჭრილი. ამ ფრაგმენტზე შერჩენილია ტიპური ბოლნური მედალიონი (ტაბ.

LXI, სურ. 2) ყოველგვარი სამკაულის გარეშე. ძალიან საინტერესოა მეორე ბაზისის ქვა მედალიონით, რომელიც ამავე კედელშია ჩაშენებული, მაგრამ ცოტა მარცხნივ ზემოხსენებული ფრაგმენტისაგან. ეს მედალიონიც ტიპური, კლასიკური მედალიონია ასევე ოსტატურად ამოჭრილი ქვაზე.

მეტად საინტერესო კოლექცია უძველესი სტელებისა აღმოჩნდა, ერთი შეხედვით მეტად უმნიშვნელო პატარა ეკლესიის ნანგრევებში, რომელსაც დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1964 წელს მიაკვლია ს. კაზრეთიდან ჩრდილო-დასავლეთით 2—3 კმ მანძილზე, ტყით დაფარულ ფერდობზე. იმ ადგილებში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბუჩურაშენს“ უწოდებდა, სადაც მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის კარიერები იწყებოდა[105]. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწაში იყო ჩამჯდარი (სწორედ ამის გამო მისი ჩრდ. კედლის აზომვა სათანადოდ ვერ მოხერხდა)[107] და თვით ეკლესიის კედლები, სახურავი მნიშვნელოვნად იყო შემოძარცული, მაინც ეტყობოდა კედლების ფრაგმენტებით და განსაკუთრებით კი ეკლესიის შინაგანი ფასადებით, რომ ეკლესია ნატეხი, პატარა ქვებით იყო ნაშენი და გათლილი მოზრდილი ქვები მხოლოდ აქა-იქ ჰქონდა ჩაშენებული (ტაბ. LXII, სურ. 1; ტაბ. LXIII, სურ. 1 და 2).

ბუჩურაშენის ეკლესია წარმოადგენდა დარბაზული ტიპის მცირე ნაგებობას (ტაბ. LXII, სურ. 2, გეგმა და ჭრილი, ზომ. 3,2×2,2 მ. კარის ჭრილის ზომა — 0,75 მ. კედლების სისქე — 0,55 მ). იგი თავისი გეგმით აკლდამისებურ ნაგებობას მოგვაგონებდა. მას არ გააჩნდა ნახევარწრიული აბსიდა და სარკმელიც მხოლოდ ერთ—აღმოსავლეთის კედელში ჰქონდა დატანებული. როგორც გეგმა გვიჩვენებს, იგი არ იყო წესიერი ფორმის, მისი გეგმა უსწორმასწორო იყო.

ეკლესიის შერჩენილი თაღისებრი გადახურვის მიხედვით სრულიად ცხადი იყო, რომ ეკლესიას ორფერდა სახურავი უნდა ჰქონოდა.

თუმცა ეკლესია როგორც თავისი მასშტაბით, ისე არქიტექტურით ყურადღებას არ იქცევდა, იგი მაინც მეტად საინტერესო ძეგლი აღმოჩნდა; საინტერესო იყო როგორც თავისი გეგმით (რის შესახებაც ქვევით გვექნება საუბარი), ისე ადრექრისტიანული ხანის ქვის ძეგლებით, რომელთა ნაწილი ჩაშენებული იყო მისი კედლების წყობაში, ხოლო ნაწილი მის სიახლოვეს ზედაპირულად აღმოჩნდა. დმანისის ექსპედიციას არ ჩაუტარებია გათხრა არც ეკლესიის ინტერიერში და არც მის მომიჯნავე ტერიტორიაზე, მაგრამ ქვის სტელებისა და ბაზების ფრაგმენტები, რომლებიც ზედაპირულად მოიპოვებოდა, ყველა წამოვიღეთ და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ჩავაბარეთ.

ამ ძეგლებიდან, რომლებსაც ჩვენ ეკლესიაში თუ მის გარშემო მივაკვლიეთ უპირველესად ყოვლისა, ყურადღება მიიქცია კარგად გათლილმა ქვამ ბოლნუ-

---

[106] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXVIII—B, თბ., 1969, გვ. 75, 76; ტაბ. XII; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქემო ქართლიდან, „ძეგლის მეგობარი“, 20. თბ., 1970, გვ. 52—63; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, კაზრეთის ბერძნული წარწერა, სსმ „მოამბე“, XXVII—B, 1967, გვ. 152—165; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ჩვენი ისტორიის ერთი მემატიანე—„ძეგლის მეგობარი“, 39, თბ., 1975, გვ. 79—78.

[107] ადგილზე ეკლესიის ნანგრევები აზომა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრმა არქიტექტორმა ს. ბოლქვაძემ.

რი ჯვრით, რომელიც ჩაშენებული იყო ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში, შიგნიდან, სარკმლის ქვემოთ (ტაბ. LXIII, სურ. 1). მეორე ნაწილი ამ ქვისა ეკლესიის შიგნით აღმოჩნდა. სწორედ ამ ქვას აღმოაჩნდა ბერძნული გამოქანდაკებული წარწერა. კედელში ჩადგმულ ქვის ერთ შიდა ნაწილს, რომელიც გარედან ნაწილობრივ მოჩანდა, წარწერის ნიშნები ემჩნეოდა. ამის გამო ეს ქვაც, რომელიც თავის ადგილას არ იყო ჩადგმული, გამოვიღეთ და გამოირკვა, რომ ორივე ქვა ერთი ბაზისის ორ ნახევარს წარმოადგენს. სტელის ბაზისის ოთხივე წახნაგზე აღმოჩნდა სხვადასხვა ორნამენტული მოტივები და ორ წახნაგზე კი ერთი ბერძნული წარწერის ორი ნაწილი (ტაბ. LXIV, სურ. 1 და 2; LXV სურ. 1 და 2).

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ბაზისის ის წახნაგები, რომლებზედაც ბერძნული წარწერის ტექსტია შერჩენილი. წარწერიანი წახნაგებიდან წინა წახნაგი უკეთ არის შერჩენილი. აქ წარწერის ასოებიც კარგად ჩანს და ორნამენტული მოტივებიც, რომლითაც ეს წახნაგია შემკული (ტაბ. LXIV, სურ. 1). აქ გამოხატულია რელიეფური კამარა დაყრდნობილი ორ დაჩრელებულ სვეტზე, ხოლო კამარის ქვეშ, სვეტებს შორის, მოთავსებულია არატოლმკლავებიანი ჯვრის გამოსახულება. ამ ჯვრის ზედა და ქვედა მკლავი, გვერდით მკლავებზე უფრო გრძელია. ჯვრის მკლავებს კონტურების გაყოლებაზე შემოუყვება არშიული მოტივი — ცერადკვეთილი პატარა სამკუთხედებისაგან შედგენილი არშია, ხოლო ცენტრში (ჯვრის) მოთავსებულია ექვსფურცლოვანი ვარდული. სვეტების მთელი ზედაპირი დაფარულია პაწია ოთხკუთხედებისაგან შედგენილი მთელი ბადით, რომლებიც ასევე ცერადკვეთით არის ამოჭრილი. ეს სვეტები დადგმულია ტრაპეციული ფორმის ბაზებზე. ბერძნული წარწერა მოთავსებულია კამარის ზემოთ, ორსავე მხარეს და გაშიფრულია პროფ. თ. ყაუხჩიშვილის მიერ შემდეგნაირად: „სალოცველად სიმეონისა და ავლიანოსისა, ყოვლითა მათითა სახლითურთ. უფალო შეეწიე თეოდორეს“[108].. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს წარწერა იწყება და მთავრდება ზემოხსენებულ წახნაგზე, ხოლო მის საპირისპირო წახნაგზე შერჩენილია ბერძნული წარწერის ფრაგმენტი 8 ასოს სახით. ამ მეორე, ზურგის წახნაგზეც გამოსახული ყოფილა ზემოაღწერილი კამარა, დაყრდნობილი ორ დაჩრელებულ სვეტზე, ხოლო ცენტრში აქაც, სვეტებს შორის გამოსახული ყოფილა არატოლმკლავებიანი ჯვარი ისეთივე, როგორსაც მოპირდაპირე წახნაგზე ვხედავთ. ეს ყოველივე კარგად ჩანს ამ წახნაგზე, მიუხედავად იმისა, რომ წახნაგი საგრძნობლად დაზიანებულია წინასთან შედარებით (ტაბ. LXIV სურ. 2).

ზემოხსენებული ბერძნული წარწერა პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნების საფუძველზე დათარიღებულია თ. ყაუხჩიშვილის მიერ VII—IX სს.

ამ ბაზისთან დაკავშირებით საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ მის დანარჩენ ორ წახნაგზე გამოსახულია ბოლნური მედალიონები, ოღონდ ერთ მათგანზე (ტაბ. LXV, სურ. 1) კარგად ჩანს, რომ ტიპური ბოლნური ჯვარი ჩასმული ყოფილა სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩარჩოში, ხოლო მეორე წახნაგზე, ბოლნური ჯვარი უფრო დიდია და უბრალოდ წრიულ ჩარჩოშია ჩასმული (სურ. 2).

---

[108] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, კაზრეთის ბერძნული წარწერა „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე“, XXVII—B, თბ., 1967, გვ. 152—165.

ასევე სრულ მსგავსებას იჩენენ ბოლნისის სიონის მედალიონებთან ის მედალიონები, რომლებიც გამოსახულია ბუჩურაშენის ეკლესიის უშუალო სიახლოვეს აღმოჩენილ სტელების კაპიტელებზე (ტაბ. LXVI, სურ. 1 და 2). ამ გვერდებშეზნექილი კაპიტელის ფრაგმენტი (ტაბ. LXVI, სურ. 1) საინტერესოა იმით, რომ მის ერთ წახნაგზე გამოქანდაკებულია „კლასიკური" ბოლნური მედალიონი; ამ კაპიტელზე გამოსახული დაბალბუნიანი ტოლმკლავებიანი ბოლნური ჯვარი ჩასმულია ორ კონცენტრულ წრეში, რომელთა შორის დარჩენილი არე შევსებულია პატარა სამკუთხედებისაგან შედგენილი ჯაჭვით. საინტერესოა, რომ მედალიონის ორსავე მხარეს გამოქანდაკებულია მცენარეული მოტივი, რომლის ღეროები ზევით თავდება ნავისებური ფორმის სამი გაშლილი ფურცლით. ეს მოტივი ახლო ანალოგიას პოულობს ბოლნისის სიონის შუა ნავის სვეტების ჩრდ. მწკრივის მესამე სვეტზე გამოქანდაკებულ მედალიონთან. ამ მედალიონს ზემოდან აქვს გაკეთებული მთავრული წარწერა, რომელშიც იხსენიება ვინმე ვარდანი ԴՐ-Հ და რომელიც, ამიტომ, ვარდანის ჯვრის სახელითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში[109]. ბუჩურაშენის აღნიშნულ კაპიტელზე შერჩენილია მხოლოდ ამ სამფურცელა მცენარეული მოტივის მარჯვენა ნაწილი და, თუმცა, მარცხენა მხარეზე ანალოგიურ მოტივს ვერ ვხედავთ, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ კაპიტელის მარცხენა, ზედა ნახევარი ჩამოტეხილია. სრულიად ცხადია, რომ ასეთივე სამფურცელა მცენარეული მოტივი ექნებოდა ამ მედალიონს მარცხენა მხარესაც. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კაპიტელს, მედალიონის ზემოთ ამოჭრილი ჰქონია ფართო არშია, შედგენილი ნახევარვარდულებისაგან, რასაც, როგორც უკვე ითქვა, ვხვდებით ბოლნისის სიონის კაპიტელებზე და ბაზებზე[110].

ამავე კაპიტელის მეორე წანხაგზე ამოჭრილია წრიულ ჩარჩოში ჩასმული ექვსფურცელა ვარდული. წრეებშორისი არე აქაც შევსებულია ცერადკვეთილი პაწია სამკუთხედების ჯაჭვით (ტაბ. LXVII, სურ. 1). ამ თავისებური მედალიონის ორსავე მხარეს, ამ შემთხვევაშიც, ამოჭრილი ყოფილა სამფოთოლა (სამყურა) მცენარეული მოტივები. ეს მცენარეული მოტივებიც არ არის ბოლომდე დეტალურად დამუშავებული.

მესამე წახნაგზე, რომელიც საგრძნობლად დაზიანებულია (ტაბ. LXVIII, სურ. 1), კარგად ჩანს კაპიტელის ზემო ნახევარში შესანიშნავად შესრულებული ოთხფურცელა ვარდულების ორ-ორი ზედა ფურცელი (ნახევარვარდულები), ხოლო ვარდულების ზემოთ, ვიწრო არშიის სახით ცერადკვეთით მიჯრით ამოჭრილი ოთხკუთხედების ორი მწკრივი. თითოეული ოთხკუთხედი ერთმანეთის გადამკვეთი ორი დიაგონალით ოთხ ნაწილად არის გაყოფილი. ეს ძალიან საინტერესო დეტალია, რადგან ასეთ უნიკალურ მოტივს ვხვდებით ბოლნისის სიონის ორნამენტიკაში, აგრეთვე ბუჩურაშენის ეკლესიაში აღმოჩენილ ბერ-

---

[109] Г. Н. Чубинашвили, Болниси, სურ. 113..

[110] იქვე, ტაბ. VII, ჩრდ. სტოას დას. ღიობის ბაზა, აგრეთვე ტაბ. VIII, იმავე სტოას კაპიტელი.

ძნულწარწერიან სტელის ბაზის შემკულობაში, რაზედაც ზევით იყო საუბარი[111].

ამას გარდა, სტელის კაპიტელის ეს წახნაგი იმითაც არის საინტერესო, რომ კაპიტელის ძირში კარგად ჩანს გრძელი და ვიწრო ხვრელი (d—2,8 სმ.), რადგან კაპიტელი სტელის თავზე უნდა ყოფილიყო დადგმული, ამიტომ ასევითვე საპირისპირო ხვრელი სტელას უნდა ჰქონოდა თავში იმისათვის, რომ კაპიტელი სტელის თავზე საიმედოდ დამაგრებულიყო. უეჭველია ამას აღწევდნენ რკინის ღერძის საშუალებით, რომლის ერთი თავი ჩადგმული იყო სტელის ხვრელში, ხოლო მეორე — კაპიტელის ხვრელში.

კაპიტელის მეოთხე წახნაგის ზედაპირი შემკულია ბადური მოტივით (ტაბ. LXVIII, სურ. 2) — ერთმანეთის მიყოლებით ამოჭრილი პაწია ოთხკუთხედებით.

არანაკლებ საინტერესოა ასევე გვერდებშეზნექილი მეორე კაპიტელის ფრაგმენტი (ტაბ. LXVII, სურ. 1), რომლის ერთ წახნაგზე გამოსახულია ტიპური ბოლნური მედალიონი, ჩასმული სამკუთხედებისაგან შედგენილ წრიულ ჩარჩოში. მედალიონი თავისი დეტალებით რამდენადმე განსხვავდება ზემოხსენებულ კაპიტელის მედალიონისაგან.

მედალიონს ზევით გასდევს ფართო არშია, შედგენილი ოსტატურად ამოჭრილი სამფურცელა ყვავილების და მათ შორის უბეებში ჩასმული რელიეფური წიწვოვანი მოტივებით.

კაპიტელის მეორე წახნაგზე ამოჭრილია მოხდენილი ნახევარპალმეტები (ტაბ. LXVI, სურ. 2), რომელთა შორის სამფურცელა ყვავილის გამოსახულება უნდა ყოფილიყო. სხვა წახნაგები კაპიტელს ჩამოტეხილი აქვს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ კაპიტელსაც შერჩეული აქვს ვიწრო ხვრელი.

ამგვარად, სტელების ეს ფრაგმენტები მეტად საინტერესო და უძველეს ძეგლებს უნდა წარმოადგენდნენ როგორც თავისი ორნამენტული მოტივებით, ქრისტიანული სიმბოლიკით, ისე დიდოსტატური შესრულებით.

ამ ძეგლებთან მეორეჯერ 1970 წ. მოგვიხდა მისვლა და მაშინ იგი სანახევროდ დანგრეული დაგვხვდა. სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუშაკებს ძევლი აუფეთქებიათ და ამ ეკლესიის ნახევარი დაახლოებით 25—30 მ უფრო დაბლა ეყარა. ხოლო მისი მეორე ნახევარი ჯერ კიდევ ადგილზე იყო (ტაბ. LXIX, სურ. 1 და 2). აი ამ ეკლესიის ნანგრევებში ჩვენ კიდევ აღმოვაჩინეთ სტელებისა და ქვის ჯვრების ფრაგმენტები უდავოდ უძველესი პერიოდისა. განსაკუთრებით საინტერესოა სტელის ფრაგმენტი ვაზის რტოს მოტივით. ფრაგმენტზე გამოსახულ ყურძნის მტევნებს ეტანებიან ერთ შემთხვევაში გაურკვეველი ცხოველი

---

[111] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 163, სურ. 94, ბოლნისის ტაძრის სტოას ჩრდ. ღიობი, დას. კაპიტელი, იხ., აგრეთვე ჩვენი ტაბ. LXIV, სურ. 1 და 2.

(ძელა?), ხოლო მეორე შემთხვევაში ფრინველი. ასეთი კომპოზიციები გვხვდება, როგორც ბოლნისის სიონის კაპიტელებზე, ისე სხვა უძველეს ქვის ძეგლებზედაც[112]. აქვე აღმოჩნდა რამდენიმე ფრაგმენტი ქვის ჯვრებისა დამახასიათებელი არქაული მოტივებით (მცენარეული მოტივები, სამფურცელა ყვავილი და სხვა) (იხ. ტაბ. LXX და LXXI). საინტერესოა აქვე აღინიშნოს, რომ 1970 წ. ჯერ კიდევ მაშინ ნაწილობრივ შერჩენილი ეს ძეგლი გათხარა მუზეუმის ექსპედიციამ, რომელმაც აღმოაჩინა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ძეგლები — სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტები, ბაზისები და სხვ. ადრექრისტიანული ხანისა[113]. გათხრების შედეგად, ზემოხსენებული გვიანდელი მცირე ეკლესიის ქვეშ აღმოჩნდა, ადრინდელი ნაგებობის ნაშთი გათლილი კვადრებით ნაგები[114]. ამ ეკლესიის ნანგრევებიდან 200—300 მეტრის დაშორებით ჩვენ 1970 წ. შევაკვლიეთ კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევებს, რომელიც ხეებითა და ბუჩქებით იყო დაფარული. ამ ნანგრევების გროვაში კარგად ჩანდა დიდი სტელების ბაზისების ზედა ნაწილი და ფოსოები სტელების ჩასადგმელად (ტაბ. LXXII და LXXIII). ამ ადგილასაც მუზეუმის იმავე ექსპედიციამ აწარმოა გათხრები 1970—71 წწ. და აქაც აღმოჩნდა ეკლესიის ნანგრევები და აგრეთვე მნიშვნელოვანი ქვის ძეგლები ადრექრისტიანული ხანისა: ბაზები ბოლნური მედალიონებით, ქვის ჯვრები, სტელები და რელიეფები შემკული მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით[115]. ამგვარად, ბუჩურაშენის ამ პატარა, გვიანი ხანის ეკლესიებმა შემოგვინახეს უაღრესად მნიშვნელოვანი და მდიდარი კოლექცია ადრექრისტიანული ხანის ქვის ძეგლებისა.

საინტერესოა **ნაჭალაქარ დმანისის** ტერიტორიაზე მიკვლეული სტელისა და კაპიტელის ფრაგმენტები; ორი ფრაგმენტიდან ერთი — სტელის კაპიტელის ფრაგმენტი, რომელიც ჩაშენებული იყო **დმანისის სიონის** საკურთხევლის სამხრ. კედელში, ცნობილი იყო (ტაბ. LXXIV, სურ. 1—2). ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ქვას პირველად ყურადღება მიაქცია ლ. მუსხელიშვილმა და მისი მოკლე აღწერილობა და სურათიც გამოაქვეყნა კრებულში „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“[116].

ლ. მუსხელიშვილი ამ ქვას უწოდებს, უბრალოდ „თლილ ფილაქანს“, მაგრამ დღეს მრავალრიცხოვანი მასალის დაგროვებისა და შესწავლის საფუძველზე, ეჭვმიუტანლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის სტელის ტიპური კაპიტელი (ხომ. 0,32×0,25 მ.), რომლის ერთ წახნაგზე გამოქანდაკებულია ორი მაძაკაცის ფიგურა თავის დროის შესაბამის ტანსაცმელში, მათ შორის დადგმულ

---

[112] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. ტაბ. III; Н. Чубинашвили, Хандиси, სურ. 42, აკვანების ფილა VI საუკ.

[113] მ. სინაურიძე, თ. ბერიძე, კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 27—28, 1971, გვ. 46—49. მ. სინაურიძე, 1970—71 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, საქართ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, 1974, გვ. 92—108.

[114] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47, 93, 95.

[115] იქვე.

[116] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაჭალაქარის აღწერა), დასახ. კრებული, თბ., 1938 წ. 367, გვ. 371, სურ. 29.

მაღალ ბუნზე აღმართულია ტოლმკლავებიანი ჯვარი. თავის მხრივ ჯვრის ბუნი დადგმულია დაბალ კვარცხლბეკზე, მამაკაცის ორივე გამოსახულებას მარჯვენა ხელი აღმართული აქვს და ხელში რაღაც უჭირავს. მარცხენა ფიგურის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას სამფურცელა ყვავილი უნდა სჭეროდა, რომლის ერთი ფურცელი კარგად ჩანს, ხოლო დანარჩენი ნაწილი ამოტეხილია. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ სტელებზე, შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ანალოგიურ სიტუაციებს ვხვდებით[117]. კაბები, ორივე მამაკაცს ერთნაირი აცვია — წინ შეკრული. კაბების კიდეები ბოლოში უფრო ჩამოწეულია მის შუა ნაწილთან შედარებით და, ამგვარად, რკალივითაა გამოყვანილი ბოლოში. კაბები მუხლებს ქვევით ჩამოდის. მარცხენა ფიგურის მიხედვით ჩანს, რომ მამაკაცს მაღალყელიანი ფეხსაცმელი აცვია (მარჯვენას ქვედა ნაწილი ჩამოტეხილი აქვს), მას შემდეგ, რაც აღნიშნული კაპიტელი სიონის საკურთხევლის კედლის წყობიდან ფრთხილად გამოვიღეთ (და თბილისში ჩამოვიტანეთ)[118] აღმოჩნდა, რომ მას მეორე წახნაგიც მოჩუქურთმებული ჰქონია და მასზე შერჩენილია ვარსკვლავისა (?) და მხედრის გამოსახულების ნაწილი (ტაბ. LXXIV, სურ. 1—2).

სტელის ძალიან საინტერესო ფრაგმენტი აღმოჩნდა, ზედაპირულად, ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის ძველ სამაროვანზე 1978 წ. ეს ფრაგმენტი (ზომ. 0.55×0.18 მ.) საინტერესოა იმით, რომ მისი ოთხივე წახნაგი სხვადასხვა შიხაარსის მოტივებით ყოფილა შემკული (ტაბ. LXXV სურ. 1—4). სტელის ერთ წახნაგზე შერჩენილია სამსაფეხურიანი კვარცხლბეკი, რომელზედაც დადგმული ყოფილა ჯვრის ბუნი (შერჩენილია ჯვრის ბუნის დასაწყისი) და ორივე მხარეს ზეაღმართული ნახევარპალმეტები, რომლებიც ჯვრის ე. წ. აყვავების მანიშნებელია. მრავალი ანალოგიის საფუძველზე, სტელის ამ წახნაგზე გამოსახული უნდა ყოფილიყო ადრექრისტიანული პერიოდისათვის ფრიად გავრცელებული სიუჟეტი — ბუნზე აღმართული აყვავებული ჯვარი. ამ გამოსახულების კვარცხლბეკის საფეხურებზე ამოჭრილია სამფურცელა ყვავილები, რომელთა შორის უბეები წიწვოვანი მოტივებითაა შევსებული. კვარცხლბეკის ქვემოთ გამოსახულია გაურკვეველი ცხოველი (ირემი?) მოძრაობაში.

მეორე წახნაგზე შერჩენილია ორი მამაკაცის — საერო პირის გამოსახულება, ოღონდ ერთი მთლიანად, ხოლო მეორე — წელს ზევით (ტაბ. იგივე, სურ. 2). ზედა მამაკაცის გამოსახულებას ხელები გაშლილი და რამდენადმე ზეაღმართული აქვს. არ ჩანს, რომ ხელებში რაიმე ეჭიროს და, საერთოდ, ხელის მტევნებიც არ შეიმჩნევა რელიეფზე. თითქოს სტელის ჩარჩოში ვეღარ ჩაუტევიათ გამოსახულება. საინტერესოა ამ შემთხვევაშიც ჩაცმულობა; წელში გამოყვანილი კაბა, რომელიც მუხლებს ქვემოთ ჩამოდის. კაბის კიდეები ორივე მხარეს უფრო ჩამოწეულია, მის შუა ნაწილთან შედარებით. მამაკაცს თითქოს გრძელი შარვალი აცვია და არა მაღალყელიანი ფეხსაცმელი, რასაც სხვა, ანალოგიურ შემთხვევებში ვამჩნევთ. საყურადღებოა თმის ვარცხნილობაც.

---

[117] Н. Чубинашвили, Хандиси, თბ., 1972, სამწევრისის სტელა ტაბ. 26; დმანისის (ყოფ. ბაშკიჩეთი) სტელა, ტაბ. 70, წინამდებარე ნაშრომში ფრაგმენტი სტელისა დამბლუტისწყლის ხევის მცირე ეკლესიიდან, ტაბ. XX, სურ. 1 და სხვ.

[118] კაპიტელი გამოვიღეთ აკად. გ. ჩუბინაშვილის რჩევით, ამჟამად კაპიტელი დაცულია საქ. სახ. მუზეუმში.

სტელის მესამე წახნაგზე კარგად ჩანს ფრიად გავრცელებული სტილის ვაზის მოტივი (ტაბ. იგივე, სურ. 3), ხოლო მეოთხეზე — უწყვეტი სტილიზებული მცენარეული მოტივი. ამგვარად, სტელის ეს ფრაგმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ ამ ერთ ძეგლზე გვხვდება ადრექრისტიანული ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ძირითადი მოტივები.

დასასრულ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ლ. მუსხელიშვილის მიერ 1936—1937 წწ. მიკვლეული სტელების ორი ფრაგმენტი დმანისის რაიონის სოფ. ტხუსის თეკეხების ქვემო ეკლესიასა და სოფ. ზემო ორაზმანში[119]. პირველი შათგანი წარმოადგენს სტელის ფრაგმენტს, რომელიც, ჩაშენებულია სოფ. ტნუსის თეკეხების ჩრდ. ეკვტერის აღმ. სარკმლის თავში და რომელზედაც ამოჭრილია ასე გავრცელებული ბოლნური მედალიონი მაღალ ბუნზე, რომელიც თავის ძხრივ, დგას სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე. კვარცხლბეკის საფეხურებზე აქაც ამოჭრილია ცერადკვეთით სამფურცელა ყვავილები და ყვავილების უბეებში რელიეფური წიწვოვანი მოტივები. ეს კომპოზიცია ამ ფრაგმენტზე ორგზის მეორდება ვერტიკალურ სიბრტყეში.

სოფ. ზემო ოროზმახში მიკვლეული კვადრატული ფილა (ზომ. 0,21×0,21 მ.), რომელზედაც ამოჭრილი ყოფილა ცერადკვეთით ბოლნური მედალიონი. კლასიკური ბოლნური ჯვარი ჩასმულია ორ კონცენტრულ წრეში, რომელთა შორის არე შევსებულია ირიბი შტრიხებით, რაც გრეხილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჯვრის მკლავებშორისი უბეები შევსებულია წიწვოვანი მოტივებით. სამწუხაროდ, ეს საინტერესო და ერთ-ერთი ტიპური ძეგლი ადრექრისტიანული ხანისა დაკარგულია სამუდამოდ. ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ლ. მუსხელიშვილის მიერ ფიქსირებული მისი სურათი.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. ბუჩურაშენის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ მიკვლეულ მცირე ეკლესიასა და ეკლესიის მახლობლად აღმოჩენილ ადრექრისტიანული სტელებისა და მათი ბაზების ფრაგმენტების გარდა, რომელთა შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი (გვ. 43—5, ტაბ. LXIV—LXVIII), აღმოჩნდა ამავე პერიოდის ახალი ძეგლები მაშინ, როდესაც 1970 წ. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუშაკების მიერ აფეთქებულ ეკლესიის ნანგრევების ფიქსაციასა და შესწავლას შეუდგა საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. მ. სინაურიძე). ბუჩურაშენის ზემოხსენებულ მცირე ეკლესიის გარდა (რომელსაც ჩვენ ზემო ეკლესიას ვუწოდებთ), ცოტა უფრო ქვევით, დმანისი არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე მეორე, ქვემო ეკლესიის ნანგრევებს და მის მახლობლად მდებარე სტელების ბაზებსა და სამარხების ქვებს, რაც გადავიღეთ კიდეც ფირზე (ტაბ. LXIX, სურ. 1—2); ამ ძეგლებზე ჩვენ მივაქციეთ ჯერ დმანისის ექსპედიციის წევრების, ხოლო შემდეგ 1970 წ. მუზეუმის დირექციის ყურადღება. ეს ძეგლებიც შემდეგ, 1971 წ. გათხარა მუზეუმის არქეოლოგ. ექსპედიციამ, რომელსაც კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ეწოდა.

როგორც ცნობილია გამოქვეყნებული ანგარიშებიდან, ბუჩურაშენის ზემო ეკლესიის ნანგრევების გათხრის შედეგად, კვლავ აღმოჩნდა სტელებისა და ქვის

---

[119] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგ. ექსკურსიები, თბ. 1941, გვ. 38—39, ტაბ. III, სურ. 15; გვ. 76—78, ტაბ. XV, სურ. 29.

ჯვრების ფრაგმენტები, რომელთა ზედაპირზე ამოჭრილი იყო ადრექრისტიანული სიუჟეტები და მოტივები: ბოლნური მედალიონები, სამფურცელა ყვავილები, ვაზის რტოს მოტივი, ადამიანის გამოსახულება ხელში ჯვრით, ცხოველების გამოსახულებანი; ჯვრის ფრაგმენტი, რომელზედაც შესანიშნავი ოსტატობით გამოქანდაკებულია წრიულ ჩარჩოებში ჩასმული წვეროსანი მამაკაცის თავი, მწოლიარე ცხოველის გამოსახულება და სხვ. 1971 წ. მეორე, ქვემო ეკლესიის გათხრის შედეგად აღმოჩნდა ეკლესიის ნანგრევების კუთხეებში ჩაშენებული ორი ბაზა ბოლნური მედალიონებით, ორი ფილა ადრექრისტიანული ხანის მოტივებით, ერთ მათგანზე ამოჭრილია ტიპური ბოლნური მედალიონი. ეკლესიის ინტერიერში აღმოჩნდა ჯვრების მკლავების ფრაგმენტები, რომლებზედაც გამოსახული იყო სხვადასხვა მოტივები და სიუჟეტები (ღვთისმშობლის გამოსახულება, ბოლნური მედალიონები, მცენარეული და გეომეტრიული მოტივები და სხვ.)[120].

ყოველივე ზემოხსენებული ჩვენ აქ იმიტომ მოვიტანეთ, რომ როგორც მკითხველისათვის ცნობილია, ამ ეკლესიებთან დაკავშირებული ადრექრისტიანული ხანის ქვის ძეგლებს ჩვენ 1964 და 1970 წწ. მივაკვლიეთ და შემდეგ გამოვეცით (1970 და 1975 წწ.)[121]. იმისათვის, რომ მკითხველმა იქონიოს შედარებით სრული და მართებული წარმოდგენა ამ ძეგლების შესახებ (რომლებიც ბუჩურაშენის ქვემო და ზემო ეკლესიებიდან მომდინარეობენ), უთუოდ უნდა მიიღოს მხედველობაში როგორც ადრე აღმოჩენილი ძეგლების ერთი ნაწილი, ისე შემდგომ (1970—71 წწ.) იქვე აღმოჩენილი ძეგლების მეორე ნაწილიც. ამ მიზნით არის აქ ეს მოკლე ცნობები მოტანილი და ლიტერატურა დამოწმებული.

ჩვენ ამ ძეგლებთან დაკავშირებით ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ გამთხრელი, მ. სინაურიძე მის მიერ მიკვლეულ ზემოხსენებულ ქვის ძეგლებს საზოგადოდ ათარიღებს VI—VII სს.[122].

ასეთი მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი და დიდად მნიშვნელოვანია ის უძველესი ძეგლები, რომლებიც დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოიპოვა წლების განმავლობაში, ცხადია, მათი შესწავლა და პუბლიკაცია სრულიად აუცილებელია.

---

[120] მ. სინაურიძე, თ. ბერიძე, კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 27—28, თბ. 1971, გვ. 46—49; მ. სინაურიძე, 1970—1971 წწ. კაზრეთის არქეოლოგ. ექსპედიცია, სსმ არქეოლოგ. ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 92—99, სურ. 3—8; М. И. Синауридзе, Результаты археологич. изучения Болнисского Района, Тб., 1977, თავი, II, გვ. 19—25, ტაბ. VI და VII.

[121] ვ. ჯაფარიძე, ქართული ხელოვნების და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან, ძეგლის მეგობარი, 20, თბ., 1970, გვ. 52—63, მისივე, ჩვენი ისტორიის ერთი მემატიანე (კვლავ ბუჩურაშენის ეკლესიის შესახებ), „ძეგლის მეგობარი“, 39, თბ., 1975, გვ. 73—78.

[122] მ. სინაურიძე, 1970—1971 წწ. კაზრეთის არქეოლოგ. ექსპედიცია, სსმ-ი ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 93; აგრეთვე М. И. Синауридзе, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

სტელებისა და ჯვრების ზოგადი დახასიათება

როგრც ცნობილია, დღეს მეცნიერების განკარგულებაში მოიპოვება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის სტელებისა და ჯვრების მდიდარი და მრავალფეროვანი კოლექცია. ამ რიგის ძეგლების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია უმთავრესად ჩვენს ორ დიდ მუზეუმში — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ხელოვნების სახელმწიფო მეუზმში. ამას გარდა, აღნიშნული ძეგლების ერთი ნაწილი მოიპოვება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განკარგულებაში; დასასრულ, სტელებისა და ბაზების ფრაგმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიპოვება ადგილებზე — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პუნქტში, სხვადასხვა ეკლესიების კედლებში ჩაშენებული ან ეკლესიების მახლობლად დადგმული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ მათი დიდი ნაწილი შემთხვევითაა მოპოვებული და მიკვლეული, ნაწილი აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრის შედეგად, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გათხრის შედეგად ფიქსირებულია აღნიშნული ძეგლები იმ მდგომარეობაში, როგორშიაც იყო აღმოჩენილი ისინი, რაც ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს.

ამ მრავალრიცხოვანი ძეგლების მიხედვით და გათვალისწინებით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ სტელებისა და ჯვრების დამახასიათებელ ნიშნებზე და გარეგან თავისებურებებზე.

დღეს უკვე კარგად არის ცნობილი, რომ ადრექრისტიანული ხანის საქართველოში გავრცელებული ყოფილა რამდენიმე ტიპის სტელები: წახნაგოვანი სვეტები (ძირითადად ოთხწახნაგოვანი, მაგრამ გვხვდება ექვს თუ რვაწახნაგოვანიც) და ბრტყელი სტელები. ამ რიგის ძეგლების კატეგორიას მიეკუთვნება, აგრეთვე, კონტურების მიხედვით გამოჭრილი ქვის ჯვრებიც. არსებული მასალების მიხედვით ისიც შეიძლება ითქვას რომ წახნაგოვანი სტელები (და ჯვრებიც) სხვადასხვა ზომისა ყოფილა — 5 და მეტი მეტრის სიმაღლის სტელებიდან მოყოლებული (მაგ. ბრდაძორის სტელა, რომელიც დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში) და, როგორც ჩანს, მინიატურული ჯვრებით (?) გათავებული. უფრო მეტად გავრცელებული ჩანს 2—3 მ. სიმაღლის სტელები.

სტელები, უპირატესად, სამი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა: ბაზისაგან, რომელიც კუბური ფორმისა იყო და ცენტრში ამოღებული ჰქონდა ოთხკუთხა ფოსო, ბუდე. ამ ბუდეში იყო ჩადგმული ქვის სვეტის ძირი, რომელიც გაშოკოპიტებული იყო. ბაზისის სიდიდე პირდაპირ პროპორციული იყო სტელის სიდიდისა. სტელა, როგორც წესი, დამთავრებული იყო კაპიტელით, რომელიც ან სტელასთან ერთად ერთი ქვისაგან იყო გამოთლილი, ან კაპიტელი გამოთლილი იყო ცალკე ქვისაგან და ქვის სტელას ზემოდან ედგმოდა ლითონის ღერძის საშუალებით; ღერძის ერთი ბოლო ჩაშვებული იყო სტელის ხვრელში, ხოლო მეორე ბოლო კაპიტელის ხვრელში შედიოდა.

სტელებს, შესაძლოა, თავზე ედგათ კონტურების მიხედვით გამოჭრილი ქვის ჯვრები, როგორც ამას ვარაუდობს ნ. ჩუბინაშვილი[123], მაგრამ არ ჩანს.

---

[123] ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები, „ძეგლის მეგობარი", 30, თბ. 1972, გვ. 35, სურ. 4, 5, 6. ამ სურათებზე ავტორის მიერ წარმოდგენილია სტელებისა და ჯვრების სავარაუდო კონსტრუქცია—ეძანის რელიეფის მიხედვით.

რომ ეს მათი აუცილებელი ნაწილი იყო. საქმე ის არის, რომ თვით სტელების წახნაგებზე იყო გამოხატული შესანიშნავი რელიეფური ჯვრები. ყოველ შემთხვევაში, იმ სტელებს, რომელთაც კაპიტელები გააჩნიათ, არა აქვთ ამოჭრილი ჯვრის ჩასადგმელი ფოსო, რაც სრულიად აუცილებელი იქნებოდა ჯვრების დასამაგრებლად.

მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია სტელებისა და ჯვრების ორნამენტული მოტივები; სხვადასხვა ქრისტიანული სიმბოლოები, ქრისტიანული შინაარსის მოტივებით ყოფილა შემკული სტელების ერთი, სამი ან ოთხი წახნაგი. ასევე შემკულია ბაზების ერთი ან რამდენიმე წახნაგი. შემკულია აგრეთვე ბრტყელი სტელებისა და ჯვრების ზედაპირიც. ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბაზებზე და (ზოგჯერ სტელებზედაც) გამოქანდაკებული ან ამოჭრილი იყო ასომთავრული წარწერები. წარწერები აქვთ გაკეთებული სწორკუთხოვან ბრტყელ სტელებსაც. ქვის ჯვრებზე წარწრები არ ჩანს.

განსაკუთრებით საინტერესოა სტელებისა და ჯვრების ორნამენტული მოტივები; ადრექრისტიანულ სტელებსა და ბაზებზე ყველაზე უფრო ხშირად ვხვდებით ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის გამოსახულებას, ეს არის ტოლმკლავებიანი, მოხდენილი ჯვარი, რომლის მკლავები ბოლოებში მკვეთრად გაგანიერებულია, ხოლო გვერდები ჩაზნექილი. ეს ჯვარი ჩასმულია წრიულ მხატვრულ ჩარჩოში და წარმოადგენს მედალიონს, რომელსაც მეცნიერებაში, პირობითად, ბოლნურ მედალიონს უწოდებენ. ასეთი სახელწოდება გამოწვეულია იმით, რომ ამ მედალიონის გამოსახულება გვხვდება ერთ-ერთ უძველეს ტაძარზე — ბოლნისის სიონის ფასადებზე. მედალიონის ჩარჩო სხვადასხვანაირად არის გაფორმებული; ჩარჩოს კონცენტრული წრეებსშორისი არე შევსებულია ცერადკვეთით ამოჭრილი პატარა სამკუთხედებისაგან შედგენილი უწყვეტი ჯაჭვით, ან მარაოსავით გაშლილი სამფურცელა ყვავილებით, ან ირიბი შტრიხებით (რაც გრეხილის შთაბეჭდილებას ტოვებს), პატარა სფერული ბურთულებით, კონცენტრული ღარებით და სხვ. ამას გარდა, ბოლნურ მედალიონებს ხშირად ორივე მხარეს ზეაღმართული სტილიზებული მცენარეული მოტივები — ნახევარპალმეტები ამკობს; ეს არის ქრისტიანული სიმბოლო განედლებული ანუ აყვავებული ჯვრისა. ზოგჯერ მედალიონის გვერდებზე ნახევარპალმეტების ნაცვლად ვხვდებით მაზდეანობის სიმბოლოს. წმინდა თავსაკრავის ბოლოებს — Kost-ებს. ასეთი მედალიონები იმ პერიოდის ძეგლებია, როცა ქართლში ქრისტიანობა და მაზდეანობა თანაბარი უფლებით სარგებლობდა. მეტად გავრცელებულია კომპოზიცია — ბუნზე დადგმული მედალიონი; ბუნი, თავის მხრივ, ორ-ან სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე დგას, ხოლო საფეხურების წახნაგები შემკულია სამფურცელა ყვავილებით. ასევეა შემკული სტელების ბაზები ბოლნური მედალიონებით, ხოლო ზოგჯერ ბაზების წახნაგებზე ვხვდებით ქრისტიანული სიმბოლიკის მთელ კომპოზიციას, ასეთია, მაგ. ბაზა სათხედან; მის ერთ წახნაგზე, ცენტრში, ფონის ამოკვეთის ხერხით, გამოსახულია ბოლნური მედალიონი, რომლის კონცენტრულ წრეებისაგან შედგენილი ჩარჩოს წრეებსშორისი არე შევსებულია მოხდენილი სამფურცელა ყვავილებით, ხოლო მედალიონის ორივე მხარეს ფრთებგაშლილი ფარშევანგებია გამოსახული. ფარშევანგებს ნისკარტებით ყურძნის მტევნები უჭირავთ. აქ წარმოდგენილია მთელი ქრისტიანული სიმბოლიკა; თუ ჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა, ფარშევან-

გები წარმოადგენენ უკვდავებისა და გაზაფხულის სიმბოლოს, ხოლო მტევნები ითვლება ქრისტეს და მარტვილთა სისხლის სიმბოლოდ[124], ფარშევანგების გამოსახულება გვხვდება აგრეთვე კზილ-ქილისას ეკლესიის აღმ. ფასადის კედლის წყობაში ჩატანებულ ბაზის წახნაგზე; აქ ბოლნური მედალიონის ორსავე მხარეს გამოსახული ფარშევანგები ნისკარტით ეხებიან (უჭირავთ) რელიეფურ პატარა ჯვარს, რომელიც მედალიონს ზემოთ არის გამოქანდაკებული. სტელების ბაზებზე ვხვდებით, აგრეთვე უკვდავების ხისა და ვერძების გამოსახულებებს და სხვ.

მეტად გავრცელებული ყოფილა ვაზის რტოს გამოსახულება ფოთლებითა და მტევნებით. ვაზი, უძველესი დროიდანვე ითვლებოდა ქრისტესა და ეკლესიის სიმბოლოდ[125].

ასევე, მეტად გავრცელებული ჩანს სტილიზებული მცენარეული მოტივების უწყვეტი ჯაჭვისაგან შედგენილი სახე, ეს მოტივი წარმოადგენს მშვილდივით მოხრილ მცენარის ღეროს, რომლის ბოლოები დამთავრებულია პალმეტებით. სიმეტრიულად ამოჭრილი ასეთი რკალები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

გავრცელებული ყოფილა აგრეთვე სხვა მცენარეული მოტივები — სტილიზებული ხეების, ყვავილების გამოსახულებანი, განსაკუთრებით გავრცელებულია ლანცეტისებრი მოყვანილობის ფურცლებისაგან შედგენილი ოთხფურცელა ვარდულები, ორფურცელა ნახევარვარდულები, აგრეთვე მრავალფურცელა, გვირილასებრი ყვავილები, ფოთლების გამოსახულებანი და სხვ.

დამახასიათებელია ცხოველების გამოსახულებანი — ვერძების, ირმების, ჯიხვების, ცხენის, ზღაპრული ფასკუნჯებისა და ფრინველების გამოსახულებები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთო პირთა რელიეფური გამოსახულებები სტელებზე, გვხვდება მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების გამოსახულებანი თავისი დროისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელში.

უნდა ვიფიქროთ, რომ სტელებზე გამოსახულნი იყვნენ ის პირნი, რომელთაც აღმართეს ჯვარი და, შესაძლებელია, მათი ოჯახის წევრებიც. დასასრულ, გვხვდება ღვთისმშობლის გამოსახულება, წმინდანების გამოსახულებანი და სხვ.

რაც შეეხება სწორკუთხოვან ბრტყელ სტელებს, ჩვეულებრივ მათ ცალპირზე გამოსახულია ტიპური ბოლნური მედალიონები ასომთავრული წარწერებით.

იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ბრტყელი სტელა აღმოჩენილი ბოლნისთან, ლამაზ გორაზე, ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ი. გძელიშვილი) 1959 წ.[126] ამ სტელის (ზომ. 25×26×9 სმ). ორივე პირია ორნამენტირებული. ერთ მხარეს შერჩენილია ბოლნური მედალიონის, ხოლო მეორე მხარეს წარჩინებული მამაკაცის რელიეფური გამოსახულება.

რაც შეეხება ქვის ჯვრებს, ეს მეტად ორიგინალური ძეგლები, ჩვეულებრივ, შემკულია სამფურცელა ყვავილების გამოსახულებებით ჯვრის მკლავების

---

[124] А. С. Уваров, Христианская символика, ч. I, М., 1908, გვ. 173 და 174.

[125] А. С. Уваров, დასახ. ნაშრ.

[126] ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968, გვ. 4 და 6.

ბოლოებში, ხოლო ცენტრში ჩასმულია მრავალფურცლოვანი გვირილას გამოსახულება. ამ ჯვრებს ამკობენ მათი ქვედა მკლავიდან ორივე მხარეს მოხდენილად ამოზრდილი სტილიზებული ნახევარპალმეტები, იშვიათად გვხვდება სხვა გამოსახულებებიც.

ადრინდელი სტელებისა და ჯვრებისათვის დამახასიათებელია მხატვრული მოტივებისა და კომპოზიციების რელიეფური გამოსახულება, რაც მიღწეულია ფონის ამოკვეთის ხერხით ისე კი, რომ გამოსახულებების ზედაპირი არ არის ამოწეული სტელის ზედაპირის საერთო დონეზე მაღლა. ფრიად დამახასიათებელია აგრეთვე გეომეტრიული თუ მცენარეული მოტივების ღრმად ჭრა ცერადკვეთის ხერხით, რაც მათ მხატვრულ ეფექტს მნიშვნელოვნად ზრდის.

აღსანიშნავია, რომ სტელების ის საინტერესო და მდიდარი კოლექცია, რომელიც აღმოჩენილია თუ მიკვლეულია ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიის სხვადასხვა პუნქტში დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ერთგვაროვანი როდია ზემოხსენებული ძეგლების შესრულების ტექნიკით და სხვა ნიშნებით, არამედ შეიმჩნევა გარკვეული სხვაობა, რაც, თავის მხრივ, უნდა მიუთითებდეს მათ ქრონოლოგიურ დიფერენციაციაზე.

ამ საკითხზე საუბარი გვექნება ქვევით.

ადრექრისტიანულ'ი სტელებისა და ჯვრების დანიშნულების შესახებ

ადრექრისტიანული სტელებისა და ჯვრების დანიშნულების შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები[127]; აკად. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ისინი წარმოადგენენ მემორიალურ ძეგლებს[128]. ლ. მუსხელიშვილს სწორკუთხოვანი ბრტყელი სტელები ბოლნური მედალიონებით და ასომთავრული წარწერებით,. საფლავის ძეგლებად მიაჩნია[129]. ალ. ჯავახიშვილი საკულტო-მემორიალურ ძეგლებად მიიჩნევს[130]. ვ. ცისკარიშვილი თვლის, რომ თავდაპირველად სტელებს სამლოცველო დანიშნულება ჰქონდათ, ხოლო შემდეგ სტელები ერთგვარ შეწირულების საგნად იქცა[131]. შემდეგ, ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, სტელები სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშნებადაც იქცევიანო (მაგ. წყისის წარწერა — VII ს. და არეშის სტელა X ს.)[132].

---

[127] უძველესი ქართული ეპიგრაფიკული წყაროები ჯვრებს უწოდებენ ქვის იმ ძეგლებს, რომელთაც მეცნიერებაში, საზოგადოდ, სტელები ეწოდებათ. „აღხუმართე ესე ჯუარი“ აღნიშნულია ამ უძველეს ძეგლებზე. „ჯუარი“ ეწოდება ქვის ოთხწახნაგა სვეტებსაც, სწორკუთხოვან ბრტყელ ფილებსაც და კონტურების მიხედვით გამოჭრილ ქვის ჯვრებსაც. იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ საკუთრივ სტელები და ქვაჯვარები, მეც ვიცავ მეცნიერებაში საზოგადოდ მიღებულ ტერმინოლოგიას.

[128] Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, თბ., 1940, გვ. 86—105.

[129] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 338, სურ. 18, იხ. აგრეთვე მისივე „არქეოლოგ. ექსკურსიები“, გვ. 15.

[130] ალ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. (ხელნაბეჭდი). ხელნაბეჭდით სარგებლობისნებართვისათვის ავტორს დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[131] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 72, 79.

[132] იქვე, გვ. 74.

ამავე დროს, ავტორის აზრით, სტელები იურიდიული ხასიათის ძეგლებსაც წარმოადგენდენ.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ადრინდელი სტელები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საქართველოში ქრისტიანობის დამყარებასთან, მისი დამკვიდრებისა და განმტკიცების პერიოდთან, სრულიად სპეციფიური ხასიათის ძეგლებს წარმოადგენენ. ქვის ეს ძეგლები საკულტო ძეგლებია თავისი მკვეთრად და ხაზგასმით გამოხატული ქრისტიანული სიმბოლიკით და სათანადო წარწერებით. თვით მათი უძველესი სახელწოდება — „ჯუარი“, თავისთავად განსაზღვრავს მათ ხასიათს. ეს სტელები წარმოუდგენელია ისე, რომ მათ ზედაპირზე, წახნაგებზე არ იყოს ამოჭრილი ჯვარი, ე. წ. ბოლნური მედალიონი, აყვავებული ჯვრები და, აგრეთვე ქრისტიანული სიმბოლიკისათვის დამახასიათებელი სხვა მოტივები, რომლებიც კიდევ უფრო ხაზგასმით წარმოაჩენენ სტელების საკულტო დანიშნულებას. არ ჩანს, რომ ზემოხსენებული მნიშვნელობის ძეგლებს — სტელებს სხვა რაიმე „დამატებითი“ დანიშნულება ჰქონოდათ...

ვ. ცისკარიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „ეს პირველი მემორიალური ხასიათის წარწერები სტელებზე, უკვე წარმოადგენენ ერთგვარ შეწირულების საბუთებს. ასეთია მაგ. აბასთუმნის წარწერა“[133].

აბასთუმნის წარწერა შესრულებულია ორ მოზრდილ ქვაზე (ზომ. 28×64,5×9,5 სმ.; 27×42,5×9,5 სმ.), რომლებიც წარმოადგენენ სტელის ბაზის ფრაგმენტებს[134]. ეს წარწერა მეტად საინტერესოა თავისი შინაარსით და შეეხება „ჯუარის“ აღმართვას. წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

„...[ბრ]ძანებითა ღვთივ დაცულისა მამფლისა არშუში პატრიკისა[ძთა] და ხებითა ღმრთისაძთა ქავთა[რ] ერთ[ა] ქორეპისკოპოზის[ა] ციხისთა-[ვ]ობა[სა] მოწუეულ ვიყავ და აღვ[ჰ]მართე პატიოსანი ჯუარი წმიდისა ღმრთისმშობელისა სახელსა [ზედა].

სალოცველად ჩემდა და ძმათა ჩემთა მეოხებისათჳს შ [ევწირე ს] ა[ყ]დარსა ამას საწუთრ[ოს]ა საუკუნოდ, ავაგ კხს ლოცვა[სა] მოიჯსენ[ებდენ]“[135].

ზემოხსენებული წარწერა ფრიად მნიშვნელოვანია და უნიკალური, მაგრამ ამ წარწერასთან დაკავშირებით მაინც საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი: როგორც ცნობილია, წარწერის კონკრეტული თარიღი არ არის დადგენილი არც ე. თაყაიშვილის მიერ, არც ზემოხსენებული „კატალოგის“ გამომცემლების ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ და არც ვ. ცისკარიშვილის მიერ. ვიცით მხოლოდ, რომ „ ე. თაყაიშვილი წარწერას ძალიან ძველად მიიჩნევდა“ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით[136]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წარწერაში არსებული სიტყვიდან „შევწირე“ შერჩენილია მხოლოდ პირველი ასო „შ“. ხოლო დანარჩენი ასოები აღდგენილია გამომცემლების მიერ. საქმეს რამდენადმე ისიც ართულებს, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია ამ ბაზის სტელას, რასაც დათარიღების საკითხში თავისი მნიშვნელობა ექნებოდა. ჩვენ განზრახული არ გვაქვს ამ საინტერესო წარწერის კონკრეტული თარიღი დავადგინოთ, მაგრამ

---

[133] იქვე, გვ. 73.

[134] საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, თბ., 1953, გვ. 9—10, ტაბ. III, სურ 2—3.

[135] იქვე, გვ. 10.

[136] იქვე.

მკითხველის ყურადღება მაინც გვინდა მივაქციოთ ამ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ თუ „ჯუარის“ აღმართვის გამომხატველად უკანგორის წარწერაში (V საუკ.) ნახმარია უძველესი ხანმეტი ფორმა, „აღმოჳმართე“, მცხეთის ჯვრის ბაზის წარწერაში (604 წ.) „აღხემართა“, წყისის წარწერაში (616—619 წწ.) ჰაემეტი ფორმა „აღჰუმართე“, ხოლო აბასთუმნის წარწერაში გვხვდება ფორმა — „აღვ[ჰ]მართე“. სხვა მაგალითები რომ აღარ მოვიშველიოთ, ქართული ენისა და დამწერლობის განვითარების თვალსაზრისით, აბასთუმნის წარწერის ზემოხსენებული სიტყვის ფორმა — „აღვ[ჰ]მართე“, წყისის წარწერაზე უფრო ახალი უნდა იყოს, შესაძლებელია VII საუკუნეზე გვიანიც კი. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, კიდევაც რომ იკითხებოდეს აბასთუმნის წარწერაში სიტყვა „შევწირე“ (რაც ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია), ეს წარწერა უფრო გვიანი ჩანს, შესაძლებელია იმ დროისა, როცა საკულტო სტელების ანუ „ჯუარების“ თავდაპირველი მნიშვნელობის საკითხში შეინიშნება ზოგიერთი ცვლილება. მაშასადამე, აბასთუმნის წარწერა უფრო გვიანი დროის ძეგლია და იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ „პირველი მემორიალური ხასიათის წარწერების“ კატეგორიას, როგორც ამას ვ. ცისკარიშვილი ვარაუდობს.

ახლა რაც შეეხება წყისის წარწერას. ვ. ცისკარიშვილს იგი მიაჩნია „ქვაზე ამოკვეთილ პირველ იურიდიული ხასიათის საბუთად საქართველოში“ იმ საფუძველზე რომ წარწერაში მოხსენიებული კოსტანტი „ნასყიდევ ქვეყანას“, მიწას „სწირავს მცხეთის ჯვარს“[137]. ვ. ცისკარიშვილი ამას შესაძლებლად მიიჩნევს „მიუხედავად იმისა, რომ მასში (წარწერაში — ვ. ჯ.) პირდაპირ არაა ამის შესახებ (ე. ი. შეწირულების შესახებ — ვ. ჯ.) აღნიშნული“[138]. ამავე დროს, როცა ვ. ცისკარიშვილი იქვე წერს შეწირულების საბუთებზე აღნიშნავს, რომ „შემწირველები ყოველთვის ცდილობდნენ ეკლესიისათვის ნასყიდი შეეწირათ, რასაც **საგანგებოდ აღნიშნავდნენ** (ხაზი ჩვენია — ვ. ჯ.) ხოლმე შეწირულების საბუთებში“.

თუ წყისის წარწერა მართლაც იურიდიული ხასიათის ძეგლს წარმოადგენს, თუ მას მივიჩნევთ შეწირულების საბუთად, მაშინ რით აიხსნება, რომ ამ საბუთში დარღვეულია ამ ხასიათის საბუთების შედგენის ძირითადი პრინციპი და „საგანგებოდ“ არ არის აღნიშნული შეწირულების ფაქტი? ამავე დროს, **საგანგებოდ** არის აღნიშნული მეორე ფაქტი რომ „ესე ჯუარი... აღჰუმართე... სალოცველად ჩვენდა, ცოლისა და შვილთა“[139].

მაშასადამე, ჯვრის აღმმართველი, კოსტანტი, ერთი მხრივ სრულიად გარკვევით აღნიშნავს წარწერაში მისი აღმართვის მიზანს, ხოლო მეორე მხრივ, სდუმს იმის შესახებ, რომ ნასყიდევ ქვეყანას იგი „სწირავს მცხეთის ჯვარს“. ასეთი პოზიცია წარწერის ავტორისა სრულიად გაუგებარი და გაუმართლებელია. ყოველივე ზემოხსენებულის გამო, ვფიქრობთ, რომ ეს სტელაც ისეთივე საკულტო ძეგლი უნდა ყოფილიყო (ყოველგვარი დამატებითი ფუნქციის გარეშე) როგორიც იყო ქრისტიანობის ადრეული საუკუნეების სხვა ანალოგიური „ჯვრები“.

რაც შეეხება არეშის სტელას, იგი არსებითად განსხვავდება თავისი წარ-

---

[137] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 74.
[138] იქვე, გვ. 74.
[139] ა. შანიძე, ძველი ქართული ქრესტომატია, თბ., 1935, გვ. 25.

წერის შინაარსით ადრეული საკულტო სტელებისაგან. წარწერაში აღნიშნულია:

„ძეშან გურგენ კურაპალა(ტი)სამან (შ)ეწი(რ)ა არშტი საყდარსა (ქუმუ) რდოსა“ ...[140]

აქ უკვე სრულიად გარკვევით არის ლაპარაკი შეწირულობაზე და სტელის დანიშნულება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ეს სტელა წარმოადგენს X საუკ. ძეგლს და იგი არ არის უძველესი ხანის საკულტო დანიშნულების ძეგლი, მას არა აქვს საკულტო სტელებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ამგვარად, ქვაზე ამოჭრილ იურიდიული ხასიათის საბუთებს გაცილებით გვიან (X საუკუნიდან) ვხვდებით. ასეთი ხასიათის ქვის ძეგლები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება XIII ს. ეს გვიანი სტელები არსებითად განსხვავდება ჩვენს მიერ დახასიათებული უძველესი საკულტო ძეგლებისაგან. ეს განსხვავება გამოიხატება, როგორც გარეგან ნიშნებში (მათ არ გააჩნიათ ქრისტიანული შიხაარსის ორნამენტული მოტივები), ისე წარწერების შინაარსში. ამ ხასიათის ძეგლებს შემდგომ „ჯელი“ ეწოდებათ და არსებითად განსხვავდებიან უძველესი ქრისტიანული ძეგლებისაგან, რომელთაც, როგორც ცნობილია, „ჯუარი“ ეწოდებოდათ[141].

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრება იმ სწორკუთხოვანი და ბრტყელი სტელების დანიშნულების შესახებ, რომლებიც, როგორც ცნობილია, შემკულია „კლასიკური“ ბოლნური მედალიონებით (პაწია სამკუთხედების ჯაჭვისაგან შეკრული ჩარჩოში) და ხშირად ჰქონდათ გამოქანდაკებული ლაპიდარული წარწერები. ამის შესახებ პირველად მოსაზრება გამოთქვა ლ. მუსხელიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ბოლნური მედალიონით შემკული სტელები... უფრო საფლავის ქვებსა ჰგვანან“[142]. ამ ვარაუდის გარდა, ლ. მუსხელიშვილს სხვა რაიმე საბუთი თავის მოსაზრების დასადასტურებლად არა აქვს მოტანილი.

ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ამ ტიპის სტელების თაობაზე ჯ. ამირანაშვილს; ერთ-ერთი სტელის შესახებ მას ნათქვამი აქვს, რომ ეს „სტელა № 670 იდგა ეკლესიის ეზოში გათხრილ ერთ-ერთ სამარხზე“, და იქვე, ცოტა ქვევით იგი აღნიშნავს „საფიქრებელია, რომ ამ სტელათა ნაწილი აღმართული იქნებოდა სამარხებზე, როგორც მემორიალური ძეგლები და მათი სათანადო წარწერები კი ეპიტაფიებს წარმოადგენდნენ. ამას გვიმოწმებს სტელა „კვირიკეს“ წარწერით, რომელიც ჯერ კიდევ საფლავის თავზე აღმართული აღმოჩნდა ექსპედიციაში“[143].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოტანილი ცნობები არ იძლევიან საფუძველს იმისათვის, რომ ზემოხსენებული სტელები საფლავის ძეგლებად მივიჩნიოთ; ის ცნობა, რომ სტელა № 670 იდგა ეკლესიის ეზოში გათხრილ ერთ-ერთ სამარხზე არ არის სრულყოფილი, არაფერი ვიცით, ეს მოკლე სტელა (დაახ. 45 სმ სიგრძისა) იდგა თუ არა საფლავის თავთით? საფლავი იყო თუ არა სტელის თანადროული? აღმოჩნდა თუ არა რაიმე ინვენტარი? საფლავი იყო თუ არა ხელ-

---

[140] ალ. ჯავახიშვილი, არეშის სტელა, საქარ. მეცნ. აკადემ. მოამბე, ტ. V, № 7, 1944; გვ. 749.

[141] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76—77.

[142] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგ.ექსკურსიები, გვ.15—16.

[143] ჯ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ 36.

შეუხებელი? გვაქვს თუ არა რაიმე სტრატიგრაფიული მონაცემები ამ საფლავის შესახებ და სხვ. ამ კითხვებზე ნაშრომში არ მოიპოვება ცნობები. ამას გარდა, ავტორი არ იძლევა საფლავზე დადგმული სტელის სურათს in situ, არ გვაქვს პრეპარირებული სამარხის სურათი და სხვ. რაც შეეხება წარწერას „კვირიკე“, იგი ამოჭრილია სტელის ზედა ვიწრო წახნაგზე საკმაოდ დაუდევრად, და არა საფასადო წახნაგზე, რომელზედაც ბოლნური მედალიონია ოსტატურად გამოყვანილი. ამიტომ ის წარწერა უფრო ქვის მჭრელის სახელი შეიძლება იყოს, ვიდრე იმ პირის სახელი, ვისთვისაც იგი აღმართეს. რაც შეეხება მეორე ციტატას, იგი მთლიანად ვარაუდებზეა დამყარებული, ამიტომ, ვიდრე ჩვენ არ გვექნება ხელთ მეცნიერული სიზუსტით ფიქსირებული საჭირო მონაცემები ზემოხსენებული ბრტყელი სტელების განსაკუთრებული დანიშნულების დასადგენად, მანამდე შეუძლებელია ამ მეტად ფრაგმენტული ცნობების გაზიარება და ამ ტიპის სტელების საფლავის ძეგლებად მიჩნევა.

ეს სტელები, ჩვენი აზრით, საკულტო „ჯუარებს“ უნდა წარმოადგენდნენ, რომლებზედაც, როგორც ჩანს, თუ ყოველთვის არა, ყოველ შემთხვევაში ხშირად გამოქანდაკებული იყო მათი დამდგმელის, შემკვეთის სახელი, მაგ. ბარნაბას სტელა. სამწუხაროა, რომ ამ სტელების წარწერების უმთავრესი ნაწილი მეტად დაზიანებულია და მაინცდამაინც მათი გამოქანდაკებული ასოებია დაღუპული.

უძველეს სტელებთან დაკავშირებით ნ. ჩუბინაშვილი სრულიად სამართლიანად თვლის, რომ ადრექრისტიანულ ხანაში, სტელები წარმოადგენდნენ საკულტო ძეგლებს, რომლებიც გარეთ, ცის ქვეშ იდგმებოდა. „ჯვარი“ (სტელა) ამ დროს წარმოადგენდა განსაკუთრებულ სიმბოლოს[144], შემდეგ კი ჯვრები იძენენ სხვა მნიშვნელობასაც და წარმოადგენენ მფლობელობის დოკუმენტსო (იძოწშებს წყისის სტელას VII საუკ.)[145]. ამგვარად ამ საკითხში ნ. ჩუბინაშვილი იზიარებს ვ. ცისკარიშვილის შეხედულებას. ვ. ცისკარიშვილის აღნიშნული მოსაზრების გამო ზევით უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი და, ამ შემთხვევაში მას აღარ გავიმეორებთ; მაგრამ ნ. ჩუბინაშვილს, თავის ნაშრომში გამოთქმული აქვს განსხვავებული მოსაზრებაც; იგი აღნიშნავს, რომ სტელები ადრექრისტიანულ ხანაში არ იდგა იმ ადგილას, სადაც ისინი აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრის შედეგად (მაგ. სტელები აღმოჩენილი სოფ. უკანგორში, ლამაზ გორზე, დამბლუტისწყლის ხეობაში — მცირე ეკლესიაში) და რომ ეს ქვის ძეგლები მოტანილია აქ მტრის შემოსევების მოლოდინში „შიშიანობის დროს[146]. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, ზემოხსენებული ძეგლები იმიტომ უნდა მიეტანათ ეკლესიასთან, რომ დაეცვათ არა მარტო როგორც საკულტო ძეგლები, არამედ როგორც მნიშვნელოვანი დოკუმენტებიო (იურიდიული — ვ. ჯ.)[147]. ეს მოსაზრება სრულიად დაუჯერებელია; თუ შიშიანობა აიძულებდათ სტელების აღმმართველებს დაეცვათ, გადაერჩინათ ძეგლები, მაშინ რაღა ეკლესიებთან მიზიდავდნენ მათ. რა დაიცავდა აქ მათ რაიმე საშიშროებისაგან? მტერი

---

[144] Н. Чубинашвили, Хандиси, გვ. 8—9.
[145] იქვე, გვ. 11
[146] იქვე, გვ. 9.
[147] იქვე.

ხომ ეკლესიებსაც არა მარტო არ ზოგავდა, არამედ ამ ქრისტიანულ ძეგლებს ასგრევდა პირველ რიგში. ამას გარდა, თუ დაცვა იყო საჭირო, განა უკეთესი არ იყო ამ ძეგლების სხვადასხვა ადგილას დატოვება, მათი კონცენტრაციის ნაცვლად? განა ამ ძეგლების დაცვა ადგილზე უფრო ადვილად არ მოხერხდებოდა (მაგ. ხომ შეიძლებოდა იქვე მიწაში ჩაემარხათ დროებით), ან და რაში სჭირდებოდა აგრესორს ეს ძეგლები.

სტელები თავისი ხასიათით, ორნამენტაციით (რომელიც, როგორც ვიცით, ხშირად იმეორებს ქრისტიანული ტაძრების ორნამენტაციას), ქრისტიანული სიმბოლიკით, ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ასე ხაზგასმული გამოსახულებით, დასასრულ, წარწერებით, რომლებიც შერჩენილია ჩვენამდე მოღწეულ მთელ რიგ ბაზებსა და სტელებზე, წარმოადგენდნენ ქრისტიანულ ძეგლებს, დაკავშირებულს ქრისტიანობის დამკვიდრებასა და განმტკიცებასთან.

უძველესი სტელები, რომ თავდაპირველად საკულტო ძეგლებს წარმოადგენდნენ, ამას კარგად ადასტურებენ ჩვენამდე მოღწეული მათი წარწერები, მაგალითად სოფ. უკანგორის მეორე წარწერა, რომელიც თუმცა მეტად ფრაგმენტულია, მაგრამ მაინც იშიფრება წარწერის ის ნაწილი, რომელშიაც აღნიშნულია მისი აღმართვის მიზანი:

I. უკანგორის მეორე ბაზის წარწერა, V ს.

1. [სახელითა ღმრთისაჲთა მე]
2. თა[თვარაზ]
3. და [მ] [არიამ]
4. [ა]ღხ[ო][ჳმართეთ]
5. ესე ჯ[ო][ჯარი სა]
6. ლოცვე [ლად]
7. [ჩ]ნდა[148]

II. მცხეთის ჯვრის ბაზის წარწერა, VI საუკ. ბოლო.

1. [შეწევნითა ღჲთა აღხემართა ჯოჯარი ესე]
2. [სალოცველ]ად სტეფა[ნო]ს
3. პატრიკი[ოსი]სა, დემეტრ[ე]
4. [ჯპ]ატოსისა, ა[დრონ]ერსე
5. ჯპა [ტოსი]სა სულ [თა] და
6. ჯორცთ[ა, მ]ათთა მეო[ხად] და
7. ყოვლისა [სახ]ლისა მცვ[ელა]დ[149]

---

[148] წარწერა გაშიფრა ლ. მუსხელიშვილმა იხ. მისი „არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში“, თბ.; 1941, გვ. 13, წარწერა ლ. მუსხელიშვილმა პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნების მიხედვით (ასოთა მოხაზულობა, დაბალყელიანი „დ-ონი, ხანმეტობა) დაათარიღა VI ს. დამდეგით. ჩვენ ეს წარწერაც V ს. მიგვაჩნია, ამის შესახებაც იხ. ქვემოთ გვ. 70—71.

[149] კატალოგი შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ; თბ., 1953, გვ. 25.

III. წრომის სტელის წარწერა, VI ს. II ნახ. — VII ს. I მეოთხედი

„ესე ჯოჯარი ქრისტესი მე, მამასახლისმან
გრიგოლ, ზედა ავმართე სალოცველად ჩვენდა და მოსახსენებლად“...[150]

IV. დავით გარეჯის ნათლისმცემლის ეკლესიის სტელის წარწერა, VI—VII საუკ. I ნახევარი

„ესე ჯოჯარი მე, მარვუვო, ავმართე სალოცველად
ჩემდა და ცოლისა და შვილთათვის“[151].

V. პანტიანის სტელის ბაზის წარწერა, VII საუკ. II ნახევარი[152]

„შეწევნითა ღმრთისმშობელისაითა მე ერემია და ფაჰლავრიჭ ესე ჯოჯარი აღვმართეთ სალოცველად სოჯლთა ჩვენთა და ცჯორებისათვის შვილთა ჩვენთა“[153].

VI. ასეთივე ხასიათისაა წყისის სტელის ბაზის წარწერა (616—619 წწ.)[154] (რომლის შესახებაც ზევით უკვე გვქონდა ჩვენი აზრი გამოთქმული):

„ესე ჯუარი ქრისტჱსი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრმანსა ა, სალოცველად ჩვენდა, ცოლისა და შვილთა, ნოემბერსა ი[ზ], ა[მენ]“.

ამგვარად, სრულიად ცხადად ჩანს, რომ „ჯუარს“ (სტელას) აღმართავდნენ ცოცხლების სალოცველად, გარკვეული, კონკრეტული პირის, აგრეთვე მისი ცოლისა და შვილთა სალოცველად, „ყოვლისა სახლისა მცველად“. ეს წარწერებიც, თავის მხრივ ნათლად ადასტურებენ, რომ ადრინდელი V—VI და VII საუკუნეების ჯვრები (სტელები) წარმოადგენდნენ საკულტო ძეგლებს. ამ ტიპის ქვის ძეგლები სწორედ ზემოხსენებულ საუკუნეებში ჩანს გავრცელებული.

ის გარემოება, რომ უძველესი სტელები, მათი ბაზები და ჯვრები მნიშვნელოვანი რაოდენობითაა აღმოჩენილი სწორედ უძველეს ეკლესიებთან, ბოლნისის სიონთან (478—493 წწ.), უკანგორის ეკლესიასთან (V ს.), მცირე ეკლესიის ნანგრევებთან დამბლუტისწყლის ხეობაში (V ს.), ლამაზ გორაზე V ს. ეკლესიასთან იმის მანიშნებელი კი არ არის, რომ აქ ეს სტელები თავმოყრილია „შიშიანობის დროს“, არამედ იმისა, რომ ეს საკულტო ძეგლები იდგა ამ უძველესი ეკლესიების მახლობლად. შეიძლება მეტის თქმაც, ზოგიერთი სტელა, შესაძლებელია, თვით ეკლესიაშიც კი ყოფილიყო აღმართული. ასეთი ფაქტი, როცა სტელა აღმართული ყოფილა ეკლესიაში, საკურთხევლის წინ, ჩვენ მიერ ფიქსირებული იყო სოფ. პატარა დმანისის მახლობლად საყდრისქედის ეკლესიის

---

[150] Н. Чубинашвили, დასახ.ნაშრ.,გვ.80—85,ტაბ.57—59.

[151] თ. ბარნაველი, კახეთის წარწერები, თბ., 1962, გვ. 53—54, წარწერა № 12.

[152] წინააღმდეგ ადრინდელი თარიღისა-VI ს. შუა ხანები, იმ ძეგლის წარწერის ახალი დათარიღება ეკუთვნის დოც. ნ. შოშიაშვილს, რომელმაც ეს სიტყვიერად გვაცნობა და რასაც ჩვენც ვიზიარებთ. ამ ცნობისათვის მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[153] Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 53—54.

[154] კატალოგი, შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, გვ. 19.

ნანგრევების გათხრის დროს. მართალია, ეს ეკლესია დათარიღებულია XII ს.[155], ხოლო სტელა XIII ს.[156] (ვრცელი წარწერის მიხედვით), მაგრამ, სავსებით შესაძლებელია, ამ შემთხვევაში საქმე გვქონდეს ძველი ტრადიციის გამოხატვასთან, მის გაგრძელებასთან. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ დღემდე ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა ეკლესიებთან დგას ძველი სტელები (მაგ. კუმურდოში, ზედა თმოგვში, გიორგიწმინდაში, აგარაში და სხვ.), ამაზე უფრო ნათლად, ამაზე უფრო დამაჯერებლად დადასტურება იმისა, რომ სტელები ეკლესიებთან ყოფილა აღმართული, მე მგონი შეუძლებელია.

სტელების აღმოჩენა უძველეს ეკლესიებში და ეკლესიების უშუალო სიახლოვეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ეს ძეგლები თავიდანვე დაკავშირებული ყოფილა ეკლესიებთან; საცა ეს ძეგლებია აღმოჩენილი, იქვე ყოფილა ისინი აღმართული.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა უძველესი სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტები აღმოჩენილია შერმინდელი ეკლესიების კედლების წყობაში, ამის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: როგორც ცნობილია, სტელების ფრაგმენტები აღმოჩენილია ქვემოჩამოთვლილი ეკლესიების კედლების წყობაში: ორსაყდრების, აბულ-ბუგის, ბალიჭის, ტნუსის, კზილ-ქილისას, სათხის, ბუჩურაშენის ზემო და ქვემო ეკლესიების კედლების წყობაში. ჩვენ ზევით გვქონდა აღნიშნული, რომ უძველესი სტელების, მათი ბაზების ფრაგმენტები ჩაშენებულია მოგვიანო ეკლესიების კედლების წყობაში უწესრიგოდ (არის შემთხვევები, როცა ჩუქურთმიანი ფრაგმენტები კედლის წყობის შიგნით, ჰყორდულაბშია ჩატანებული). ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სტელების, მათი ბაზების ორნამენტირებული წახნაგები, წყობის შიგნითაა მოქცეული, გლუვი ზურგი კი ფასადის მხარესაა. საბედნიეროდ, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სტელების ორნამენტირებული ზედაპირი გარეთაა მოქცეული და კარგად ჩანს ორნამენტი. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, სრულიად ცხადია, რომ ეს უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლები, ამ შემთხვევებში გამოყენებულია ეკლესიებში, როგორც უბრალო საშენი მასალა.

თუ მართებულია ის მოსაზრება, რომ უძველესი სტელები და ჯვრები თავის დროზე აღმართული იყო ეკლესიების უშუალო სიახლოვეს, მაშინ ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც, დროთა ვითარებაში ამ საკულტო ძეგლებმა დაკარგეს თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა, ხოლო ის ეკლესიები კი, რომელთა სიახლოვესაც ეს სტელები იდგა, დაინგრა (ან დაანგრიეს) და მათ ნაცვლად ახალი ეკლესიები ააგეს, მათი მშენებლობის პროცესში (თუ რესტავრაციის დროს), გამოიყენეს იქვე არსებული მზამზარეული მასალა, გათლილი ქვები — სტელების ფრაგმენტები. როდის მოხდა ეს სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში, შეიძლება გაირკვეს, მეტ-ნაკლები სიზუსტით, თითოეული ეკლესიის შესწავლის

---

[155] ვ. ჯაფარიძე, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში (საყდრისქედის ეკლესია), კრებული „ფეოდულური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, II, თბ., 1974, გვ. 169.

[156] დ. ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, საქართველოს მეცნ. აკადემ. მოამბე, XXXIII, 3, თბ., 1964, გვ. 750—51.

შედეგად. რა თქმა უნდა, უფრო მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ ეს ხდებოდა სხვადასხვა დროს, შესაძლებელია სხვადასხვა საუკუნეში, ზოგან უფრო ადრე, ხოლო ზოგან, შედარებით, გვიან.

ძეგლების განსაზღვრა და დათარიღება

უძველესი სტელების კოლექცია უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე გაიზარდა და გამდიდრდა როგორც დმანისის, ისე სხვა ექსპედიციების მუშაობის შედეგად. ამ კოლექციაში შემავალი ძეგლების შესწავლას, მათ განსაზღვრასა და დათარიღებას საგრძნობლად ამსუბუქებს ის გარემოება, რომ სტელებზე ხშირად ვხვდებით ბოლნისის სიონის შემკულობის (მისი მხატვრული კომპოზიციების) ანალოგიურ მოტივებსა და კომპოზიციებს. სრული დამთხვევაა ქვაზე ჭრის ტექნიკაშიც. დათარიღებისათვის, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასომთავრულ წარწერებს, რომელთაც, როგორც ეს ზევით უკვე აღინიშნა, ხშირად ვხვდებით უპირატესად, სტელების ბაზებზე, ხოლო ზოგჯერ თვით საკუთრივ სტელებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ უძველეს ქვის ძეგლებისა და ეკლესიების შესწავლის შედეგებს, შემთხვევით აღმოჩენილ სტელების წარწერიან ნაწილებს და სხვა. დაგროვილი მასალის სხვადასხვა კომპლექსების შესწავლის საფუძველზე, არის ცდები ამ მასალის განზოგადებისა, ქრონოლოგიური დიფერენციაციისა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენ შოგვეპოვება სანდოდ შესწავლილი და განსაზღვრული ქვის ძეგლების ცალკეული კომპლექსები, მაინც ამ მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლების განსაზღვრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბოლნისის სიონს, მის წარწერებს, მის მხატვრულ მოტივებს, ვინაიდან ბოლნისის სიონი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლილი, მტკიცედ დათარიღებული ძეგლია. ზემოხსენებული გარემოების გამო, სანამ გადავიდოდეთ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შოპოვებული უძველესი ქვის ძეგლების—სტელების განსაზღვრასა და დათარიღებაზე, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ აღვნიშნოთ ბოლნისის სიონის შემკულობის დამახასიათებელი მოტივები და ნიშნები.

როგორც ცნობილია, ბოლნისის სიონის ფასადები მოკლებულია შემკულობას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამი ჯვრის გამოსახულებას მის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ფასადებზე. ეს არის, რა თქმა უნდა, სიმბოლო ქრისტიანობისა, რელიგიური ჯვრებია, მაგრამ (ამ შემთხვევაში) აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, ამავე დროს, ეს არის მხატვრული მოტივი, მხატვრულად დახვეწილი ტოლმკლავებიანი ჯვრის გამოსახულება, ჩასმული მხატვრულ წრიულ ჩარჩოში; ეს არის მედალიონები, რომელთაც სიონის ფასადებზე ანაწილებს არქიტექტორი. მაშასადამე, მედალიონები, ამ შემთხვევაში, წარმოადგენენ არა მხოლოდ რელიგიის სიმბოლოს გამოსახულებას, არამედ მხატვრულ ელემენტს, მის სამკაულს[158]. მედალიონებით შემკულია როგორც სიონის ფასადები, ისე ინტერიერიც, უპირატესად სვეტების კაპიტელები.

---

[158] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 182.

თუ სიონის ფასადებზე მხოლოდ სამი მედალიონია გამოსახული, ტაძრის შიგნით ცხრა მედალიონია, ხოლო ხუთ შემთხვევაში წაგრძელებული ჯვრების გამოსახულებებს ვხედავთ. ამას გარდა, ჯვრების გამოსახულებები გვხვდება როგორც გარკვეული კომპოზიციის შემადგენელი ნაწილი — სვეტების კაპიტელებზე.

ბოლნისის ფასადებზე სამი ტიპის მედალიონია გამოსახული:

ა) ტოლმკლავებიანი ჯვარი ჩასმული ორ ან სამ კონცენტრულ წრეში, რომელთა შორის დარჩენილი არე შევსებულია ცერადკვეთით შესრულებული პატარა სამკუთხედების ჯაჭვით. ასეთი მედალიონებია გამოსახული ტაძრის ფასადებზე გარედან. ეს არის ბოლნური მედალიონის ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპი (ტაბ. LXXVI, სურ. 1 და 3).

ბ) ბოლნურ მედალიონის მეორე ტიპს წარმოადგენს ტოლმკლავებიანი ჯვარი, ჩასმული გრეხილი ზონარის მსგავს მრგვალ ჩარჩოში, ხოლო ამ ჩარჩოს, გარედან, ორივე მხრივ აუყვება მცენარეული მრგვალი ღერო, რომელიც ზევით, ორსავე მხარეს თავდება სამყურა ფოთლებით; დამახასიათებელია ამ მედალიონისათვის ჯვრის ტოლ მკლავებს შორის დარჩენილი არეების შევსება აბობურცული წიწვოვანი მოტივებით. ასეთ მედალიონს ვხედავთ ტაძრის ჩრდ. ნავის მესამე სვეტზე. ეს მედალიონი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი წარწერიანია; მედალიონს ზემოთ ასომთავრული დაჭარაგმებული წარწერაა, რომელიც გაშიფრული აქვს ლ. მუსხელიშვილს შემდეგნაირად: „ესე ჯუარი ვარდან ნახაპეტისაჲ“[159], ეს წარწერაც ისევე ძველია, როგორც თვით ტაძარი (ტაბ. LXXVI, სურ. 5).

გ) მესამე ტიპის ბოლნურ მედალიონს ვხვდებით ტაძრის აფსიდის ჩრდ. პილასტრზე; ეს არის ტოლმკლავებიანი ტიპური „ბოლნური ჯვარი“, რომელსაც კონტურების გარშემო წმინდად ამოჭრილი ღარი შემოუყვება; ეს ჯვარი ჩასმულია ასევე ამოღარულ წრიულ ჩარჩოში. შემკულობის სხვა დეტალები ამ მედალიონს არ გააჩნია[160] (ტაბ. LXXVI სურ. 2).

დ) ბოლნისის სიონის შიდა ფასადებზე ვხვდებით აგრეთვე ჯვრების გამოსახულებას, რომელთა ერთი მკლავი ოდნავ წაგრძელებულია სამ დანარჩენზე. ეს ჯვრები განსხვავდებიან ზემოხსენებული სამი ტიპის ჯვრის მოყვანილობისაგან იმითაც, რომ მათი მკლავები ვიწრო და უფრო წაგრძელებულია (ზემოხსენებული სამი ტიპის ბოლნური ჯვრების მკლავებთან შედარებით). გარდა ამისა, ამ პატარა ჯვრების მკლავები უმნიშვნელოდ არის გაფართოებული ბოლოებში და არ არის შესრულებული ცერადკვეთით, მათი მკლავები ბრტყელია[161].

ე) დასასრულ, როგორც ეს ზევით აღინიშნა, ბოლნისის ფასადებზე შიგნიდან ვხვდებით პატარა რელიეფურ ტოლმკლავებიან ჯვრებს გარკვეულ კომპოზიციებში, რომლებიც (ჯვრები), თითქოს ჩამოკიდებულია რაიმეზე. ასეთია მაგ., ჯვარი სანათლავის შუა კაპიტელზე, რომელიც ორი ფარშევანგის გამოსახულებას შორის არის მოქცეული; ან კიდევ პატარა ჯვარი ხარის თავის სკულპტუ-

---

[159] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისი, ენიმკი-ს მოამბე, III, ტფ., 1938, გვ. 332. აგრეთვე Г. Н. Чубинашвили, Болниси. სურ. 113, გვ. 185.

[160] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., სურ. 110, გვ. 182.

[161] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ,, სურ. 114, გვ. 187.

რულ გამოსახულების ზევით, ხარის რქებს შორის, ზემოხსენებული კაპიტელის გვერდით წახნაგზე[162].

ბოლნისის სიონის შემკულობისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ცხოველების რელიეფური გამოსახულებანი გარკვეულ კომპოზიციაში; მცენარეული მოტივები, უპირატესად დატოტვილი და ფოთლებით შემოსილი ხეების გამოსახულებანი.

ცხოველების გამოსახულებებიდან ტიპური კომპოზიცია ტაძრის აბსიდისწინა კაპიტელზე — მცენარეულ მოტივებს შორის ორი ლომი თავს ესხმის არჩვს; ამავე კაპიტელის სარტყელზე გამოსახულია დათვი, რომელიც მისდევს შველს. მცენარეულ მოტივების გამოსახულებებთან ერთად ვხვდებით ცხოველების გამოსახულებებს ტაძრის ჩრდილო სტოას დას. კაპიტელაზე; სანათლავის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კაპიტელებზე[163].

მცენარეების, უპირატესად სტილიზებული ხეების გამოსახულებებისათვის დამახასიათებელია ცერადკვეთის ხერხით გამოყვანილი ნავისებრი და სამკუთხოვანი ფორმის ფოთლები (აბსიდისწინა სამხრ. და ჩრდ. კაპიტელები. სამხ. კარიბჭის დას. კაპიტელი)[164]. განსაკუთრებით დამახასიათებელია ხეების სტილიზებული გამოსახულებანი, რომელთა ორი გვერდითი ზედა ტოტი ზევით არის ახრილი რკალივით, ხოლო ქვედა ორი პატარა ტოტი, პირიქით, ქვევით არის გადმოხრილი მკვეთრად[165]. ასევე დამახასიათებელია ბოლნისის სიონის კაპიტელებზე, როგორც გ. ჩუბინაშვილი უწოდებს ე. წ. ნარატიული ხეების გამოსახულება, რომელთა ორივე მხარეს გამოსახულია მაზდეიზმის წმინდა თავსაკრავის ბოლოები რკალივით ზეაღმართული[166]. ეს არის აშკარად გამოსახული მაზდეიზმის სიმბოლო ქრისტიანული ტაძრის კაპიტელებზე, ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის გვერდით. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეხიჭება, V ს. საქართველოს ხელოვნების ძეგლების დახასიათებისათვის. დასასრულ, განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ოთხფურცლოვანი ვარდულების გამოსახულებას ტაძრის კაპიტელებსა და ბაზებზე. ასეთი თავბოლოწამახვილებული ლანცეტისებრი მოყვანილობის ვარდულის ფურცლები, თავისი ბოლოებით ეხებიან ოთხივე მხარეს განლაგებულ ასეთივე ვარდულებს და, ამგვარად, ქმნიან ასეთი მოხდენილი ვარდულებისაგან შედგენილ მთელ ბადეს[167]. ეს ვარ-

---

[162] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. IV, სანათლავის შუა კაპიტელი, წინა და გვერდითი წახნაგები.

[163] იქვე, სურ. 95, ტაბ. III.

[164] იქვე, ტაბ. I, და II, ტაბ. V,

[165] იქვე, ტაბ. I.

[166] იქვე, ტაბ. V, აგრეთვე, სურ. 98, გვ. 166.

[167] აკად. გ. ჩუბინაშვილი ამ მოტივს გეომეტრიულ მოტივად მიიჩნევს იმ საფუძველზე, რომ ამ ვარდულებისაგან შედგენილ „ბადეში“ იგი ხედავს ერთმანეთის გადამკვეთი პატარა წრეების (пересекающихся кругов) მოტივს და არა ვარდულებს (იხ. მისი Болниси, გვ. 174—184, სურ. 105—107 და სხვ.). საქმე ის არის, რომ ოთხფურცელა ვარდულები ამ მხატვრულ მოტივში ისე არიან სიმეტრიულად ერთმანეთთან განლაგებულნი, რომ ისინი თავისი მახვილი წვეროებით ერთმანეთს ეხებიან და ქმნიან უწყვეტ მხატვრულ „ბადეს“. ასეთნაირად განლაგებული ვარდულების ნაცვლად, თვალს ზოგჯერ ეჩვენება ერთმანეთის გადამკვეთი ოთხ-ოთხი პატარა წრე; მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით შევნიშნავთ აშკარად გამოხატულ ოთხფურცელა მოხდენილ ვარდულებს სწორედ ისეთს, როგორიც ჩვენ ხალხში გავრცელებული იყო ბოლო დრომ-

დულებიც ისევე, როგორც სხვა მცენარეული მოტივები, ცერადკვეთით არის შესრულებული. მაგალითად სამხ. კარიბჭის დასასავლეთი კაპიტელი და სხვ.[168]

ამ მოტივის ერთგვარ ვარიანტს წარმოადგენს ამგვარივე მოყვანილობის ფურცლებისაგან შედგენილი ნახევარვარდულები — ორი ლანცეტისებრი ფურცლისაგან შედგენილი. ასეთი ნახევარვარდულების მოტივები ასევე გავრცელებული ჩანს ბოლნისის ტაძრის შემკულობაში[169].

ბოლნისის კაპიტელებზე პირველად ვხვდებით ვაზის ზიგზაგურად გამოსახულ შტოს ყურძნის მტევნების, ფოთლებისა და სპირალურად დახვეული „ულვაშების“ სახით (სანათლავის ჩრდ.-აღმოსავლეთისა და ჩრდ.-დას. კაპიტელები. იქვე შუა კაპიტელი[170]). დასასრულ, დამახასიათებელია ფარშევანგების გამოსახულება სანათლავის შუა კაპიტელზე, როგორც მარადიული სიცოცხლისა და აღორძინებული გაზაფხულის ქრისტიანული სიმბოლო[171]. ამგვარად, ბოლნისის ტაძრის შემკულობის მოტივების სახით ჩვენ გვაქვს V საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლების მხატვრული მოტივების მთელი სერია.

ამასთან ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ეს მხატვრული მოტივები წარმოდგენილია რელიეფების სახით, ხოლო რელიეფურობა მიღწეულია ფონის ამოკვეთის ხერხის გამოყენებით. არქიტექტურული მონუმენტური ტაძრის ზემოალნიშნული შემკულობის მოტივები, სიუჟეტები, სიმბოლიკა, ქვაზე ჭრის ტექნიკა გარკვევითაა ასახული, გამოყენებული მცირე ხელოვნების ქვის უძველეს ძეგლებზე, სტელებზე, რაც ხშირად საფუძველს გვაძლევს ამგვარი ძეგლები მივიჩნიოთ ბოლნისის სიონის სინქრონულ ძეგლებად.

დასასრულ, ბოლნისის ტაძართან კავშირში არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ქვის სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტები, რომლებიც აღმოჩნდა ბოლნისის სიონსა და მის უშუალო სიახლოვეს მაშინ, როცა არქეოლოგიური გათხრების შედეგად ტაძარი და მისი ტერიტორია გაიწმინდა ნაშალი მიწის გროვისაგან და ნანგრევებისაგან[172]. ამ ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა მოგვიანო ხანაში ამოშენებულ კედლებისა თუ ტიხრების წყობაში. მათი ფრაგმენტები გამოყენებულია როგორც სამშენებლო მასალა.

გ. ჩუბინაშვილს სპეციალურად აქვს განხილული თავის შესანიშნავ ნაშრომში „ბოლნისი“ (1940 წ.) ქვის ის უძველესი ძეგლები, რომლებიც აღმოჩნდა ბოლნისის ტაძრის დანგრეული კედლების ამოშენებისა თუ გადაკეთების დროს კედლების წყობაში და ტაძრის გარშემო ნანგრევებს შორის. სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტებიდან, რომელთა საერთო რაოდენობა ოთხ ათეულამდე აღწევს, გ. ჩუბინაშვილი გამოჰყოფს ქვის თხელ, სწორკუთხოვან

დე ხითხუროობაში და რომლითაც ხშირად ამკობდნენ ხის ავეჯს. ამ ვარდულებს ხალხში „კურდღლისყურას“ უწოდებდნენ.

[168] იქვე, ტაბ. V, აგრეთვე იხ. ტაბ. III, VI, სურ. 105, 106, 107; ტაბ. VII და VIII.

[169] Г. Н. Чубинашвили, Болниси, ტაბ. VII, დას. ღიობის ბაზა, ტაბ. VIII, ჩრდ. სტოა, მესამე კაპიტელი და სხვ.

[170] იქვე, ტაბ. III, და IV, აგრეთვე სურ. 100 და 101, გვ. 166.

[171] იქვე, ტაბ. IV.

[172] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 311, ბოლნისში, ზემოხსენებული არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა 1936 წ. 9 ივლისიდან აგვისტომდე. ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელი იყო პროფ. ივ. ჯავახიშვილი, კონსულტანტი პროფ. გ. ჩუბინაშვილი, ხოლო გათხრებს ადგილზე ხელმძღვანელობდა ლ. მუსხელიშვილი.

სტელებს ბოლნური მედალიონებით (ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილ წრიულ ჩარჩოებით) და ასომთავრული წარწერებით, და მათ მიიჩნევს (ჭრის ხასიათით, კომპოზიციით) უეჭველად ბოლნისის ტაძრის სინქრონულ ძეგლებად[173]. ამ დათარიღებას მხარს უჭერენ აგრეთვე წარწერების პალეოგრაფიული ნიშნებიც.

სრულიად განსაკუთრებულ ძეგლებად მიაჩნია გ. ჩუბინაშვილს შესანიშნავი ქვის ჯვრები, გამოჭრილი კონტურების მიხედვით და დიდი ოსტატობით შემკული არქაული ჩუქურთმებით (მაგ. სამფურცლოვანი ყვავილი), ამ ჯვრებს ქვედა მკლავის ორსავე მხარეს ამოუყვებია ნახევარპალმეტები — აყვავებული ჯვრის სიმბოლო. ამ ჯვრებს გ. ჩუბინაშვილი ათარიღებს „უძველესი ეპოქით, რომელიც შეიძლება პირობითად გახისაზღვროს V, VI და VII სს.“[174].

აქვე, ბოლნისის კედლების წყობასა და ტაძრის გარშემო კულტურულ ფენაში აღმოჩენილი იყო ორ ათეულზე მეტი ფრაგმენტი ოთხწახნაგოვანი ქვის სტელებისა, რომელიც შემკულია უპირატესად ბუნზე დადგმული ბოლნური მედალიონებით, თავის მხრივ ბუნი დადგმულია ორ-ან სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე. ამას გარდა, არანაკლებ გავრცელებულია და ხშირად გვხვდება სტელებზე ვაზის შტოს მოტივი ზიგზაგურად მოხრილი, რომლის „უბეებში“, თანმიმდევრულად ჩასმულია ყურძნის მტევნები და სტილიზებული ფოთლები. მეტად დამახასიათებელია ამ მოტივისათვის ისეთი დეტალები, როგორიცაა სპირალურად დახვეული ვაზის ე. წ. ულვაშები. გვხვდება სხვა მოტივებიც, მაგრამ ეს ორი მოტივი მაინც განსაკუთრებით დამახასიათებელია ბოლნისის სტელების შემკულობისათვის; ი'შვიათად გვხვდება ადამიანის (მამაკაცის) გამოსახულება ეპოქისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელში. ბოლნისის სიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოთხწახნაგოვანი სტელების ფრაგმენტები გ. ჩუბინაშვილს, ზემოხსენებულ ორი ჯგუფის ქვის ძეგლებთან შედარებით, უფრო მოგვიანო ძეგლებად მიაჩნია იმ საფუძველზე, რომ ეს სტელები „ამოვარდნილია ბოლნისის სიონის ხასიათისა და არქიტექტურული ჩარჩოებიდან“ და, რომ სიონთან ეს ძეგლები არ შეიძლება დავაკავშიროთ.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ქვის უძველესი ძეგლების შესწავლისათვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ ბოლნური მედალიონი დროთა ვითარებაში იცვლება და თანდათანობით კარგავს იმ დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთაც ჩვენ ბოლნისის სიონის ფასადებზე შერჩენილ მედალიონზე ვამჩნევთ. ეს ნათლად ჩანს ბოლნისის სიონის შემდგომი საუკუნეების ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა მცხეთის ჯვარი და წრომის ტაძარი; ჯვრის სახესხვაობა, რასაც ვამჩნევთ ძველი ქართული არქიტექტურის ზემოაღნიშნულ, კარგად შესწავლილ და დათარიღებულ ამ საეტაპო ძეგლებზე, საფუძველს გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქრისტიანობის ამ სიმბოლოს გამოსახულების ევოლუციას და აღნიშნული მონაცემები გამოვიყენოთ სტელების ორნამენტიკის შესწავლის პროცესში.

---

[173] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 101, სურ. 75 და 76.

[174] იქვე, გვ. 96, სურ. 63, 64, 65; აგრეთვე სურ. 66—74.

სრულიად ცხადია, რომ ადრეული შუა საუკუნეების სტელებისა და ჯვრების განსაზღვრა-დათარიღებისათვის სათანადო დასაყრდენს იძლევა თვით სტელები და განსაკუთრებით მათი წარწერები. ამავე დროს, მცირე ხელოვნების ეს ძეგლები მნიშვნელოვნად ავსებენ ჩვენს ცოდნას აღნიშნული ხანის ისტორიის და ხელოვნების საკითხებზე.

ამის შემდეგ შეიძლება უშუალოდ შევეხოთ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალების დათარიღების საკითხს.

ადრეული შუა საუკუნეების იმ ძეგლებიდან, რომელთაც მიაკვლია დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოფ. უკანგორის ეკლესია და იქვე აღმოჩენილი ქვის მრავალრიცხოვანი ძეგლები, რომელთა შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი. მნიშვნელოვანია უკანაგორის ძეგლები იმიტომ, რომ ყველა ნიშნის მიხედვით ისინი უკავშირდებიან საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების უადრეს საფეხურებს. ლ. მუსხელი შვილი, როგორც ზევით აღინიშნა, უკანგორის ერთნავიან ეკლესიას ათარიღებს VI ს. დასაწყისით[175] შემდეგ საფუძველზე:

ა) ეკლესიას ახასიათებს არაკანონიკური ორიენტაცია, რაც დამახასიათებელია უძველესი ქართული ეკლესიებისათვის (ძველი გავაზის ტეტრაკონქი, ნეკრესის უძველესი ტაძარი და სხვ.);

ბ) სამხრეთის მხრიდან მიშენებული სადიაკვნო, რომელსაც შესასვლელი მხოლოდ შიგნიდან აქვს (ტაბ. I და V, სურ. 1), მისი სიძველის მანიშნებელია და მესოპოტამური ტრადიციის ზეგავლენას უნდა მიეწეროს;

გ) ეკლესიის კედლების უჩვეულო სისქე — 1,25 მ. ამასთანავე ეკლესია როგორც გარედან, ისე შიგნიდან (მიუხედავად გადაკეთებისა დროთა განმავლობაში) შემოსილია კარგად გათლილი დიდი ზომის მოყვითალო კვადრებით და კედლების წყობაში კარგადაა დაცული თარაზულობა (ტაბ. I, სურ. 2);

დ) ეკლესიის აბსიდის სარკმლის კედლები (აგრეთვე სხვა სარკმლების კედლებიც) პარალელურია (ტაბ. I, სურ. 1 და 2), რაც დამახასიათებელია, როგორც საქართველოს, ისე სომხეთის უძველესი ტაძრებისათვის. ამ დებულების დადასტურებისათვის ლ. მუსხელიშვილს დასახელებული აქვს საქართველოს ძეგლებიდან ძველი გავაზის ტეტრაკონქი (VI საუკ.), ხოლო სომხეთის ძეგლებიდან დირაკლარის IV საუკ. ტაძარი, ერერუიქის ბაზილიკა, რომელსაც სტრიგოვსკი V საუკ. პირველი ნახევრით ათარიღებს, აგრეთვე ქასახისა და აშტარაკის V საუკ. ტაძრები[176];

---

[175] ლ. მუსხელიშვილი, „ექსკურსიები", I, გვ. 11—14. ჩვენ აქ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ზემოხსენებული „ექსკურსიების" გამოცემის დროისათვის (1941 წ.) ლ. მუსხელიშვილი იზიარებდა ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერის პ. ინგოროყვას მიერ შემოთავაზებულ დათარიღებას—502/3 წ. („ექსკურსიები", გვ. 12, სქოლიო 14), ამიტომ იგი უკანგორის ეკლესიას და ქვის ძეგლებსაც VI ს. დასაწყისით ათარიღებდა. რამდენადაც, კარგა ხანია ცნობილია, რომ ბოლნისის სიონი აშენებულია 478—493 წწ. ამდენად უკანგორის ძეგლებიც V ს. უნდა დათარიღდეს. ქვევით, ყველგან ზემოხსენებული დაზუსტებული თარიღი გვექნება მითითებული.

[176] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11. იხ. აგრეთვე J. Strzygowski, Die Baukunst der Armenier und Europa, Wien, 1918, Bd. I, გვ. 140, სურ. 152; გვ. 147, სურ. 167. გვ- 150, სურ. 172; გვ. 153, სურ. 177;

ე) თავისი საერთო გეგმითაც უკანგორის ეკლესია უძველეს ერთნავიან ნაგებობას უნდა მიეკუთვნოს;

ვ) ლ. მუსხელიშვილი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ შემკულობა ეკლესიას არც გარედან და არც შიგნით არა ჰქონია, რაც აგრეთვე მისი სიძველის მაჩვენებელი ნიშანია[177].

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ეკლესიამ ჩვენი ყურადღება ადრევე მიიპყრო, არაერთხელ მოგვიხდა ჩასვლა სოფ. უკანგორში დმანისიდან და გარკვეული დაშატებითი მუშაობის ჩატარება ეკლესიის შემდგომი შესწავლის მიზნით. უპირველესად ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია ეკლესიის გეგმამ, ეკლესიის საშხრეთით მკვეთრად გამოწეულმა სადიაკვნემ. წინასწარმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ეკლესიას უნდა ჰქონოდა ღია გალერეა. მართლაც ეკლესიის დას. და სამხრ. ჩატარებულმა გათხრამ გამოაჩინა ეკლესიის სტოას კედლები, აგებული შესანიშნავად გათლილი დიდი კვადრებით, რომლებიც ერთმანეთთან მეტად მჭიდროდაა მორგებული[178] (ტაბ. IV, სურ. 1 და 2; ტაბ. V, სურ. 1, ეკლესიის გეგმა). ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ეკლესიის დას. და სამხრ. ფასადების კედლების წყობაში გარკვეულ დონეზე შერჩენილია წინ გამოწეული თარხნები. რომელთაც, უეჭველია, ეყრდნობოდა სტოას თაღები თავისი ქუსლებით. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი კიდევ უფრო დამაჯერებლად მიგვითითებს ეკლესიის სიძველეზე.

რაც შეეხება მეორე საკითხს, წინააღმდეგ ლ. მუსხელიშვილის მტკიცებისა, რომ ეკლესიას შემკულობა არც გარეთ ჰქონია და არც შიგნითაო გამოირკვა, რომ ეკლესიის საკურთხევლისწინა პილასტრების კაპიტელები შემკული ყოფილა ადრექრისტიანული ხანის ძეგლებისათვის ფრიად დამახასიათებელი და გავრცელებული ოთხფურცელა ვარდულებით. როგორც ჩვენ ზევით ხაზგასმით შევნიშნეთ, აღნიშნული ტიპის ოთხფურცელა ვარდულები (ლანცეტისებრი მოყვახილობის ფურცლებით) უაღრესად დამახასიათებელი და გავრცელებული მოტივია ბოლნისის სიონის შემკულობის მოტივებს შორის; ასეთი ვარდულებითაა შემკული სიონის როგორც კაპიტელები, ისე ბაზებიც. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, უკანაგორის ეკლესიის კაპიტელების შემკულობა ზემოხსენებული ვარდულებით ერთ-ერთი ნიშანია ამ ეკლესიის სიძველისა. ეს გარემოებაც, თავის მხრივ, დამაჯერებლად მიგვითითებს იმაზე, რომ უკანაგორის ეკლესია V ს. ძეგლია. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ უკანაგორის ეკლესიის პილასტრების ორი კაპიტელიდან თავის ადგილას არის შერჩენილი საკურთხევლის წინა, ჩრდ. კაპიტელი[179], ხოლო მეორე, საშხრეთის კაპიტელი, ჩამოვარდნილა დიდი ხნის წინათ, რაც იქიდან ჩანს, რომ ამ კაპიტელის ფრაგმენტი ჩაუშენებიათ ეკლესიის დას. კედლის სამხრ.-დას. კედლის წყობაში (ტაბ. II, სურ. 2), ხოლო მეორე დიდი ფრაგმენტი (ზომ. 1,32×0,26 მ), აღმოვაჩინეთ ეკლესიის დას. კარის შშრალ წყობაში, რომლითაც სოფლის მცხოვრებლებს კარი ამოუჭოლიათ (ტაბ.

---

[177] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10 და 11.

[178] В. В. Джапаридзе, Отчот Дманисской археологической экспедиции, Полевые археологические исследования в 1975, Тб., 1976, გვ. 10

[179] რადგან კაპიტელი ეკლესიის იატაკის დონიდან მაღლაა და, თანაც ჩრდილშია მოქცეული, მისი ფოტოსურათის გადაღება ვერ მოხერხდა.

V, სურ. 2). ნიშანდობლივია, რომ უკანგორის ეს ძველი ეკლესიაც, თავისი დროის არქიტექტურული პრინციპის შესაბამისად, მეტად ძუნწად ყოფილა შემკული აღნიშნული ორნამენტული მოტივით. სხვა ორნამენტის, ეკლესიის შემკულობის სხვა კვალი არ ჩანს[180].

როგორც ვიცით, ეკლესიაში და ეკლესიის უშუალო სიახლოვეს მიკვლეული იყო სტელების, მათი ბაზებისა და კაპიტელების ფრაგმენტები. საინტერესოა რა ქრონოლოგიურ ურთიერთობაში შეიძლება იყოს ქვის ეს საინტერესო ძეგლები ამ უძველეს ტაძართან.

ლ. მუსხელიშვილი, სრულიად სამართლიანად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ქვებს, რომლებიც ეკლესიასთან აღმოჩნდა და „რომლებიც — აღნიშნავს იგი, — ჩემის აზრით, საშუალებას გვაძლევს ტაძრის ქრონოლოგია უფრო ნიშანდობლივადაც განვსაზღვროთო“[181].

ეკლესიასთან, ზედაპირულად აღმოჩენილი იყო სულ სხვადასხვა დანიშნულების ქვის 13 ფრაგმენტი, სტელის ბაზების 2 ფრაგმენტი, ერთი ფილა ბოლნური მედალიონით და ასომთავრული წარწერის ნაშთით; ქვის ერთი ფრაგმენტი ბოლხური მედალიონის ორიგინალური ვარიანტით; სტელების 3 ფრაგმენტი (მათ შორის ერთი დიდი, სამად გატეხილი); ერთი სტელის კაპიტელის ფრაგმენტი და ორი ქვა, რომლებზედაც შერჩენილია საერო პირთა გამოსახულებისა და ასომთავრული წარწერების ნაშთები[182].

ზემოხსენებული ქვებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტელის ბაზა ასომთავრული ოთხსტრიქონიანი წარწერით (V და VI სტრიქონები წაშლილია და საბოლოოდ დაკარგული), რომელშიც, როგორც ეს ზევით იყო აღნიშნული, იხსენიება ჯვრის აღმმართველი თათვარაზი (ტაბ. III, სურ. 1); უეჭველია, თათვარაზი თავისი დროის წარჩინებული პირი უნდა ყოფილიყო. ლ. მუსხელიშვილს სრულიად მართებულად, წარწერის ენობრივი და პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე აღნიშნული აქვს, რომ „ეს წარწერა ენათესავება ბოლნისის უძველეს წარწერებს“[183]. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წარწერა ხანმეტია („აღხოჯშართე ესე ჯოჯარი“..); რომ წარწერაში ხმარებულ ასოებიდან თავშეკრულია „ვ“ და „ბ“; „შ“-ინი თავგახსნილია. პალეოგრაფიულად დაახასიათებელია ტანდაბალი, განიერი ასოები. სრულიად მართებულია ლ. მუსხელიშვილის დაკვირვება იმის შესახებ, რომ „ვ“-ს ხმარება სიტყვაში „შეწევნითა“ კიდევ უფრო უახლოვებს ამ წარწერას ბოლნისის უძველეს წარწერებს (სააღმშენებლო წარწერას და დავით ეპისკოპოსის წარწერას), საცა ანალოგიური მართლწერა გვაქვს წარწერების სიტყვებში: „თავყვანისცეს“ „თავყანისცემელნი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ლ. მუსხელიშვილს, თათვარაზის წარწერა მიაჩნია ბოლნისის თანადროულ წარწერად. ამგვარად ამ მეტად

---

[180] ლ. მუსხელიშვილს თავის „ექსკურსიებში“ (გვ. 10) აღნიშნული აქვს თითქოს ეკლესიის კედლებში ჩაშენებული იყო „უადგილო ადგილას ო რ ნ ა მ ე ნ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ქ ვ ე ბ ი“, ერთადერთი ორნამენტირებული ქვა, რომელიც ჩაშენებულია ეკლესიის დას. ფასადის სამხ.— დას. ზედა კუთხეში (იხ. ტაბ. II, სურ. 2), არის ზემოხსენებული კაპიტელის ფრაგმენტი.

[181] იქვე, გვ. 11.

[182] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 11—23.

[183] იქვე, გვ. 12.

საინტერესო ძეგლისა და მისი წარწერის თარიღი არ უნდა იწვევდეს ეჭვს. თათვარაზის წარწერა არის V საუკუნის უძველესი წარწერა ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნით.

ინტერესი თათვარაზის წარწერებისადმი არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ქართულ წარწერას ბოლნისის სიონის წარწერებთან ერთად. გარდა თათვარაზისა, რომლის ვინაობის შესახებაც ძეცხიერებისათვის არაფერია ცნობილი, ამ მოკლე წარწერაში იხსენიება პეტრე ხუცესი. წარწერა, როგორც ვიცით, იწყება ასე:

1. [ქ] პეტრჱ ხოჳცსობას[ა]
2. მე თათვარაზ აღხოჳ[მ] [ა]რთე
3. ესე ჯოჯარი...

მაშასადამე, გამოდის რომ ჯვრის აღმმართველი — თათვარაზი, ჯვრის აღმართვის აქტს ათარიღებს იმ დროით, როცა პეტრე იყო ხუცესი, პეტრჱს ხუცესობის დროით. მაგრამ საკითხავია ვინ იყო ეს პეტრე ხუცესი, რომელსაც ეგულისხმება, კარგად იცნობდა მაშინდელი საზოგადოების ფართო წრეები?

ლ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ „ჩვენს წარწერას უთუოდ საერო ან ნახევრად საერო პირი ჰყავს მხედველობაში პეტრე ხუცესის ქვეშ“[184]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაკი ჯვრის აღმართვა საკულტო აქტი იყო და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების პროცესის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, ამიტომ მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პეტრე ხუცესი სამღვდელო პირი იყო, და არა საერო. ასეთი ვარაუდი მით უფრო შესაძლებელია, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში კარგად არის ცნობილი ვახტანგ გორგასალის თანამედროვე საეკლესიო მოღვაწე პეტრე მღვდელი, მაგრამ ეს უკვე სპეციალური საკითხია, რაც საგანგებო დასაბუთებას მოითხოვს, ამიტომ ამჯერად ამ საკითხზე ჩვენ არ გავაგრძელებთ საუბარს.

მხი'შვნელოვან ძეგლს წარმოადგენს პატარა ჯვრის ის კვარცხლბეკი (ზომ. 0,39×0,355×0,31 მ.), რომლის ერთ პირზე გამოქანდაკებული ყოფილა შვიდსტრიქონიანი მთავრული წარწერა[185]. ჩვენ უკვე გვქონდა ზევით აღნიშნული, რომ ეს წარწერა თათვარაზის წარწერასთან შედარებით, უფრო მეტად ყოფილა დაზიანებული, მაგრამ მაინც იკითხება სრულიად დამაჯერებლად სიტყვები:

„[ა]ლხ [ო][ჳმართეთ]
ესე ჯ[ო][ჯარი აა]ლოცვე[ლად] [ჩ]ნდა“...

ამ ფრაგმენტიდან ჩანს, რომ წარწერა ხანმეტი ყოფილა, ამას გარდა, წარწერისათვის დამახასიათებელია დაბალყელიანი „დ“-ი, რაც მისი სიძველის მაჩვენებელია. ლ. მუსხელი'შვილი ამ წარწერას, ზემოხსენებულ საფუძველზე, თათვარაზის წარწერის თანადროულად მიიჩნევს.

მეტად საინტერესოა ბრტყელი სტელა ბოლნური მედალიონით, სამფურცელა ყვავილების არშიით და მედალიონს ქვევით ასომთავრული წარწერის

---

[184] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 13, დასაბუთება, ამ მოსაზრებას არ ახლავს.

[185] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

ნაშთით (ტაბ. III, სურ. 2 და 3)[186]. სტელის წარწერიდან მხოლოდ 4 ასოა შერჩენილი, რომელთაგან ერთი თავშეკრული „ვ“-ნია. ლ. მუსხელიშვილის აზრით, პალეოგრაფიული ხასიათი შერჩენილი ასოებისა ისევ V საუკუნეზე მიგვითითებს.

ამ სტელაზე გამოსახული მედალიონიც სრულ მსგავსებას იჩენს ბოლნურ მედალიონებთან (ბოლნური ტიპის ჯვარი, მის მკლავებშორის წიწვოვანი მოტივები, სამკუთხედების ჯაჭვისაგან შედგენილი ჩარჩო, ფონის ამოკვეთისა და ცერადკვეთის ტექნიკით შესრულებული ორნამენტული მოტივები). ეს მედალიონიც ქრისტიანობის ამ ადრეული ეტაპის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ძეგლია და მეტად გულმოდგინედ და დიდი ოსტატობითაა შესრულებული. ამ საფუძველზე მისი მიკუთვნება ბოლნისის სიონის თანადროულ ძეგლების ჯგუფისათვის, სრულიად მართებულად უნდა მივიჩნიოთ.

ამ ქვის დანიშნულება ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც „ძნაჲს“ ჯვრის ქვისა. ეს ლ. მუსხელიშვილს მიაჩნია სამახსოვრო ძეგლად[187].

ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლებად მიაჩნია ლ. მუსხელიშვილს აგრეთვე ოთხწახნაგა პრიზმული მოყვანილობის ქვა ბოლნური მედალიონით (ჯვარი ჩასმულია პაწია სამკუთხედების ჯაჭვისაგან შედგენილ ჩარჩოში). ქვის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონის მეტად ორიგინალური ვარიანტია (ტაბ. LXXVII სურ. 5); სტელების სამი ფრაგმენტი, რომელთაგან ორზე შერჩენილი ყოფილა ბუხიანი მედალიონისათვის დამახასიათებელი კვარცხლბეკების საფეხურები, საშფურცელა ყვავილებითა და წიწვოვანი მოტივებით შემკული. მესამე ფრაგმენტი სტელისა 2,05 მ. სიგრძისა ყოფილა, რომლის წახნაგები (სიგ. — 0,35 მ) შემკული ყოფილა „გამოქანდაკებული ორნამენტით“. ერთ-ერთ წახნაგზე გამოქანდაკებული ყოფილა პალმეტებიანი ბოლნური მედალიონები დადგმული თავისი ბუნებით კვარცხლბეკებზე (თეკენების სტელის ფრაგმენტის ანალოგიური)[188].

ასევე უძველეს ძეგლებად მიაჩნია ლ. მუსხელიშვილს კაპიტელის ფრაგმენტი (ზომ. 0,19×0,105×0,105 მ.), რომლის წახნაგებზე გამოხატული ყოფილა ბორბალი (მზის ნიშანი), გეომეტრიული ფიგურა ორ კონცენტრულ წრეში და ფარშევანგის გამოსახულება; ამ კაპიტელს ლ. მუსხელიშვილი, პარალელური მასალების მოშველიებით, VI ს. ათარიღებს[189].

იქვე აღმოჩენილ ორ ქვაზე შერჩენილია საერო პირების გამოსახულებანი (ფრაგმენტების სახით)[190]. ერთ-ერთ მათგანზე მთავრული წარწერის ფრაგმენტებია, რომელთაგან ცალკეული ასოები იკითხება. „ასოების პალეოგრაფიული ხასიათი“, აგრეთვე ტანსაცმლის დამახასიათებელი ნიშნები

---

[186] ეს ძეგლიც დაკარგულია და ჩვენს განკარგულებაშია მისი ფოტო სურათი. იმის გამო, რომ თავის დროზე ნეგატივი ორჯერ ყოფილა გამოყენებული და ფოტო ანაბეჭდი წუნდებულია, ამიტომ გაკეთებულია ამ სტელის დოკუმენტური ნახატი, რასაც იქვე ვიძლევით ტაბულაზე.

[187] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 15, იხ. აგრეთვე მისივე „ბოლნისი“, გვ. 338, სურ. 18. ნ. მარის სახ. ინსტიტუტის მოამბე, III, თბ. 1938.

[188] ლ. მუსხელიშვილი, ექსკურსიები, ტაბ. VIII, სურ. 16.

[189] იქვე, გვ. 18—21, ტაბ IV, სურ. 7.

[190] იქვე, გვ. 21—22, ტაბ. IV, სურ. 8.

საფუძველს აძლევს ლ. მუსხელიშვილს ქვის ეს ფრაგმენტები უკანგორის უძველესი ნაშთების ხანას მიაკუთვნოს[191].

ამგვარად, უკანგორის ეკლესიის ნაშთები, ეკლესიის მახლობლად აღმოჩენილი ქვის ზემოხსენებული წარწერები და ორნამენტიანი ქვები, ერთი დროის ძეგლებს წარმოადგენენ. ამ ფაქტს განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე პატარა ეკლესია, რომელიც დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა მდ. დამბლუტისწყლის პატარა ხეობაში, ძალიან ახლოს სოფ. უკანგორის ზემოხსენებულ ეკლესიასთან, მისგან ჩრდილოეთით 1,5 კმ მანძილზე.

თვით ეკლესია, როგორც ზევით იყო აღნიშნული, წარმოადგენს დარბაზული ტიპის ერთნავიან ნაგებობას, წაგრძელებულს დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ. მისი საკურთხევლის აბსიდა წინ არის გამოწეული ნახევარცილინდრულად (ტაბ. VI და VII, სურ. 1, 2). ეს ეკლესიაც მთელი რიგი ნიშნებით უნდა წარმოადგენდეს ქართული არქიტექტურის ერთ-ერთ უძველეს ძეგლს:

ა) ეკლესიის გეგმა ნახევარცილინდრულად წინ გამოწეული აბსიდით, პირდაპირ მსგავსებას იჩენს ქართული უძველესი არქიტექტურის ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა, უპირველეს ყოვლისა, ბოლნისის სიონი, ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკა, დმანისის სიონი და სხვა.

ბ) ეს ეკლესიაც არ იცავს კანონიკურ ორიენტაციას.

გ) ეკლესიის კედლები უჩვეულოდ სქელია (1,2 მ), კედლების წყობა ჰორიზონტალურია და კარგად არის დაცული თარაზულობა (ტაბ. VI, სურ. 1 და 2).

დ) ეკლესია მოკლებული ყოფილა ყოველგვარ შემკულობას და ესეც. სხვა ნიშნებთან ერთად, მისი სიძველის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს.

ამ მეტად საინტერესო ძეგლის შესწავლისა და მისი თარიღის დადგენისათვის, რა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მდიდარ მასალას, რომელიც, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ეკლესიის გათხრის პროცესში აღმოჩნდა ეკლესიის შიგნით, ხოლო ორიოდე ნატეხი ეკლესიის გარეთ, მაგრამ მასთან ძალიან ახლოს.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტელების იმ ორი ბაზისის ფრაგმენტებს, რომლებიც ეკლესიის საკურთხევლის წინ აღმოჩნდა და რომლებმაც შემოგვინახეს ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები. მიუხედავად იმისა, რომ შერჩენილი წარწერების ნაწილიც დაზიანებული და საგრძნობლად გაცვეთილია, მაინც გარკვევით იკითხება ცალკეული სიტყვები თუ ასოები, რომელთაც ამ ძეგლების დათარიღებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მომწვანო ტუფის ქვის ბაზისის ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები. ეს ბაზა, როგორც ცნობილია, შედგება 5 ნატეხისაგან და მას უნდა ჰქონოდა 13—14-სტრიქონიანი გამოქანდაკებული ასომთავრული წარწერა, რომლიდანაც შერჩენილია 8 სტრიქონი (ნაწილობრივ) და მეცხრეს კვალი (ტაბ. XIII, სურ. 1—2; XIV, სურ. 1—2 და XV, სურ. 1—2). შერჩენილი წარწერა შეიძლება დიდი გაჭირვებით იყოს გაშიფრუ-

[191] იქვე, გვ. 22.

ლი, მაგრამ ეს იქნება მეტად პრობლემატური მით უფრო, რომ საბედნიეროდ, ამ მეტად მნიშვნელოვანი ბაზის ფრაგმენტები და მისი წარწერა დაკარგულია[192]. მიუხედავად ამისა, ამ ბაზისისა და მისი წარწერის დათარიღებისათვის სათანადო საფუძველს წარწერის შერჩენილი ფოტოებიც იძლევა. ამ წარწერებიდან გარკვევით იკითხება პირველი სიტყვა „წყალობითა“, რომელშიც კარგად ჩანს თავშეკრული „ბ“-ანი პირველი, მარცხენა ფრაგმენტის ბოლოში. კარგად ჩანს აგრეთვე კიდევ ერთი თავშეკრული „ბ“-ანი ამავე ქვის მეორე სტრიქონის ბოლოში; შესანიშნავად ჩანს მეოთხე, შუა ნატეხის მეოთხე სტრიქონში უყელო „დ“-ნი და მის მარჯვნივ „ა“-ნი (ტაბ. XV, სურ. 2). ასევე, მომდევნო მეხუთე სტრიქონის თავში შესანიშნავად იკითხება „შ“ და მის გვერდით, მარჯვნივ „ჳ“, ორივე თავშეკრული. ცუდად ჩანს, მაგრამ მაინც იკითხება — „თათ“ — ამ სამი ასოს კონტურები და ამ სტრიქონის ბოლოში (ამ ნატეხზე) ასო „ჳ“ — კვლავ თავშეკრულია, ამგვარად, გამოდის სიტყვა „შჳლთათჳს“. საერთოდ, ბაზისის ამ ფრაგმენტებზე იკითხება სხვა ასოებიც სხვადასხვა სტრიქონში, მაგრამ ამ წარწერის დათარიღებისათვის, როგორც ცნობილია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავშეკრულ „ბ“-ს, „შ“, „ჳ“-ს და უყელო „დ“-ონის არსებობას. მარტო ამ ნიშნების მიხედვით ეს წარწერა შეიძლება, არა მარტო ბოლნისის წარწერების გვერდით დავაყენოთ, არამედ მასზე რამდენადმე ძველ წარწერადაც კი მივიჩნიოთ იმ საფუძველზე, რომ თუ ამ წარწერაში ასო „შ“-ინი თავშეკრულია, ბოლნისის წარწერებში იგი უმეტესად თავგახსნილია და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ „დ“-ონი სრულიად უყელოა (ბოლნისის წარწერებში „დ“-ონს დაბალი ყელი აქვს); ეს ნიშნები წარწერის განსაკუთრებულ სიძველეზე მეტყველებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ ბაზას, უძველესი ბაზებისაგან განსხვავებით, არ გააჩნია ბოლნური მედალიონი, მაგრამ მის ერთ წახნაგზე რელიეფურად გამოსახულია ჯვარი წაგრძელებული მკლავებით და მის ქვემოთ თითქმის ჰორიზონტალურად გაშლილი ნახევარპალმეტები (ტაბ. XIII, სურ. 1).

სანამ შევეხებოდეთ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სხვადასხვა წლებში მოპოვებული ადრეული ქვის ძეგლების იმ დიდი ჯგუფის განსაზღვრა-დათარიღებას, რომელთაც არ გააჩნიათ დამათარიღებელი წარწერები, მაგრამ, ამავე დროს ,ახასიათებთ სხვადასხვაგვარი ორნამენტული მოტივები (ბოლნური მედალიონები, ვაზის რტოს მოტივი, მცენარეული მოტივები, ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებანი და სხვ.), დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ზოგიერთი მოტივის გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონის დადგენას (მაგალითად, ბოლნური მედალიონისა).

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ბოლნური მედალიონები, რომლებიც ასე ხშირად გვხვდება სტელების შემკულობის მოტივებს შორის, დამახასიათებელია ქართული უძველესი არქიტექტურული ძეგლების შემკულობისთვისაც. როგორც ცნობილია, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ბოლნისის სიონი. ბოლნისის სიონის მედალიონები ისევე ძველია, როგორც თვით ტაძარი. სიმპტომატურია, რომ მედალიონები, ერთ შემთხვევაში, ბოლნისის წარწერის ცენტრშია ჩართული (აღმ. ფასადზე), ხო-

---

[192] ეს ძეგლი თავის დროზე ჩაბარდა საქართველოს სახ. მუზეუმის ფეოდალური ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის განყოფილებას.

ლო, მეორე შემთხვევაში, სააღმშენებლო წარწერის თავზეა ამოჭრილი, იმავე ქვაზე, რომელზედაც თვით წარწერაა გამოქანდაკებული[193]. ამგვარად, ამ მედალიონებს მტკიცედ ათარიღებენ ბოლნისის სიონის წარწერები. ეს მედალიონები უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ ტოლმკლავებიან, გვერდებშეზნექილ ჯვარს, რომელიც ჩასმულია ორ კონცენტრულ წრიულ ჩარჩოში, ხოლო არე კონცენტრულ წრეებს შორის, ერთ შემთხვევაში (სააღმშენებლო წარწერის ზემოთ შერჩენილი მედალიონის ნაწილი) დატიხრულია ცერადკვეთით ამოღებული თხელი ძგიდეებით. ისე, რომ აქმნება მოპირდაპირე სამკუთხედების უსასრულო მწკრივი; მეორე შემთხვევაში (დავით ეპისკოპოსის წარწერა სიონის აღმ. ფასადზე, ცენტრში მედალიონით), ტოლმკლავებიანი ჯვარი ჩასმულია სამ კონცენტრულ წრეში, ხოლო წრეებსშორისი არეები შევსებულია ცერადკვეთილი სამკუთხედებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლნისის სიონის ფასადებზე გვხვდება ბოლნური მედალიონების სხვა ვარიანტებიც (ტაბ. LXXVI): გლუვ წრეში ჩასმული ჯვარი (სურ. 2); ჯვარი ჩასმული წრიულ ჩარჩოში, ხოლო წრის გარეთ ცერადკვეთილი სამკუთხედების ჯაჭვი შემოუყვება, რომელსაც, თავის ბრივ, გარედან წრე არ აქვს (სურ. 4); განსაკუთრებით საინტერესოა ნეოთხე ვარიანტი ჯვრისა — მედალიონი ჩასმულია სამმაგ კონცენტრულ წრეში, რომელთაგან შუალა, ირიბად ამოჭრილი შტრიხების საშუალებით გრეხილის შთაბეჭდილებას ტოვებს. გარედან, ორივე მხრიდან აზიდულია გრეხილი ღერო, რომლის ორივე ბოლო სამფოთოლა მოტივით თავდება, ჯვრის მკლავებსშორისი უბეები შევსებულია წიწვოვანი ამობურცული მოტივებით (სურ. 5), ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს მედალიონი, რომელიც ამოჭრილია შუა წავის მეხუთე სვეტზე, წარწერიანია[194]. ბოლნური ჯვრების ყველა ზემოხსენებული ვარიანტი, რა თქმა უნდა, V საუკუნისაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცერადკვეთილი სამკუთხედების ჩარჩოში ჩასმული ბოლნური მედალიონები, რომლებიც, როგორც აღნიშნული იყო გვხვდება ბოლნისში და ლამაზ გორაზე აღმოჩენილ ბრტყელ სტელებზეც[195]. ეს ბრტყელი სტელები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ შეიცავენ ასომთავრულ წარწერებს, რომლებიც ათარიღებენ ამ სტელებს და, მაშასადამე მედალიონებსაც V საუკუნით, რაზედაც ზევით იყო საუბარი. ლ. მუსხელიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მათი თარიღი მოცემულია მათივე წარწერებით[196], ხოლო აკად. გ. ჩუბინაშვილი მათ შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი „უეჭველად ბოლნისის ტაძრის აგების თანადროულნი არიან თავისი ჭრის ხერხით, ჯვრების კომპოზიციით წრეებში და წარწერებით“[197].

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ ასეთი მედალიონები გვხვდება უძველეს სომხურ ძეგლებზეც, მაგ., ერერუიქის ტაძრის (V ს.) კარის ქვაზე — და სხვ.[198]

---

[193] იხ. ამ ნაშრომში ტაბ. LXXVI, სურ. 1 და 3, აგრეთვე, Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 64, სურ. 48 და გვ. 69, სურ. 49.

[194] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 185, სურ. 113.

[195] იქვე, დასახ. ნაშრ. გვ. 101, სურ. 75, 76; ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 337—339, სურ. 18—19. ჯ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., სურ. 9—13; 16—17.

[196] ლ. მუსხელიშვილი, ექსკურსიები, გვ. 16.

[197] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

[198] J. Strzygowski, დასახ. ნაშრ. გვ. 413, სურ. 442.

ამგვარად ამ მედალიონების ზემოხსენებული ვარიანტების დათარიღება V ს. ეჭვს არ იწვევს და გაზიარებულია მეცნიერების მიერ; მაგრამ როგორია ასეთი მედალიონების ქრონოლოგიური ჩარჩო?

ამ საკითხის გასარკვევადაც მეცნიერების განკარგულებაში სანდო არგუმენტებია: ბოლნური მედალიონი გვხვდება, მაგალითად, ისეთ ძეგლზე, როგორიცაა მცხეთის ჯვარი (586/7—604 წწ.), რომლის სამხრ. კარის ქვაზე ვხედავთ ჯვრის ამაღლების კომპოზიციას, მაგრამ ეს არ არის ბოლნური „კლასიკური“ მედალიონი. ჩარჩო შედგება ფართო რგოლისაგან, რომლის ზედაპირზე ორი კონცენტრული ღარია გატარებული (ტაბ. LXXIX, სურ. 1), ჯვრის მკლავებს ბოლოებში გაკეთებული აქვს პატარა წრეები, რომლებიც ჩარჩოზე არიან გადმოსული. ასეთი ტიპის მედალიონი უძველესი ბოლნური მედალიონების ვარიანტებს შორის არ მოიპოვება.

ასევე განსხვავებულია VI ს. მეორე ნახევრის ძეგლის თრიალეთის თეთრიწყაროს ეკლესიის ფასადზე გამოსახული მედალიონი უძველესი ბოლნური მედალიონისაგან. მისი წრიული ჩარჩო უფრო მცხეთის ჯვრის მედალიონის ჩარჩოს წააგავს და არაფერი აქვს საერთო ბოლნისის სიონის მედალიონების ჩარჩოებთან[199].

კიდევ უფრო არსებით ცვლილებას ვამჩნევთ ქართული არქიტექტურის ისეთ საეტაპო ძეგლზე, როგორიცაა წრომის ტაძარი (626—634 წწ.). წრომის ფასადებზე გამოსახულია ჯვრები და არა მედალიონები, რომლებიც ასე მტკიცედ ჩანს დამკვიდრებული V ს. უძველესი ქართული არქიტექტურისა და ხელოვნების ძეგლებზე. ტაძრის დას. და სამხ. ტიმპანზე გამოსახული ჯვრები სრულიად განსხვავებულია თავისი მოხაზულობითა და დეტალებით[200]. (ტაბ. LXXIX, სურ. 2 და 3). ეს ჯვრები დადგმულია სქემატურ და სადა კვარცხლბეკებზე მას ახასიათებს მეტად სტილიზებული ნახევარპალმეტები, განსხვავებული V ს. გავრცელებული პალმეტებისაგან.

ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ე. წ. ბოლნური მედალიონის გამოსახულების ევოლუცია, რასაც ქართული არქიტექტურის ზემოხსენებულ საეტაპო, კარგად დათარიღებულ ძეგლების ფასადებზე გამოხატულ ბოლნური მედალიონების მიხედვით ვამჩნევთ, უნდა ასახავდეს რეალურ ვითარებას ქართული უძველესი ხელოვნების მთელ სფეროში; თუ ბოლნისის სიონის ფასადებზე ვხედავთ მხატვრულად სრულყოფილად დამუშავებულ, დახვეწილ რელიეფურ მედალიონების გამოსახულებას, მის სხვადასხვა ვარიანტებს, სულ მალე ვითარება მნიშვნელოვნად იცვლება. უკვე VI ს. მეორე ნახევრის ძეგლზე — თრიალეთის თეთრიწყაროს ეკლესიის ფასადსა და VII ს. დასაწყისის ძეგლზე — მცხეთის ჯვრის სამხრეთის პორტალის თავზე გამოხატული ბოლნური მედალიონები, მათი მხატვრული გაფორმება, არსებითად განსხვავდება ბოლნური მედალიონის „კლასიკური“ ნიმუშებისაგან. მათი მხატვრული ჩარჩო, საგრძნობლად გამარტივებულია და შედგება ორი ვიწრო კონცენტრული ღარისაგან. განსხვავდება თავისი დეტალებით ტოლმკლავებიანი ჯვარიც. რაც შეეხება ქართული უძველესი არ-

---

[199] Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., სურ. 50

[200] Г. Н. Чубинашвили, Цроми, М., 1969, გვ. 38; სურ. 67 და 70.

ქიტექტურის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლს, როგორიცაა წრომის ტაძარი, მის ფასადებზე, ბოლნური მედალიონის ნაცვლად ვხვდებით ჯვრის გამოსახულებას, რომელიც როგორც თავისი მოხაზულობით, ისე პროპორციებით და დეტალებითაც განსხვავდება ბოლნური ტიპის ჯვრისაგან. ვფიქრობთ, ამ ფაქტებს არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ უძველესი სტელების განსაზღვრა-დათარიღების საკითხში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იყოს აგრეთვე მიღებული ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების განვითარების უძველესი საფეხურებისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშანი როგორიცაა ქვაზე ჭრის ტექნიკა. ბოლნისისა და მის თანადროულ ძეგლებზე ორნამენტული მოტივების რელიეფურობა მიღწეულია ფონის ამოკვეთის ხერხით, ხოლო ორნამენტული მოტივები გამოყვანილია ცერადკვეთით.

ამრიგად, უძველესი სტელების განსაზღვრა-დათარიღებისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ მთელი კომპლექსი დამახასიათებელი ნიშნებისა — შემკულობის თემატიკა, მოტივები და მათი დეტალები, შემკულობის შესრულების ტექნიკა და ბოლნური მედალიონის ევოლუციის ზემოხსენებული ნიშნები.

რაც შეეხება დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიის ინტერიერში აღმოჩენილი სტელების სხვა ფრაგმენტებს, მეტად მნიშვნელოვანია და საინტერესო სტელის წითელი ტუფისაგან გამოჭრილი დიდი ბაზა, გატეხილი ორ არ ა ანაბარ ნაწილად (ტაბ. XI და XII). ეს ბაზა საინტერესოა, როგორც ცნობილია, არა მარტო თავისი ორნამენტაციით, არამედ თავისი სამსტრიქონიანი წარწერითაც, რომელიც ამოჭრილია ბაზის მარცხენა წახნაგზე (ტაბ. XI, სურ. 2 და XII, სურ. 1); წარწერა მნიშვნელოვნადაა დაზიანებული, არ შერჩენილა ისეთი სიტყვები თუ ასოები, რომელთაც დამათარიღებელი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდათ. მიუხედავად ამისა, მაინც იკითხება წინადადების ნაწილი, მეორე სტრიქონში იკითხება: „ილნ ს(?)ა(?) თნი რლთა რთეს ესე [ჯ]ჯარი ამ [ნ]“.

პირველ სტრიქონში იკითხება ცალკეული ასოები. წარწერის წარმოდგენილი ნაწყვეტის მიხედვით სრულიად ცხადია, რომ ლაპარაკია ჯვრის აღმართვაზე: „რომელთა [აღხოჳმა] რთეს ესე ჯ[ო]ჯარი ამნ“. აღსანიშნავია, რომ წარწერა გაკეთებულია მეტად გაუწაფავი ხელით და ქართული ასომთავრული ასოების სილამაზე შელახულია, რაც განასხვავებს ამ წარწერას ამავე ეკლესიაში აღმოჩენილ მეორე, პატარა ბაზის წარწერისა და, საერთოდ, ამავე დროის სხვა ცნობილი წარწერებისაგან.

რაც შეეხება ამ ბაზის შემკულობის მოტივებს — ბოლნურ მედალიონს ჩასმულს ორ კონცენტრულ წრეში, რომელთა შორის არე შევსებულია მშვენიერი სამფურცელა ყვავილებით, მედალიონის ორსავე მხარეს ამართულ მაზდეანობის სიმბოლოს — Kost-ების გამოსახულებას, მედალიონს ზევით ამოჭრილ სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩარჩოს; ბაზის მარცხენა წახნაგზე, წარწერის ქვემოთ ოსტატურად ამოჭრილ ვერძების (მარცხენა ვერძის კვალი თითქმის მთლიანად ამოტეხილ-წაშლილია) გამოსახულებას სიცოცხლის ხესთან, ამ ხის ფოთლების ფორმას, რომლებიც სრულ მსგავსებას ამჟღავნებენ ბოლნისის სიონის სათანადო ე. წ. „ნავისებრი“ ფორმის ფოთლებთან, ჭრის ტექნიკას (ტაბ. XI, სურ. 1 და 2; ტაბ. LXXVIII, სურ. 2); ყველა ამ ნიშნის მიხედვით ეს სა-

ინტერესო ძეგლი პირდაპირ მსგავსებას იჩენს ბოლნისის სიონის მემკულობასთან და V ს. ძეგლების რიგს უნდა მიეკუთვნოს[201].

ვფიქრობთ, ზემოხსენებული ფაქტები და დასაბუთებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მცირე ეკლესია V ს. დავათარიღოთ.

შდ. დაბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიის ძეგლებიდან რამდენადმე განცალკევებით დგას ერთი დიდი ქვა ბოლნური მედალიონის და ლანცეტისებრი მოყვანილობის ოთხფურცელა ვარდულების გამოსახულებებით ქვის ზედა ნაწილში (ტაბ. XVI, სურ. 1). ეს ქვა განცალკევებით დგას, იმიტომ, რომ იგი არ წარმოადგენს სტელას და, ვფიქრობთ, უნდა ყოფილიყო ჩაშენებული ეკლესიის კედელში და ისეთივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა, როგორიც ბოლნისის სიონის კედლების წყობაში ჩაშენებულ ბოლნურ მედალიონებს[202]. თავისი ორნამენტული მოტივებით და დეტალებით ეს ქვაც ბოლნისის ძეგლების თანადროული უნდა იყოს.

საინტერესოა ერთი სტელის ოთხი ფრაგმენტი, რომლებიც აღმოჩნდა ეკლესიის საკურთხეველთან (ტაბ. VIII, სურ. 1 და 2, აგრეთვე ტაბ. XVI, სურ. 2—4). სამი ფრაგმენტი (მათ შორის ერთი კაპიტელის) ეწყო საკურთხევლის ჩრდ.-აღმ. კუთხეში, ხოლო ერთი — სამხ.-აღმ. კუთხეში. სტელის ორი დიდი ფრაგმენტის ერთ წახნაგზე კარგად არის შერჩენილი ბუნზე დადგმული ბოლნური მედალიონები (ასეთი მედალიონები ვერტიკალურ სიბრტყეში სამი ყოფილა გამოკვეთილი, ერთიმეორის ზევით); ბუნები, თავის მხრივ, დადგმულია სამსაფეხურიან კვარცხლბეკებზე, რომლებიც სამფურცელა ყვავილებითა და წიწვიანი მოტივებითაა შემკული, აგრეთვე — პაწია სამკუთხედების არშიით (ტაბ. XVI, სურ. 2—4). საინტერესოა, რომ მეორე ფრაგმენტის თავში (სურ. 3), სადაც თავდება მესამე მედალიონი, იწყება სხვა მხატვრული მოტივი, სწორედ ისეთი, როგორსაც მესამე ფრაგმენტზე ვხედავთ (სურ. 4) —ნახევარწრიულად მოხრილი მცენარეული მოტივის ღეროები ჯაჭვივითაა გადაბმული ერთმანეთზე და თავდება გაშლილი პალმეტებით. ასეთივე ნახევარწრიული სტილიზებული მოტივებია ამოჭრილი ქვაზე საწინააღმდეგო მხრიდან, ხოლო ქვედა უწყვეტი მოტივის პალმეტები ჩამჯდარია ზედა ანალოგიური მოტივის უბეებში, ზედა მოტივისა კი — ქვედას უბეებში. ორი რკალის შეერთების ადგილას შექმნილ პატარა უბეებში ჩასმულია მარაოსავით გაშლილი სამფურცელა ყვავილები[203]. სტელის მეორე ფრაგმენტზე (სურ. 3) შერჩენილია მედალიონს ზემოთ სამფურცელა ყვავილის გამოსახულება, რაც მესამე ფრაგმენტზე ამოჭრილ (სურ. 4) განსხვავებულ სტილიზებულ მოტივს ახასიათებს.

ეკლესიის საკურთხეველთან აღმოჩენილი სტელის უნიკალური კაპიტელი

---

[201] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. შეად. იერატიული ტიპის მცენარეული მოტივები, ტაბ. V. სამხრ. სტოას, დას. კაპიტელი, აგრეთვე, სურ. 98; ფოთლები I ტაბულაზე, სამხრ. აბსიდისწინა კაპიტელი, აგრეთვე ტაბ. II, ქვედა მარჯვ. სურათი; იხ. აგრეთვე სურ. 87.

[202] იქვე, გვ. 187—8.

[203] XVI ტაბულაზე წარმოდგენილი ერთი სტელის სამი ზემოაღნიშნული ფრაგმენტი ფოტოგრაფის მიერ გადაღებულია სხვადასხვა მასშტაბში და, ამიტომ, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს ფრაგმენტები არ შეიძლება ერთი ძეგლის ნაწილებს წარმოადგენდნენ. სინამდვილეში ამ ფრაგმენტების, ისევე როგორც მათი კაპიტელის (ტაბ. XVII და XVIII) გაბარიტები, ერთნაირია.

(ტაბ. XVII და XVIII ფოტოებზე წარმოდგენილია კაპიტელის ოთხივე წახნაგი) ყურადღებას იქცევს შემკულობის არქაული მოტივებით — სამფურცელა ყვავილებით და ცერადკვეთილი სამკუთხედების არშიით. საინტერესოა, რომ კაპიტელის წახნაგების შესამკობად გამოყენებულია სამფურცელა ყვავილების სხვადასხვა კომბინაციები; ზემოჩამოთვლილი ნიშნებისა, ფონის ამოღებისა და ცერადკვეთის ტექნიკის მიხედვით, სტელაც თავის კაპიტელით V—VI სს. პირველი ნახევრის ძეგლს უნდა წარმოადგენდეს.

საინტერესოა ერთი პატარა ჯგუფი სტელების კაპიტელებისა, აღმოჩენილი ეკლესიის ინტერიერში. კაპიტელების ეს ფრაგმენტები საინტერესოა თავისი სიუჟეტური მრავალფეროვნებით. კაპიტელებზე გამოსახულია ბოლნური მედალიონი, მამაკაცებისა და ქალების რელიეფური ფიგურები თავის დროის შესაფერის ტანსაცმელში გამოწყობილი; გვხვდება ცხოველებისა და მცენარეების ოსტატურად შესრულებული გამოსახულებანი (ტაბ. XIX—XXI). ზოგიერთ ფრაგმენტს შერჩენილი აქვს ღრმა და ვიწრო ხვრელი (სიღრმე 10 სმ. დიამ.— 4 სმ.), რითაც, უეჭველია, ასეთი კაპიტელები მაგრდებოდა სტელაზე ღერძის საშუალებით.

ზემოხსენებულ კაპიტელებიდან საინტერესოა ფრაგმენტი ბოლნური მედალიონის გამოსახულებით, რომელსაც ორივე მხარეს ნახევარწრიულად აუყვებია რელიეფური ღეროები, რომლის ერთი თავი თავდება სტილიზებული ყვავილის გამოსახულებით, ხოლო მეორე — წიწვოვანი მოტივით (ტაბ. XIX$_1$). მთელი ეს კომპოზიცია შესრულებულია დიდოსტატურად და დიდ მსგავსებას იჩენს ბოლნისის სიონის ჩრდ. ნავის მესამე სვეტზე ამოჭრილ, ე. წ. ვარდანის მედალიონთან, რომელსაც აქვს ასომთავრული წარწერა (შეად. ტაბ. LXXVI$_5$) საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ კაპიტელს ორი დანარჩენი წახნაგიც შემკული ჰქონია, რომლის ნაშთებიღაა შერჩენილი.

საინტერესოა მეორე კაპიტელი, რომლის ერთ წახნაგზე შერჩენილია მწოლიარე ვერძის (?) გამოსახულების ფრაგმენტი (ტაბ. XIX$_2$). ცხოველის გამოსახულებას სხეულის თავსა და ბოლოში პატარა წრეები აქვს ამოჭრილი. კაპიტელის ქვედა ნაწილს ამკობს ცერადკვეთილი სამკუთხედების ორი არშია. კაპიტელის მეორე წახნაგზე შერჩენილია ქალის გამოსახულება სამფურცელა ყვავილით მარჯვენა ხელში (ტაბ. XX$_1$), ქალის ფიგურისაგან მარცხნივ მოჩანს მეორე ადამიანის (ბავშვის?) გამოსახულების ნაწილი; მარჯვნივ კი — სიცოცხლის ხე (პალმა?), მესამე წახნაგზედაც ქალის გამოსახულება ყოფილა, რომლის ქვედა ნაწილიღაა შერჩენილი (იგივე ტაბ. სურ. 2).

მესამე კაპიტელის ფრაგმენტზე კარგად არის დაცული მამკაცისა და ქალის გამოსახულება (ტაბ. XXI$_1$), ქალს ხელში სამფურცელა ყვავილი უჭირავს. ამ ფრაგმენტზე ჩანს სიცოცხლის ხის ნაშთი. ფრაგმენტის მთელ სიგანეზე ცერადკვეთით ამოჭრილია სამკუთხედების არშია. არის კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელზედაც შერჩენილია მამაკაცის გამოსახულების ნაწილი (ტაბ. XXII$_1$).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მამაკაცებს აცვიათ მთელ სიგრძეზე წინ გაჭრილი ტანსაცმელი, ხოლო ქალებს ნაოჭიანი გრძელი კაბები. ადვილი მოსალოდნელია, რომ კაპიტელების წახნაგებზე გამოსახული იყვნენ წარჩინებული პირები და მათი ოჯახის წევრები, რომელთაც აღმართეს ჯვარი.

ზემოხსენებული კაპიტელებისათვის დამახასიათებელია ცერადკვეთილი

სამკუთხედების არშია, ჭალების გამოსახულება ყვავილით ხელში, რელიეფური ორნამენტული მოტივების შესრულება ფონის ამოკვეთისა და ცერადკვეთის ხერხით. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება კიდევ ორი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთზე გამოსახულია მცენარეული მოტივები და ცერადკვეთილი სამკუთხედების არშია (ტაბ. XXI$_2$), ხოლო მეორეზე — ჯიხვები. გამოსახულების ნაწილია დარჩენილი. ამ უკანასკნელზედაც მოჩანს სამფურცელა ყვავილის გამოსახულება (ტაბ. XXII$_2$).

ზემოხსენებულ ფრაგმენტზე გამოსახული მცენარეული მოტივები მოგვაგონებენ ბოლნისის სიონის აბსიდისწინა კაპიტელის ერთ-ერთ გვერდით წახნაგზე გამოსახულ მცენარეულ მოტივებს თავისი ფოთლების მოყვანილობით და შესრულების ტექნიკით[204].

საერთოდ, კაპიტელების ამ ჯგუფის მხატვრული მოტივები მათი შესრულების ტექნიკა, აგრეთვე ანალოგიები ბოლნისის სიონის ორნამენტებთან, გვაძლევს საფუძველს კაპიტელების ფრაგმენტების ეს ჯგუფიც მივაკუთვნოთ V—VI საუკ. პირველი ნახევრის ძეგლების ჯგუფს.

დიდად საინტერესოა ერთი მოგრძო ქვის ფრაგმენტი, შემკული მარაოსავით გაშლილი სამფურცელა ყვავილებისა და ყვავილების უბეებში გამოყვანილი წიწვოვანი მოტივებით (ტაბ. XXIII$_1$). ორნამენტების თვალსაჩინო რელიეფურობა, შესრულების დახვეწილი ოსტატობა, ცერადკვეთის ტექნიკა, უძველეს სტელებისათვის დამახასიათებელი ორნამენტული მოტივები, ამ ფრაგმენტის სიძველის აშკარა მაჩვენებელია.

მცირე ეკლესიის უძველესი ქვის ძეგლების კოლექციაში გამოირჩევა სამიოდე ნატეხი სტელისა, შემკული სხვადასხვა მოტივებით.

აღნიშნულ ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია ერთი სტელის ფრაგმენტი (ტაბ XXIII$_3$ და ტაბ. XXIV$_{1-3}$), რომლის ოთხივე წახნაგია შემკული. ერთ წახნაგზე შერჩენილია ვაზის რტოს მოტივის ნაწილი: ყურძნის მტევნის, ულვაშებისა და ფოთლის ნაწილით (ტაბ. XXIII, სურ. 3); მეორე წახნაგზე — ბოლნური მედალიონის ფრაგმენტი, ბუნი და ნახევარპალმეტები (ტაბ. XXIV$_1$); მესამეზე — მშვილდივით მოხრილ ღეროებზე წიწვოვანი მცენარეული მოტივები (იქვე, სურ. 2) და მეოთხეზე ჩანს კვალი წელში გამოყვანილი ადამიანის ფიგურისა, რომელსაც ზეაღმართულ ხელებში უჭირავს ტოტები წინა წახნაგზე გამოჭახდაკებული წიწვოვანი მოტივის მსგავსად (იქვე, სურ. 3).

თუ სტელის ამ ფრაგმენტზე ქრისტიანული სიმბოლიკისათვის დამახასიათებელი ზემოხსენებული მოტივები მნიშვნელოვნად რელიეფურია და შესრულებულია უძველესი პერიოდისათვის დამახასიათებელი სტილისა და ჭრის ტექნიკის დაცვით, მეორე ფრაგმენტის (ტაბ. XXIII, სურ. 2 და ტაბ. XXV, სურ. 1 და 2., ერთი სტელის წახნაგებია) ორნამენტი არა მარტო მეტად დაბალი რელიეფითაა გამოსახული, არამედ მისი ორნამენტული მოტივების (ერთი წახნაგზე — ვაზის რტოს მოტივი, მეორეზე — მშვილდივით მოხრილი სტილიზებული მცენარეული მოტივები და მესამეზე — პატარა ბოლნური მედალიონები დადგმული მოკლე ბუნზე, რომლის ორივე მხარეს სტილიზებული პალმეტებია) შესრულების დონეც მეტად დაბალია. შესრულების ასეთი დაბალი დონე ახასიათებს სტელის მესამე წახნაგსაც (ტაბ. XXV$_3$), რომელზედაც ბოლნური მე-

[204] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. II, სურ. 3.

დალიონებია გამოსახული. ასეთივეა სტელის მესამე ფრაგმენტი, რომელზედაც გამოსახულია ბუნზე დადგმული მედალიონები მეტად თბლად და დაუდევრად ამოჭრილი მის ერთ წახნაგზე (ტაბ. XXV$_2$). ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, პირველი სტელა (ტაბ. XXIII$_3$ და ტაბ. XXIV$_{1-3}$) შეიძლება დავათარიღოთ VI ს, ხოლო ორი დანარჩენი — VII ს.

როგორც ცნობილია, ეკლესიის ინტერიერში აღმოჩნდა ძალიან საინტერესო ქვის ძეგლების — ჯვრების ფრაგმენტები. ჯვრების სამი ფრაგმენტიდან ორი შემკულია ჯვრის მკლავის კონტურების პარალელურად გატარებული ღრმა და ვიწრო ღარებით (ტაბ. XXVI, $_{1-2}$), ხოლო ერთი — პარალელური ღარებითაც და სამფურცელა ყვავილის გამოსახულებითაც (ტაბ. XXVIII). ეს ფრაგმენტები თავისი ორნამენტული მოტივებითა და ჭრის ტექნიკით იმეორებენ ზოგიერთ იმ მოტივს, რომელიც ახასიათებთ როგორც ბოლნისში 1936 წ. ჩატარებულ არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. ლ. მუსხელიშვილი) მიერ აღმოჩენილ ზოგიერთი ჯვრის ფრაგმენტის შემკულობას, ისე 1959 წ. ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ი. გძელიშვილი) აღმოჩენილ ჯვრების შემკულობას[205]. ასეთი ჯვრები აკად. გ. ჩუბინაშვილს მიაჩნია უძველესი ეპოქის ძეგლებად, რომელიც შეიძლება პირობითად განისაზღვროს V, VI, VII სს.[206] ასევე ათარიღებს ლამაზ გორაზე აღმოჩენილ ჯვრებს ჯ. ამირანაშვილიც[207].

ჩვენი გათხრების მონაცემები აღნიშნული თარიღის დავიწროვების კონკრეტულ საბუთებს არ იძლევიან, გარდა იმ საბუთისა, რომ ეს ძეგლებიც აღმოჩენილია V ს. დათარიღებულ ეკლესიაში V—VI სს. მრავალრიცხოვან სტელებისა და მათი ნაწილების ფრაგმენტებთან ერთად. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ქვის ჯვრები უძველესი ძეგლების რიგს მიეკუთვნებიან.

დასასრულ, როგორც ზევით აღინიშნა, ეკლესიაში აღმოჩნდა წითელი ტუფის სფერული პატარა ბაზისი ოთხ დაბალ ფეხზე დადგმული (ტაბ. XXVII$_2$). ასეთივე მოყვანილობის კიდევ ერთი ბაზისი მომწვანო ტუფისა სხვაც აღმოჩნდა, ოღონდ მეტად დაზიანებული. როგორც ცნობილია, ამ ბაზისს აქვს ამოჭრილი ფოსო, რომელშიაც, ჩვენ ვფიქრობთ, იდგმოდა პატარა ჯვარი. ადვილი შესაძლებელია, ეს საგანიც ისეთივე დანიშნულებისა იყო, როგორიც „ლამაზ გორაზე“ აღმოჩენილი ქვის „სიონი“, რომელსაც ზედა ნაწილი სფერული აქვს და რომლის „ზედა ნაწილის ცენტრში“ გაკეთებული ყოფილა ფოსო; ამ ფოსოში იდგმებოდა ჯვარი და ჯვრით შემკული სიონი გამოჰქონდათ ხოლმე დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე — წირვის დროს[208]. ეს საინტერესო პატარა ბაზისი კარგად შეიძლება დავათარიღოთ თაღივით გამოყვანილ საფასადო წახნაგზე ცერადკვეთით ამოჭრილ სამფურცელა პატარა ყვავილებისა და წიწვოვანი მოტივების, აგრეთვე ზემოხსენებული მსგავსების საფუძველზე V—VI სს.

როგორც ვიცით, ძალიან საინტერესოა თავისი ადრექრისტიანული სტელების ფრაგმენტებით პატარა ერთნავიანი **ეკლესია კზილ-ქილისა,** რომელიც მერ-

---

[205] Г. Н. Чубинашвили, Болнисе, სურ. 71—73; ჯ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., სურ. 23.

[206] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 95—96.

[207] ჯ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

[208] იქვე, გვ. 39—41, სურ. 18.

ცხლის ბუდესავით არის მიკრული კლდეზე. ეკლესია ჩრდილოეთით პირდაპირ კლდეზეა მიშენებული და ჩრდილოეთის მხრიდან გარეთა ფასადი არა აქვს; ეს ეკლესია არაერთხელ ყოფილა გადაკეთებულ-შეკეთებული. მის კედლებში როგორც გარედან, ისე შიგნიდან ჩაშენებულია სტელების ფრაგმენტები და შუა საუკუნეების წარწერიანი ქვაც. განსაკუთრებით საინტერესოა მის ალმ. ფასადში ჩაშენებული სტელების ფრაგმენტები. რომელთაგან ორი სხვადასხვა ზომის ბაზების ფრაგმენტებია, ხოლო ერთი საკუთრივ სტელის ნატეხს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. XXX$_2$). განსაკუთრებით საინტერესოა ბაზის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონისა და ორი ფარშევანგის გამოსახულებით, რომლებსაც ნისკარტებით უჭირავთ პატარა რელიეფური ჯვარი (ტაბ. XXXI, სურ. 1 და სურ. 2 — ქვაზე ამოჭრილი კომპოზიციის გრაფიკული რესტავრაცია). მედალიონი დადგმულია დაბალ ბუნზე, რომელსაც აქვს თავისი დაბალი კვარცხლბეკი.

ეს შესანიშნავი კომპოზიცია უნებურად მოგვაგონებს ბოლნისის სიონის სანათლავის შუა კაპიტელზე გამოქანდაკებულ კომპოზიციას — ფარშევანგებს პატარა რელიეფურ ჯვართან[209].

ეს კომპოზიცია, რომელსაც კზილ ქილისას წითელი ტუფის ბაზაზე ვხედავთ, როგორც კომპოზიციური გადაწყვეტით, ისე მაღალმხატვრული შესრულებით, აგრეთვე თავისი არქაული ტექნიკური ხერხების ოსტატური გამოყენებით, წარმოადგენს ძველი ქართული ხელოვნების ერთ-ერთ უკეთეს ნიმუშს. ბოლნური მედალიონიც, რომელსაც ამ კომპოზიციაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, ბოლნური მედალიონების ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. საერთოდ, ყველა ნიშნის მიხედვით ეს ბაზა შეიძლება დავათარიღოთ V ს. ზემოხსენებულ ბაზიდან მარცხნივ კედელში ჩაშენებული პატარა ბაზა ბოლნური მედალიონით, ასევე უძველეს ძეგლს უნდა წარმოადგენდეს.

მეტად თავისებური და საინტერესო ჩანს ორი კაპიტელი, რომლებიც ჩაშენებულია ეკლესიის საკურთხევლის წინ, ჩრდილოეთით და სამხრეთით (ტაბ. XXXII $_{1-2}$). როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეს კაპიტელები არ უნდა ეკუთვნოდეს ამ პატარა ეკლესიას, მოტანილი უნდა იყოს სხვა ადგილიდან და, ამას გარდა, მისი წახნაგები ჩამოთლილი ჩანს, რადგან ზოგიერთი ორნამენტული მოტივი შოულოდნელად წყდება. ეს კაპიტელები თავისი ორნამენტული მოტივებით (ბოლნური მედალიონი, ვაზის რტო, მცენარეული მოტივები), შემკულობის მოტივების კომპოზიციით, შესრულების ტექნიკით (მათ არ ახასიათებს ცერადკვეთის ტექნიკა), დაბალი რელიეფით, განსხვავდებიან ბოლნისის სიონის კაპიტელებისა და ბაზების ორნამენტებისაგან და შესრულების ტექნიკაც აშკარად განსხვავებული და დაბალი დონისაა. ჩრდ. კაპიტელზე კომპოზიცია გამოდის თავის „ჩარჩოდან“ და შეჭრილია კაპიტელის ზედა, წინ გამოწეულ „ლავგარდან“ში“. სამაგიეროდ სამხრ. კაპიტელის ზედა, წინ გამოწეული ნაწილი შემკულია სრულიად განსხვავებული სტილის ნახევარვარდულებით, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ბოლნისის ტაძრის ანალოგიური მოტივებისაგან.

კაპიტელების ორნამენტული მოტივები თავისი მოყვანილობით და შესრულების ტექნიკით განსხვავდებიან არა მარტო ბოლნისის სიონის ანალოგიური

---

[209] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. IV, სურ. I.

ორნამენტებისაგან, არამედ უძველესი სტელების ორნამენტებისაგანაც. ამ ნიშნების მიხედვით კაპიტელები შეიძლება წარმოადგენდნენ VI ს. მეორე ნახევრის — VII ს. ძეგლებს.

ამავე დროის შეიძლება იყოს სტელის ის ფრაგმენტი, რომელიც ჩაშენებულია ეკლესიის აღმ. ფასადის წყობაში ვაზის რტოს მოტივის გამოსახულებით (ტაბ. XXX$_2$). ეს მოტივი თავისი სტილითა და შესრულების ტექნიკით სრულ მსგავსებას იჩენს ეკლესიის კაპიტელებზე გამოსახული ვაზის რტოს მოტივთან და, ამიტომ, ისინი თანადროულ ძეგლებს უნდა წარმოადგენდნენ.

საყურადღებოა სტელების ფრაგმენტები, ჩაშენებული ეკლესიის საკურთხევლის სამხრ. და ჩრდ. კედლის წყობაში. საკურთხევლის სამხრ. ჩაშენებულია სტელის ფრაგმენტი, რომლის ორი წახნაგი ჩანს. ერთ მათგანზე გამოსახულია ორ-ორი წმინდანი (ნიმბებით) ვერტიკალურ სიბრტყეში. გამოსახულებანი ჩასმულია სწორკუთხოვან ჩარჩოებში, ხოლო ამავე სტელის მეორე წახნაგზე წრიულ, ერთმანეთზე ჩაწნულ ჩარჩოებში ჩასმულია რეალისტურ სტილში შესრულებული ირმის, ფასკუნჯის (?) და ჯიხვის გამოსახულებანი (ტაბ. XXXIII $_{1-2}$).

ასეთი სტილის ერთმანეთზე გადაწნულ ჩარჩოებში მოთავსებული გამოსახულებები და ჩარჩოებს შორის შექმნილ უბეების შევსება მცენარეული სტილიზებული მოტივებით დამახასიათებელი ჩანს ბოლნისსა და ბოლნისის რაიონში აღმოჩენილ ზოგიერთი სტელისათვის, რომლებიც VI ს. არის დათარიღებული, მაგალითად, შერგილის სტელის ერთი წახნაგი, ბოლნისის ერთ-ერთი სტელა და სხვ.[210] სხვა მხრივ ეს სტელა თავისი თემატიკით, შესრულების მაღალი ოსტატობითა და ტექნიკით უძველესი სტელების ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს.

ანალოგიების საფუძველზე ამავე საუკუნისად უნდა მივიჩნიოთ მეორე სტელის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონით, ნახევარპალმეტებით, სამფურცელა ყვავილების გამოსახულებით (ტაბ. XXXIV$_1$)[211].

დასასრულ, უფრო მოგვიანო (VII საუკ.) შეიძლება იყოს ქვა არატოლმკლავებიანი ბრტყელი ჯვრის გამოსახულებით, ნახევარპალმეტებით, რომელიც ეკლესიის საკურთხეველში დგას ამჟამად (ტაბ. XXXIV$_2$).

ტიპურ ბოლნურ მედალიონს წარმოადგენს **აბულბუგის დარბაზული ეკლესიის** დას. ფასადის წყობაში ჩაშენებული ქვა ბოლნური მედალიონით (ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩარჩოში, რომელსაც ამასთანავე ახლავს მედალიონს ქვემოთ ამოჭრილი აპოკალიპსური სიმბოლო, ბერძნული ორი ასო — ალფა და ომეგა (ტაბ. XXXVI, $_2$). ეს მედალიონი შეიძლება დავათარიღოთ V საუკ. — VI საუკ. პირველი ნახევრით.

ორსაყდრები, როგორც ზევით აღინიშნა, აბულბუგის ეკლესიის ახლოს მდებარეობენ, მდ. მაშავრის მარცხ. ნაპირას. ამ ორ ეკლესიიდან, ერთი ცოტა უფრო ზემოთ დგას და საყურადღებოს არაფერს შეიცავს, ხოლო მეორე, რომელიც პირველისაგან ცოტა ქვევითაა, საყურადღებოა სხვადასხვა სიმაღლეზე კედლებში ჩაშენებული სტელების ფრაგმენტებით. როგორც სტელების ჩაშენების ფაქ-

---

[210] Н. Чубинашвили, Хандиси, სურ. 71, 74.

[211] იქვე, სურ. 74, სტელის პირველი ორი წახნაგი.

ტი (ეკლესიის კედლების წყობაში), ისე სხვა ნიშნები ადასტურებენ, რომ ეკლესია, სტელების ფრაგმენტებთან შედარებით, გვიანი დროის ნაგებობაა, რომელსაც, ამასთანავე ეტყობა მერმინდელი გადაკეთების კვალი. მისი კედლების წყობაში ჩაშენებული სტელების ფრაგმენტებიდან განსაკუთრებით საინტერესოა სტელის კუბური ბაზა, ჩაშენებული ეკლესიის აღმ. ფასადის ჩრდ.-აღმოსავლეთ ჭვედა კუთხეში (ტაბ. XL$_1$). ამ ბაზის წინა წახნაგი თუმცა მნიშვნელოვნად დაზიანებულია, მაგრამ მაინც ეტყობა, რომ ეს წახნაგი შემკული ყოფილა ოთხფურცელა ვარდულებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია თავისი წაძახვილებული წვერებით (იხ. ტაბ. XL$_2$ შემკულობის მოტივის გრაფიკული რესტავრაცია). ბაზის მეორე წახნაგი გლუვია, ხოლო ორი დანარჩენი წახნაგი არ ჩანს, წყობაშია ჩასმული. ამ ბაზის აღმნიშვნელი მოტივი და მისი შესრულების ტექნიკა, ისეთი დეტალიც კი, როგორიც არის მისი გრეხილი ჩარჩო (რომლის ფრაგმენტი დარჩენილია ბაზის მარცხნივ, მაღლა) სრულ მსგავსებას იჩენს ბოლნისის სიონის კაპიტელებსა და ბაზებზე მეტად გავრცელებულ-ანალოგიურ მოტივებთან და ამ ბაზის დიდი სიძველე ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს ბაზა V საუკ.—VI საუკ. პირველი ნახევრით შეიძლება დავათარიღოთ[212].

საინტერესოა ორი ბაზა, რომელთაგან ერთი ჩაშენებულია ეკლესიის დას. ფასადის რჩდ-დას. მაღლა კუთხეში (ტაბ. XXXIX$_2$), ხოლო მეორე — ამავე ფასადის სამხ. ხაწილში (ტაბ XLII$_{1-2}$). პირველ მათგანზე თუმცა სუსტად. მაგრამ მაინც შეიმჩნევა ბოლნური მედალიონისა და მის ორსავე გვერდზე მაზდეანური Kost-ების გამოსახულება, ხოლო მეორის ერთ წახნაგზე — კარგად გამოხატული ბოლნური მედალიონი სამფურცელა ყვავილების ჩარჩოში. ამავე ბაზისის მეორე წახნაგზე, რომელიც კედლის წყობაშია ჩამჯდარი, ჩანს რელიეფური ჯვრის გამოსახულება ისეთივე, როგორიც ვნახეთ დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიაში აღმოჩენილი წარწერიანი ბაზისის მეორე წახნაგზე (იხ. ტაბ. XIII$_1$). თავისი დამახასიათებელი ნიშნებით ეს ბაზები V საუკ.—VI საუკ. პირველი ნახევრის ძეგლებს უნდა წარმოადგენდნენ.

დასასრულს მეტად საინტერესოა ეკლესიის სამხ. ფასადის წყობაში ჩაშენებული ორი სტელის ფრაგმენტი (ტაბ. XLII$_{1-2}$), რომელთაგან ერთზე მშვილდივით მოხრილი ღეროების ბოლოები პალმეტებითაა დამთავრებული და ასეთი მოტივები სიმეტრიულად და უწყვეტად არიან განლაგებული. მეორე ფრაგმენტზე ვაზის რტოს მოტივია მეტად მოხდენილად და ნაზად გამოყვანილი. პირველი სტელის ფრაგმენტი, მშვილდივით მოხრილი მცენარეული მოტივებით, სრულ მსგავსებას იჩენს ბოლნისის სიონის კედლების წყობაში აღმოჩენილ სტელის ფრაგმენტთან[213]. საერთოდ ორივე სტელის შემკულობისათვის დამახასიათებელია მეტად გავრცელებული ზემოხსენებული მოტივები, შესრულებული დიდის ოსტატობით და გემოვნებით, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს უძველესი სტელებისათვის. ამ საფუძველზე ეს ფრაგმენტებიც ყოველ შემთხვევაში, VI ს. შეიძლება დავათარიღოთ.

---

[212] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. III—სანათლავის ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. კაპიტელი; ტაბ. V—სამხრ. კარიბჭის დას. კაპიტელი, სამხრ. და აღმ. წახნაგები; ტაბ. VI—სამხრ. კარიბჭის აღმ. კაპიტელი; სანათლავის სამხრ.-აღმ. კაპიტელი, სურ. 105; სამხრ.-დას. კაპიტელი, სურ. 106; იმავე კაპიტელის სამხრ. წახნაგი, სურ. 107 და სხვა.

[213] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. სურ. 56.

სოფ. **ბალიჭის ეკლესიის** ნანგრევებმა, როგორც აღინიშნა, ყურადღება მიიპყრო მისი კედლების წყობაში ჩაშენებული უძველესი სტელების მეტად თავისებური ფრაგმენტებით.

საყურადღებო იყო, უპირველეს ყოვლისა, დიდი ქვა, რომელიც იდო ეკლესიის სამხ.-დასავლეთ კუთხის ზემოთ (ტაბ. XLIV$_2$). ამ ქვაზე ამოჭრილი იყო ბოლნური ტოლმკლავებიანი ჯვარი სრულიად გლუვ წრეში მოქცეული. ეს ჯვარი მოგვაგონებს ბოლნისის სიონის აბსიდისწინა ჩრდ. პილასტრზე ამოჭრილ ჯვარს, რომელიც, ასევე, სრულიად სადა წრეშია მოთავსებული[214]. მას არა აქვს მხატვრული ჩარჩო. ეს ქვაც, მოსალოდნელია, ჩაშენებული იყო იმ ძველი ეკლესიის კედლის წყობაში, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. შესაძლებელია ეს ჯვარიც ამ ეკლესიის მშენებლობის ერთ-ერთი მონაწილის სახელობისა იყო, რომელთანაც იდგა მშენებელი წირვა-ლოცვის დროს ეკლესიაში[215]. ეს ჯვარი თავისი მოხაზულობით, დეტალებით, ზემოხსენებული ანალოგიით შეიძლება VI ს. დავათარიღოთ.

განსაკუთრებით საინტერესოა სტელის ფრაგმენტი „კლასიკური" ბოლნური მედალიონით კაპიტელზე, ჩაშენებული ეკლესიის სამხრ. ფასადის წყობაში (ტაბ. XLIII$_2$ და XLV$_{1-2}$). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სტელის კაპიტელის ოთხივე წახნაგი შემკული ყოფილა ჩუქურთმებით. მის მეორე წახნაგზე ცენტრში გამოსახულია ყვავილი მოკლე ღეროზე, ხოლო მის ორივე მხარეს აღმართულია მოხდენილი ნახევარპალმეტები, ამ კომპოზიციის ზევით მთელ სიგანეზე ამოჭრილია (ცერადკვეთით) სამკუთხედების არშია, რაც ჩვენის აზრით, მისი სიძველის მანიშნებელია. დანარჩენ ორ წახნაგზედაც ასეთივე მოტივები ყოფილა ამოჭრილი, ოღონდ ეს წახნაგები ძალიან დაზიანებულია. საკუთრივ სტელის წახნაგების ზედაპირი ისევე „თევზიფხურად" ყოფილა დასერილი, როგორც ეს კარგად ჩანს პირველი წახნაგის მიხედვით (ტაბ. XLV$_2$). ეს მედალიონი პირდაპირ მსგავსებას იჩენს ბოლნისის სიონის ფასადებზე გამოსახულ ზოგიერთ მედალიონთან[216] ისეთი დეტალითაც კი, როგორიცაა ნახევარსფერული „თვლები" ჯვრის მკლავების „გულებში". იგი ასევე, აბსოლუტურ მსგავსებას ამჟღავნებს როგორც ბოლნისის, ისე ლამაზ გორაზე აღმოჩენილ ბრტყელი სტელების უძველეს მედალიონებთან, რომელთა ძირითადი ნაწილი V ს. თარიღდება წარწერების პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნებით[217]. ამ საფუძველზე სტელის ეს ფრაგმენტი შეიძლება V—VI ს. პირველი ნახევრით დავათარიღოთ[217]. საინტერესოა სტელის ორი ფრაგმენტი ჩაშენებული ეკლესიის ჩრდ. კედლის ნიშაში (ტაბ. XLVI$_{1-2}$). მარჯვენა ფრაგმენტის სამი წახნაგი ყოფილა შემკული სხვადასხვა მოტივებით; პირველ წახნაგზე (კაპიტელსა და საკუთრივ სტელაზე) ამოჭრილია ბოლნური მედალიონები (ტაბ. XLVI$_2$ და XLVII$_2$), მეორეზე — სამფურცელა ყვავილი ნახევარპალმეტებს შორის — კაპიტელზე, ხოლო სტელის

---

[214] იქვე, გვ. 182, სურ. 110.

[215] იქვე, გვ. 187.

[216] იქვე, გვ. 184, სურ. 112

[217] იქვე, გვ. 101, 102; სურ. 75 და 76; ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 337—339, სურ. 18—19; ჯ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ. სურ. 9—11; 17.

[218] სტელის აღნიშნული ფრაგმენტი წამოღებულია და ამჟამად დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში

ამავე წახნაგზე მშვილდივით მოხრილი სტილიზებული მცენარეული მოტივი (ტაბ. XLVIII$_1$); მესამე წახნაგის კაპიტელზე სამფურცელა ყვავილი ნახევარპალმეტებს შორის, სტელაზე — სიცოცხლის ხის წვერია შერჩენილი (ტაბ. XLVIII$_2$).

მეორე სტელასაც სამი წახნაგი აქვს შემკული: პირველ წახნაგზე ორი საერო პირის გამოსახულებაა ჩარჩოებში ჩასმული (ტაბ. XLIX$_1$ ტაბ. L$_1$); მეორე წახნაგზე — ბუნზე დადგმული ბოლნური მედალიონის გამოსახულება სტილიზებული ნახევარპალმეტებითა და სამფურცელა ყვავილებით (ტაბ. XLIX$_2$, ტაბ. L$_2$), ხოლო მესამე წახნაგზე გამოქანდაკებული ყოფილა მშვილდივით მოხრილი მცენარეული მოტივი (ტაბ. LI$_1$)[219].

მიუხედავად იმისა, რომ სტელების ზემოჩამოთვლილ ფრაგმენტებზე გვხვდება ქრისტიანობის ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი მოტივები — ბოლნური მედალიონები, სამფურცელა ყვავილები, ნახევარპალმეტები, სტილიზებული უწყვეტი მცენარეული მოტივები, ბუნზე შედგმული მედალიონები და საერო პირების გამოსახულებანი, ამას გარდა, ქვაზი კვეთის ტექნიკაც ძველია, მაინც შესამჩნევია შესრულების განსხვავებული დონე (განსაკუთრებით მედალიონებიან ფრაგმენტის მიხედვით), უფრო მჭიდე ნახელავია. ამდენად შესაძლებელი ეს ფრაგმენტები VI ს. დავათარიღოთ.

შესრულების ოსტატობის მხრივ სტელების უძველეს ნიმუშებთან შესაძლებელია უფრო ახლოს იდგეს (სტელების წინა ფრაგმენტებთან შედარებით) კიდევ ერთი სტელის ფრაგმენტი, რომელიც აღმოჩნდა ამავე ეკლესიის სამხ. კედლის შიდა ფასადის წყობაში. ამ ფრაგმენტზე ოსტატურად გამოსახულია ბუნზე დადგმული მედალიონი ბუნის ორივე მხარეს მოხდენილი ნახევარპალმეტებით (ტაბ. LI$_2$). ამ ფრაგმენტის კედლის წყობიდან გამოღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას ორი სხვა წახნაგიც ჰქონია შემკული (ტაბ. LII$_{1-2}$) ვარდულებით, უწყვეტი სტილიზებული მცენარეული მოტივით (სურ. 2) და სრულიად ორიგინალური პალმეტებით, რომლებიც წრიულად არიან განლაგებული, აგრეთვე სამფურცელა ყვავილებით. ამ საფუძველზე ეს ფრაგმენტი შესაძლებელია VI ს. პირველ ნახევრის ძეგლად მივიჩნიოთ.

ასევე ძველი ჩანს სტელის ფრაგმენტი ვაზის რტოს ცნობილი მოტივით (ტაბ. LII$_3$). ეს ფრაგმენტი, ამასთანავე აშკარა მსგავსებას იჩენს ე. წ. შერგილის სტელის (VI ს.) ანალოგიურ მოტივთან[220].

სათხის ეკლესიების კედლებშიც უძველესი სტელების მრავალი მეტად მნიშვნელოვანი ფრაგმენტია ჩაშენებული. ამ მხრივ, როგორც აღინიშნა, გამოირჩევა ჩრდილოეთის ეკვტერი, რომელიც მეტისმეტად დაზიანებულ-დანგრეულია. მის კედლებში ჩაშენებულ სტელების ფრაგმენტებიდან სრულიად უნიკალურია რვაწახნაგიანი დიდი სტელის ორი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთი საკურთხევლის ჩრდ. წინა კუთხეშია ჩაშენებული, ხოლო მეორე — სამხრეთ კუთხეში. მისი წახნაგები მდიდრულად ყოფილა შემკული ქრისტიანობის ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ორნამენტებით. სამწუხარო ის არის, რომ

---

[219] ზემოხსენებული ფრაგმენტებიც გამოვიღეთ წყობიდან და ამჟამად დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

[220] Н. Чубинашвили, Хандиси, სურ. 71.

რადგან ეკლესიის სახურავი დიდი ხნის წინ ჩამონგრეულა, ატმოსფერულ ნალექებს შეტისშეტად დაუზიანებია ამ შესანიშნავი სტელის წახნაგები და თითქმის მთლად წაუშლია ჩუქურთმები იმ წახნაგებზე მაინც, რომლებიც კედლის წყობის გარეთაა დარჩენილი (ტაბ. LIV_{1-2} და LV). მიუხედავად ამისა, საკურთხევლის ჩრდილოეთით ჩაშენებული სტელის ფრაგმენტის ერთ-ერთ წახნაგზე კარგად ჩანს ვერტიკალურ სიბრტყეში ბოლნური მედალიონების სხვადასხვა ვარიანტები, შესრულებული დიდი ოსტატობითა და გულმოდგინებით (ტაბ. LV_1). კარგად ჩანს ცერადკვეთილი სამკუთხედების უწყვეტი ჯაჭვი. დამახასიათებელია აგრეთვე სამფურცელა ყვავილები, ჩასმული სტელაზე ამოჭრილ მედალიონების უბეებში. მეტად საინტერესოა სტელის კაპიტელის მედალიონი რელიეფურად გამოკვეთილი ჯვრით, ხოლო კაპიტელის ზედა კუთხეებში ისევ სამფურცელა ყვავილებია გამოქანდაკებული. ეს სტელა, რომლის სიმაღლე 4 მ აღემატებოდა, უძველესი სტელების ერთ-ერთ შესანიშნავ და უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს (რომელიც დღემდე განუწყვეტლივ ზიანდება) თავისი „კლასიკური“ სტილის მედალიონებით და საერთოდ ორნამენტებით, რომლებიც დიდი ოსტატობითაა შესრულებული (ტაბ. LV და LVI). იგი შეიძლება V—VI ს. დავათარიღოთ.

ძალიან საინტერესოა სათხის ეკლესიების კედლებში ჩაშენებული სტელების ფრაგმენტები ვაზის რტოსა და მტევნების გამოსახულებით. ასეთი მოტივებით შემკული სტელების ორი ფრაგმენტი ჩაშენებულია ჩრდ. ეკვტერის სამხრეთი კედლის წყობაში შიგნიდან (ტაბ. LVII_{1-2}), ხოლო ერთი პატარა ფრაგმენტი სათხის მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის შიდა ფასადის წყობაში (ტაბ. LXI_1). ამ ფრაგმენტებზე გამოქანდაკებული ქრისტიანული სიმბოლოები შესრულებულია დიდი ოსტატობით, თითოეული დეტალი დამუშავებულია ზედმიწევნით (სტელის მესამე, პატარა ფრაგმენტზე გამოქანდაკებული ვაზის მოტივი ქსოვილის ქარგულობას მოგვაგონებს), შესრულებული ფონის ამოკვეთის ხერხით და ამ ნიშნებით ეს ფრაგმენტები სტელების უკეთესი და უძველესი ნიმუშების ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ მით უფრო, რომ ისინი მსგავსებას იჩენენ ბოლნისში აღმოჩენილ VI ს. სტელების ანალოგიურ ნიმუშებთან და, თუ გნებავთ, ხანდისის სტელის ვაზის მოტივთან[221].

უძველესი ქართული ხელოვნების სრულიად განსაკუთრებულ ძეგლს წარმოადგენს ჩრდ. ეკვტერის აღმ. ფასადის სარკმლის ჭრილში ჩაშენებული სტელის ბაზის ფრაგმენტი კლასიკური ბოლნური მედალიონისა და ფროებგაშლილი ფარშევანგების რელიეფური გამოსახულებით, რომელთაც ნისკარტებით უჭირავთ მტევნები (ტაბ. LVIII_1). ბაზის ზედა კუთხეებში გამოქანდაკებულია სტილიზებული მცენარეული მოტივები (მარცხენა მხარეს მოტივი ამოტეხილია), ძალიან მოგვაგონებენ ბოლნისის სიონის აბსიდისწინა სამხრ. კაპიტელზე გამოქანდაკებულ მცენარეულ მოტივებს (მარჯვენა მხარე)[222]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფარშევანგების გაშლილი ფრთები მხატვრულად ისე ორიგინალურად არის გადაწყვეტილი, რომ ამავე დროს არაჩვეულებრივ ოსტატობით გამოქანდაკებულ ტრადიციულ ნახევარპალმეტების შთაბეჭდილებასაც სტოვებენ. სა-

---

221 Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., სურ. 73; სურ. 10.

222 Г. Н. Чубинашвили, Болниси, ტაბ. I.

ზოგადოდ, ეს უნიკალური ნიმუში ქართული უძველესი ხელოვნებისა თავისი სიმბოლური კომპოზიციით, მხატვრული მოტივებითა და ხელოვნებით, ქვაზე ჭრის უბადლო ტექნიკით, მაღალი დახვეწილი ხელოვნებით, აგრეთვე თვალსაჩინო ანალოგიებით ბოლნისის სიონის ორნამენტებთან, თამამად შეიძლება დავათარიღოთ **უძველესი** პერიოდით — V საუკ. — VI საუკ. პირველი ნახევრით (ტაბ. LXXVIII $_1$, გრაფიკული რესტავრაცია).

ასევე ქართული ხელოვნების უკეთეს ნიმუშებს შეიძლება მივაკუთვნოთ სტელის კაპიტელი, რომელიც ჩაშენებული იყო ჩრდ. ეკვტერის ჩრდ. ფასადის წყობაში გარედან (ტაბ. LXI$_2$). მას შემდეგ, რაც აღნიშნული კაპიტელი ფრთხილად ამოვიღეთ კედლის წყობიდან[223] გამოჩნდა ამ საინტერესო ძეგლის მთელი სიმდიდრე და მნიშვნელობა; გამოირკვა, რომ მისი ოთხივე წახნაგი შემკული ყოფილა ქრისტიანული სიმბოლიკისათვის დამახასათებელი სხვადასხვა მოტივებით (ტაბ. LIX); პირველ წახნაგზე ტიპური ბოლნური მედალიონია, რომლის ქვევით მოხდენილი ნახევარპალმეტებია გამოქანდაკებული, ხოლო ზევით — ნახევარვარდულებისაგან შედგენილი არშია, მეორე წახნაგზე — ტოლმკლავებიანი ჯვარი, რომლის უბეებში გამოქანდაკებულია სათანადოდ ყურძნის მტევნები და ფოთლები, ამ წახნაგის „ლავგარდანი“ ჩამოტეხილია და არ ვიცით როგორი ორნამენტი იყო ამოჭრილი. ორ დანარჩენ წახნაგზე გამოქანდაკებულია მრავალფურცელა ვარდული ბუნზე, ხოლო ბუნის ორივე მხარეს ოსტატურად გამოქანდაკებულია მაღალი ნახევარპალმეტები. ერთ ფრაგმენტზე კარგად ჩანს ვარდულის ზევით ცერადკვეთით ამოჭრილი პატარა სამკუთხედების არშია. განსაკუთრებით საყურადღებოა კაპიტელის თავზე ამოჭრილი წარწერა, რომლის სამი ასოა დარჩენილი „ბ რ ა“... და, როგორც ზევით აღინიშნა, პირველი ასო „ბ“ თავშეკრულია, რაც მის სიძველეზე მიგვითითებს.

ამგვარად შესანიშნავი ბოლნური მედალიონი, რომელიც ჩასმულია სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩარჩოში და პირდაპირ მსგავსებას იჩენს ბოლნისის სიონის სამხრ. კარის ზემოთ ამოჭრილ ბოლნურ მედალიონთან დეტალებითაც კი[224], უძველესი სტელებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული მოტივები, როგორიცაა ორნამენტული არშიების შედგენა ნახევარვარდულებისა და ცერადკვეთილი პატარა სამკუთხედების უწყვეტი ჯაჭვისაგან, მრავალფურცელა ვარდულები, ჭრის ტექნიკა, წარწერის თავშეკრული „ბ“, მაღალი ოსტატობით შესრულებული მთელი კომპოზიცია იძლევა უფლებას ეს შესანიშნავი კაპიტელი V საუკ.—VI საუკ. პირველ ნახევრით დავათარიღოთ.

დასასრულ, სათხის მთავარ ეკლესიის ჩრდ. კედლის წყობაში, შიგნით ჩაშენებულია სტელის მოზრდილი და საინტერესო ფრაგმენტი ბუნზე დადგმული ბოლნური მედალიონებით, ხოლო ბუნები, თავის მხრივ ორსაფეხურიან კვარცხლბეკებზეა შედგმული. კვარცხლბეკები შემკულია ტრადიციული სამფურცელა ყვავილებით წიწვოვანი მოტივებით უბეებში. დამახასიათებელია აგრეთვე ამ კომპოზიციისათვის სტილიზებული ნახევარპალმეტები ბუნის ორივე მხარეს (ტაბ. LX$_1$).

---

[223] ამჟამად კაპიტელი დაცულია არქეოლოგ. კვლევის ცენტრში.

[224] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. სურ. 112.

ამავე კედლის წყობაშია ჩაშენებული ერთი ქვა, რომელზედაც გამოსახულია ბოლნური მედალიონი, მისი ჩარჩოც ორიბად არის დაშტრიხული, რაც გრეხილის შთაბეჭდილებას ქმნის (ტაბ. LXI$_2$). სტელა ბოლნური მედალიონებით ბუნებზე, თავისი კომპოზიციით და ორნამენტული მოტივების მოხაზულობით, დიდ მსგავსებას იჩენს კზილ-ჭილისას ანალოგიურ სტელასთან (ტაბ. XXXIV$_1$), კომპოზიციურად და რამდენადმე ორნამენტული მოტივებით, ბოლნისის სტელასთან[225], დამბლუტისწყლის მცირე ეკლესიის ინტერიერში აღმოჩენილ ა-ტელასთან (ტაბ. XVI$_1$, სურ. 2—3) და ბალიჭის ეკლესიაში აღმოჩენილ სტელებთან (ტაბ. L$_2$ და რამდენადმე ტაბ. LI$_2$). რომლებიც VI საუკ. არიან დათარიღებული. ასევე, VI ს. შეიძლება დავათარიღოთ ზემოხსენებული მედალიონიც, რომელიც შესრულებულია ოსტატურად, ტექნიკურად უნაკლოდ, ტრადიციული ხერხების გამოყენებით. ეს მედალიონიც ერთ-ერთი უკეთესი ნიმუშია ამ რიგის უძველეს ძეგლებს შორის.

როგორც ცნობილია, ბუჩურაშენის ეკლესიამ, რომელსაც დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია 1964 წ., მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა სამეცნიერო ორგანოებში დაისტამბა სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები[226] და გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები.

ორიოდე სიტყვა თვით იმ პატარა ეკლესიის შესახებ, რომლის მახლობლადაც აღმოჩნდა მეტად მნიშვნელოვანი სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტები: ეს ეკლესია, რომელიც აღარ არსებობს, არ გამოითხრია, მხოლოდ ავწერე, გადავიღე და ყურადღება მივაქციე მის დამახასიათებელ ნიშნებს, მის გეგმას, სწორკუთხა საკურთხეველს, ტრომპებზე დაყრდნობილი კონქის არ არსებობას, რითაც იგი განსხვავდებოდა სხვა უბრალო ეკლესიებისაგან, კედლების წყობას, სისქეს, სარკმლის ჭრილის ფორმას, მის კედლებში ჩაშენებული ძველი სტელების ფრაგმენტებს და ამ საფუძველზე გამოვთქვი ვარაუდი, რომ შესაძლებელია იგი შუა საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენდეს[227]. კონკრეტული თარიღი არ დამისახელებია.

ეს ეკლესია გათხარა მ. სინურიძემ მას შემდეგ, რაც იგი ააფეთქეს, მაშინ 1970 წ., ჯერ კიდევ დარჩენილი იყო ამ ეკლესიის ნახევარი, გათხრის შედეგად იგი აღნიშნავდა, რომ „აფეთქებული ქვების აღების შემდეგ გამოვლინდა ნათალი კვადრებით ნაგები უძველესი ნაგებობის ნაშ-

---

[225] Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., სურ. 732 და დემირბულაღის სტელა სურ. 74.

[226] ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარი დმანისის არქეოლოგიური შესწავლა, სსმ მოამბე—XXVIII—B. თბ. 1969, გვ. 59—79; მისივე ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი ძეგლები ქვემო ქართლიდან, „ძეგლის მეგობარი", 20, თბ. 1970, გვ. 52—62; მისივე, ჩვენი ისტორიის ერთი მემატიანე, „ძეგლის მეგობარი" 39, თბ., 1975, გვ. 73—78; თ. ყაუხჩიშვილი, კაზრეთის ბერძნული წარწერა, სსმ მოამბე XXVII—B, თბ.. 1967, გვ. 152—165; მ. სინაწურიძე, კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, სსმ არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, III, IV, V, 1975—77 წწ. მ. სინაურიძე, თ. ბერიძე, კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, „ძეგლის მეგობარი", 27—28, თბ., 1971, გვ. 46—49. М. Н. Синауридзе, Результаты археологич. изучения Болнисского района, თბ. 1977.

[227] ვ. ჯაფარიძე, ჩვენი ისტორიის ერთი მატიანე, გვ. 75. 76.

თ ე ბ ი“[227] (ხაზი ჩვენია. — ვ. ჯ.). ასეთი დასკვნის დასადასტურებლად მ. სინაურიძეს არ მოუტანია სათანადო დოკუმენტური მასალები და მონაცემები. ასეთი მოსაზრება მან მოგვიანებითაც გაიმეორა და აღნიშნა, რომ „ეკლესიის დარჩენილი კედლის გაწმენდისას მის ქვემოთ აღმოჩნდა ადრეული კედელი, რომელიც, საბედნიეროდ, აფეთქებას გადაურჩა. იგი შედგენილია თლილი კვადრებისაგან“. შემდეგ აბზაცში იგი აღნიშნავს, რომ „როგორც ჩანს ეკლესია შუა საუკუნეებში გადაუკეთებიათ“[228] (ხაზი ჩვენია. — ვ. ჯ.).

ყოველივე ზემოხსენებულთან დაკავშირებით, როცა ჩვენ ავტორის ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ზემოხსენებულ განცხადებას აკლდა დოკუმენტური დასაბუთება და მონაცემები[229], შემდეგ გამოირკვა, რომ „ამ ნაშთების მიხედვით ყოვლად შეუძლებელია მსჯელობა ნაგებობის ხასიათსა და თარიღზე“[230].

მაშასადამე, აღარც ეკლესია დაგვრჩა და აღარც „უძველესი ნაგებობა“, რომელსაც ავტორი აკავშირებდა „ადრეფეოდალური ხანის კერამიკისა, ქვის ჯვრებისა და სტელების ნატეხებთან“. ყოველივე ეს ისევე უცნაურად გაქრა, როგორც, შეიძლება ითქვას, უცნაურად გაჩნდა.

მ. სიხაურიძემ, როგორც გამთხრელმა, სცადა ბუჩურაშენის ეკლესიის დათარიღება, რისთვისაც მან, უპირველესად ყოვლისა, ჩემი სავარაუდო დათარიღება უარყო, იმ საფუძველზე, რომ, მართალია, სტელების ფრაგმენტები შეიძლებოდა ჩაეშენებინათ კედლების წყობაში მას შემდეგ რაც მათ დაკარგეს თავისი მნიშვნელობაც, მაგრამ — აცხადებს მ. სინაურიძე, — „ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეკლესია განვითარებულ შუა საუკუნეებში შეიძლებოდა აეშენებინათ“[231]. და მერე იწყება „თეორიული ექსკურსიები“ რომ ეკლესია შეიძლებოდა აეშენებიანთ VI—VII სს ან IX—X სს და თავდება ყოველივე ეს იმით, რომ „მაგრამ საბოლოო მოსაზრებისათვის არ მოგვეპოვება საკმარისი საფუძველი“[232]. მაშ რა დროით შეიძლება ეს ეკლესია დავათარიღოთ? ეკლესიის კედლებში უწესრიგოდ ჩაშენებული სხვადასხვა ეპოქის (ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეებისა) რელიეფებით, იგი წარმოადგენს გვიანი შუა საუკუნეების ტიპურ ძეგლსო.

მე რამდენადაც ვიცი, ეკლესიის კედლებში არ ყოფილა ჩაშენებული „განვითარებული შუა საუკუნეების“ არც ერთი რელიეფი (?) და არც მ. სინაურიძეს მოუტანია ამის დამადასტურებელი ფოტოსურათი თავის ანგარიშებში, კიდევ მეტი, სიტყვიერადაც არ დაუსახელებია ასეთი „რელიეფები“. მაშ საიდან გაჩნდნენ ეს რელიეფები იმ დამათარიღებელ განცხადებაში? სხვათა შორის,

---

[227] მ. სინაურიძე, 1970—71 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, სსმ არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ. 1974, გვ. 93.

[228] მ. სინაურიძე, თ. ბერიძე, კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 27—28, 1971, წ. გვ. 47.

[229] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 78.

[230] М. И. Синауридзе, დასახ. ნაშრ. გვ. 19.

[231] М. И. Синауридзе, დასახ. ნაშრ., გვ. 20 მე არ მიწერია „განვითარებული შუა საუკუნეები“!

[232] იქვე, გვ. 22.

ადრეული შუა საუკუნეების სტელების ნატეხებიც არ ყოფილა ჩაშენებული ეკლესიის კედლებში ისეთი რაოდენობით, როგორც მ. სინაურიძეს სურს წარმოგვიდგინოს სიტყვიერად, დოკუმენტური ილუსტრაციების გარეშე. ყოველივე ზემოხსენებულის გამო მისი ეს დასკვნა არ მიგვაჩნია დამაჯერებლად.

ახლა რაც შეეხება სტელების იმ უაღრესად მნიშვნელოვან ფრაგმენტებს, რომლებიც უმთავრესად აღმოჩნდა ეკლესიის მახლობლად. უპირველესად ყოვლისა უნიკალურია სტელის ბაზის ორი ნატეხი ბერძნული წარწერით და არქაული ორნამენტებით. სწორედ ამ ბაზის ერთი ნატეხი (ბოლნური ჯვრის გაბოსახულებით საფასადო წახნაგზე) იყო ჩაშენებული (გვიან ჩაშენებული!) ეკლესიის საკურთხევლის კედლის წყობაში (ტაბ. LXIII,-ე).

ამ ბაზის ბერძნული წარწერა, ჩვენი თხოვნით, სპეციალურად შეისწავლა პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა და კვლევის შედეგები ჯერ მოახსენა მუზეუმის ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის განყოფილების სხდომას, ხოლო შემდეგ გამოაქვეყნა კიდეც სსმ მოამბეში[233].

როგორც ცნობილია, ამ ბაზას ბერძნული წარწერა გაკვეთებული აქვს რელიეფური, გამოქახდაკებული ასოებით ორ წახნაგზე, ერთ წახნაგზე წარწერა ექვსსტრიქონიანია და იკითხება ასე:

„სალოცველად სიმეონისა და ავლიანოსისა ყოვლითა მათითა სახელითურთ, უფალო შეეწიე თეოდორეს“[234].

მეორე წახნაგზე წარწერა ორსტრიქონიანი ყოფილა, იგი ძლიერ დაზიანებულია და წარწერის ცალკეული ასოებიღაა დარჩენილი. სულ დარჩენილია ა ასო, რომელთა მიხედვით გაბმული ტექსტი აღარ იკითხება. თ. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს, რომ, შესაძლებელია ეს იყო წარწერის ბოლო[235].

წარწერა, პალეოგრაფიული და ენობრივი ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე იმ ორნამენტული მოტივების გათვალისწინებით, რომლითაც შემკულია წარწერიანი წახნაგები, თ. ყაუხჩიშვილმა დაათარიღა VII—IX სს.[236]

ამასთანავე, თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ამ წარწერას ასოთა მოხაზულობის მხრივ ყველაზე მეტად პარალელები მოეძებნება V—VI—VIII სს.[237]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარწერის გამოქვეყნებამდე, როდესაც თ. ყაუხჩიშვილმა წარწერის შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს სახ. მუზეუმის შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის განყოფილების სხდომაზე (რომელსაც აკად. ს. ყაუხჩიშვილიც ესწრებოდა), მაშინ, მან შესაძლებლად მიიჩნია წარწერის დათარიღება V—VII სს. ამ ეპიზოდს მე იმიტომ ვიხსენებ, რომ, ეტყობა შესაძლებელია ამ წარწერის დათარიღება ზემოხსენებული ვიწრო ჩარჩოებითაც, პალეოგრაფიული და ენობრივი ანალიზის საფუძველზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ წარწერის დათარიღების დროს მხედველობაში უნდა იყოს უთუოდ მიღებული ის არქაული ორნამენტული მოტივები, რომლითაც ეს წახნაგებია შემკული. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გადამწყვეტი როლი შეუსრულე-

---

[233] თ. ყაუხჩიშვილი, კაზრეთის ბერძნული წარწერა. სსმ მოამბე XXVII—B თბ. 1967, გვ. 152—165.

[234] თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154—155.

[235] იქვე, გვ. 163.

[236] იქვე, გვ. 162, 165.

[237] იქვე.

ბია დოც. ვ. დოლიძის აზრს იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ბაზის ორ წახნაგზე გამოსახული ბოლნური მედალიონები (ტაბ. LXV$_{1-2}$), ვ. დოლიძის აზრით, ამოკვეთილი ყოფილა უფრო ადრე (დაახ. V—VI სს), ვიდრე ორ დანარჩენ წახნაგზე (რომლებზედაც წარწერაა შესრულებული) და რომლებზედაც გამოქანდაკებულია „მოგრძო ჯვრები თავისი ჩუქურთმებიანი კამარებით“, რომლებიც „დაახ. VIII—IX სს თარიღდებაო“[238].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვ. დოლიძის აზრის პირველი ნაწილი მედალიონების დათარიღების შესახებ, მართებულია, ხოლო მეორე ნაწილი — მოგრძო ჯვრების თარიღის შესახებ, მცდარი შემდეგი მოსაზრებების გამო: დიდი ხანია ცნობილია, რომ ჯვრები წაგრძელებული მკლავებით გვხვდება ბოლნისის სიონის ფასადებზე (ინტერიერში) ბოლნურ ტოლმკლავებიან ჯვრებთან, ბოლნურ მედალიონებთან ერთად და ეს ჯვრები, როგორც აკად. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, არ შეიძლება დავაცილოთ ბოლნისის ტაძრის აშენების თარიღს, ე. ი. ეს წაგრძელებულმკლავებიანი ჯვრები ტაძრის სინქრონულია[239], ისინი სრულიად მტკიცედ, V საუკუნითაც შეიძლება დავათარიღოთ. ბოლნისის სიონის მიხედვით დადგენილ ამ ფაქტს შეუძლებელია ანგარიში არ გავუწიოთ, რომ ბოლნური მედალიონები და წაგრძელებულმკლავებიანი ჯვრები თანაარსებობდნენ ქრისტიანობის განმტკიცების ადრეულ პერიოდში, კარგად ჩანს მეორე მაგალითიდანაც; მდ. დამბლუტისწყლის ხეობაში მცირე ეკლესიის გათხრის პროცესში აღმოჩენილ ბაზას, რომელიც წარწერის მიხედვით სანდოდ დავათარიღეთ V ს.[240], მარცხენა წახნაგზე გამოქანდაკებული აქვს არატოლმკლავებიანი, მკლავებწაგრძელებული ჯვარი. ეს საბუთიც სანდოა.

ჩვენ რომ ამ საკითხში არ ვცდებით ამას ადასტურებს ზემოხსენებულ ბაზაზე გამოქანდაკებული კამარაც, რომელიც ეყრდნობა ორ დაჭრელებულ სვეტს (ტაბ. LXIV). სვეტების ზედაპირი (ორივე წარწერიან წახნაგზე) შემკულია ერთმანეთზე მიჯრით ამოჭრილ პატარ-პატარა სწორკუთხედებით, რომლებსაც კვეთს ორ-ორი დიაგონალი. ასეთი სწორკუთხედების ორი მწკრივი ამკობს სვეტებს ძთელ ვერტიკალურ სიბრტყეზე. ისიც მნიშვნელოვანია, რომ არატოლმკლავებიანი ჯვარი, კონტურების გარშემო, შემკულია ტრადიციული ცერადკვეთილი პაწია სამკუთხედების არშიით. ახლა ამ ფაქტებს იმასაც თუ დავუმატებთ, რომ დიაგონალებით გადაკვეთილი პაწია სწორკუთხედების ასეთივე ბადისებრი მოტივით შემკულია ბოლნისის სიონის ჩრდილოეთ სტოას დას. კაპიტელის ერთი ნაწილი[241], მაშინ, მე მგონია სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ ბუჩურაშენის ზემოხსენებული ბაზის დათარიღების საკითხში არავითარ ანაქრონიზმთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია ამ ფაქტსაც არ გავუწიოთ ანგარიში. ამ საფუძველზე ბუჩურაშენის ბაზის წარწერისა და საზოგადოდ თვით ბაზის დათარიღების საკითხში, ორნამენტი არა მარტო არ წარმოადგენს დაბრკოლებას, არამედ ხელს უწყობს დათარიღების დაზუსტებას. ამასთან დაკავშირებით იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ორ წახნაგზე გამოსახული

---

[238] თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154, სქოლიო 2.
[239] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 186, 187.
[240] წინამდებარე ნაშრომი, გვ. 72.
[241] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. სურ. 94.

ბოლნური მედალიონების თარიღი და დანარჩენ ორ წახნაგზე გამოქანდაკებული ზემოხსენებული ჯვრების ორნამენტის დათარიღება, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან.

ამის შემდეგ გვჭირდება მოსაზრება გამოვთქვათ მ. სინაურიძის ზოგიერთ შენიშვნაზე ამ ბაზისის დათარიღების საკითხში. იგი მხარს უჭერს ყაუხჩიშვილისეულ დათარიღებას (VII—IX სს), რის შესახებაც ჩვენ ზევით უკვე ვილაპარაკეთ, და თავის მხრივ, როგორც იგი ფიქრობს, ზემოხსენებულ დათარიღებას ამაგრებს „ახალი საბუთით“. იგი აცხადებს, რომ ბუჩურაშენის ბაზის ორი წახნაგი, რომელზედაც გაკეთებულია ზემოხსენებული რელიეფური ბერძნული წარწერა, მოგვიანებით (რამდენიმე საუკუნის შემდეგ. — ვ. ჯ.) „ხელახლა საგანგებოდ გაუთლიათ და ამ დროს ჩამოუჭრიათ ორ მოპირდაპირე გვერდზე არსებული წრეში ჩახატული ჯვრის გამოსახულების ნაწილი (რაც, თურმე, მე ვერ შემინიშნავს). მაშასადამე, ბერძნულწარწერიანი გამოსახულება, ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებასთან შედარებით გვიანდელია. იგი შეასრულეს ნაშინ, როდესაც ბაზა ხელმეორედ გამოიყენეს“[242]. ამ „დაკვირვების“ ნაკლი ის არის რომ იგი თავიდან ბოლომდე მცდარია, ბაზის გვერდები არავის ჩამოუჭრია წარწერებისა და ორნამენტების ამოსაჭრელად დანარჩენ წახნაგზე.

მაშასადამე, საქმე ეხება იმ ორ წახნაგს, რომელზედაც გამოსახულია ბოლნური მედალიონები; ერთზე ბოლნური მედალიონი ჩასმულია ცერადკვეთილ სამკუთხედებისაგან შედგენილ „კლასიკურ“ ჩარჩოში (ტაბ. LXV_1). ეს მედალიონი კარგად არის ჩამჯდარი ბაზის წახნაგში, არავითარი კვალი მისი ჩამოთლისა არ ჩანს. არა მგონია ამ შემთხვევაში რაიმე კანონიერი პრეტენზია ჰქონდეს მ. სინაურიძეს. რაც შეეხება მეოთხე წახნაგს, რომელზედაც გამოსახულია მეორე ტოლმკლავებიანი ჯვარი, ჩასმული უბრალოდ წრეში (ასეთი სადა ბოლნური მედალიონი უცხო არ არის ბოლნისის სიონისათვის, აგრეთვე სხვა სინქრონული ჯვის ძეგლებისათვის), რამდენადმე „შევიწროებულია“. მედალიონის მკლავი არ არის ჩამოთვლილი, მაგრამ წრის მარჯვნივ და მარცხნივ (იხ. ტაბ. LXV_2) თავისუფალი ვიწრო არეა დარჩენილი, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შეკრებილი მასალის სათანადო ნიმუშების მიხედვით, კარგად არის დადასტურებული, რომ სტელების ბაზებისა თუ კაპიტელების შემკობისას ოსტატი ყველა წახნაგს არ ამკობს ხოლმე ერთნაირი გულმოდგინებით. წახნაგი, რომელიც დასანახად, შესაძლებელია, ნაკლებად მოსახერხებელი იყოს, იმ წახნაგზე ოსტატი ნაჩქარევად აკეთებს ორნამენტებს. ამის დამადასტურებელი მაგალითები მოიპოვება ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაშიც. ასეთია, მაგალითად, სტელის კაპიტელი მდ. დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიიდან, რომლის მეოთხე წახნაგზე ორნამენტის კონტურებია გამოყვანილი თხლად (ტაბ. XVIII_2) ან ამავე კაპიტელის მეორე წახნაგი, რომელიც ოსტატს ბოლომდე არ დაუმუშავებია (ტაბ. XVIII_1). კიდევ მეტი, ზოგჯერ საჩვენებელ წახნაგზეც არ დაუტოვებია ადგილი ოსტატს ყველა ორნამენტის გამოსაყვანად და ამიტომ, ზოგი მოტივის ნაწილი ჩანს, ხოლო ნაწილი კი არა. ასეთივეა, მაგალითად, სტელის კაპიტელი ბუჩურაშენის ეკლესიიდან (ტაბ. LXVI_1 და ტაბ. LXVII_1), რომლის ორ წახნაგზე გამოსახული

---

[241] მ. სინაურიძე, 1970—1971 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, სსმ. არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 92—3, სქოლიო 3.

მცენარეული მოტივების ღეროების გამოსახატავად ადგილი აღარ დარჩენილა, არის ამ ღეროს დასაწყისი და ზედა ნაწილი სამი ფოთლის სახით, მაგრამ შუაში ღეროს გაგრძელება არ გვაქვს, გაწყვეტილია. განსაკუთრებით კარგად ჩანს ოსტატის ასეთი პოზიცია კაპიტელის იმ წახნაგზე, რომელიც მოცემულია ტაბ. LXVII$_1$, სადაც მედალიონის ჩარჩოც მეტად შევიწროვებულია და მცენარეული მოტივების დასაწყისია, ხოლო დაბოლოება აღარ ამოუჭრიათ. საზოგადოდ, ეს წახნაგი ოსტატს, ცოტა არ იყოს, მიუფუჩეჩებია. ამ შემთხვევაში რა ვიფიქროთ? აქ მ. სინაურიძის დაკვირვებები აღარ გამოგვადგება.

ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე მე ვფიქრობ, ბუჩურაშენის ბაზისა (და წარწერის) დათარიღების საკითხში ყველაფერი თავის ადგილასაა. ეს ბაზა, ყველა ნიშნის მიხედვით თუ V—VI ს პირველი ნახევრით არა, V—VI ს მაინც შეიძლება დამაჯერებლად დავათარიღოთ.

ახლა რაც შეეხება ამავე ეკლესიასთან აღმოჩენილ სტელების კაპიტელების ფრაგმენტებს, რომელთა შესახებ წინასწარი ინფორმაცია ადრევე გამოვაქვეყნეთ სათანადო ილუსტრაციებით[243]. კაპიტელების იმ ფრაგმენტებისათვის, რომლებიც ამ ეკლესიასთან აღმოჩნდა და რომელთაც ჩვენ ვაქვეყნებთ (იხ. ტაბ. LXVI, LXVII, LXVIII), დამახასიათებელია უძველესი ორნამენტები — ბოლნური მედალიონები ცერადკვეთილი სამკუთხედების ჩარჩოებში, სამფურცელა ყვავილები და წიწვოვანი მოტივები, ექვსფურცელა ვარდული სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩარჩოში, ნახევარპალმეტები, ოთხფურცელა (თუ ორფურცელა? იხ. ტაბ. LXVIII$_1$) ვარდულები და სწორკუთხედების არშია, ჯვარედინად გატარებული დიაგონალებით სწორედ ისეთივე, როგორიც ბუჩურაშენის ზემოხსენებულ წარწერიან ბაზაზე გვხვდება (ტაბ. LXIV). ერთ-ერთი კაპიტელის ზურგი დასერილია რელიეფური ბადური ორნამენტებით (ტაბ. LXVIII$_2$). ყველა ამ კაპიტელისათვის დამახასიათებელია ქვაზე ჭრა ფონის ამოკვეთისა და ცერადკვეთის ხერხით, თვალსაჩინო რელიეფური ორნამენტები, რაც ამ კაპიტელების დიდ სიძველეზე მეტყველებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლნური მედალიონისა და ექვსფურცელა ვარდულის მედალიონის ორივე მხარეს აზრდილი მცენარეული მოტივები, რომლებიც თავდება ისეთივე სამყურა მოტივით, როგორიც დამახასიათებელია ბოლნისის ე. წ. ვარდანის მედალიონისათვის[244]. ყველა ამ ნიშნის მიხედვით, ვფიქრობთ, ეს ძეგლებიც შეიძლება ბოლნისის ტაძრის თანადროულ ძეგლებად მივიჩნიოთ და V საუკ.—VI საუკ. პირველი ნახევრით დავათარიღოთ.

როგორც აღინიშნა, ბუჩურაშენის ეს მეტად საინტერესო პატარა ეკლესია 1970 წ. ააფეთქეს და აფეთქებისაგან შექმნილი ეკლესიის ნანგრევების გროვაში (მაშინ ეკლესიის მეორე ნახევარი კიდევ თავის ადგილას იყო დარჩენილი, შერე ის ნაწილიც მოისპო უკვალოდ) კიდევ აღმოჩნდა სტელის ფრაგმენტი

---

[243] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან, ძეგლის მგეობარი, 20, თბ. 1970, გვ. 52—63; მისივე და ვ. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში, სსმ არქეოლოგიური ექსპედიციები. II, თბ., 1971, გვ. 63—74; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში, იმავე კრებულში, გვ. 75—85.

[244] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 185, სურ. 113.

ვაზის რტოს მოტივით და ქვის ჯვრების ფრაგმენტები, რომლებიც შევკრიბეთ და თბილისში ჩამოვიტანეთ (ტაბ. LXX, LXXI).

სტელის ფრაგმენტი თავისი ვაზის რტოს მოტივით, კომპოზიციით (ამ ფრაგმენტზედაც გამოსახულია ფრინველი და მელა (?) რომლებიც ყურძნის მტევნებს ჭამენ), მცენარეული მოტივის ხასიათით, ეს სტელა პირდაპირ მსგავსებას ამჟღავნებს ბოლნისის სიონის შესაბამის ორნამენტებთან და კომპოზიციასთან, ამიტომ შესაძლებელია მისი თანადროული იყოს. რაც შეეხება ჯვრების ნატეხებს (ტაბ. LXX_2 და ტაბ. LXXI_1) ეს ფრაგმენტებიც შეიძლება ანალოგიების საფუძველზე V—VI სს. დავათარიღოთ.

როგორც ცნობილია, ბუჩურაშენის ეკლესიის ნანგრევები გათხარა საქართველოს სახ. მუზეუმის ექსპედიციამ 1970—71 წწ. და კვლავ აღმოაჩინა სტელების საინტერესო ნატეხები. ეს ძეგლები შეისწავლა მ. სინაურიძემ და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გამოაქვეყნა გათხრის ანგარიშები და შემაჯამებელი ნაშრომი რუსულ ენაზე. ეს მასალები ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონისა და იქ აღმოჩენილი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლების შესახებ. აქ ჩვენ არ შევეხებით მუზეუმის ზემოხსენებული ექსპედიციის მიერ მოპოვებულ განათხარ ძეგლებს, რადგან ეს ძეგლები უკვე გამოცემულია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სტელების ფრაგმენტების უმთავრესი ნაწილი V—VI სს. ძეგლებად მიგვაჩნია, წინააღმდეგ მ. სინაურიძის დათარიღებისა (VI—VII სს).[245]

დასასრულ, დმანისში აღმოჩენილ სტელის ორიოდე ფრაგმენტის შესახებ. დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ლ. მუსხელიშვილმა ყურადღება მიაქცია დმანისის სიონის საკურთხევლის სამხრ. კედელში ჩაშენებულ ქვას, რომელზედაც გამოხატულია რელიეფურად ორი მამაკაცი თავისი დროის შესაფერის ტანსაცმელში. ორივე მამაკაცს მარჯვენა ხელი იდაყვში აქვს მოხრილი და ზევით აწეული, ორივეს მარჯვენა ხელში სამფურცელა ყვავილი უჭირავს, ხოლო ამ ორ ფიგურას შორის დაბალ კვარცხლბეკზე დადგმულია მაღალბუნიანი ჯვარი (ტაბ. LXXIV_1). სათანადო აღწერილობით, ლ. მუსხელიშვილმა გამოაქვეყნა ამ ბარელიეფის სურათი[246]. სრულიად ცხადია, რომ ეს ქვა წარმოადგენდა სტელის კაპიტელს, ჩაშენებულს ეკლესიის კედელში ალბათ ძალიან გვიან. ჩვენი ეს დაკვირვება კარგად დადასტურდა კაპიტელის კედლის წყობიდან გამოღების შემდეგ[247]. ეტყობა ამ კაპიტელს დანარჩენი წახნაგებიც შემკული ჰქონია, მაგრამ დარჩენილია მხოლოდ მეორე წახნაგის ნაწილი, რომელზედაც შერჩენილია მხედრის გამოსახულების ნაწილი (ტაბ. LXXIV_2). კომპოზიცია, რომელიც გამოსახულია სტელის ზემოხსენებულ წახნაგზე, ნაცნობია და გვხვდება ზოგიერთ სხვა უძველეს სტელაზეც. ასეთ კომპოზიციას ვხვდებით ხანდისის სტელის ერთ-ერთ

---

[245] М. И. Синауридзе, დასახ. ნაშრ. გვ. 20—21.

[246] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა". ივ. ჯავახიშვილის რედაქციით თბ., 1938, გვ. 367—368.

[247] ეს ქვა გამოვიღეთ კედლის წყობიდან აკად. გ. ჩუბინაშვილის რჩევით და ამჟამად დაცულია საქართ. სახ. მუზეუმის ფონდებში.

წახნაგზე[248] იმ განსხვავებით, რომ სტელაზე გამოსახულ საერო პირებს (ქალსა და მამაკაცს) არ უჭირავთ ხელში სამფურცელა ყვავილები. ეს სტელა დათარიღებულია VI ს. მეორე ნახევრით.

ამასთანავე, დმანისის (ყოფ. ბაშკიჩეთის) VI ს. სტელაზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს სამფურცელა ყვავილი[249]. აღსანიშნავია, რომ ამ მამაკაცსაც ისეთივე ტანსაცმელი აცვია, როგორიც დმანისის კაპიტელზე მარცხნივ გამოსახულ მამაკაცს: საყელო ამოჭრილი, წინ გაჭრილი, წელში შევიწროებული და რკალად ამოჭრილი კალთით. მარტო ეს ანალოგიებიც საკმარისია იმისათვის, რომ დმანისის კაპიტელი VI ს. დავათარიღოთ.

დასასრულ სტელის ძალიან საინტერესო ფრაგმენტი აღმოჩნდა ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვნის სამხ. უბნის ტერიტორიაზე[250]. ამ სტელის ოთხივე წახნაგი შემკული ყოფილა სხვადასხვა მოტივებით. ერთ წახნაგზე გამოსახულია ბოლნური მედალიონი ბუნზე (ტაბ. LXXV$_1$), რომელსაც ორი მხრივ ამშვენებს ნახევარპალმეტები. კვარცხლბეკი შემკულია სამფურცელა ყვავილებით. ქვევით შერჩენილია ირმის (?) გამოსახულება. მეორე წახნაგზე — ორი საერო პირის გამოსახულება (ტაბ. იგივე 2), მესამეზე — ვაზის რტოს მოტივი (ტაბ. იგივე, 3) და მეოთხეზე—მშვილდივით მოხრილი მცენარეული მოტივები შოხდენილი პალმეტებით (სურ. 4). ეს საინტერესო სტელა თავისი ტრადიციული სიუჟეტებით, შესრულების ტექნიკით, ოსტატურად გამოქანდაკებული ორნამენტული მოტივებით, აგრეთვე ანალოგიური მასალების მოშველიებით, რომელიც ამ ნაშრომის საილუსტრაციო მასალებშიც მოიპოვება, შეიძლება დავათარიღოთ VI საუკუნით.

ასეთია ის მდიდარი და მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის დამყარებისა და განმტკიცების უძველეს პერიოდთან არის დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს შეგვესწავლა საქართველოში აღმოჩენილი სტელები საზოგადოდ, და, როგორც ცნობილია, ჩვენი შესწავლის საგანს მხოლოდ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ძეგლების შესწავლა შეადგენდა, მაინც შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გამოტანა წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

ჯერ კიდავ მიმდინარე საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისში, როცა მეცნიერების განკარგულებაში არ მოიპოვებოდა ასეთი მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი მასალა, ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავდა, რომ სტელების ორნამენტი უძველესი ქართული კულტურის ნაკვალევს წარმოადგენს და რომ „ეს ორნამენტი ქართული ხელოვნების ნაწარმოებია“[251]. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლეოდა დიდი სხვაობა ბოლნურ მედალიონებსა და V—VI სს. სირიულ მედალიონებს შორის როგორც ორნამენტის, ისე ტექნიკის მხრივ[252]. ეს მოსაზრება ვრცელდება აგრეთვე სომხურ მედალიონებზედაც[253].

---

[248] Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. სურ. 5.

[249] იქვე, სურ. 70.

[250] სტელა აღმოაჩინა ექსპედიციის წევრმა მ. გოჩიაშვილმა.

[251] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგ. ექსკურსიები. გვ. 77.

[252] იქვე.

[253] შეადარე Л. Азарян, Армянская раннесредневековая скульптура (на армян. яз.). ერევანი, 1975, ტაბ. 9—13; 23—30; 35, 39, 68, 78; 80—84; 85—86.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბოლნური მედალიონი სავსებით ჩამოყალიბებული, დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია და ამ მხრივ ძალიან იშვიათად თუ მოეპოვება მას ანალოგიები სხვა ქვეყნების ძეგლებს შორის.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საქართველოში ამ ორნამენტის გავრცელების არე ძირითადად მდ. მაშავრის სისტემას არ სცილდება[254].

რაც შეეხება საკუთრივ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ ძეგლებს, მათ შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი.

1. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეული ეკლესიებიდან ორი ე. წ. „ორკარიანი ეკლესია“ ს. უკანგორში და მცირე ეკლესია მდ. დამბლუტისწყლის ხეობაში, წარმოადგენს ადრექრისტიანული ხანის ძეგლს. მათი გეგმები, არქიტექტურული თავისებურებანი, არაკანონიკური ორიენტაცია, აშენების ტექნიკა, ფასადების შეუმკობლად დატოვება, კაპიტალების არქაული მოტივები და სხვა, საფუძველს გვაძლევს ს. უკანგორის „ორკარიანი ეკლესია“ (ლ. მუსხელიშვილი) და დამბლუტისწყლის მცირე ეკლესია დავათარიღოთ V საუკ. აღნიშნულ დათარიღებას მხარს უჭერს აგრეთვე ამ ეკლესიებში და მათ სიახლოვეს აღმოჩენილი მრავალი ფრაგმენტი უძველესი სტელებისა.

2. განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებასა და განმტკიცებასთან დაკავშირებული სტელები, რომელთა ნაწილები (ბაზისი, საკუთრივ ქვის სვეტი კაპიტელით და შესაძლებელია დამაგვირგვინებელი ჯვარიც), ჩვეულებრივ, შემკულია რელიეფური, დახვეწილი მხატვრული მოტივებით (ბოლნური მედალიონები, გეომეტრიული და მცენარეული მოტივები, ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებანი, იკონოგრაფიული გამოსახულებანი, მათ შორის საერო პირთა რელიეფები და სხვა). ეს ძეგლები, ამავე დროს წარმოადგენენ იშვიათ ნიმუშებს ხელოვნებისას, რომელსაც ფესვები შორეულ წარსულში უნდა ჰქონდეს. სტელების მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ შემოგვინახეს უძველესი ასომთავრული წარწერები V—VI საუკ. დასაწყისის (თათვარაზის წარწერა — სოფ. უკანაგორიდან და წარწერები სტელების ბაზებზე მდ. დამბლუტისწყლის მცირე ეკლესიიდან და სხვ.).

3. ქვის სტელების ორნამენტული მოტივები, მათი მსგავსება კარგად შესწავლილ დათარიღებულ ძეგლებთან, უპირველესად ბოლნისის სიონის მხატვრულ მოტივებთან, V საუკ. სომხური არქიტექტორის ზოგიერთი ძეგლის მედალიონებთან, აგრეთვე საქართველოს სხვა ძეგლებთან, მთელ რიგ შემთხვევებში ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვარის და მაზდეიზმის სიმბოლოს—წმინდა თავსაკრავის (Kosti) გამოსახულების თანაარსებობა ერთსა და იმავე ძეგლზე, ქვაზე ჭრის არქაული ტექნიკა, სტილისტიკური თავისებურებანი, უძველესი ასომთავრული წარწერები და ამ წარწერების ენობრივი და პალეოგრაფიული ნიშნები (ხანშეტობა, დაბალყელიანი „დ“-ონი, თავშეკრული „ბ“-ნის, „ჳ“-ე, „შ“-ინი), სრულ საფუძველს გვაძლევს დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ძეგლების უმთავრესი ნაწილი დავათარიღოთ V—VI საუკ. პირველი ნახევრით.

---

[254] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 77.

4. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ადრექრისტიანული მრავალრიცხოვანი ქვის ძეგლები, აღმოჩენილი თანადროული ეკლესიებისა და მათ უშუალო სიახლოვეს, უნდა მიუთითებდეს იმ კავშირზე, რომელიც არსებობდა ქრისტიანულ ტაძრებსა თუ ეკლესიებსა და ქრისტიანულსავე საკულტო ძეგლებს — სტელებს შორის. მათი აღმოჩენა ადრექრისტიანული ტაძრებისა და ეკლესიების ტერიტორიაზე არ შეიძლება აიხსნას შემთხვევითი ფაქტორებით (გაითვალისწინე: მრავლად აღმოჩენილი სტელების ფრაგმენტები ს. უკანგორისა და მდ. დამბლუტისწყლის ეკლესიების, აგრეთვე ბოლნისის სიონისა და ლამაზი გორის ეკლესიის ტერიტორიაზე).

5. სტელების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენა მერმინდელი — უმთავრესად შუასაუკუნეების ეკლესიებთან და მათ კედლებში, შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ დროთა ვითარებაში ადრექრისტიანული ეკლესიების ნაცვლად და მათ ნანგრევებზე აშენდა ახალი ეკლესიები, ხოლო სტელების ნაწილებსა და ფრაგმენტებს იყენებდნენ საშენ მასალად. ცხადია, ამ დროისათვის სტელებს დაკარგული ჰქონდათ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა. ადრინდელი სტელების ფრაგმენტების აღმოჩენა მერმინდელი ხანის ეკლესიების კედლებში და ეკლესიების სიახლოვეს, თავის მხრივ უნდა მიუთითებდეს ზემოხსენებულ კავშირზე ამ ძეგლებს შორის.

6. წარწერიანი სტელების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებიდან ჩვენამდე მოღწეულია განსაზღვრული რიცხვი ისეთი სტელებისა, რომლებზედაც წარწერები შერჩენილია მთლიანად ან თითქმის მთლიანად (უკანგორის, პანტიანის, მცხეთის ჯვრის, დავით გარეჯის, წროშის, კატაულას, ბუჩურაშენის სტელების წარწერები, აგრეთვე დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიის ბაზისების წარწერების ფრაგმენტები და სხვა).

წარწერების მიხედვით ირკვევა, რომ ჯვარს აღმართავდა (ან აღმართავდნენ) კონკრეტული პირი (პირები) „სალოცველად ჩემდა და ცოლისა და შვილთა“ ან „ყოვლისა სახლისა მცველად“. ამგვარად, როგორც ცნობილია, „ჯუარი“ აღიმართებოდა ცოცხლების სალოცველად და მეოხად. ამ ფაქტს ადასტურებს დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალებიც. ამიტომ, მართებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ სტელები, წინააღმდეგ ტრადიციული შეხედულებისა, არ წარმოადგენდნენ საფლავების მემორიალურ ძეგლებს, ადრეული სტელები საკულტო ძეგლებია.

7. ქვემო ქართლის მრავალ პუნქტში აღმოჩენილი ქვის სტელების მნიშვნელოვანი რაოდენობა მიგვითითებს ძველი ქართული დამწერლობისა და ხელოვნების ამ ორიგინალური ძეგლების ფართოდ გავრცელებაზე V—VI საუკუნეებში, უფრო ნაკლებად VII საუკ. ხოლო მათი შეუდარებელი ორნამენტული მოტივები, მათი დიდი ნაირგვაროვნება, უძველესი ქართული წარწერები, რომელთაც ხშირად ვხვდებით ამ ძეგლებზე, წარმოადგენენ უტყუარ საბუთს ადრეფეოდალური საქართველოს მაღალი კულტურისა.

РАННЕСРЕДНЕВЕКОВЫЕ АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ИЗ КВЕМО КАРТЛИ

(По материалам Дманисской археологической экспедиции)

Резюме

В труде, помимо некоторых архитектурных памятников, рассматриваются преимущественно каменные памятники древнегрузинского искусства и эпиграфики, обнаруженные дманисской археологической экспедицией в разные годы, в одной части территории Квемо Картли (Районы Дманиси и, отчасти, Болниси).

Этот богатый материал до сих пор не изучался полностью, публиковались только отдельные комплексы. В тоже время, эти памятники заслуживают самого пристального внимания и дают основание для некоторых выводов.

1. Из тех церквей, которые были впервые фиксированы дманисской археологической экспедицией в разное время, две церкви из ущелья р. Дамблутисцкали — одна в с. Укангори и другая — малая церковь, представляют памятники раннехристианского времени. Планы этих церквей, архитектурные особенности, неточная ориентация, строительная техника, гладкие, не имеющие каких-либо орнаментальных мотивов, фасады, капители, украшенные архаичными орнаментальными мотивами и т. д., дают основание датировать церковь из с. Укангори V в. (Л. В. Мусхелишвили), а другую — малую церковь с этого же ущелья так же V веком. Такую датировку подкрепляют и многочисленные фрагменты древних стел, обнаруженных в этих церквях или в непосредственной близости от них.

2. Заслуживают особого внимания памятники периода установления и упрочения христианства в Грузии — каменные кресты-стелы, все части которых (базы, собственно, каменные столбы с капителями и завершающие кресты), обычно, украшены рельефными художественными мотивами, выполненными с большим мастерством («Болнисские медальоны»), геометрическими и растительными мотивами, изображениями животных и птиц, иконографическими изображениями, среди них — рельефы светских лиц и т. д.). Одновременно эти памятники представляют собой редкие образцы грузинского искусства, корни которого уходят в далекое прошлое.

Значение этих стел намного возрастает если принять во внимание, что они сохранили древнегрузинские надписи V—VI вв. (Надпись Татвараза из с. Укангори, надписи на базисах стел малой церкви из ущелья р. Дамблутисцкали и др.).

3. Орнаментальные мотивы каменных стел, их сходство с хорошо изученными и датированными памятниками, прежде всего с орнамен-

тальными мотивами болнисского сиона, медальенами на некоторых армянских архитектурных памятниках V в., а также некоторыми другими памятниками Грузии, в ряде случаев — сосуществование на одних и тех же памятниках изображения символа христианства — креста и символа маздеизма — священной повязки (kosti), архаичная техника резьбы по камню, стилистические особенности, древнегрузинские надписи, палеографические и языковые данные надписей, дают полное, основание датировать основную часть памятников, добытых дманисской археологической экспедиции, V в. — первой половиной VI века.

4. Многочисленные раннехристианские каменные памятники, добытые дманисской археологической экспедицией, обнаруженные в синхроничных церквах и в непосредственной близости от них, указывают на связь, существовавшую между церквами и христианскими памятниками культа—стелами. Обнаружение этих памятников на территории раннехристианских храмов и церквей, нельзя объяснить случайным фактором (следует учесть многочисленные фрагменты стел, обнаруженные в церквах и около церквей в с. Уканго́ри и малой церкви в ущелье р. Дамбрутисцкали, а также на территории болнисского сиона и церкви на горе «Ламази гора»).

5. Обнаружение значительного количества фрагментов стел около позднейших — преимущественно средневековых, церквей и в стенах этих церквей, возможно обясняется тем, что с течением времени на местах раннехристианских церквей и на их развалинах, были построены новые церкви, а фрагменты и части стел были использованы в качестве строительного материала. Очевидно, к этому времени стелы уже утеряли свое первоначальное значение. Обнаружение фрагментов стел раннего времени в стенах и около позднейших церквей, со своей стороны указывает на вышеупомянутую связь между этими памятниками.

6. Из многочисленных фрагментов стел с древнегрузинскими надписями до нас дошло ограниченное количество стел, которые сохранили полностью или почти полностью, древнегрузинские надписи (стелы из Уканго́ри, Пантиана, Мцхета, Давид Гареджа, Цроми, Цкиси, Катаула, Бучурашени, а также фрагменты малой церкви из ущелья р. Дамблутисцкали и др.). По надписям выясняется, что крест воздвигал (или воздвигали) конкретное лицо (лица) «в моление себя, жены и детей» или-же «в покровительство всего рода». Таким образом, как это известно, кресты были воздвигнуты в моление живых. Этот факт подтверждается и каменными памятниками, добытыми дманисской археологической экспедицией. Поэтому мы должны признать справедливым мнение, что стелы представляли собой не мемориальные памятники могильников, а памятники культа.

7. Значительное количество каменных стел, обнаруженных во многих пунктах Квемо Картли, указывает на широкое распространение этих оригинальных памятников древнегрузинской эпиграфики и искусства в V—VI—VII вв., а их неподражаемые орнаментальные мотивы, их большое разнообразие, древнегрузинские надписи, которые часто встречаются на этих памятниках, являются неоспоримым доказательством высокой культуры раннефеодальной Грузии.

ტაბულების აღწერილობა

უკანგორის ეკლესია

ტაბ. I, სურ. 1—უკანგორის ეკლესიის გეგმა და განაკვეთი, 1937 წ. არქიტ. ც. გაბაშვილი და რ. მეფისაშვილი

ტაბ. 1, სურ.2—უკანგორის ეკლესია, დას. ფასადი.

ტაბ. II, სურ. 1—უკანგორის ეკლესია, სარკმელი აღმ. ფასადში.

სურ. 2—უკანგორის ეკლესია, სამხრ.-დას. კუთხე, ზევიდან მეორე ქვაზე, რომელიც ეკლესიის სამხრ. კაპიტელის ფრაგმენტს წარმოადგენს, შეიმჩნევა ოთხფურც ლა ვარდულების გამოსახულება.

ტაბ. III, სურ. 1—უკანგორის ეკლესია, სტელის ბაზის ფრაგმენტი ასომთავრული გამოჭანდაკებული წარწერით (თათვარაზის წარწერა) ზომა. 0,7×0, 47×0, 35.

სურ. 2 და 3—-უკანგორის ეკლესია სწორკუთხოვანი ფილა ბოლნური მედალიონით და ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით. ზომა 0,37×0, 325×0, 07.

იმის გამო, რომ ფილა დაკარგულია, ხოლო ნეგატივი წუნდებულია, გაკეთებულია ფოტოს მიხედვით მისი გრაფიკული პირი (სურ.3).

ტაბ. IV, სურ. 1—უკანგორის ეკლესია, დას. სტოას ჩრდ. კედლის ნაშთი.

სურ. 2—უკანგორის ეკლესია, სტოას დას. კედლის ნაშთი.

ტაბ. V, სურ. 1—უკანგორის ეკლესიის გეგმა და განაკვეთი 1974 წ. ჩატარებული გათხრის შემდეგ (არქიტ. ც. გაბაშვილი), ნახაზზე მოჩანს ეკლესიის სტოას გეგმა.

სურ. 2—უკანგორის ეკლესია, სამხრ. კაპიტელის ფრაგმენტი ოთხფურცელა ვარდულების გამოსახულებით.

ეკლესია დამბლუტისწყლის ხეობაში

ტაბ. VI, სურ. 1—მცირე ეკლესია მდ. დამბლუტისწყლის ხეობაში, გეგმა და ჭრილი, 1968 წ. (არქიტ. თ. გერსამია).

სურ. 2—მცირე ეკლესიის ნანგრევები, აღმ. ფასადი. ხედი ჩრდ.—აღმოსავლეთიდან.

ტაბ. VII, სურ. 1—მცირე ეკლესია, აღმ. ფასადი, ხედი სამხრ.—აღმ-დან.

სურ. 2—მცირე ეკლესია, დას. კარის ჭრილი შიგნიდან.

ტაბ. VIII, სურ. I—მცირე ეკლესია, საკურთხეველი გათხრის პროცესში; წინ მოჩანს სტელების, მათი ბაზებისა და კაპიტელის ფრაგმენტები.

სურ. 2—მცირე ეკლესია, ჭრილი ჩრდილოეთიდან—სამხრეთისაკენ (არქიტ. თ. გერსამია)

ტაბ. I X,სურ.1—მცირე ეკლესია,საკურთხეველის სამხრ. ნახევარი, წინ მოჩანს სტელის ერთი ფრაგმენტი და ორი ბაზის ფრაგმენტები.

სურ. 2—მცირე ეკლესია, საკურთხევლის სამხრ. ნაწილი, ხედი ჩრდ.—დასავლეთიდან.

ტაბ. X, სურ. 1—მცირე ეკლესია, ხედი დასავლეთიდან.

სურ. 2—მცირე ეკლესია, სამხრ. ფასადი კარის ჭრილით.

ტაბ. XI, სურ. 1—მცირე ეკლესია, წითელი ტუფის სტელის ბაზა ბოლნური მედალიონით და kosti-ებით. ზომ. 0,75×0, 75×0, 67. სტელის ბუდის ზომა 0,39×0, 39 მ.

სურ. 2—მცირე ეკლესია, იმავე ბაზის მეორე წახნაგი ასომთავრული წარწერით და ვერძების გამოსახულებით სიცოცხლის ხესთან.

ტაბ. XII, სურ. 1—მცირე ეკლესია, იმავე ბაზის მეორე წახნაგზე ასომთავრული წარწერა.
სურ. 2—იმავე ბაზის ზურგი ორი თორმეტფურცლოვანი ვარდულის გამოსახულებით ჩარჩოს ზედა კუთხეებში.

ტაბ. XIII, სურ. 1—მცირე ეკლესია, მეორე ბაზის წახნაგი ჯვრისა და ნახევარპალმეტების გამოსახულებით, მომწვანო ტუფისა
სურ. 2—იმავე ბაზის წინა წახნაგი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებით. ზომ. 0,49X0, 41X 0, 41 მ.

ტაბ. XIV, სურ. 1—იმავე ბაზის ფრაგმენტი წარწერის დასაწყისით
სურ. 2—იმავე ბაზის მარჯვენა ფრაგმენტი წარწერით.

ტაბ. XV, სურ. 1—იმავე ბაზის მარცხენა ფრაგმენტი წარწერით.
სურ. 2—იმავე ბაზის მეოთხე ფრაგმენტი წარწერით.

ტაბ. XVI, სურ. 1—მცირე ეკლესია, ქვა ბოლნური მედალიონით და ნახევარვარდულებით. ეგდო ეკლესიასთან ზედაპირულად (1964 წ.), ზომ. 1, 5×0, 55×0, 4 მ.
სურ. 2, 3, 4—მცირე ეკლესია, სტელის სამი ფრაგმენტი, აღმოჩენილი ეკლესიის ინტერიერში, საკურთხევლის წინ.

ზომა სურ. 2, h—1,37 მ., წახნაგები—0,29×0,29 მ.
სურ. 3, h—0,ᵥ7 მ. წახნაგები—0,29×029 მ.

ტაბ. XVII, სურ. 1 და 2 — მცირე ეკლესია, სტელის კაპიტელის ᵓირველი და მეორე წახნაგი სამფურცელა ყვავილების გამოსახულებით. კაპიტელის ზომ. h—0,57 მ. თავის ზომა 0,35 X0, 35 მ. ძირის—0,3 X0, 31 მ.

ტაბ. XVIII, სურ. 1 და 2—იმავე კაპიტელის მესამე და მეოთხე წახნაგი.

ტაბ. XI X, სურ. 1—მცირე ეკლესია, ქვა ბოლნური მედალიონით სამკუთხედების ჯაჭვის ჩარჩოში. მედალიონს ორივე მხარეს ამოუყვება სტილიზებული მცენარეული მოტივები.

ზომ. 0,3×0,2×0,12 მ. შერჩენილი აქვს 10 სმ. სიღრმის ხვრელი, d—4 სმ.
სურ. 2—მცირე ეკლესია სტელის კაპიტელი (?) მწოლიარე ცხოველის (ვერძის?) გამოსახულების ფრაგმენტით. ქვევით სამკუთხედებისაგან შედგენილი ორი არშია. ზომ. 0,37,×0,4 მ., ჩამოტეხილი წახნაგის სიგანე—0,2 მ. კაპიტელს შერჩენილი აქვს ხვრელი —d—5სმ, სიღრმე—15სმ.

ტაბ. XX, სურ. 1—მცირე ეკლესია, იმავე სტელის (ტაბ. XI X, სურ. 2) მეორე წახნაგი ქალის გამოსახულებით სიცოცხლის ხესთან (პალმა?) მარჯვ. ხელში სამფურცელა ყვავილით, მარჯვნივ. მოჩანს ბავშვის (?) გამოსახ. ნაწილი.
სურ. 2—იმავე სტელის მესამე წახნაგი, ქალის(?) გამოსახულების ნაწილით (შერჩენილია წელსქვემოთა ნაწილი)

ტაბ. XXI, სურ. 1—მცირე ეკლესია, სტელის კაპიტელი საერო პირთა (მამაკაცისა და ქალის) გამოსახულებით სიცოცხლის ხესთან. ზომ. 0,37×0,23×0, 17 სმ. ქალს მარჯვ. ხელში უჭირავს სამფურცელა ყვავიᲦი. ზევით ამოჭრილია ცერადკვეთილი სამკუთხედების არშია.

სურ. 2—მცირე ეკლესია, კაპიტელის (?) ფრაგმენტი მცენარული მოტივებით, ქვემოთ ჩანს ცერადკვეთილი სამკუთხედების არშიის ნაწილი. ზომ. 21×12×11 სმ. კაპიტელს სხვა წახნაგებიც ჰქონია მოჩუქურთმებული, რომლის მცირე ნაწილია შერჩენილი.

ტაბ. XXII, სურ. I—კაᵓიტელის (?) ფრაგმენტი მამაკაცის გამოსახულებით, კარგად ჩანს წინ ჩაჭრილი ტანსაცმლის ზედა ნაწილი. ზომ. 0,28×0, 25×0,15.
სურ. 2—კაპიტელის ფრაგმენტი ჯიხვების (?) გამოსახულების ნაწილით. ზომ. 0,21× 0,18×0, 09 სმ.

ტაბ. XXIII, სურ. 1—მცირე ეკლესია, ქვა ღონივრად ამოჭრილი, მარაოსავით გაშლილი სამფურცელა ყვავილებისა და მათ შორის თავშექცევით ამოჭრილი წიწვოვანი მოტივებით.
სურ. 2—მცირე ეკლესია, სტელის ფრაგმენტი ვაზის რტოს მოტივით, ზომ. 0,47×0,12× 0,12 მ. სურ. 3—იქვე, სტელის ფრაგმენტი ვაზის რტოს მოტივით, შერჩენილია რტოს გამოსახულების ნაწილი მტევნით, ორი ულვაშით და ფოთლის ნაწილით. ზომ. 54 X14, 5 X15 სმ.

ტაბ. XXIV, სურ. 1.—იმავე სტელის (ტაბ. XXIII, სურ. 3) მეორე წახნაგი, რომელზედაც შერჩენილია ღონივრად ამოჭრილი მოხდენილი ნახევარპალმეტები, შუაში მოჩანს ბუნი და მის თავზე მედალიონის ფრაგმენტი.

სურ. 2—იმავე სტელის მესამე წახნაგი, რომელზედაც გამოსახულია მშვილდივით მოხრილი მცენარეული მოტივის ღეროები თავში წიწვოვანი მცენარეული მოტივებით დასრულებული. მცენარეულ მოტივების შუაზე გატარებულია რელიეფური ზოლი (იხ. ტაბ. LXXXI, სურ. 1).

სურ. 3—იმავე სტელის მეოთხე წახნაგი, შერჩენილია ადამიანის გამოსახულების კონტურების კვალი წელში გამოყვანილი ტანსაცმლით. ადამიანის გამოსახულებას თითქოს ხელები მაღლა აქვს აწეული და უჭირავს მცენარის ტოტები ისეთივე, როგორიცაა ამავე სტელის წინა, მესამე წახნაგზე გამოხატული სტილიზებული მცენარეული მოტივები.

ტაბ. XXV, სურ. I—მცირე ეკლესია, სტელის ფრაგმენტი, მეორე წახნაგი (ტაბ. XXIII სურ. 2). მშვილდივით მოხრილი მცენარეული მოტივების ღეროების მწკრივით, ღეროების ორივე თავი დასრულებულია პალმეტების გამოსახულებით. ორნამენტი თხლად არის ამოჭრილი. ზომ. 0,47 × 0, 12 × 0,12 მ.

სურ. 2—სტელის ფრაგმენტი, შერჩენილია ბოლნური მედალიონის გამოსახულება ბუნზე, ხოლო ბუნი დადგმულია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე, ქვედა მედალიონის ზემოთ, ქვაზე ამოჭრილი ყოფილა მეორე მედალიონი (შერჩენილია ბუნის ნაწილი და ორსაფეხურიანი კვარცხლბეკი). ზომ. 0,73 X0. 18 X0, 18 მ.

სურ.3—სტელის ფრაგმენტი, მესამე წახნაგი (იხ. ტაბ. XXIII, სურ. 2) შერჩენილია თხლად ამოჭრილი ორი ბოლნური მედალიონი მოკლე ბუნებზე ორსავე მხარეს ნახევარპალმეტებით.

ტაბ. XXVI, სურ. 1 და 2—მცირე ეკლესია, ჯვრის მკლავების ფრაგმენტები პარალელური ღარებით, ზომ. 2) × 11 × 8 სმ. და 16 × 10 × 6 სმ.

ტაბ. XXVII, სურ. 1—მცირე ეკლესია, ჯვრის მკლავის ფრაგმენტი სამფურცელა ყვავილის გამოსახულებით და პარალელური ღარებით. ზომ. 16 X18 X6 სმ.

სურ. 2—მცირე ეკლესია, სფერული ფორმის ფეხებიანი პატარა ბაზისი(?), მცენარეული მოტივებით ჭუსლის ერთ წახნაგზე. ბაზისს აქვს ოთხი დაბალი ფეხი. სფეროს თავი წაკვეთილია და ცენტრში აქვს ფოსო ზომ. 7,5 X7, 5 სმ. სიღრმე—7 სმ. ბაზის სიმაღლე—22 სმ.

ეკლესია კზილ-ქილისა

ტაბ. XXVIII, სურ. 1—პატარა ეკლესია კზილ-ქილისა ტყით დაბურულ ფერდობზე.

სურ. 2—კზილ-ქილისა, ხედი სამხრ.—დასავლეთიდან.

ტაბ. XXIX, სურ. 1—კზილ-ქილისა, ხედი სამხრ.—აღმოსავლეთიდან სურ. 2—კზილ-ქილისა, გეგმა, ჭრილი და აღმ. ფასადი. (არქიტ. ც. გაბაშვილი).

ტაბ. XXX, სურ. 1—კზილ-ქილისა, აღმ. ფასადი

სურ. 2—კზილ-ქილისა, აღმ. ფასადის წყობაში ჩაშენებული სტელისა და ბაზების ფრაგმენტები: ა) მარცხნივ—პატარა ბაზა (ზომ. 0,23X 0, 28მ) ტიპური ბოლნური მედალიონით; ბ) ბაზის მარჯვნივ—დიდი ბაზის დაბზარული ფრაგმენტი ბოლნური მედალიონითა და გვერდებზე ფარშევანკების გამოსახულებით (ზომ. 0,65 × 0,35მ) და გ) სტელის ფრაგმენტი ვაზის რტოს სტილიზებული მოტივით (ზომ. 0,23 × 0, 14მ).

ტაბ. XXXI, სურ. 1—კზილ-ქილისა, ბაზის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონით და ფარშევანგების გამოსახულებით (ეკლესიის აღმ. ფასადის წყობაში).

სურ. 2—კზილ-ქილისა, ზემოხსენებული ბაზის კომპოზიციური ამოსახულების გრაფიკული რესტავრაცია. პირი. (შემსრ. არქიტ. ც. გაბაშვილი).

ტაბ. XXXII, სურ. 1—კზილ-ქილისა, საკურთხევლის ჩრდ. კაპიტელი (ზომ. 0,59 × 0,41 მ.).

სურ. 2—საკურთხევლის სამხრ. კაპიტელი (ზომ. 0,53X 0, 43 მ.).

ტაბ. XXXIII, სურ. 1—კზილ-ქილისა, საკურთხევლის სამხრ. ჩაშენებული სტელის ფრაგმენტის ერთი წახნაგი წმინდანების გამოსახულებით (ზომ. h—0,6 მ., სიგანე—0,25 მ.)

სურ. 2—იმავე სტელის მეორე წახნაგი ჯიხვის, ფასკუნჯის და ირმის გამოსახულებებით.

ტაბ. XXXIV, სურ. 1—კზიდ-ქილისა, სტელის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონით ბუნზე, ჩაშენებული საკურთხევლის ჩრდ. კედელში (ზომ. h—0,55 მ. სიგანე—0,26 მ.)

სურ. 2—კზიდ-ქილისა, ტრაპეზის ქვა აყვავებული ჯვრის გამოსახულებით. (ზომ. 0,62X 0.21 მ.)

აბულბუგის ეკლესია

ტაბ. XXXV, სურ. 1—აბულბუგის ეკლესია, აღმ. ფასადი; ხედი სამხრ.—დასავლეთიდან.

სურ. 2—აბულბუგის ეკლესია, გეგმა, ჭრილი და სამხრ. ფასადი (არქიტ. კ. მელითაური).

ტაბ. XXXVI, სურ. 1—აბულბუგის ეკლესია, ჩრდ. ფასადი-კარის ჭრილით.

სურ. 2—ქვა ბოლნური მედალიონით და ბერძნული ალფათი და ომეგათი ეკლესიის დას. ფასადის წყობაში (ზომ. 0,44, 0,31 მ.).

ორსაყდრების ქვემო ეკლესია

ტაბ. XXXVII, სურ. 1—ორსაყდრების ქვემო ეკლესია, ჩრდ. ფასადი კარის ჭრილით, ხედი ჩრდილოეთიდან.

სურ. 2—ორსაყდრების ქვემო ეკლესია, ხედი ჩრდ.—აღმოსავლეთიდან.

ტაბ. XXXVIII, სურ. 1—ორსაყდრების ქვემო ეკლესია, გეგმა, ჩრდ. ფასადი (არქიტ. კ. მელითაური).

ტაბ. XXXIX. სურ. 1—ორსაყრდენების ქვემო ეკლესია, ხედი სამხრ.—აღმოსავლეთიდან.

სურ. 2—ორსაყდრების ქვემო ეკლესია, დას. ფასადის ჩრდ.—დასავლეთ კუთხეში, ზევით მოჩანს სტელის ბაზა ბოლნური მედალიონის სუსტი გამოსახულებით და kosti-ებით (ზომ. 0,3×0,35×0,35 მ.)

ტაბ. XL, სურ. 1—ორსაყდრების ქვემო ეკლესია, აღმ. ფასადის ჩრდ.—აღმ. ქვედა კუთხეში ჩაშენებული სტელის ბაზა ოთხფურცელა ვარდულების გამოსახულებით. (ზომ. 0,63 X0, 8 X 0,77 მ.).

სურ. 2—იმავე ბაზის ორნამენტირებული წახნაგის გრაფიკული რესტავრაცია. პირი.

ტაბ. XLI, სურ. 1—ორსაყრდენების ქვემო ეკლესია, დას. ფასადის სამხრ.—დასავლეთ ქვედა კუთხეში ჩაშენებული სტელის ბაზა ბოლნური მედალიონით, რომლის ჩარჩო შემკულია სამფურცელა ვარდულებით. (ზომ. 04×0.43 მ.).

სურ. 2—იმავე ბაზის მეორე წახნაგი, მოჩანს აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულება.

ტაბ. XLII, სურ. 1—ორსაყრდენების ქვემო ეკლესია, ჩრდ. ფასადის წყობაში ჩაშენებული სტელის ფრაგმენტი მშვილდივით მოხრილი სტილიზებული მცენარეული მოტივებით შემკული. (ზომ. 0,65 X 0,25 მ.)

სურ. 2—იმავე ფასადის წყობაში ჩაშენებული სტელის მეორე ფრაგმენტი ვაზის რტოს მოტივით (ზომ. 0,53X 0,19 × 0,19 მ.)

სოფ. ბალიჭის ეკლესია

ტაბ. XLIII, სურ. 1—ეკლესიის ნანგრევები სოფ. ბალიჭში, ხედი სამხრ.—დასავლეთიდან.

სურ. 2—ეკლესიის სამხრ. ფასადი, კარი ჭრილით.

ტაბ. XLIV, სურ. 1—სოფ. ბალიჭის ეკლესიის გეგმა, ჭრილი და სამხრ. ფასადი (არქიტ. კ. მელითაური)

სურ. 2—სოფ. ბალიჭის ეკლესიის ნანგრევები; ქვა ბოლნური მედალიონით, დევს ეკლესიის სამხრ. კედელზე (ზომ. 0,62 × 0,48 ×, 36 მ.)

ტაბ. XLV, სურ. 1—სოფ. ბალიჭის ეკლესიის ნანგრევები, სტელის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონით და ბაზა ბოლნური მედალიონით ჩაშენებული ეკლესიის სამხრ. კედელში.

სურ. 2—ს. ბალიჭის ეკლესია, სამხრ. კედელში ჩაშენებული სტელის ფრაგმენტი ბოლნუ-

რი მედალიონით (სტელის კაპიტელის ზომ. 0,17X 0,18 მ., სიგრძე—0,3 მ. სვეტის ნაწილის ზომ. 0,15 X 0,16 მ.).

ტაბ. XLVI, სურ. 1—სოფ. ბალიჭის ეკლესია, სტელების ფრაგმენტები ჩაშენებული ეკლესიის ჩრდ. კედლის ნიშაში შიგნიდან.

სურ. 2—მარჯვენა სტელის ფრაგმენტი. ზომ. h—0,36 მ. სიგანე—0,15. ბოლნური მედალიონების გამოსახულებებით (ჩადგმულია თავდაყირა)

ტაბ. XLVII, სურ. 1—სტელის იმავე ფრაგმენტის მეორე წახნაგი, მოჩანს სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, ხოლო სტელის კაპიტელზე—სამფურცელა ყვავილი და გვერდზე ნახევარპალმეტები.

სურ. 2—იმავე სტელის ფრაგმენტი კედლის წყობიდან გამოღების შემდეგ წინა წახნაგზე ჩანს ბოლნური მედალიონები სტელის კაპიტელზე და კორპუსზე.

ტაბ. XLVIII, სურ. 1—იმავე სტელის მეორე წახნაგი; კაპიტელზე კარგად ჩანს სამფურცელა ყვავილი, ხოლო მის ორსავე მხარეს ნახევარპალმეტები; კორპუსზე მშვილდივით მოხრილი და ერთმანეთზე გადაბმული სტილიზებული მცენარეული მოტივი.

სურ. 2—იმავე სტელის მესამე წახნაგი. კაპიტელზე აქაც გამოსახულია სამფურცელა ყვავილი გვერდებზე ნახევარპალმეტებით, ქვევით, სტელის კორპუსზე მოჩანს სიცოცხლის ხის (?) წვერი.

ტაბ. XLIX, სურ. 1—სტელის მეორე ფრაგმენტი საერო პირთა გამოსახულებით ჩაშენებული სოფ. ბალიჭის ეკლესიის ნიშის მარცხენა მხარეს. ზომ. 0,45 × 0,15 X0,14 მ.

სურ. 2—იმავე სტელის მეორე წახნაგი კედლის წყობაში, მოჩანს ბუნზე დადგმული ბოლნური მედალიონი ნახევარპალმეტებით ბუნის ორსავე მხარეს.

ტაბ., L. სურ. 1 და 2—იმავე სტელის ფრაგმენტის ორი წახნაგი, კედლის წყობიდან გამოღების შემდეგ.

ტაბ. L1, სურ. 1—ბალიჭის ეკლესია, ზემოხსენებული სტელის მესამე წახნაგი მშვილდა კოზმოდის კიდევ ერთი ვარიანტის გამოსახულებით.

სურ. 2—ბალიჭის ეკლესია, სტელის ფრაგმენტი ბუნზე დადგმული ბოლნური მედალიონის გამოსახულებით და ნახევარპალმეტებით, ჩაშენებული ეკლესიის სამხრ. კედელში შიგნიდან. ბუნი დადგმულია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე, რომლის ზედა საფეხურზე ამოჭრილია სამფურცელა ყვავილი. ზომ.—0,57 მ., წახნაგები 0,2 × 0,2 მ.

ტაბ. LII, სურ. 1—ბალიჭის ეკლესია, იმავე სტელის მეორე წახნაგი შემკული თავისებური ორნამენტული მოტივებით: ფონის ამოჭრისა და ცერადკვეთის ხერხით გამოსახულია მარაოსავით გაშლილი პალმეტი, რომელიც მოქცეულია ერთმანეთის პარალელურად გატარებულ ღარების ნახევარწრეში ისე კი, რომ ღარები, თავის მხრივ ორივე მხარეს ზევით მარაოსავით გაშლილია და ყვავილის ფურცლებივით დაკბილული. მეორე მოტივი რამდენადმე წააგავს ზემოაღწერილს, ოღონდ ცენტრში მოქცეულია სამკაუჭიანი ბრიალა წრიულ ჩარჩოში, რომელიც შედგება პარალელური ღარების სამი კონისაგან, რომლებიც ერთიმეორეზე „აწყვია“. ამ ორ მოტივს შორის, უბეში ამოჭრილია სამფურცელა ყვავილი. ფრაგმენტის თავში ჩანს კიდევ ორი სამფურცელა ყვავილი დაკავშირებული ერთმანეთთან ერთი საერთო ღეროთი,

სურ. 2—ამავე სტელის ფრაგმენტის მესამე წახნაგი, რომელზედაც ამოჭრილია მშვილდა კოზმიდის კიდევ ერთი ვარიანტი. ფრაგმენტის თავში გამოსახულია ჯვარედინად განლაგებული ოთხი სამფურცელა ყვავილი ჩასმული რელიეფურ, წრიულ ჩარჩოში და წარმოადგენს ვარდულებისაგან შედგენილ მედალიონს.

სურ. 3—ბალიჭის ეკლესია, სტელის ფრაგმენტი ვაზის რტოს მოტივით. შერჩენილია მტევნის გამოსახულების ნაწილი, ღერო და სპირალურად დახვეული ულვაშები. ზომ. 0,2×0,17 მ.

სათხის ეკლესიები

ტაბ. LIII, სურ. 1—სათხის მთავარი ეკლესია, აღმ. ფასადი.

სურ. 2—სათხის არქიტექტურული ანსამბლის გეგმა (არქიტ. ვ. დოლიძე).

ტაბ. LIV, სურ. 1—სათხე, ჩრდ. ეკვტერი რვაწახნაგიანი სტელის ფრაგმენტი (h—1,47 მ. დიამ.—

0,45 მ.) ბოლნური მედალიონების ვარიანტებით, ჩაშენებული ჩრდ. ეკვტერას საკურთხევლის სამხრეთით.

სურ. 2—იმავე სტელის მეორე ფრაგმენტი ჩაშენებული იმავე ეკლესიის საკურთხევლის ჩრდილოეთით (h—1,38 მ. დიამ.—0,45 მ.).

ტაბ. LV, სურ.1—სათხე, ჩრდ. ეკვტერი, სტელის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონებით. ზომ. 1,47 მ. დიამ.—0,45 მ.

სურ. 2—სტელის წახნაგზე ამოჭრილი მედალიონების გრაფიკული სურათი (პირი). შემსრ. არქიტ. ც. გაბაშვილი.

ტაბ. LVI, სურ. 1 და 2—სათხე, ჩრდ. ეკვტერი, ეკვტერის საკურთხევლის ჩრდილოეთით ჩაშენებული სტელის ფრაგმენტი მიწით დაფარული ნაწილის გამოჩენის შემდეგ, ჩანს სტელის კაპიტელი ბოლნური მედალიონით (ზომ. გათხრის შემდეგ—1,81 მ).

ტაბ. LVII, სურ. 1 და 2—სათხე, ჩრდ. ეკვტერი, სტელის ფრაგმენტები ვაზის რტოს მოტივით ჩაშენებული სათხის ეკლესიის ჩრდ. ეკვტერის სამხრ. კედელში (ზომ. I ფრაგმენტი 0,75×0,31 მ.; II ფრაგმენტის—0,69 × 0,32 მ).

ტაბ. LVIII, სურ. 1—სათხე, ჩრდ. ეკვტერი, მუქი წითელი ტუფის ბაზა ბოლნური მედალიონით და ფარშევანგების გამოსახულებით ჩაშენებული ეკვტერის აღმ. კედელში, ფანჯრის ჭრილში. (ზომ. 0,53X 0,41 მ. მედალიონის დიამ.—0,3 მ).

სურ. 2—სათხე, ჩრდ. ეკვტერი, სტელის კაპიტელი ბოლნური მედალიონით და ნახევარპალმეტებით, ჩაშენებული ეკვტერის სამხრ. კედელში, გარედან (ზომ. 0,31 × 0,25 მ.)

ტაბ. LIX. სტელის ზემოხსენებული კაპიტელის ოთხი წახნაგი (კედლიდან გამოღების შემდეგ) შემკული სხვადასხვა მოტივებით და კაპიტელის ზედაპირზე ამოჭრილი წარწერის ფრაგმენტით (შერჩენილია სამი ასომთავრული ასო „ბ“ თავშეკრული, „რ“ დ“ა“).

ტაბ. LX, სურ. 1—სათხის მთავარი ეკლესია, სტელის ფრაგმენტი (ზომ. 1,0 × 0,3 მ). ჩაშენებული ეკლესიის ჩრდ. კედელში შიგნიდან. კარგად ჩანს ბუნზე დადგმული ბოლნური მედალიონი, ბუნის ორივე მხარეს სტილიზებული პალმეტები. ბუნი, თავის მხრივ, დადგმულია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე, რომლის საფეხურები შემკულია სამფურცელა ყვავილებით და წიწვოვანი მოტივებით

სურ. 2—სტელის ზემოხსენებული ფრაგმენტის გვერდით კედელში ჩაშენებული ბაზის ფრაგმენტი ბოლნური ჯვრის გამოსახულების ნაწილით (ზომ. 0,49 × 0,3 მ).

ტაბ. LXI, სურ. 1—სათხის მთავარი ეკლესია, ჩრდ. კედელი შიგნიდან, კედელში ჩაშენებული სტელის ფრაგმენტი ვაზის რტოს მოტივით (ზომ. 0,66 × 0,14 მ).

სურ. 2—სტელის ბაზა ბოლნური მედალიონით, ჩაშენებული იმავე კედელში.

ბუჩურაშენის ზემო ეკლესია

ტაბ. LXII, სურ. 1—ბუჩურაშენის ზემო ეკლესიის ნანგრევები მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის კარიერების ზონაში (სურ. გადაღებულია 1964 წ.), ხედი სამხრ-დასავლეთიდან.

სურ. 2—ბუჩურაშენის ზემო ეკლესიას გეგმა და განაკვეთი (არქიტ. ს. ბოლქვაძე).

ტაბ. LXIII, სურ. 1—ბუჩურაშენის ეკლესია, მოჩანს საკურთხევლის კედელი შიგნიდან სარკმლის ჭრილით.

სურ. 2—საკურთხევლის აღმ. კედლის დეტალი, სარკმლის ჭრილის ქვემოთ. კედელში ჩაშენებულია ბაზა ბოლნური მედალიონით.

ტაბ. LXIV, სურ. 1—ბუჩურაშენის ეკლესია, სტელის ორ ნაწილად გატეხილი ბაზის წინა წახნაგი ბერძნული წარწერით და ჯვრის გამოსახულებით ნახევარწრიულად გამოყვანილი თაღის ქვეშ. თაღი გადაყვანილია ორ სვეტზე, რომელთა ზედაპირი შემკულია ბადისებრი მოტივით (მიჯრით განლაგებული პაწია სწორკუთხედები გადამკვეთი დიაგონალებით). ზომ. 0,62×0,62 მ. ბოლნური ჯვრიანი წახნაგების სიგანე — 0,58 მ.

სურ. 2—იმავე ბაზის მეორე წახნაგის ორად გატეხილი ბაზის ნატეხები მიდგმულია ერთმანეთთან, ამ წახნაგზედაც შერჩენილია ბერძნული წარწერის ფრაგმენტები, ბაზის პირველი წახნაგის ანალოგიური ჯვარი და, საერთოდ, კომპოზიცია.

ტაბ. LXV, სურ.1—ბუჩურაშენის ეკლესია, იმავე ბაზის მესამე წახნაგი ბოლნური მედალიონით (ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩარჩოში). გამოსახულება ძლიერ გადახეხილია.

სურ. 2—იმავე ბაზის მეოთხე წახნაგი წრიულ ჩარჩოში ჩასმული ბოლნური ჯვრით.

ტაბ. LXVI, სურ. 1—ბუჩურაშენის ეკლესია, სტელის კაპიტელის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონით და მცენარეული სამფოთოლა მოტივით მედალიონის ორივე მხარეს. მედალიონს ზევით, კაპიტელს გასდევს ფართო არშია ორფურცელა, ნახევარვარდულების გამოსახულებით. ზომ. 0,35×028 მ.

სურ. 2—ბუჩურაშენის ეკლესია, სტელის მეორე კაპიტელის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონით, მედალიონს ზევით კაპიტელს გასდევს ფართო არშია, შედგენილი სამფურცელა ყვავილებისა და წიწვოვანი მოტივების გამოსახულებით. ზომ. 0.25×0,19 მ.

ტაბ. LXVII, სურ. 1—ბუჩურაშენის ეკლესია, სტელის პირველი კაპიტელის მეორე წახნაგი ექვსფურცელა ვარდულის გამოსახულებით სამკუთხედების ჯაჭვისაგან შედგენილი წრიულ ჩარჩოში. მედალიონის ორსივ მხარეს, ორნამენტის ამომჭრელს უცდია ამოეჭრა მცენარეული მოტივი თავში სამფოთოლა მოტივით, როგორადაც ამას ვხედავთ LXVI. ტაბ. სურ. 1 მოთავსებულ კაპიტელზე. თუ მედალიონის მარჯვნივ ეს მოტივი როგორღაც მოუთავსებია, მარცხენა მხარეს მხოლოდ საწყისი ღარები ამოუჭრია და მცენარეული მოტივის ღეროების მაღლა ამოსაჭრელად ადგილი აღარ დარჩენია.

სურ. 2—ბუჩურაშენის ეკლესია, მეორე კაპიტელის ფრაგმენტის ერთი წახნაგი ნახევარპალმეტების გამოსახულებით. ზომ. 0,25×0,19 მ. სხვა წახნაგები ჩამოტეხილია

ტაბ. LXVIII, სურ. 1—ბუჩურაშენის ეკლესია, სტელის პირველი კაპიტელის მესამე წახნაგი. შერჩენილია ოთხფურცელა ტრადიციული ვარდულების ორ-ორი ზედა ფურცელი (ნახევარვარდულები), ხოლო მის ზევით—არშია შედგენილი ჯვარედინად განლაგებული პატარა სამკუთხედებისაგან ოთხკუთხა ჩარჩოებში. კაპიტელის ამ ფრაგმენტს კარგად ეტყობა ვიწრო ხვრელი (d—2,8 სმ.) რომლითაც, უნდა ვიფიქროთ, ჩამოეცმეოდა ლითონის ღერძზე. ღერძის მეორე ბოლო თვით სტელის ხვრელში იყო ჩასმული.

სურ. 2—იმავე კაპიტელის მეოთხე წახნაგი (ზურგი) სწორკუთხედებისაგან შედგენილი რელიეფური ბადის გამოსახულებით.

ტაბ. LXIX, სურ. 1—ბუჩურაშენის ეკლესიის ნანგრევები (აფეთქების შედეგად). გადაღებულია 1970 წ.

სურ. 2—ბუჩურაშენის ეკლესიის ნანგრევების მეორე ხედი.

ტაბ. LXX, სურ. 1—ბუჩურაშენის ეკლესია, ეკლესიის ნანგრევებს შორის აღმოჩენილი სტელის ფრაგმენტი ვაზის მოტივისა, ფრინველის და მელას (?) გამოსახულებით, რომლებიც ჰამენ ყურძენს. ზომ. 0,49×0.2 მ.

სურ. 2 — ბუჩურაშენის ეკლესია, ეკლესიის ნანგრევებს შორის აღმოჩენილი ქვის ჯვრის მკლავების ნატეხები (ერთი ნატეხი შემკულია პარალელური ღარებით, მეორე სტილიზებული მცენარეული მოტივებით). ზომ. 0.2×01 მ; 0,21×0.1 მ.

ტაბ. LXXI, სურ. 1—ბუჩურაშენის ეკლესია, ეკლესიის ნანგრევებს შორის აღმოჩენილი ჯვრის მკლავის ნატეხი სტილიზებული მცნარეული მოტივით.

სურ. 2—ბუჩურაშენის ეკლესია, ეკლესიის ნანგრევებს შორის აღმოჩენილი ქვის ნატეხი არქაული ორნამეტული მოტივებით შემკული. ზომ. 0 22×0 1 მ.

ტაბ. LXXII, სურ. 1—ბუჩურაშენის ქვემო ეკლესია, გათხრის დაწყებამდე ზედაპირულად მოჩანს სტელის ბაზის კონტურები და ოთხკუთხა ფოსო ნანგრევებს შორის (გადაღებულია 1970 წ.).

სურ. 2—ბუჩურაშენის ქვემო ეკლესია, გათხრის დაწყებამდე ზედაპირულად მოჩანს მეორე ბაზის კონტურები და ოთხკუთხად ამოჭრილი ფოსო.

ტაბ. LXXIII, სურ. 1 და 2—ბუჩურაშენის ქვემო ეკლესიის ნანგრევები გათხრამდე და სტელების ბაზები ნანგრევებს შორის.

ნაქალაქარი დმანისი

ტაბ. LXXIV, სურ. 1—ნაქალაქარი დმანისი, სტელის კაპიტელის ერთი წახნაგი ორი საერო პირის გამოსახულებით, რომელთაც მარჯვენა ხელებში სამფურცელა ყვავილები უჭირავთ, ხოლო ორ ფიგურას შორის აღმართულია ბუნზე დადგმული ტოლმკლავებიანი ჯვარი. ზომ. 0,32×0.25 მ.

სურ. 2—ნაქალაქარი დმანისი, იმავე კაპიტელის მეორე წახნაგი.

ტაბ. LXXV, სურ. 1—4—ნაქალაქარი დმანისი, გარეუბნის სასაფლაოზე აღმოჩენილი სტელის (ზომ. h—0.55 მ., წახნაგების—0,18×0,18 მ. ოთხი წახნაგი: წახნაგი 1—შერჩენილია

მედალიონის ბუნის ნაწილი კვერდზე ნახევარპალმეტებით, სამსაფეხურიანი კვარცხლბეკი სამფურცელა ყვავილებისა და წიწვოვანი მოტივების გამოსახულებით. ქვევით ირმის (?) რელიეფური გამოსახულება. წახნაგი II—საერო პირების გამოსახულება ვერტიკალურ სიბრტყეში; წახნაგი III—ვაზის რტოს მოტივი; წახნაგი IV—მშვილდივით მოხრილი სტილიზებული მცენარეული მოტივი.

ბოლნისის სიონის მედალიონები

ტაბ. LXXVI, — ბოლნისის სიონის ფასადებზე გამოსახული მედალიონების ვარიანტები (არქიტ. ც. გაბაშვილი)

სურ. 1—დავით ეპისკოპოსის წარწერის (აღმ. ფასადი) ცენტრში ჩასმული ბოლნური მედალიონი;

სურ. 2—მედალიონი ბოლნისის სიონის აბსიდისწინა ჩრდ. პილასტრზე.

სურ. 3—ბოლნისის სიონის აღმ. ფასადზე გაკეთებული დავით ეპისკოპოსის წარწერა ცენტრში ბოლნური მედალიონით;

სურ. 4—ბოლნური მედალიონი ამოჭრილი საალმშენებლო წარწერის თავზე, სამხრ. კარის ქვაზე.

სურ. 5—ბოლნისის სიონის შუანავის ბოძების ჩრდ. რიგის მესამე ბოძზე გამოსახული ბოლნური მედალიონი ვარდანის წარწერით

ტაბ. LXXVII—ბოლნური მედალიონების ვარიანტები. (არქიტ. ც. გაბაშვილი)

სურ. 1—ბოლნური მედალიონი ფარშევანგების მოტივით სათხის ჩრდ. ეკვტერიდან.

სურ. 2—ბოლნური მედალიონი სამფურცელა ყვავილების ჩარჩოში და მაზდეიზმის სიმბოლოს kost—ების გამოსახულებით მდ. დამბლუტისწყლის მცირე ეკლესიიდან.

სურ. 3.—ბოლნური მედალიონი ეკვსფურცელა ვარდულის გვირგვინში. სათხის. ჩრდ. ეკვტერიდან. მედალიონის გარეთ, ამ ქვაზე ამოჭრილია მთავრული ასოები „ა“, „რ“. „ო“ და „ჰ“;

სურ. 4—ბოლნური მედალიონი ნახევარპალმატებით სტელის კაპიტელზე, სათხის ჩრდ. ეკვტერის ჩრდ. კედლის წყობაში ჩაშენებული. ამჟამად ჩამოტანილია და ინახება არქეოლოგ. კვლევის ცენტრში.

სურ. 5. ბოლნური მედალიონი ჩასმული ჯვარედინად განლაგებულ ნახევარ ჯვრებს შორის, რომლებიც, თავის მხრივ ნახევარწრეებშია ჩასმული. სოფ. უკანგორიდან.

ტაბ. LXXVIII ბოლნური მედალიონების ვარიანტები (არქიტ. ც. გაბაშვილი)

სურ. 1—ბოლნური მედალიონი სათხის მთავარი ეკლესიიდან.

სურ. 2—ბოლნური მედალიონი სოფ. ზემო ოროზმანიდან

სურ. 3—ბოლნური მედალიონი ბუჩურაშენის ზემო ეკლესიიდან

სურ. 4—ბოლნური მედალიონი ორსაყდრების ქვემო ეკლესიიდან.

სურ. 5—ბოლნური მედალიონი სამფოთოლა მცენარეული მოტივებით ვერდებზე, ბუჩურაშენის ზემო ეკლესიიდან.

სურ. 6—ბოლნური მედალიონი მდ. დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიიდან.

ტაბ. LXXIX, სურ. 1—ბოლნური მედალიონი ნახევარპალმეტებით მცხეთის ჯვარის სამხრ. პორტალზე.

სურ. 2 და 3-ჯვრის გამოსახულებანი წრომის ტაძარზე (626—634 წწ.)

ტაბ. LXXX ვაზის რტოს მოტივის ვარიანტები. სტელებზე (არქიტ. ც. გაბაშვილი)

სურ. 1—სტელის ფრაგმენტი სათხის მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედელში.

სურ. 2—სტელის ფრაგმენტი მდ. დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიიდან

სურ. 3—სტელის ფრაგმენტი დმანისის ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვანიდან.

სურ. 4—სტელის ფრაგმენტი სათხის ჩრდ. კვტერიდან

სურ. 5—სტელის ფრაგმენტი ორსაყდრებიდან

სურ. 6—სტელის ფრაგმენტი ბოლნისიდან.

ტაბ. LXXXI მშვილდივით მოხრილი სტილიზებული მცენარეული მოტივის ვარიანტები სტელებზე (არქიტექტ. ც. გაბაშვილი)

სურ. 1—სტელის ფრაგმენტი მდ. დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიიდან.

სურ. 2—სტელის ფრაგმენტი ორსაყდრებიდან

სურ. 3—სტელის ფრაგმენტი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანიდან.

სურ. 4—სტელის ფრაგმენტი მდ. დამბლუტისწყლის მცირე ეკლესიიდან.

სურ. 5—სტელის ფრაგმენტი სოფ. ბალიჭის ეკლესიიდან.

ცაბულები


უკანგორი.
ი გეგმა
განაკვეთი AB
განაკვეთი CD
0 1 5ა.
ცკამაშვილი და რ. მეფისაშვილი. 1937

1



2

1



2



1



2

3

1

2



1



2



1



2

1

2



1



2

1

2

1

2



1

2

1

2



2

1



1

2

1

4

3

2

1



2

1

2



1



1



2



2



1



1

2

2



1

1

2

3

3

2

1



3



2

1

2



1



2

1

1

2

1



2



1



2



1



2



1

2

1

2

1

2



1







2

1



2



1



2


0
10M



1



2



1



2



1

2



1



2

1

2



1



2

1



2

2

1



2

1

2

1

2

1

1

2

1

2

1

2

3

2

1

1



2

1



2

2

1



1



2



1

2



1

2

1



2

1





2



1

2



1



2



1



2



2

1

2

1



2

1



1

2



1



2

1

2

1

2

1

2



2



1

4

3

2

1



1



2



3



4

5



1



2



3



4

5



6



2



5



4



1



3



1



2



3

1

2

3

4

5

6

1

2

3

4

5

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3
შ ე ს ა ვ ა ლ ი 5
ძეგლების მოკლე მიმოხილვა 21
სტელებისა და ჯვრების ზოგადი დახასიათება 50
ადრექრისტიანული სტელებისა და ჯვრების დანიშნულების შესახებ 53
ძეგლების განსაზღვრა და დათარიღება 61
Археологические памятники раннесредневекового времени из Квемо Картли (резюме). 97
ტაბულების აღწერილობა 99
ტაბულები 107

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1616

რეცენზენტები — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები:
რ. რამიშვილი, ჯ. ამირანაშვილი

*

რედაქტორი ნ. უგრელიძე

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ც. ქიტიაშვილი

გადაეცა წარმოებას 12.3.1981 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.2.1982 წ.;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 16.8;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.1

უე 00723; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 953;

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Вахтанг Варламович Джапаридзе

РАННЕСРЕДНЕВЕКОВЫЕ АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ИЗ КВЕМО КАРТЛИ

(По материалам Дманисской археологической экспедиции)

(на грузинском языке)